


001(075.2)
ტ-73

გიორგი ლლონტი
ალექსანდრე ლლონტი

სამეცნიერო კვლევის მეთოდები

სადოქტორო დისერტაციის მომზადების სტანდარტები




2017

001 (07/2017)
ფ-13

გიორგი ღლონტი
ალექსანდრე ღლონტი

სამეცნიერო კვლევის მეთოდები

(სადოქტორო დისერტაციის მომზადების სტანდარტები)



სახელმძღვანელო

თბილისი 2017

რედაქტორი:

გიორგი თოდრა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის, სამართლის დოქტორი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

რეცენზენტები:

მანანა მოსულიშვილი - გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი, პროფესორი

პეტრე დაუთაშვილი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ტექნიკური რედაქტორი, კორექტორი:

თამარ ღლონტი

© გიორგი ღლონტი

© ალექსანდრე ღლონტი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017

ISBN 978-9941-0-9461-3

სახელმძღვანელოს ვებგვერდი: www.criminology.ge

წინასიტყვაობა. ნაშრომში გადმოცემულია სამეცნიერო კვლევის, როგორც ინტელექტუალური შემოქმედების ფენომენის თეორია და მეთოდოლოგია, განხილულია მისი ონტოლოგია, გააზრებულია სადოქტორო დისერტაციის, როგორც ახალი სამეცნიერო პროდუქტის შექმნისა და პრეზენტაციის მეთოდები, პასუხია გაცემული მთელ რიგ კითხვებზე, რომლებიც დოქტორანტებს დისერტაციის მომზადების პროცესში უჩნდებათ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეცნიერული ცოდნის ძირითად თავისებურებებს და თეორიული კვლევის მეთოდებს, მათ კლასიფიკაციას.

ცალკე თავი ეძღვნება სტატისტიკურ (ემპირიულ) კვლევას, რომელიც მოიცავს: ემპირიული კვლევის პროგრამის შედგენას, სოციოლოგიური ანკეტების შემუშავების თეორიასა და პრაქტიკას, ასევე, გამოკითხვის მეთოდებს, სტატისტიკურ ცხრილებს, გრაფიკებსა და სამეცნიერო კვლევის სხვა ინსტრუმენტებს.

სახელმძღვანელოს დიდ ნაწილს შეადგენს სოციალური მეცნიერებებისა და იურისპრუდენციის სფეროში სადოქტორო დისერტაციის მომზადებასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხების განხილვა. კერძოდ, დეტალურადაა აღწერილი: სადისერტაციო კვლევის გეგმის მომზადების ეტაპები, საინფორმაციო წყაროებთან მუშაობისა და ემპირიული კვლევის ჩატარების მეთოდები, დისერტაციის ცალკეული ნაწილებისა (თავების) და ბიბლიოგრაფიის მომზადების პროცესი, დისერტაციის, ავტორეფერატის, სამეცნიერო სტატიის, რეცენზიისა და სხვათა გაფორმების ტექნიკური მხარეები.

წიგნი განკუთვნილია დისარტაციაზე მომუშავე, სასწავლო პროცესში ჩართულ პირთა და მკვლევართა ფართო აუდიტორიისთვის: მაგისტრანტების, დოქტორანტების, სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებისთვის. ის გამოსადეგია, ასევე, მეცნიერ-ხელმძღვანელების, კონსულტანტების, სადისერტაციო საბჭოების წევრების, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვის, რომლებიც სამეცნიერო (სადისერტაციო) კვლევის საფუძვლებს ასწავლიან.

ნაწილი I . სამეცნიერო კვლევის თეორიული საფუძვლები

	თავი 1. მეცნიერების ისტორია	7
1.1	მეცნიერებისა და ცოდნის ცნებები	9
1.2	ისტორიული ცნობები	11
1.3	მეცნიერული შემეცნების თავისებურებანი	14
1.4	ინდივიდუალური კვლევითი საქმიანობის თავისებურებები	15
1.5	სამეცნიერო ეთიკის ნორმები	16
	თავი 2. მეცნიერული შემეცნების პრინციპები და მეთოდები	22
2.1	სამეცნიერო კვლევის პრინციპები	24
2.2	სამეცნიერო კვლევის სახეები	26
2.3	სამეცნიერო კვლევის მეთოდების კლასიფიკაცია	30
2.3.1	კვლევის ზოგად-ლოგიკური მეთოდები	34
2.3.2	თეორიული შემეცნების მეთოდები	41
2.3.3	ემპირიული კვლევის მეთოდები	44
2.3.4	კვლევის ლოგიკურ-ინტუიციური მეთოდები	48
2.4	კერძო სამეცნიერო მეთოდები.	53
2.4.1	კვლევის კერძო მეთოდები სამართლის მეცნიერებაში	54
2.4.2	დისციპლინათაშორისი კვლევის მეთოდები სამართლის მეცნიერებაში	61

ნაწილი 2. სამართლებრივი სტატისტიკა, როგორც ემპირიული კვლევის მეთოდი

	თავი 3. სამართლებრივი სტატისტიკის ცნება, საგანი და მეთოდები	67
3.1	სამართლებრივი სტატისტიკის ცნება	71
3.2	სამართლებრივი სტატისტიკის საგანი	76
3.3	სამართლებრივი სტატისტიკის დარგები	78
3.4	სამართლებრივი სტატისტიკის ამოცანები და მეთოდოლოგიური ბაზა	81
3.5	სამართლებრივი სტატისტიკის მნიშვნელობა, მისი ფუნქციები და ადგილი იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში	84
	თავი 4. სტატისტიკური დაკვირვება სამართლებრივ სტატისტიკაში	92
4.1	სტატისტიკური დაკვირვების ცნება	95
4.2	სტატისტიკური დაკვირვების ორგანიზების მეთოდოლოგიური საკითხები	101

4.3	სტატისტიკური დაკვირვების ორგანიზაციული ფორმები, სახეები და ხერხები	105
	თავი 5. სტატისტიკური დაკვირვების მასალების დამუშავების მეთოდოლოგია	129
5.1	სტატისტიკური დაკვირვების მასალების შეჯამება და დაჯგუფება	133
5.2	სტატისტიკური დაჯგუფების სახეები	137
5.3	სამართლებრივი სტატისტიკის მონაცემების ასახვა ცხრილებში	141
5.4	სამართლებრივი სტატისტიკის მონაცემების გრაფიკული ასახვა	146
	თავი 6. აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლები და მათი გამოყენება სამართლებრივ სტატისტიკაში	158
6.1	აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლების ცნება	162
6.2	სტუქტურის შეფარდებითი მაჩვენებლები	166
6.3	დინამიკის შეფარდებითი მაჩვენებლები	169
6.4	ინტენსივობის შეფარდებითი მაჩვენებლები	172
6.5	კოორდინაციისა და შედარების შეფარდებითი მაჩვენებლები	176
6.6	ინდექსები	178

ნაწილი 3. სამეცნიერო პუბლიკაციების და სადოქტორო დისერტაციის მომზადების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები

	თავი 7. სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები	190
7.1	სამეცნიერო სტილის ზოგადი დახასიათება	193
7.2	სამეცნიერო კვლევის ინფორმაციული რესურსები	198
7.2.1	ინფორმაციის ტრადიციული წყაროები	199
7.2.2	ელექტრონული ბიბლიოთეკები და მონაცემთა ბაზები ინტერნეტში	205
7.3	სამეცნიერო სტატია	210
7.4	მონოგრაფია	218
7.5	სახელმძღვანელო	223
	თავი 8. დისერტაციის მომზადების ძირითადი ეტაპები	234
8.1.	კვლევის მეთოდების შერჩევა	236
8.2	სადისერტაციო თემის შერჩევა	237
8.3	დისერტაციის სათაური	242
8.4	დისერტაციის სტუქტურა	244
8.4.1	შესავალი: დისერტაციის პროგრამა	248

8.4.2	სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი (დისერტაციის პირველი თავი)	262
8.4.3	მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა/ანგარიში (დისერტაციის მეორე თავი)	270
8.4.4	კვლევის შედეგები (დისერტაციის მესამე თავი)	279
8.4.5	განსჯა და მეცნიერული მიგნებები (დისერტაციის მეოთხე თავი)	281
8.4.6	დასკვნა-რეკომენდაციები (დისერტაციის მეხუთე თავი)	283
8.4.7	გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა	285
8.5	ავტორეფერატის/გაფართოებული რეზიუმეს მომზადება	289
	გამოქვეყნებული ლიტერატურა	296

ნაწილი I . სამეცნიერო კვლევის თეორიული საფუძვლები

თავი 1. მეცნიერების ისტორია

- 1.1. მეცნიერებისა და ცოდნის ცნებები
- 1.2. ისტორიული ცნობები
- 1.3. მეცნიერული შემეცნების თავისებურებანი
- 1.4. ინდივიდუალური კვლევითი საქმიანობის თავისებურებები
- 1.5. სამეცნიერო ეთიკის ნორმები

1-ლი თემის შესწავლის შემდეგ, სტუდენტმა უნდა

იცოდეს:

- მეცნიერების განსაზღვრება;
- ელემენტები, რომლებსაც მოიცავს მეცნიერება;
- განსხვავება ტერმინთა შორის: „წინარეკლასიკური“, „კლასიკური“, „არაკლასიკური“ მეცნიერება;
- სამეცნიერო შემეცნების თეორიული საფუძვლები;
- მეცნიერების წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია;
- ინდივიდუალური კვლევითი საქმიანობის თავისებურებები;
- სამეცნიერო ეთიკის ნორმები.

შეძლოს:

- სამეცნიერო აზრის განვითარების ეტაპების მკაფიო გამიჯვნა;
- სამეცნიერო საზოგადოების ეთიკური ნორმების ფორმულირება;
- სამეცნიერო ცოდნის არასამეცნიეროსაგან გამიჯვნა.

შეიძინოს უნარები:

- სამეცნიერო აზრის განვითარების ეტაპების მიჯნათა განსაზღვრის;
- სამეცნიერო ეთიკის ნორმათა დაცვის;
- სამეცნიერო და არასამეცნიერო ნორმათა განსაზღვრისა და დახასიათების.

თემის შინაარსი

ზოგადი წარმოდგენა მეცნიერებაზე.

- ✓ ცოდნის, მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევის ცნებები;
- ✓ ტერმინ „სამეცნიერო კვლევის“ ფორმირება ისტორიულ ასპექტში;
- ✓ სამეცნიერო კვლევათა განვითარების ეტაპები;

- ✓ სამი ჯგუფი (ქვესისტემა) სამეცნიერო ცოდნის სისტემაში - საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი და ტექნიკური მეცნიერებები;
- ✓ მეცნიერებათმცოდნეობა, როგორც მეცნიერების შესწავლის დარგი;
- ✓ სამეცნიერო ცოდნის ძირითად თავისებურებათა კლასიფიკაცია და მისი გამოიყენება არასამეცნიერო ცოდნისაგან;
- ✓ სამეცნიერო ეთიკის ნორმები: შინაგანი და გარეგანი ეთიკური ნორმები.

თემის შესწავლის მიზნები

- ✓ პირველადი წარმოდგენის ფორმირება მეცნიერებასა და სამეცნიერო კვლევებზე, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებაზე;
- ✓ მეცნიერების წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორიის გაცნობა;
- ✓ მეცნიერების განვითარების გამოყენების ძირითადი მიმართულებების შესწავლა.

თემის შესწავლის ამოცანები

- ✓ ცოდნის საგნის და მისი განვითარების ისტორიის შესწავლა;
- ✓ მეცნიერების ცნების (დეფინიციის) გააზრება;
- ✓ მეცნიერების განვითარების ეტაპების გაცნობა;
- ✓ სამეცნიერო კვლევის ეთიკის ნორმების ცოდნა.

თემის შესწავლისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება შემდეგ ცნებებზე:

- ✓ ცოდნა;
- ✓ მეცნიერება;
- ✓ მეცნიერებათმცოდნეობა;
- ✓ წინარე-კლასიკური მეცნიერება;
- ✓ კლასიკური მეცნიერება;
- ✓ არაკლასიკური მეცნიერება;
- ✓ სამეცნიერო ეთიკის ნორმები;
- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი;
- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებანი;
- ✓ ტექნიკური მეცნიერებანი;
- ✓ მეცნიერების ანალიტიკური მიმართულება;
- ✓ მეცნიერების ნორმატიული მიმართულება.

თემის შესწავლის თანმიმდევრობა:

1. თეორიული მასალის შესწავლა;
2. პრაქტიკული დავალების შესრულება;
3. პასუხი ტესტურ შეკითხვებზე.

დამატებითი ლიტერატურა:

1. Louis Cohen, Lawrence Manion and Keith Morrison *Research Methods in Education* Sixth edition First published 2007 by Routledge https://research-srtnu.wikispaces.com/file/view/Research+Methods+in+Education_ertu
2. Anol Bhattacharjee *Social Science Research: Principles, Methods, and Practices* *University of South Florida*, http://scholarcommons.usf.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1002&context=oa_textbooks
3. П.С. Ревко-Линардато - Методы научных исследований. Учебное пособие Т. 2012 <http://egf.sfedu.ru/files/>
4. В.Н. Дубовицкий Социология права: предмет, методология и методы Минск ИООО «Право и экономика» : Право и экономика, 2010. – 174

1.1. მეცნიერებისა და ცოდნის ცნებები

არსებობს მეცნიერების (ბერძ. Episteme, ლათ. Scientia) სხვადასხვა განსაზღვრება:

- ადამიანური საქმიანობის სფერო, რომლის ფუნქციაც სინამდვილის შესახებ ობიექტური ცოდნის მიღება და მისი თეორიული სისტემატიზაციაა;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმა;
- ცოდნის მიღების პროცესი და მისი შედეგი - ჯამური ცოდნა, რომელიც მსოფლიო მეცნიერების საფუძვლად გვევლინება.

ცოდნა არ იზღუდება მეცნიერების სფეროთი, შეცნობა, ამა თუ იმ ფორმით, მეცნიერების საზღვრებს მიღმაც არსებობს. საზოგადოებრივი ცნობიერების თითოეულ ფორმას: მეცნიერებას, ფილოსოფიას, მითოლოგიას, პოლიტიკას, რელიგიას და ა.შ. შეესაბამება ცოდნის სპეციფიკური ფორმები. განასხვავებენ, აგრეთვე, ცოდნის ფორმებს, რომელთაც გააჩნიათ ცნებითი, სიმბოლური ან მხატვრული საფუძველი.

შესაძლოა გამოვყოთ ცოდნის სხვადასხვა სახეობა: მეცნიერული, არამეცნიერული, პრაქტიკული (ანუ, საღი აზრი), ინტუიციური, რელიგიური და სხვ.

პრაქტიკული ცოდნა, რომელიც ჯერ კიდევ კაცობრიობის ისტორიის ადრეულ ეტაპებზე არსებობდა და იძლეოდა ელემენტარულ ინფორმაციას ბუნებასა და გარშემო მყოფ სინამდვილეზე (ნიშნები, კულტები, ტრადიციები, რეცეპტები, პირადი გამოცდილება და მისთ.) არასისტემური ხასიათისაა და არადამტკიცებადია.¹

პრაქტიკული გამოცდილება გვევლინება ადამიანის გარემომცველ სამყაროში ორიენტაციის საფუძვლად, ასევე, ყოველდღიური ქცევისა და წინდახედულობის წინაპირობად, თუმცა, ჩვეულებრივ თან ახლავს შეცდომები, შეიცავს წინააღმდეგობებს.

ცოდნა შეიძლება იყოს:

- დეკლარაციული
- პროცედურული

დეკლარაციული ცოდნა მოიცავს მხოლოდ წარმოდგენას ამა თუ იმ ცნების სტრუქტურაზე. თავისი არსით, ის ახლოს დგას მონაცემთან, ფაქტთან. მაგალითად: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოადგენს ფაკულტეტების, ხოლო თითოეული ფაკულტეტი - კათედრების ერთობლიობას.

პროცედურულ ცოდნას ტრანსფორმაციული და მმართველობითი ბუნება გააჩნია. მასში ასახულია ინფორმაციისა და ცოდნის მართვის, შემოწმების, სახეცვლილების საშუალებები და გზები, ცოდნის გენერაციისა და მიღების ხერხები. ეს გახლავთ სხვადასხვა სახის ალგორითმი, როგორცაა, მაგალითად, „გონებრივი იერიშის“ (Brainstorming) მეთოდი ახალ იდეათა გენერაციისთვის.²

სამეცნიერო ცოდნა, როგორც წესი, ემყარება რაციონალობას, ხასიათდება ობიექტურობითა და უნივერსალურობით. მეცნიერული შეცნობა - ობიექტური, ჭეშმარიტი ცოდნის მიღების პროცესია. მისი ამოცანაა - აღწეროს, განმარტოს და იწინასწარმეტყველოს რეალობის წარმოქმნის და განვითარების პროცესი. სამეცნიერო რეკოლუციებს, რომლებიც თან სდევს სამეცნიერო შემეცნების განვითარებას და მივყავართ თეორიებისა და პრინციპების გარდაქმნამდე, ენაცვლება მეცნიერების ნორმალური განვითარების პერიოდები (ცოდნის გაღრმავება და დეტალიზება).

¹ Философия для аспирантов : учебное пособие / В. П. Кохановский [и др.]. — 2-е изд. — Ростов н/Д. : Феникс. 2003. — 448 с. — (Высшее образование)

² Свасьян К.А., Становление европейской науки, М., «Evidentis», 2002 г., с. 351. <http://vikiped.ru/enc/2986/>

სამეცნიერო ცოდნას ახასიათებს ლოგიკური გამართულობა, შედეგების ფორმირება, სწრაფვა შეცდომების აღმოფხვრისა და წინააღმდეგობების დაძლევისკენ. ის დამტკიცებადი და შემოწმებადია.

მეცნიერება, ფართო გაგებით, მოიცავს შესაბამისი საქმიანობის ყველა წინაპირობასა და კომპონენტს:

- სამეცნიერო შრომის დაყოფასა და თანამშრომლობას;
- სამეცნიერო დაწესებულებებს, საექსპერიმენტო და ლაბორატორიულ მოწყობილობებს;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მეთოდებს;
- მიდგომებისა და კატეგორიების აპარატს;
- სამეცნიერო ინფორმაციის სისტემას;
- წინარედ შეგროვილ ჯამურ სამეცნიერო ცოდნას.³

ყოველივე ზემოთქმულის შეჯერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მეცნიერება არის ადამიანის მოღვაწეობის სფერო, რომელიც მიმართულია არსებულის შესახებ ობიექტური ცოდნის მიღებასა და სისტემატიზაციაზე. აღნიშნული საქმიანობის საფუძვლად გვევლინება ფაქტების შეგროვება, მათი მუდმივი განახლება და სისტემატიზაცია, კრიტიკული ანალიზი და ახალი ცოდნის ან განზოგადებების სინთეზი, რომელთა საფუძველზე არამარტო სადამკვირვებლო ბუნებრივი ან საზოგადოებრივი მოვლენების აღწერა ხდება, არამედ ჩნდება პროგნოზირებად მიზანთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის საშუალება. ის თეორია თუ ჰიპოთეზა, რომელიც დამტკიცდება ფაქტებითა და ცდებით, ფორმულირდება, როგორც ბუნების ან საზოგადოების კანონი.⁴

1.2 ისტორიული ცნობები

დამწერლობის განვითარებასთან ერთად, ანტიკურ სახელმწიფოებში გროვდებოდა და გაიარებოდა ბუნების, ადამიანისა და საზოგადოების შესახებ ემპირიული ცოდნა, წარმოიშვებოდა მათემატიკის, ლოგიკის, გეომეტრიის, ასტრონომიის, მედიცინის საფუძველები.

თანამედროვე მეცნიერთა წინამორბედებად გვევლინებიან ძველი ბერძენი და რომაელი ფილოსოფოსები, რომელთათვისაც ჭეშმარიტების ძიება და მსჯელობა ძირითად საქმიანობად იქცა. ცოდნის პირველადი კლასიფიკაცია ანტიკურ საბერძნეთში განხორციელდა, თუმცა, მეცნიერებამ, თანამედროვე გაგებით, ჩამოყალიბება XVI-XVII საუკუნეებიდან დაიწყო. ისტორიული

³ Tracey Tokuhama-Espinosa (2010). *Mind, Brain, and Education Science: A Comprehensive Guide to the New Brain-Based Teaching*. W. W. Norton & Company. p. 39.

⁴ Уайтхед А. Н. - Избранные работы по философии. М.: Прогресс, 1990. 716 с.

განვითარების კვალდაკვალ, მისი გავლენა გასცდა ტექნიკისა და ტექნოლოგიის მიღწევათა საზღვრებს. მეცნიერება გადაიქცა უმნიშვნელოვანეს სოციალურ, ჰუმანიტარულ ინსტიტუტად, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საზოგადოებისა და კულტურის ყველა სფეროზე. სამეცნიერო საქმიანობის მოცულობამ, XVII საუკუნიდან მოყოლებული, თითქმის ყოველ 5-10 წელიწადში იწყო გაორმაგება, რაც აღმოჩენების, სამეცნიერო ინფორმაციის, მეცნიერ-მუშაკების რაოდენობის ზრდაში გამოიხატა.⁵

ლიტერატურაში აღწერილია მეცნიერების დაყოფა პერიოდებად:

1. წინარეკლასიკური (ადრეული ანტიკური, აბსოლუტური ქემპარიტების ძიება, დაკვირვება და მსჯელობა, ანალოგიის მეთოდი);
2. კლასიკური (XVI-XVII სს., საფუძველი ჩაეყარა ექსპერიმენტების დაგეგმვას, შემოღებულ იქნა დეტერმინაციის პრინციპი, გაიზარდა მეცნიერების მნიშვნელობა);
3. არაკლასიკური. მხოლოდ XIX-XX საუკუნეებში გახდა მეცნიერება პროფესიული, ხოლო სიტყვა „მეცნიერმა“ შეიძინა არამარტო განათლებული ადამიანის, არამედ განათლებული ადამიანების ნაწილის პროფესიის განმსაზღვრელი მნიშვნელობაც.⁶

აღნიშნულ ეპოქაში მოხდა მეცნიერების ძირითადი ინსტიტუტების ფორმირება, ხოლო საზოგადოებაში მეცნიერების დანიშნულების გაფართოებამ განაპირობა მისი ჩართვა ნაციონალურ სახელმწიფოთა ფუნქციონირების მრავალ ასპექტში. იდეოლოგიის, ბიჰევიორიზმის, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების შედეგად სოციალურ მეცნიერებებში გაჩნდა რამდენიმე ახალი მიმართულება: საარჩევნო სისტემის თეორია, თამაშთა თეორია, გეოპოლიტიკა/პოლიტიკური გეოგრაფია, პოლიტიკური ეკონომიკა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, სახელმწიფოებრივი მართვის თეორია, შედარებითი ანალიზი, კონფლიქტების თეორია და შედარებითი კრიმინოლოგია.

თანამედროვე მეცნიერების დისციპლინები, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან მთლიანად მეცნიერების სისტემას, პირობითად შეიძლება დაიყოს სამ დიდ ჯგუფად (ქვესისტემად) - საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივ და ტექნიკურ მეცნიერებებად, რომლებიც ერთმანეთისაგან საგნებითა და მეთოდებით განსხვავდება. არსებითი განსხვავებები ამ ქვესისტემებს შორის არ არსებობს, ვინაიდან რიგი სამეცნიერო დისციპლინებისა იკავებს

⁵ <http://www.msmsu.ru/page/science/scientific-effort>.

⁶ Игнатова В. Концепции современного естествознания: Учебное пособие, 2009

შუალედურ პოზიციებს (კიბერნეტიკა, ეკოლოგია). თითოეული აღნიშნული ქვესისტემა, თავის მხრივ, წარმოქმნის მეცნიერების განცალკავებულ (ვერძო) სისტემას, რომელიც სამეცნიერო დისციპლინების დეტალური კლასიფიკაციის პრობლემას ფრიად რთულსა და ჯერჯერობით ბოლომდე გადაუჭრელს ხდის.⁷

XX საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბდა მეცნიერების სპეციალური დარგი - მეცნიერებათმცოდნეობა, რომელიც ერთიანობაში შეისწავლის მეცნიერების ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერებებს, სამეცნიერო საქმიანობის სტრუქტურასა და დინამიკას, მეცნიერების კავშირს სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან, საზოგადოების მატერიალური თუ სულიერი ცხოვრების სფეროებთან. მეცნიერებათმცოდნეობის განვითარებამ სტიმული მისცა მისი ცალკეული მიმართულების ფორმირებას (მეცნიერების სოციოლოგია, მეცნიერების ეკონომიკა, მეცნიერების ფსიქოლოგია და სხვ.). აუცილებელია აღინიშნოს, რომ მეცნიერებათმცოდნეობა არ არის ცალკეული დისციპლინების კომპლექსი და არც მათი სინთეზია; ის არის დარგი, რომელიც შეისწავლის ფაქტების ურთიერთკავშირს, განსაზღვრავს მეცნიერების, როგორც ისტორიულად ცვალებადი სოციალური სინამდვილის განვითარებას. მეცნიერებათმცოდნეობაში გამოყოფენ კვლევის ანალიტიკურ და ნორმატიულ მიმართულებებს. ანალიტიკური შესწავლის მიზანს წარმოადგენს მეცნიერების, როგორც სოციალური ინსტიტუტისა და საქმიანობის განსაკუთრებული ფორმის განვითარებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებათა დადგენა. ანალიტიკური შესწავლის შედეგებს ეფუძნება მეცნიერებათმცოდნეობის ნორმატიული კვლევები, რომელთა მიზანია დაგეგმვის სრულყოფის, სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბება, მისი ეფექტურობის ამაღლება, შეფასების ობიექტური კრიტერიუმების შემუშავება.

ლიტერატურაში აღწერილია მეცნიერებათმცოდნეობის რვა დისციპლინა:

1. მეცნიერების მეთოდოლოგია,
2. მეცნიერების განვითარების ლოგიკა,
3. მეცნიერების სოციოლოგია,
4. მეცნიერებათმეტრია,
5. მეცნიერების ეკონომიკა,
6. მეცნიერების ორგანიზაცია,
7. მეცნიერების ფსიქოლოგია,

⁷ <http://www.msmsu.ru/page/science/scientific-effort>.

8. სამეცნიერო პოლიტიკა.⁸

მეცნიერების სოციოლოგიური პრობლემების შესწავლის შედეგად, მკვლევარებმა გამოყვეს მეცნიერებათმცოდნეობის კვლევის ექვსი ძირითადი მიმართულება:

1. მეცნიერების ლოგიკურ-გნოსეოლოგიური კვლევა,
2. ისტორიულ-სამეცნიერო კვლევები,
3. მეცნიერების სოციოლოგიური კვლევები,
4. მეცნიერების განვითარების ეკონომიკურ პრობლემათა კვლევა,
5. მეცნიერებათმეტრიის კვლევები,
6. სამეცნიერო შემოქმედების ფსიქოლოგიის კვლევა.⁹

1.3. მეცნიერული შემეცნების თავისებურებანი

ცოდნის ყველა ნაირსახეობისგან განსხვავებით, მეცნიერული შემეცნება არის ახალი, ობიექტური, ჭეშმარიტი ცოდნის მიღების პროცესი, რომელიც სინამდვილის კანონზომიერებათა ასახვაზეა ორიენტირებული.

მეცნიერება შემოქმედებითი საქმიანობაა, რომლის შედეგია განსაზღვრული პრინციპების საფუძველზე ერთიან სისტემაში თავმოყრილი ცოდნის ერთობლიობა. შეცნობის სხვა ფორმების მსგავსად, მეცნიერება არის სოციალურ-ისტორიული მოღვაწეობა და არამხოლოდ „წმინდა ცოდნა“. როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების თავისებური ფორმა, ის განსაზღვრულ ფუნქციებს ასრულებს.

სამეცნიერო ცოდნას გააჩნია თავისებურებები. ის განსხვავდება არასამეცნიერო ცოდნისგან, რაც შემდეგში გამოიხატება:

1. სამეცნიერო ცოდნის ძირითადი ამოცანაა სინამდვილის ობიექტური კანონების აღმოჩენა და მათი მართებული სისტემატიზაცია;
2. სამეცნიერო შეცნობის მიზანი მდგომარეობს ობიექტური ჭეშმარიტების ძიებასა და გამოკვეთაში;
3. სამეცნიერო ცოდნის ობიექტებს წარმოადგენენ არა საკუთრივ საგნები, არამედ მათი იდეალიზებული ანალოგები;
4. კონკრეტული ცოდნის საფუძველზე აღმოცენდება (წარმოიშვება) ახალი ცოდნა;

⁸ Родный Н. И. История науки, науковедение, наука // Вопросы философии. 1972. № 5. С. 51-62.

⁹ Социологические проблемы науки / под ред. В. Ж. Келле, С. Р. Микулинского. М., 1974. 345 с.

5. სამეცნიერო ცოდნას ახასიათებს მტკიცებულებითი ბაზის არსებობა, კვლევითი ობიექტის განპირობებულობა და სარწმუნოება;
6. სამეცნიერო ცოდნა ეფუძნება კვლევის სამეცნიერო მეთოდების გამოყენებას;
7. ცოდნის მიღებისათვის აუცილებელია განსაზღვრულ პროცედურათა კონტროლის სისტემის არსებობა და მათი გამეორების შესაძლებლობა;
8. კვლევითი პროცედურების შესრულებისათვის საჭიროა სტანდარტიზებული სტრუქტურების არსებობა.
9. სამეცნიერო ცოდნა ეყრდნობა კვლევის ექსპერიმენტული გამეორების შესაძლებლობას (ვერიფიკაცია);
10. სამეცნიერო ცოდნის სისტემის ელემენტებს შორის არ არსებობს წინააღმდეგობრიობა. სამეცნიერო შეცნობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი სინამდვილის ცვლილების განჭვრეტა და წინასწარმეტყველებაა.¹⁰

1.4 ინდივიდუალური კვლევითი საქმიანობის თავისებურებები

მეცნიერებაში, ისევე როგორც პროფესიული საქმიანობის ნებისმიერ სხვა სფეროში, ადგილი აქვს შრომის ბუნებრივ დანაწილებას. მეცნიერ-მუშაკი ვალდებულია, მკაფიოდ შემოსაზღვროს საკუთარი საქმიანობის ფარგლები და განსაზღვროს სამეცნიერო ნაშრომის მიზნები.

დაუშვებელია, მეცნიერი „ზოგადად მეცნიერებით“ იყოს დაკავებული. მან ზუსტად უნდა განსაზღვროს ნაშრომის მიმართულება, დასახოს კონკრეტული მიზანი და თანმიმდევრულად განახორციელოს ის. კვლევის დაგეგმვას, მის პროექტირებას მოგვიანებით შეეხებით, თუმცა, მანამდე აღვნიშნავთ, რომ დასაწყისშივეა აუცილებელი კვლევის ფარგლების დადგენა, თანამდები საინტერესო მოვლენებისა და ფაქტების შეკვება, რომელთაც, შეიძლება გააჩნიათ კიდევ შემეცნებითი პოტენციალი, თუმცა, შინაარსით სცდებიან კონკრეტული კვლევის პროგრამის ჩარჩოებს. იმ შემთხვევაში, თუ მიზანი ზედმეტად ფართოდ იქნება წარმოჩენილი, კვლევის შედეგებმა შეიძლება დაკარგონ სტრუქტურული მიზანშეწონილობა და კონკრეტულობა, რაც, თავის მხრივ, ნაშრომის

¹⁰ Кохановский В.П., Золотухина Е.В., Лешкевич Т.Г., Фатхи Т.Б. - Философия для аспирантов: Учебное пособие. Изд. 2-е - Ростов н/Д: "Феникс", 2003. <http://www.booksite.ru/localtxt/koh/ano/vsky/index.htm>

დასკვნებსა და პრაქტიკულ ღირებულებაზე აისახება. გაწეული შრომა შესაძლოა „ზედაპირული“ აღმოჩნდეს და არც მოსალოდნელი შედეგები იქნას მიღწეული. ზოგჯერ მკვლევარი ხელოვნურად ავიწროებს საკვლევ პრობლემას კერძო პროცედურების ანალიზამდე, რომელიც თავისი არსით ვერ პასუხობს მეცნიერების ამოცანებს, დაკავშირებულს კვლევის აქტუალობასთან, სიახლესთან და პრაქტიკულ მნიშვნელობასთან. ამგვარი მეთოდური გადაცდომები დამახასიათებელია ბევრი დამწყები მკვლევარისთვის. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო კვლევის პროცესში და დისერტაციის მომზადებისას მათ საკუთარი ქმედებების კოორდინირება მეცნიერ-ხელმძღვანელთან თუ გამოცდილ მეცნიერთან უნდა მოახდინონ.

1.5. სამეცნიერო ეთიკის ნორმები

სამეცნიერო ეთიკის ნორმების დაცვა წარმოადგენს სამეცნიერო კვლევის მეთოდის ფუძემდებლურ პრინციპს. სამეცნიერო ეთიკის ნორმები არ არის ფორმულირებული კოდექსის, ოფიციალური მოთხოვნის და ინსტრუქციის სახით. თუმცა, ასეთი ნორმები არსებობს. განარჩევენ შიდა (მეცნიერთა საზოგადოების შიგნით) და გარე ეთიკურ ნორმებს. ეს უკანასკნელი გულისხმობს მეცნიერთა სოციალურ პასუხისმგებლობას საკუთარი საქმიანობისა და მისი შედეგების მიმართ. სამეცნიერო საზოგადოების ეთიკური ნორმები 1942 წელს დაწვრილებით იქნა აღწერილი რ. მერტონის მიერ, რაც ოთხი ძირითადი ფასეულობის სახით იქნა წარმოდგენილი.

ესენია:

- უნივერსალურობა: სამეცნიერო მტკიცებათა ჭეშმარიტება უნდა შეფასდეს დამოუკიდებლად რასისა, სქესისა, ასაკისა, ავტორიტეტისა, იმ პირთა წოდებისა, რომლებიც მათ ფორმულირებას ახდენენ. ამდენად, მეცნიერება იმთავითვე ეფუძნება დემოკრატიის პრინციპებს: ცნობილი მეცნიერის შრომის შედეგები უნდა დაექვემდებაროს არანაკლებ მკაცრ შემოწმებასა და კრიტიკას, ვიდრე დამწყები მკვლევარისა.
- საზოგადოება: სამეცნიერო ცოდნა თავისუფლად უნდა ვრცელდებოდეს, ანუ ხდებოდეს საზოგადო საკუთრება.
- მიუკერძოებლობა, უანგარობა: მეცნიერი ჭეშმარიტებას უნდა ემიჯნოდეს უანგაროდ. ჯილდო და აღიარება აუცილებელია, განიხილებოდეს, როგორც სამეცნიერო მიღწევათა შესაძლო შედეგი და არა როგორც თვითმიზანი.

- რაციონალური სკეპტიციზმი: ყოველი მკვლევარი პასუხისმგებელია იმის შეფასებაზე, რაც განხორციელებულია მისი კოლეგების მიერ; ის არ თავისუფლდება საკუთარ ნაშრომში სხვა მკვლევართა მიერ მიღებული მონაცემების გამოყენებისათვის პასუხისმგებლობისაგან, თუკი თავად არ შეუმოწმებია ამ მონაცემთა სიზუსტე. ესე იგი, მეცნიერებაში აუცილებელია ერთის მხრივ პატივისცემა იმისა, რაც წინამორბედთა მიერაა გაკეთებული; მეორე მხრივ - მათი შედეგებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება: „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო ღირებულია“, წერდა არისტოტელე.




რობერტ კინგ მერტონი (ინგლ. *Robert King Merton*; 1910, —2003) - მეოცე საუკუნის ერთერთი ყველაზე ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი და სტრუქტურული ფუნქციონალიზმის კლასიკოსი. აღნიშნული პარადიგმის დახმარებით მან საფუძველი ჩაუყარა შემდეგ თეორიებს: სოციალური სტრუქტურისა და ანომიის, მეცნიერების, ბიუროკრატის. მოცემული პარადიგმა ორიენტირებულია სამუალო დონის თეორიაზე.

მეცნიერების ეთოსი რობერტ მერტონის მიხედვით:

C – Communism (communalism) - კომუნიზმი, კოლექტივიზმი. კვლევის შედეგი წარმოადგენს საზოგადო საკუთრებას და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის. არ შეიძლება მისი დაფარვა სხვა მკვლევარებისგან, სავალდებულოა მიღებული შედეგების დროული პუბლიკაცია.

U – Universalism – უნივერსალურობა. სამეცნიერო შედეგის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს არაპერსონალურ კრიტერიუმებს, მკვლევარის ეთნიკური თუ რასობრივი კუთვნილების, მისი სქესის, სამეცნიერო რეპუტაციის, სამეცნიერო სკოლის მიმდევრობისგან დამოუკიდებლად.

D – Disinterestedness - მიუკერძოებლობა, უანგარობა. მკვლევარი უნდა ეძიებდეს ჭეშმარიტებას წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე. კვლევის შედეგებზე გავლენას არ უნდა ახდენდნენ მეცნიერების მიღმა არსებული რელიგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, პირადი ხასიათის ინტერესები.




OS – Organized Skepticism - ორგანიზებული სკეპტიციზმი. მკვლევარები კრიტიკული უნდა იყვნენ არამართო სხვათა, არამედ საკუთარი ნაშრომის მიმართაც. შეცდომების შესაძლო წყაროები, ეჭვები და კვლევის ხარვეზები საჯაროდ უნდა იქნას გამოტანილი.¹¹

არსებობს სამეცნიერო ეთიკის რამდენიმე ნაირსახეობა:¹²

1. ცოდნის ფორმის მიხედვით: ფილოსოფიური (თეორიული), დესკრიპტული (აღწერილობითი), პრესკრიპტული (ნორმატიული);
2. მოცულობის მიხედვით: უნივერსალური და პროფესიული;
3. მსოფლმხედველობის ტიპის მიხედვით: საერო და რელიგიური;
4. ურთიერთობის სახეობის მიხედვით: სოციალური (ინსტიტუციონალური) და ინდივიდუალური.

გრაფიკი #1



ლიტერატურაში სამეცნიერო ეთიკა განიხილება, როგორც წარმოდგენების სისტემა, რომელიც ასახავს მეცნიერების ეთიკური შემადგენლობის შემცველობასა და მნიშვნელობას. მეცნიერების ეთიკა, როგორც განსაკუთრებული დისციპლინა, მიზნად ისახავს სამეცნიერო შემეცნების

¹¹ Мертон Р. Социальная теория и социальная структура. Часть IV Исследования по социологии науки — М.: АСТ Москва Хранитель, 2006. — 873 с. ISBN 5-97134-0703-7 /

¹² Этика науки и профессиональная ответственность ученого <http://conflictmanagement.ru/etika-nauki-i-professionalnaya-otvetstvennost-uchenogo>

სფეროში არსებულ ეთიკურ ნორმათა განმარტებასა და შესწავლას, ამასთანავე, აანალიზებს მორალური ხასიათის კონკრეტულ კოლიზიებს, რომლებიც მეცნიერების განვითარების პარალელურად წარმოიშვება.

მეცნიერული შემეცნება ხდება რთულ სოციო-კულტურულ კონტექსტში, რის გამოც სამეცნიერო ეთიკის ფარგლებში დიდი ოდენობით ნიუანსებისა და ფაქტორების (კოგნიტური, ტექნოლოგიური, კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური, რელიგიური) გათვალისწინება ხდება საჭირო.¹³

სამეცნიერო ეთიკა არის გონივრულ გადაწყვეტილებათა ერთობლივი მიემა, რომელშიც მონაწილეობენ მეცნიერები და საზოგადოება. სამეცნიერო ეთიკის შესწავლის ძირითადი საკითხია მეცნიერული შემეცნებისა და ღირებულებითი აზროვნების თანაფარდობის პრობლემა.

სამეცნიერო ეთიკის პარალელურად არსებობს „სამეცნიერო კონკურენცია“, რომელიც მდგომარეობს სწავლულთა სწრაფვაში, მიიღონ სამეცნიერო შედეგი სხვებზე ადრე. გარდა ამისა, ადგილი აქვს ხოლმე ცალკეული მეცნიერისა და სამეცნიერო კოლექტივის ინტერესების შეჯახებას გრანტების, სახელმწიფოებრივი შეკვეთების მიღების დროს. ასეთ შემთხვევებში, ბრძოლა ლიდერობისა თუ დაფინანსებისთვის სცდება ეთიკის ფარგლებს და იძენს „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის“ ხასიათს, რომელიც შესაძლოა გამოვლინდეს კვლევათა შედეგების გაყალბების, „შავი პიარის“, გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მოსყიდვის სახით. ამდენად, მეცნიერება საჭიროებს სახელმწიფოებრივ და უწყებრივ რეგულირებას, კონტროლსა და მაღალი მოთხოვნებს კვლევის სტანდარტის მიმართ.

შეკითხვები თვითშეფასებისთვის:

1. რომელი ბერძნული სიტყვიდან წარმოდგება ტერმინი „მეცნიერება“? რას ნიშნავს ის?
2. რა არის სამეცნიერო კვლევა?
3. რომელი დარგებად და ქვედარგებად იყოფა სამეცნიერო კვლევები?
4. ჩამოთვალეთ სამეცნიერო კვლევის ეტაპები.
5. განმარტეთ სამართალსა და სხვა სოციალურ მეცნიერებებში სამეცნიერო კვლევათა გამოყენების ძირითადი ამოცანები და მიმართულებები.

ტესტი

1. ცოდნის ერთობლიობას შესაძლოა გააჩნდეს შემდეგი საფუძვლები: (ამაზე არის პასუხი?)

¹³ Бондарев В. Концепции современного естествознания.

- კონცეპტუალური;
 - სიმბოლური;
 - არქაული;
 - მხატვრულ-აღმზრდელობითი.
2. ვინ აღწერა პირველად სამეცნიერო საზოგადოების ეთიკური ნორმები?:
- რ. მერტონმა;
 - ზ. ფრეიდმა;
 - ფ. ფილინიმ;
 - ჩ. დარვინმა.
3. რომელ წლებში შეიქმნა საგანი მეცნიერებათმცოდნეობა (გამორიცხეთ არასწორი პასუხი):
- XX საუკუნის 50-იან წლებში;
 - XX საუკუნის 60-იან წლებში;
 - XX საუკუნის 80-იან წლებში;
 - XX საუკუნის 90-იან წლებში.
4. რომელ პერიოდებად იყოფა მეცნიერების განვითარება (გამორიცხეთ არასწორი პასუხი):
- წინარეკლასიკური;
 - პოსტკლასიკური;
 - არაკლასიკური;
 - კლასიკური.
5. სამეცნიერო შემეცნების მიზანს წარმოადგენს (გამორიცხეთ არასწორი პასუხი):
- ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა;
 - ფინანსური შემოსავლის მიღება;
 - მოვლენის პრევენციის ორგანიზება;
 - კორუფციის დამლევა.
6. ცოდნის რა სახეობები არსებობს (გამორიცხეთ არასწორი პასუხი):
- სამეცნიერო;
 - არასამეცნიერო;
 - პრაქტიკული;
 - რაციონალური.

7. ვის ეკუთვნის ციტატა: „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო ღირებულია“
- კანტს;
 - არისტოტელეს;
 - ჰეროდოტეს;
 - სოფოკლეს.
8. მეცნიერება ფართო გაგებით მოიცავს (გამორიცხეთ არასწორი პასუხი):
- სამეცნიერო შრომის დაყოფასა და კოოპერაციას;
 - სამეცნიერო-კვლევით მეთოდებს;
 - კონცეპტუალურ და კატეგორიულ აპარატს;
 - გენდერულ თანასწორობას.
9. რომელ სფეროს განეკუთვნება „რაციონალური სკეპტიციზმი“ (გამორიცხეთ არასწორი პასუხი):
- სამეცნიერო საზოგადოების ეთიკურ ნორმებს;
 - სამეცნიერო კვლევის მეთოდებს;
 - ფილოსოფიას;
 - ფსიქოლოგიას.
10. რა გვევლინება ნორმატიული მეცნიერებათმცოდნეობის კვლევის მიზნებად (გამორიცხეთ არასწორი პასუხი):
- დაგეგმვის სრულყოფის თეორიული საფუძვლების შემუშავება;
 - სამეცნიერო საქმიანობის მართვა და ორგანიზება;
 - მისი ეფექტურობის ამაღლება და შეფასების ობიექტური კრიტერიუმების შემუშავება;
 - მეცნიერ-თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

თავი 2. მეცნიერული შემეცნების პრინციპები და მეთოდები

- 2.1. სამეცნიერო კვლევის პრინციპები
- 2.2. სამეცნიერო კვლევის სახეები
- 2.3. სამეცნიერო კვლევის მეთოდების კლასიფიკაცია
 - 2.3.1. კვლევის ზოგად-ლოგიკური მეთოდები
 - 2.3.2. თეორიული შემეცნების მეთოდები
 - 2.3.3. ემპირიული კვლევის მეთოდები
 - 2.3.4. კვლევის ლოგიკურ-ინტუიციური მეთოდები
- 2.4. კერძო სამეცნიერო მეთოდები
 - 2.4.1. კვლევის კერძო მეთოდები სამართლის მეცნიერებაში
 - 2.4.2. დისციპლინათაშორისი კვლევის მეთოდები სამართლის მეცნიერებაში

მე-2 თავის შესწავლის შემდეგ სტუდენტმა უნდა

იცოდეს:

- მეცნიერული შემეცნების მეთოდების ჩამონათვალი;
- მეცნიერული შემეცნების მეთოდების ელემენტები;
- სამეცნიერო კვლევის სახეები;
- სამეცნიერო კვლევის სახეთა დიფერენციაცია;
- კვლევის მეთოდთა კლასიფიკაცია;
- სამეცნიერო ანალიზის სახეები.

შეძლოს:

- სამეცნიერო კვლევის ძირითადი მეთოდების მკაფიოდ გამოიყენოს;
- კვლევის მეთოდების ფორმულირება;
- სამეცნიერო ცოდნის არასამეცნიეროსაგან გამოიყენოს.

შეიძინოს უნარები:

- სამეცნიერო აზრის განვითარების ეტაპების გამოიყენოს;
- ემპირიული და თეორიული სამეცნიერო კვლევების განსაზღვრისა და დახასიათების;
- ფუნდამენტური (აკადემიური) და გამოყენებითი კვლევების გამოიყენოს.

თემის შინაარსი

- ✓ სამეცნიერო კვლევის სახეები
- ✓ კვლევის ზოგადსამეცნიერო მეთოდები და მიდგომები;
- ✓ ფუნდამენტური (აკადემიური) და გამოყენებითი კვლევები;
- ✓ ემპირიული და თეორიული მიმართულების კვლევები;
- ✓ ლოკალური და სისტემური კვლევები;
- ✓ კვლევათა მონოკრიტერიული და მრავალკრიტერიული ასპექტები;
- ✓ მეცნიერული შედეგების მეთოდები;
- ✓ მეცნიერების ფუნდამენტალობის ნიშნები;
- ✓ ანალიზის სახეები სამეცნიერო კვლევებში.

თემის შესწავლის მიზნები:

- ✓ პირველადი წარმოდგენის ფორმირება კვლევების სახეებსა და კვლევის პროცესზე: მათი მიმართულება, განგმობადობა და მიზნები მეცნიერებასა და სამეცნიერო კვლევებში;
- ✓ ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებათა თავისებურებების გაცნობა;
- ✓ კვლევის მეთოდების კლასიფიკაცია;
- ✓ ანალიზის სახეობების კლასიფიკაცია სამეცნიერო კვლევებში.

თემის შესწავლის ამოცანები:

- ✓ სამეცნიერო კვლევის მეთოდების ცოდნა;
- ✓ ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებების ცნებების (დეფინიციების) გაცნობა;
- ✓ სამეცნიერო კვლევის სახეებისა და ფორმების ცოდნა;
- ✓ მეცნიერების განვითარების ეტაპების გაცნობა, სამეცნიერო კვლევათა სფეროში ეთიკის ნორმათა ცოდნა.

თემის შესწავლისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება შემდეგ ცნებებზე:

- ✓ მეცნიერება;
- ✓ მეცნიერებათმცოდნეობა;
- ✓ წინარე კლასიკური;
- ✓ კლასიკური;
- ✓ არაკლასიკური;
- ✓ სამეცნიერო ეთიკის ნორმები;
- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი;
- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებანი;
- ✓ ტექნიკური მეცნიერებანი;
- ✓ მეცნიერების ანალიტიკური მიმართულება;
- ✓ მეცნიერების ნორმატიული მიმართულება.

თემის შესწავლის თანმიმდევრობა:

1. თეორიული მასალის შესწავლა;
2. პრაქტიკული დავალების შესრულება;
3. პასუხი ტესტურ შეკითხვებზე.

დამატებითი ლიტერატურა:

1. Louis Cohen, Lawrence Minion and Keith Morrison Research Methods in Education Sixth edition First published 2007 by Rutledge https://research-srttu.wikispaces.com/file/view/Research+Methods+in+Education_ertu.pdf
2. Anole Bhattacharjee Social Science Research: Principles, Methods, and Practices *University of South Florida*, <http://scholarcommons.usf.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1002&context=oa>
3. П.С. Ревко-Линардато МЕТОДЫ НАУЧНЫХ ИССЛЕДОВАНИЙ. Учебное пособие Т. 2012 http://egf.sfedu.ru/files/Editor_Phil/Revko_Metodi_NI.pdf
4. Writing a Thesis or Dissertation Proposal 1 <http://pwr.la.psu.edu/resources/graduate-writing-center/handouts-1/WritingProposals.pdf/>

2.1. სამეცნიერო კვლევის პრინციპები

თანამედროვე მეცნიერებაში აღიარებულია შემდეგი უმნიშვნელოვანესი პრინციპები:

1. დეტერმინიზმის, ანუ რეალობაში არსებულ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის პრინციპი (დეტერმინაცია ლათ. Determinare - შემოსაზღვრა, საზღვრით გამოყოფა, განსაზღვრა) - მოვლენათა და პროცესთა ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანსაზღვრის შესახებ სწავლება, საყოველთაო მიზეზობრიობის დოქტრინა¹⁴.
2. სისტემურობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ობიექტი განიხილება, როგორც სისტემა ურთიერთკავშირში მყოფ ელემენტთა ერთიანი კომპლექსით, არსთა და ურთიერთობათა ერთობლიობით. აღნიშნული პრინციპი ყველა მოვლენას განიხილავს, როგორც

¹⁴ დეტერმინაცია - სტატია ფილოსოფიის ახალი ენციკლოპედიიდან, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/163640/1/Ganatleba_Kvleva_Praqtika_2016.pdf

ერთიანი ბუნების, სოციალური ან ფსიქოლოგიური სისტემის შინაგანად შეკავშირებულ კომპონენტებს¹⁵.

3. განვითარების პრინციპი, რომელსაც საფუძვლად უდევს საგანთა და მოვლენათა განუწყვეტელი ცვალებადობის, გარდაქმნისა და განვითარების, ერთი ფორმიდან და დონიდან სხვა ფორმასა და დონეზე გადასვლის აღიარება.¹⁶

სწორედ აღნიშნული პრინციპების შესაბამისად ხდება ნებისმიერი მეცნიერების, მათ შორის, იურისპრუდენციისა კატეგორიალური აპარატის ფორმირება, რომელშიც ზემოაღნიშნულის შესაბამისად, გამოიყოფა მიზეზთა, სტრუქტურათა, დინამიკის, სამართლის ტიპოლოგიისა და სხვა ბლოკები.

ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების წარმატებულ გამოყენებასთანაა დაკავშირებული სამართალმცოდნეობის, როგორც მეცნიერების განვითარების, მისი თეორიის და პრაქტიკული გამოყენებადობის სრულყოფის პერსპექტივები. თუკი სამართლის თანამედროვე თეორიები შეცნობის ხანგრძლივი პროცესის შედეგია, სამართლებრივ კვლევათა მეთოდოლოგია აღნიშნული ცოდნის მიღებისა და შექმნის, შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების ხერხების ერთობლიობას წარმოადგენს.

სამეცნიერო პრინციპებს გააჩნიათ საყოველთაო, ზოგადსამეცნიერო ხასიათი. ისინი გამოიყენება სამეცნიერო საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, ვინაიდან ფილოსოფიურ დონეზე ცხადყოფენ ბუნებისა და სოციალური რეალობის უნივერსალურ თვისებებს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამჟამად არსებულ თითოეულ მეცნიერებას კავშირი აქვს არა სრულიად რეალობასთან, არამედ მის რომელიმე ნაწილთან ან მხარესთან. აქედან გამომდინარე, თითოეული მეცნიერება ზოგადსამეცნიერო პრინციპების საფუძველზე ახდენს საკუთარი მეთოდოლოგიის შემუშავებას, რომლის ხასიათსაც განაპირობებს მისი შემადგენლობის სპეციფიკა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდები განსხვავდება ჰუმანიტარული მეცნიერებების მეთოდებისგან. თითოეულ მეცნიერებას კი კვლევის ხერხებისა და ინსტრუმენტების საკუთარი ნაკრები გააჩნია.

თანამედროვე პირობებში, როდესაც სამეცნიერო საქმიანობა ნებისმიერ სფეროში ცოდნის მრავალი დარგის ურთიერთქმედების შედეგს

¹⁵ Блауберг И. В., Садовский В. Н., Юдин Э. Г. - Системный подход // Новая философская энциклопедия / Ин-т философии РАН;

¹⁶ Андреева. А.А. - Принципы научного исследования: Учебно-методический комплекс. Рабочая учебная программа для студентов Тюмень, 2009, 15 стр.

წარმოადგენს, განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს საკითხი უნივერსალური მიდგომის შესახებ, რომელიც გულისხმობს თითოეული კონკრეტული მეცნიერების მიერ სტანდარტიზებული ზოგადსამეცნიერო პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებას. ამგვარია, მაგალითად, თეორიულ-ინფორმაციული, მათემატიკური მეთოდები, რომელთა გამოყენება სოციალურ მეცნიერებებსა და იურისპრუდენციაში მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს კონკრეტული საგნის კვლევის გამდიდრებას ლოგიკურ-მათემატიკური, კომპიუტერული ტექნიკისა და სხვა ხერხების გამოყენების საფუძველზე.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მეთოდთა არსებული მრავალგვარობა გარდაუვლად წარმოშობს ამა თუ იმ მეცნიერების მიერ საკუთარი სამეცნიერო ამოცანების გადაჭრისათვის ყველაზე ადეკვატური და პერსპექტიული მიდგომების შერჩევის პრობლემას. ამ არჩევანზე ბევრად არის დამოკიდებული ნებისმიერი სოციალური თუ საზოგადოებრივი მეცნიერების თეორიულ დასკვნათა პრაქტიკული მნიშვნელოვნება და ეფექტურობა.

2.2. სამეცნიერო კვლევის სახეები

თანამედროვე მეცნიერებას კვლევის მდიდარი და ფართო არსენალი გააჩნია, თუმცა, კვლევის წარმატება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა კრიტერიუმებით ხდება მეთოდების შერჩევა კონკრეტული კვლევის ჩასატარებლად და რა კომბინაციით გამოიყენებენ მათ.

დასახული მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, კვლევა შეიძლება იყოს:

- ლოკალური, რომელიც განსახილველ ობიექტს შეისწავლის სხვა ობიექტებთან ურთიერთკავშირისა და ურთიერთქმედების გათვალისწინების გარეშე;
- სისტემური, რომელიც ობიექტის ელემენტებსა და ქვესისტემებს შეისწავლის ერთობლიობაში, სხვა ქვესისტემებსა და მათ ელემენტებთან, ასევე, გარე სამყაროსთან ურთიერთქმედებასა და ურთიერთკავშირში.
- კვლევათა სახეების კლასიფიკაცია მათი სტრუქტურის, კავშირებისა და ინდივიდუალური თავისებურებების შესახებ მართებული წარმოდგენის ფორმირების საშუალებას იძლევა. კვლევის პროცესი, მისი მიმართულება, ხანგრძლივობა და მიზნები შესაძლოა ფრიად მრავალფეროვანი იყოს. სამეცნიერო კვლევა წარმოადგენს მოვლენათა შემეცნების, ობიექტთა ურთიერთკავშირისა და

ურთიერთქმედების შესწავლის მიზანმიმართულ პროცესს. მიზნების, ორგანიზებისა და გამოყენების სფეროს მიხედვით, არსებობს სამეცნიერო კვლევის რამდენიმე სახე. (ცხრ.1)

ცხრილი 2 კვლევათა სახეები¹⁷

კვლევის საკლასიფიკაციო ნიშანი	კვლევის სახე
შედეგზე ორიენტირება	ფუნდამენტური, გამოყენებითი
დაგეგმვის ვადების მიხედვით	მიმდინარე (ოპერატიული), პერსპექტიული
მიმდინარეობის ხანგრძლივობა	ექსპრესს, მოკლევადიანი (არაგანგრომობადი), გრძელვადიანი (განგრომობადი)
გამოყენებული ინფორმაცია	შიდაინფორმაციული, გარეინფორმაციული
მკვლევართა რაოდენობა	ინდივიდუალური, კოლექტიური
ორგანიზებულია	სპონტანური, ორგანიზებული
შესწავლის სისრულე და კვლევის ობიექტთა რაოდენობა	თემატური, საერთო; კერძო, საერთო; ლოკალური, გლობალური
კვლევის ჩატარების რეგულარობა	რეგულარული (პერიოდული), ეპიზოდური, ერთჯერადი
სირთულე	მარტივი, რთული
მიდგომა კვლევის ობიექტისადმი	ლოკალური, სისტემური
ჩატარების ადგილი	ლაბორატორული, სამრეწველო
კვლევის მოდელის არსებობა	არსებული, მოდალური
ობიექტის ხასიათი	გეოპოლიტიკური, პოლიტიკური, სოციოლოგიური, კრიმინოლოგიური, ეკონომიკური, ტექნიკური და სხვ.
ობიექტის ფუნქციონირების პერიოდთან მიმართება	რეტროსპექტული (წინარე), რეალურ დროში ფუნქციონირებადი, პროგნოზული (სამომავლო)
ჩატარების მეთოდოლოგია	საკონტროლო, დიაგნოსტური, შედარებითი, საკლასიფიკაციო და სხვ.
კვლევის ხასიათი	საძიებო, სამეცნიერო-კვლევითი, სამრეწველო-სასაცდელი
კვლევის მეთოდთან მიმართება	თეორიული და ემპირიული
მოსალოდნელი შედეგის ფორმა	რაოდენობრივი, ხარისხობრივი
გამოყენებული ინფორმაციის სახე	საექსპერტო-შეფასებითი, ლოგიკური, მათემატიკური, სტატისტიკური და სხვ.
სავალდებულობა	საინიციატივო, დირექტული

განვიხილოთ კვლევის ზოგიერთი სახე. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, განარჩევენ ფუნდამენტურ (fundamental science) და გამოყენებით (applied

¹⁷ Юрченко А.В. Исследование систем управления: Учебно-методическое пособие Ярославль: Типография ООО «С - Принт 72» 2009

science) მეცნიერებებს მიმართულებისა და პრაქტიკასთან დამოკიდებულების მიხედვით.

ფუნდამენტურს მიეკუთვნება ექსპერიმენტული და თეორიული კვლევები, რომლის საფუძველზე მიიღება ცოდნა კონკრეტული მიზნის გარეშე მის შემდგომ გამოყენებასთან დაკავშირებით. ფუნდამენტური მეცნიერების ამოცანაა კანონების შემეცნება, რომლებიც მართავენ აზროვნების, ბუნებისა და საზოგადოების საბაზისო სტრუქტურათა ურთიერთქმედებას. ფუნდამენტურ კვლევათა შედეგი, როგორც წესი, ფორმულირდება ჰიპოთეზების, თეორიების, ინოვაციური მეთოდებისა და სხვათა სახით. ფუნდამენტურ მეცნიერებათა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა ახალ კანონთა და კანონზომიერებათა მოძიებრაა. აღნიშნული კანონები და სტრუქტურები შეისწავლება „წმინდა სახით“, მათი შესაძლო გამოყენების გათვალისწინების გარეშე. ფუნდამენტურ კვლევათა შედეგები თეორიული მეცნიერების ჩარჩოებშია მოქცეული, თუმცა, დასაშვებია ჩამოყალიბდეს რეკომენდაციების სახით გამოყენებით კვლევათა დაგეგმვის მიზნით, რათა გამოვლინდეს მიღებული მონაცემების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები.

ფუნდამენტურ მეცნიერებათა სტატუსი განსაზღვრულია იუნესკოს მიერ და ენიჭება კვლევებს, რომლებიც ხელს უწყობენ ბუნების კანონების აღმოჩენას, რეალურ მოვლენათა და ობიექტთა შორის ურთიერთქმედების გააზრებას.

ფუნდამენტურ კვლევათა ძირითადი ფუნქცია შემეცნებაა. მეცნიერების ფუნდამენტულობის ძირითად ნიშნებს მიეკუთვნება:

- ა) კონცეპტუალური უნივერსალობა;
- ბ) სივრცითი და დროითი ერთიანობა¹⁸.

სინამდვილის შეცნობის ფუნდამენტური მეთოდის გამოყენებით, კვლევის ობიექტს ყოფენ განსაზღვრულ კლასებად არსებითი ნიშნების საფუძველზე, რომლებიც განაპირობებენ როგორც მათ ჰომოგენობას (ერთგვაროვნებას), ისე ჰეტეროგენობასაც (მრავალგვარობასაც). მსგავსი დაყოფა იძლევა კვლევის ობიექტის სიღრმისეულად შესწავლის, მისი შემადგენლობის, თვისებების, შიდა და გარე კავშირების დადგენის, მის არსში წვდომის საშუალებას.

¹⁸ Родионов И. Б. - Теория систем и системный анализ- <http://victor-safronov.ru/systems-analysis/lectures/rodiонов/01.html>

ფუნდამენტური მეცნიერების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ბუნებათმცოდნეობა, რომელიც სწავლობს ბუნებას იმ სახით, როგორც ის სინამდვილეშია, მიუხედავად იმისა, თუ რა გამოყენებას ჰპოვებს მიღწეული აღმოჩენა. მეცნიერების ამ დარგს გააჩნია მხოლოდ შემეცნებითი ფუნქცია და რაიმე სხვას ის მიზნად არ ისახავს. ეს არის მეცნიერება მეცნიერებისთვის - გარე სამყაროს შეცნობა, ფუნდამენტური ცოდნისა და კანონების აღმოჩენა.

მიუხედავად იმისა, რომ ფუნდამენტურ კვლევათა ძირითადი სამიზნე თეორიული კონცეფციების სფეროა, მათ შესაძლოა პრაქტიკული გამოყენებაც ჰქონდეთ, ვინაიდან, ფუნდამენტურ პრობლემათა გადაჭრის პროცესში, კანონზომიერად ჩნდება პრაქტიკულ ამოცანათა ამოხსნის ახალი შესაძლებლობები და მეთოდები.

გამოყენებითი კვლევები ტარდება კონკრეტული პრაქტიკული მიზნის მისაღწევად ტექნიკისა და ტექნოლოგიის სფეროში ადრე ჩატარებული ფუნდამენტური კვლევების ბაზაზე, ანუ პრაქტიკული პრობლემებისა და ამოცანების გადასაჭრელად. გამოყენებითი კვლევის მიზანია - ფუნდამენტურ მეცნიერებათა გამოყენება არამხოლოდ შემეცნებითი, არამედ სოციალურ-პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად. გამოყენებითი კვლევა, როგორც წესი, მოიცავს მიღებული შედეგების გამოყენების პროცესს. შეიძლება ითქვას, რომ კვლევის ეს სახე წარმოადგენს ურთიერთკავშირში მყოფი პროცედურების სისტემას, რომლის მეშვეობითაც შესასწავლი მოვლენის შესახებ მიღებული სარწმუნო მონაცემები შემდგომში პრაქტიკულ საქმიანობაში ჰპოვებს გამოყენებას.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სოციალურ და ეკონომიკურ სისტემათა კვლევების აბსოლუტური უმრავლესობა განეკუთვნება გამოყენებით კატეგორიას, თუმცა, ერთდროულად შესაძლოა გააჩნდეს როგორც *ემპირიული*, ასევე თეორიული მიმართულება. პირველ შემთხვევაში კვლევის შედეგები მიიღწევა სხვადასხვა სახის დაკვირვებისა და ექსპერიმენტის მეშვეობით, მეორე შემთხვევაში კი სისტემების შეცნობა და მათი ელემენტების მახასიათებლების განსაზღვრა ეფუძნება აბსტრაქტულ ობიექტთა მოდელირებას.

დაგეგმვის ვადების მიხედვით განასხვავებენ პერსპექტიულ და მიმდინარე კვლევებს. პერსპექტიული კვლევა ეფუძნება პროგნოზირებასა და დაგეგმვას. მისი მეშვეობით ხდება ახალი კვლევის საჭიროების, მისი სტრატეგიის და ა.შ. განსაზღვრა. პერსპექტიული კვლევა შესაძლოა დაექვემდებაროს გრძელვადიან (3-5 წელი), საშუალოვადიან (1-3 წელი) დაგეგმვას.

გრძელვადიან გეგმას გააჩნია პროგრამულ-მიზნობრივი ხასიათი. მასში ფორმულირდება სამეცნიერო საქმიანობის ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი სტრატეგია, კანონმდებლობის, პოლიტიკისა და ეკონომიკის მოსალოდნელ ცვლილებათა გათვალისწინებით. მაჩვენებელთა რიცხვი გეგმაში შეზღუდულია. საშუალოვადიან კვლევათა ობიექტებია ორგანიზაციული სტრუქტურა, კაპიტალური დაბანდებები, ფინანსურ სახსრებზე მოთხოვნილება და ა. შ. პერსპექტიული გრძელვადიანი გეგმის მიზნები და ამოცანები ზუსტდება საშუალო ვადებში და რეალიზდება მიმდინარე (1 წლამდე) გეგმით. პერსპექტიული კვლევები, როგორც წესი, იგეგმება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების მიერ.

რეალიზების ვადის მიხედვით სამეცნიერო კვლევა შეიძლება იყოს მოკლევადიანი, (ექსპრეს-ანალიზი, ოპერატიული ანალიზი), საშუალო- და გრძელვადიანი.

ექსპრეს-ანალიზის ვადები მეტად შეზღუდულია (1-5 დღე). ის წარმოებს მიზანმიმართულად ერთი პრობლემის ირგვლივ და, როგორც წესი, მომეტებული გაურკვევლობის პირობებში. ამის გამო ექსპრეს-ანალიზში მოწინააღმდეგე უფრო მეტად კვალიფიციური სპეციალისტები.

ოპერატიული ანალიზი - ასევე მოკლევადიანი მიზნობრივი კვლევაა. 10-20 დღის განმავლობაში მზადდება ლოკალური მართვის ამოცანის გადაწყვეტის საკითხი, ან განიხილება კონკრეტული სიტუაცია. არცთუ იშვიათად ოპერატიული ანალიზის ჩატარებისთვის მუშავდება მიზნობრივი მეთოდიკა (მაგალითად, მზადდება სპეციალური კითხვარი).

საშუალოვადიანი კვლევები, ჩვეულებრივ, ტარდება 2-4 თვის განმავლობაში მეცნიერთა მცირე ჯგუფის მიერ, სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტთა შესაძლო ჩაბმის პირობებში.

გრძელვადიანი კვლევები დასაშვებია გრძელდებოდეს 5 თვიდან რამდენიმე წლამდე. მკვლევარმა თავად უნდა განსაზღვროს პრობლემა კონკრეტულ სფეროში, დაადგინოს და გააანალიზოს წყაროები და კანონზომიერებები.

2.3 სამეცნიერო კვლევის მეთოდების კლასიფიკაცია

კვლევის წარმოებისას გამოიყენებენ არსობრივ და ხელოვნურ კლასიფიკაციებს: არსობრივი კლასიფიკაცია ეფუძნება განსაკუთრებული მნიშვნელობის საკლასიფიკაციო ნიშნებს. ხელოვნური კლასიფიკაციის შემთხვევაში კი დაყოფა ხდება უმნიშვნელო, დამხმარე ნიშნების

საფუძველზე (მაგალითად, კლასიფიკაცია ანბანის, ფერის, ფორმის მიხედვით და ა. შ.)

კლასიფიკაციისთვის კვლევებში მირითადად მიმართავენ ზოგადის ან მთლიანის დაყოფას .

- ზოგადის დაყოფა გულისხმობს კვლევის ობიექტის ქვეკლასებად დაყოფას გამოყოფილი ნიშნის მიხედვით. მაგალითად, უკანონო ქმედებებს მიეკუთვნება: დანაშაული და სამართალდარღვევა.
- მთლიანის დაყოფისას კვლევის მთლიანი ობიექტიდან გამოიყოფა შემადგენელი ნაწილები საკლასიფიკაციო ნიშნის საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, უნდა აირეკლავდეს საკვლევი ობიექტის ერთიანობას. მაგალითად, დანაშაული შეიძლება იყოს ძალადობრივი და ანგარებითო, განზრახი და გაუფრთხილებელი და ა.შ. მოცემულ მაგალითში კლასიფიკაციის კრიტერიუმს წარმოადგენს შემადგენელი ნაწილები, რომელთა ერთობლიობისაგან შედგება დანაშაული.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ დაყოფისათვის გამოიყენება როგორც მარტივი, ასევე რთული საკლასიფიკაციო ნიშნები. არ გამოირიცხება ორი ან რამდენიმე მატრიცის მეშვეობით შეთავსებული საკლასიფიკაციო ნიშნის გამოყენებაც.

ნებისმიერ შემთხვევაში ყოველგვარი კლასიფიკაცია პირობითია, თუმცა ხელს უწყობს ობიექტის უფრო ღრმა და ეფექტურ კვლევას.

კვლევის ნებისმიერ მეთოდს საფუძველად უდევს განსაზღვრული პრინციპები, თეორიები და კანონები, თუმცა, ყოველთვის შესაძლებელია მათი დაყოფა ქვემოთ წარმოდგენილი სხვადასხვა ნიშნის საფუძველზე. კერძოდ, კვლევის მეთოდი შეიძლება იყოს

1. დონის მიხედვით - საყოველთაო (დიალექტიკური მეთოდები), ზოგადი (თეორიული, ემპირიული), და კერძო;
2. სირთულის მიხედვით - მარტივი (კვლევის მკაფიოდ გამოყოფილი ერთმნიშვნელოვანი ხერხის მოცვით) და რთული/კომპლექსური (მარტივი ხერხების კომბინაციით).
3. მოვლენათა მოცულობის მიხედვით - ზოგადი და კერძო.
4. გამოყენების სფეროს მიხედვით - ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ეკონომიკური, სოციოლოგიური და მისთ.

5. კვლევის შედეგების სიზუსტის მიხედვით - სარწმუნო და ალბათობრივი.
6. სტრუქტურის მიხედვით - ალგორითმული და ევრისტიკული.¹⁹
7. შინაარსის მიხედვით - მათემატიკური, სტატისტიკური, ეკონომიკური, ეკონომიკურ-სტატისტიკური, ტექნიკური, ტექნიკურ-ეკონომიკური, პარამეტრული, ექსპერტული, სოციოლოგიური, რეფლექსური, ინტუიციური, ლოგიკური, ინტუიციურ-ლოგიკური, გაზომვითი და სხვ.
8. კვლევის სტადიის მიხედვით - მოსამზადებელი, საპროექტო-კვლევითი, დასკვნითი.
9. გამოყენების მიმართულების მიხედვით - მონაცემთა შეგროვება, ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი, გადაწყვეტილებათა ფორმირება, დასაბუთება და დანერგვა (შესაბამისი ხერხები)
10. თეორიასა და ემპირიზმთან მიმართებით - თეორიული (ფორმალიზება, აქსიომატიზაცია, იდეალიზება, მოდელირება და სხვა.), ემპირიული (დაკვირვება, გაზომვა, შედარება, ექსპერიმენტი და ა.შ.), თეორიულ-ემპირიული (აბსტრაგირება, ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია და სხვ.)
11. ინფორმაციის წყაროსთან მიმართებით - ინტუიციური (დაფუძნებული მკვლევარის ინტუიციასა და მის მიერ ცოდნის გამოყენებაზე), ფორმალიზებული (დაფუძნებული კვლევის ობიექტის ფორმალიზებულ წარმოდგენაზე), კომპლექსური (დაფუძნებული ინტუიციურ და ფორმალიზებულ მეთოდთა გამოყენებაზე).
12. სამეცნიერო ინსტრუმენტარიუმის მოცვის მიხედვით - ზოგად-სამეცნიერო და კერძო-სამეცნიერო.²⁰

კვლევის მეთოდების კლასიფიკაციის სხვა მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ მათი დაჯგუფება კვლევის მიზნების, ანალიზის სახეებისა და სხვათა მიხედვით.

¹⁹ ევრისტიკულ მეთოდებს წარმოადგენს სამეცნიერო კვლევისა და გამოგონებითი ხელოვნების ლოგიკური მაგალითები და მეთოდოლოგიური წესები, რომლებიც შესაძლებელს ხდის მიზნის მიღწევას არასრული საწყისი ინფორმაციის პირობებისა და ამოცანის ამოხსნის პროცესის წარმართველი პროგრამის არარსებობისას.

²⁰ <http://www.methodolog.ru/books/mni.pdf>

სახეობისგან დამოუკიდებლად, კვლევის მეთოდების დამახასიათებელ ძირითად ნიშანთა რიცხვს მიეკუთვნება: ობიექტურობა, კვლავწარმოება, ვერისტიკულობა, სავალდებულობა, კონკრეტულობა და ა.შ.

ამ კუთხით, სამეცნიერო კვლევის ყველა მეთოდი (ერთიანობის ხარისხისა და იმის მიხედვით, თუ რამდენად ფართოდაა მათი გამოყენება შესაძლებელი) შესაძლოა დაიყოს ისეთ ძირითად ჯგუფებად, როგორცაა:

კვლევის ფილოსოფიური მეთოდები - მათ შორის შედარებით ადრეულია დიალექტიკური და მეტაფიზიკური მეთოდები. თავისი არსით, თითოეულ ფილოსოფიურ კონცეფციას გააჩნია მეთოდოლოგიური ფუნქცია და წარმოადგენს აზროვნებითი საქმიანობის თავისებურ ხერხს. აქედან გამომდინარე, ფილოსოფიურს მიეკუთვნება, აგრეთვე, ანალიზური (თანამედროვე ანალიზური ფილოსოფიისთვის დამახასიათებელი), ინტუიციური, ფენომენოლოგიური, და სხვა მეთოდები.

კვლევის ზოგადსამეცნიერო მიდგომები და მეთოდები - მათ ფართო გამოყენება ჰპოვეს მეცნიერებაში და შეადგინეს ერთგვარი „შუალედური მეთოდოლოგია“ ფილოსოფიასა და სპეციალური მეცნიერებების ფუნდამენტურ თეორიულ-მეთოდოლოგიურ დებულებებს შორის, რამაც, თავის მხრივ, კვლევების ფორმალიზების შესაძლებლობა გააჩინა. ზოგადსამეცნიერო პრინციპებსა და მიდგომებს მიეკუთვნება სისტემური და სტრუქტურულ-ფუნქციური, კიბერნეტიკული, ალბათობრივი, მოდელირების, ფორმალიზების და რიგი სხვა მეთოდები.

ზოგადსამეცნიერო მეთოდებისა და ხერხების საზოგადოდ მიღებული კლასიფიკაცია არ არსებობს; მათ დაყოფის საფუძვლები მრავალფეროვანია. შედარებით წარმატებულად გვესახება მიდგომა, რომლის მიხედვითაც ზოგადსამეცნიერო მეთოდებისა და ხერხების სტრუქტურაში გამოიყოფენ სამ დონეს („ზემოდან ქვემოთ“): ზოგადლოგიკურს, თეორიულსა და ემპირიულს.²¹

კერძოსამეცნიერო მეთოდები - ამა თუ იმ მეცნიერებაში გამოყენებული საშუალებების, შემეცნების პრინციპების, კვლევის ხერხებისა და პროცედურების ერთობლიობაა. ეს არის მექანიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და სოციოლოგიურ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეთოდები.

²¹ ემპირიული კვლევის სამეცნიერო მეთოდები - <http://www.bankreferatov.ru/referats/C325729F00717F7B43257B0B00081D46.doc.html>

დისციპლინური მეთოდები - ამა თუ იმ სამეცნიერო დისციპლინაში გამოყენებული ხერხების სისტემაა, რომელიც მიეკუთვნება მეცნიერების რომელიმე დარგს ან წარმოქმნილია მათ მიჯნაზე. ყოველი ფუნდამენტური მეცნიერება წარმოადგენს დისციპლინათა კომპლექსს, რომელთაც გააჩნიათ სპეციფიკური საგანი და კვლევის თავისებური მეთოდები.

დისციპლინათშორისი კვლევის მეთოდები - რიგი სინთეზური, ინტეგრაციული ხერხების ერთობლიობა, რომელიც წარმოიქმნება მეთოდოლოგიის სხვადასხვა დონის ელემენტების შერწყმის შედეგად. აღნიშნულმა მეთოდებმა ფართო გამოყენება ჰპოვა კომპლექსური სამეცნიერო პროგრამების რეალიზების პროცესში. კვლევის მეთოდთა შემადგენლობის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნისათვის მეტი უპირატესობა ენიჭება მათ დაჯგუფებას ობიექტის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროსა და ხერხის მიხედვით ორკრიტერიუმიანი საკლასიფიკაციო ნიშნით. ამ შემთხვევაში შესაძლოა მეთოდთა შემდეგი ჯგუფების გამოყოფა: თეორიული; ლოგიკურ-ინტუიციური; ემპირიული; კომპლექსურ-კომბინირებული²².

თითოეულ ზემოაღნიშნულ ჯგუფში გაერთიანებულია კვლევის განსაზღვრული საბაზისო მეთოდები.

ზოგადსამეცნიერო მეთოდებისა და ხერხების სტრუქტურაში ძირითადად გამოყოფენ სამ დონეს:

- კვლევის ზოგად-ლოგიკური მეთოდებსა და ხერხებს;
- თეორიული შემეცნების მეთოდებს;
- ემპირიული კვლევის მეთოდებს.²³

2.3.1. კვლევის ზოგად-ლოგიკური მეთოდები

ანალიზი (ბერძ. - დაყოფა) - ობიექტის დაყოფა შემადგენელ ნაწილებად მათი დამოუკიდებლად შესწავლის მიზნით. გამოიყენება როგორც რეალური (პრაქტიკა), ასევე აზროვნებითი საქმიანობისას. ანალიზის სახეებია: მექანიკური დანაწევრება; დინამიკური შემადგენლობის განსაზღვრა; მთლიანის ელემენტთა ურთიერთქმედების ფორმების გამოვლენა; მოვლენათა მიზეზების აღმოჩენა; ცოდნის დონისა და სტრუქტურის გამოვლენა და მისთ.

²² http://studme.org/1584072016564/investirovanie/upravlenie_innovatsiyami

²³ Кохановский В. П., и другие. Философия для аспирантов Учебное пособие Изд. 2-е – Ростов., 2011

ანალიზის წარმოებისას მხედველობიდან არ უნდა იქნას გამორჩენილი საგნის თვისება. ცოდნის თითოეულ სფეროში არსებობს ობიექტის დაყოფის თავისებური ზღვარი, რომლის მიღმა ხდება ნიშანთა და კანონზომიერებათა განსხვავებულ სამყაროში გადასვლა (მოლეკულა, ატომი და სხვ.). ანალიზის ნაირსახეობად მიიჩნევა, აგრეთვე საგანთა ჯგუფების (ერთობის) დაყოფა ქვეჯგუფებად, კლასიფიკაცია და პერიოდიზაცია.

კვლევისთვის მიმართავენ ანალიზის სხვადასხვა სახეს (პროგნოზულს, დიაგნოსტიკურს, დეტალურს, გლობალურს და სხვ.), რომელთა ჩატარებისას გამოიყენება კონკრეტული მეთოდების განსაზღვრული ერთობლიობა.

სოციალურ მეცნიერებებში გამოყენებული ანალიზის სახეებია:

მონაცემთა ანალიზი - მკვლევარის მიერ ამა თუ იმ გზით მოპოვებული მონაცემების შესწავლის პროცესში განხორციელებული ქმედებების ერთობლიობა, რაც ემსახურება ამ მონაცემებით აღწერილი მოვლენის ხასიათის შესახებ გარკვეული წარმოდგენის ფორმირებას. როგორც წესი, მკვლევარი ცდილობს განაზოგადოს აღნიშნული მონაცემები მათი მოცულობის შემცირების გზით, ამასთანავე ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს მნიშვნელოვანი ინფორმაციის დანაკარგი, რაც, ჩვეულებრივ მათემატიკური მეთოდების გამოყენებით ხორციელდება.

დეტერმინაციული ანალიზი - დეტერმინაცია (ლათ. Determination - შემოფარგვა, განსაზღვრა) ფართო გაგებით - ამა თუ იმ მოვლენის, ობიექტის ადგილის დადგენა პირობითი პარამეტრების მიხედვით, მისი მაკლასიფიცირებელი ინდივიდუალური ხასიათის განსაზღვრა შესაბამის კატეგორიაში (უმეტესად, სისტემაში მისი პირველადი ადგილის პირობითად განსაზღვრითა და შეფასებით - რაც ხორციელდება ანალიტიკურ შემადგენელ ერთეულებთან ერთობლიობაში განხილვის გზით). საბუნებისმეტყველო მეცნიერება მიმართავს ნივთიერების ან პროცესის დეტერმინაციას; ფილოლოგია - ამა თუ იმ ენობრივი ერთეულისა, ისტორია - პროცესის ან მოვლენის ადგილის, კანონზომიერებისა და ა. შ. ენობრივი დეტერმინაცია ფიქსირდება ტერმინის სახით.

დეტერმინაციული ანალიზი განსაკუთრებით ეფექტურია, როდესაც მაჩვენებელთა შორის ბევრია თვისებრივი და აუცილებელია მათი გაანალიზება რაოდენობრივ მაჩვენებლებთან ერთად ან ცალკე. აღნიშნულ თავისებურებათა გამო დეტერმინაციული ანალიზი აქტიურად გამოიყენება სოციოლოგიაში, მარკეტინგში, ლინგვისტიკაში, მედიცინაში და გენეტიკასა და სხვა სფეროებში.

ტიპოლოგიური ანალიზი - რთული სოციალური ობიექტების შესწავლის მეთოდია, რომელიც მდგომარეობს სოციალურად ღირებული, ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავებული, შინაგანად ერთგვაროვან ობიექტთა ჯგუფების გამოყოფაში. სოციოლოგიურ კვლევებში ტიპოლოგიური მეთოდი ხორციელდება მის შემადგენლობაში შემავალ ცნებათა ჩამოყალიბებით და ემპირიულ დონეზე მათი ფორმალიზებით.²⁴

სინთეზი - წარმოადგენს საგანთა თუ ცნებათა ერთ მთლიანობად, ან ნაკრებად გაერთიანების პროცესს. ტერმინი წარმოსდგება ძველბერძნული სიტყვიდან *σύνθεσις*, რაც შეერთებას, დაკავშირებას ნიშნავს (*συν-* ქმედების, ურთიერთქმედების ერთიანობის აღმნიშვნელი წინსართია, *მῆσις* გულისხმობს განთავსებას, განაწილებას, განლაგებას).²⁵ სინთეზი არის ფუნქციური ნაწილებისგან მთლიანის შექმნის ხერხი. ის ანალიზის ანტიპოდაა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მთლიანის დაშლას ფუნქციურ ნაწილებად. კიბერნეტიკაში სინთეზის პროცესი მჭიდრო კავშირშია წინმსწრები ანალიზის პროცესთან. სინთეზი არის წინასწარ მომზადებული სხვადასხვა ტიპის ბლოკებისა თუ მოდულებისგან რთულ სისტემის აგების მეთოდი, სხვადასხვა ტიპის კომპონენტთა ღრმა სტრუქტურული გაერთიანება.

თანამედროვე მეცნიერებისთვის დამახასიათებელია არამარტო შიდა, არამედ დისციპლინათაშორისი, აგრეთვე, მეცნიერებისა და საზოგადო შემეცნების სხვა ფორმების სინთეზი. სინთეზის შედეგია ახალი წარმონაქმნი, რომელიც ხასიათდება არამარტო კომპონენტთა თვისებების გარეგნული შეერთებით, არამედ მათი შინაგანი ურთიერთკავშირითა და ურთიერთდამოკიდებულებით. ანალიზი და სინთეზი დიალექტიკურ ურთიერთკავშირში იმყოფებიან, თუმცა, საქმიანობის ზოგი სახეობა უპირატესად ანალიზური (მაგ. ანალიზური ქიმია) ან სინთეზურია (მაგ., სინერგეტიკა).

ფსიქოლოგიაში სინთეზი განიმარტება, როგორც საკვლევი ობიექტის ელემენტების, თვისებების ერთ მთლიანობად გაერთიანება. სინთეზი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ აზროვნებით ოპერაციას, მიმართულს კომპლექსური აღქმისკენ. სინთეზი ერთეება ახალი იდეის შექმნაზე ორიენტირებულ შემოქმედებითი აზროვნებისა და წარმოსახვის პროცესში.

²⁴ Дюркгейм Э. - О разделении общественного труда: Метод социологии. М, 1991

²⁵ Структура и задачи аналитического вывода - <http://mybiblioteka.su/tom2/5-47985.html>

ინდივიდი მნიშვნელოვან ნიშანთა, მოვლენათა თუ საგანთა სინთეზის მეშვეობით საკუთარ აზროვნებაში აყალიბებს ამა თუ იმ ცნებას.²⁶

პედაგოგიურ კვლევებში სინთეზი განიხილება ინტეგრაციული პროცესების დონეზე, ზოგი მკვლევარი მას აიგივებს ინტეგრაციასთან, რაც ბადებს სინთეზისა და ინტეგრაციის ცნებების შედარების საჭიროებას. ინტეგრაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ერთიანობის აღდგენას, გაერთიანებას.

ლოგიკურად, ინტეგრაცია განიმარტება, როგორც ამა თუ იმ ელემენტთა გაერთიანება, ამა თუ იმ ერთიანობის აღდგენა. სხვა განმარტების მიხედვით, ინტეგრაცია მთლიანობის შიგნით მიმდინარე მოვლენათა სტრუქტურირება, დალაგება და ოპტიმიზაციაა.

აბსტრაგირება. აბსტრაქცია (ლათ. – ყურადღების გადატანა) განიმარტება, როგორც ა) მთლიანის ნაწილი, მხარე, მომენტი, არსებულის ფრაგმენტი, რაღაც ცალმხრივი, ფრაგმენტული (აბსტრაქტული); ბ) საკვლევი მოვლენის (ობიექტის) რიგი თვისებებისა და მიმართებების აზრობრივად გამორიცხვის, ამასთანავე, კონკრეტულ შემთხვევაში, მკვლევარისათვის საინტერესო თვისებების გამოვლენის პროცესი (აბსტრაგირება); გ) აზრობრივი აბსტრაგირების შედეგი (აბსტრაქცია ვიწრო გაგებით).²⁷ ეს არის სხვადასხვა სახის „აბსტრაქტული საგანი“, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ცალკე არსებული ცნება და კატეგორია („განვითარება“, „აზროვნება“, „სითეთრე“ და ა. შ.), ასევე მათი სისტემები (მათ შორის მეტად განვითარებულია მათემატიკა, ლოგიკა და ფილოსოფია). იმის გარკვევა, განსახილველი თვისებებიდან რომელია არსებითი და რომელი მეორეხარისხოვანი, აბსტრაგირების მეთოდის მთავარი ამოცანაა. რა გამოიყოფა აზრობრივი აბსტრაგირების მეშვეობით ობიექტურ რეალობაში და რაზე არ მახვილდება ყურადღება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ობიექტის ბუნებითა და შემეცნების ამოცანებით განისაზღვრება.

ისტორიული განვითარების კვალდაკვალ, მეცნიერება აბსტრაქტულობის ერთი დონიდან უფრო მაღალი დონისკენ ინაცვლებს. აბსტრაქციები განსხვავდება ერთმანეთისგან დონეების (წყობის) მიხედვით. აბსტრაქციები რეალური საგნებიდან პირველი რიგის აბსტრაქციებად მიიჩნევა. აბსტრაქციები პირველი რიგის აბსტრაქციებიდან – მეორე რიგისად

²⁶ Левичев О.Ф. - Категория синтеза в науке, философии и образовании 2012, <http://grani.agni-age.net/articles12/4914.htm>

²⁷ Горский Д.П. - Вопросы абстракции и образование понятий - <http://www.twirpx.com/file/370024/>

და ა.შ. აბსტრაქციის ყველაზე მაღალი დონით ხასიათდება ფილოსოფიური კატეგორიები.

იდეალიზება - (ბერძ. *ιδέα*, ინგლ. *idealization*, ფრ. *idéalisation*, გერ. *Idealisierung*) გნოსეოლოგიური ცნებაა და გულისხმობს რაიმეს უფრო სრულყოფილი სახით წარმოდგენას, ვიდრე ეს სინამდვილეშია. იდეალიზება ადამიანის აზროვნების ისეთივე ბუნებრივი უნარია, როგორც აბსტრაგირება და განზოგადება, და მათ მსგავსად წარმოადგენს რეალობის აზრობრივ გათავისუფლებას ზოგიერთი ნიშნისგან, კავშირისგან.²⁸

იდეალიზების შედეგად წარმოიქმნება იმგვარი თეორიული მოდელი, რომლითაც შემეცნების ობიექტის მახასიათებლები და მხარეები არამარტო განყენებულია ფაქტობრივი ემპირიული მასალისაგან, არამედ აზრობრივი კონსტრუირების გზით კონცენტრირდება მის დეტალებზე და წარმოადგენს მათ უფრო ჰიპერტროფირებულად, ვიდრე ეს რეალობაშია. იდეალიზების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ „წერტილი“: შეუძლებელია რეალურ სამყაროში ასეთი ობიექტის პოვნა, ობიექტისა, რომელსაც არ ექნება განზომილება. მსგავსი ხასიათი გააჩნია ცნებებს „წრფე“, „წრე“, „აბსოლუტურად შავი სხეული“, „ინერცია“.

განზოგადება (ლათ. *generalisatio*) - საგნების ზოგადი თვისებებისა და ნიშნების დადგენის პროცესია. განზოგადება მჭიდრო კავშირშია აბსტრაგირებასთან. განზოგადების გნოსეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ზოგადისა და კონკრეტულის კატეგორიები. ზოგადი - ფილოსოფიური კატეგორიაა, ასახავს მსგავს, განმეორებად ნიშნებსა და მახასიათებლებს, რომლებიც რამდენიმე ცალკეული მოვლენის ან მოცემული კლასის ყველა ობიექტის კუთვნილებს. მსგავსად „ზოგადის“ ორი სახეობისა, არსებობს განზოგადების ორი კატეგორია, რაც ნებისმიერი ნიშნის (ზოგად-აბსტრაქტულის) და არსებითი ნიშნების (ზოგად-კონკრეტულის) გამოყოფას გულისხმობს. სხვა საფუძველების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ განზოგადება:

- ცალკეული ფაქტებიდან და მოვლენებიდან მათი აზრობრივი გამოხატვით (ინდუქციური განზოგადება);
- ერთი აზრიდან მეორე, უფრო ზოგადი აზრის ჩამოყალიბების მეშვეობით (ლოგიკური განზოგადება). აზრობრივი გადასვლა უფრო ზოგადიდან ნაკლებად ზოგადისაკენ შეზღუდვის პროცესია.

²⁸ <http://iph.ras.ru/elib/1170.html>

განზოგადება არ შეიძლება იყოს უსასრულო. მისი ზღვარია ფილოსოფიური კატეგორიები, რომელთაც არ გააჩნიათ გვარეობითი ცნებები და ამიტომ არ ექვემდებარებიან განზოგადებას.

ინდუქცია (ლათ. inducere - დადგენა) - ლოგიკური დასკვნის ჩამოყალიბება კერძოდან ზოგად დებულებაზე გადასვლის შედეგად. ინდუქციური დასკვნა აკავშირებს კერძო წინაპირობებს საბოლოო შედეგთან არამხოლოდ ლოგიკის კანონებზე დაყრდნობით, არამედ უპირატესად ფაქტობრივი, ფსიქოლოგიური ან მათემატიკური წარმოდგენების მეშვეობით.

ინდუქციური დასკვნის ობიექტურ საფუძველს წარმოადგენს ბუნებაში არსებულ მოვლენათა შორის საყოველთაო კავშირი.

განასხვავებენ სრულ ინდუქციას - მტკიცების მეთოდს, რომლის დროსაც დებულება მტკიცდება ყველა კერძო შემთხვევისთვის და არასრულ ინდუქციას, როცა ცალკეულ კერძო შემთხვევებზე დაკვირვებას მივყავართ ჰიპოთეზამდე, რომელიც, ცხადია, დამტკიცებას საჭიროებს. მტკიცებისათვის, აგრეთვე, გამოიყენება მათემატიკური ინდუქციის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ობიექტთა უსასრულოდ თვლადი სიმრავლის მიმართ სრული ინდუქციის განხორციელება.

დედუქცია (ლათ. Deductio - გამოქვითვა) ლოგიკური დასკვნის გამოტანის პროცესია და გულისხმობს შემეცნების პირობებში ზოგადიდან კერძოზე გადასვლას, ზოგადიდან ერთეულის გამოყოფას.

დედუქცია, როგორც აზრობრივი შემეცნების ერთ-ერთი საშუალება, მჭიდროდაა დაკავშირებული ინდუქციასთან და ორივე აზროვნების ურთიერთდაკავშირებული დიალექტიკური ხერხია.

მოდელირება გულისხმობს ანალოგიის საფუძველზე დასკვნების გაკეთებას, ერთი ობიექტის შესახებ ინფორმაციის განვრცობას მეორეზე. მოდელი (ლათ. - ნიმუში, ნორმა) ლოგიკასა და სამეცნიერო მეთოდოლოგიაში რეალობის გარკვეული ფრაგმენტის, საზოგადოებრივი კულტურის, კონცეპტუალურ-თეორიული საწყისების ანალოგია, რომელიც ორიგინალის „შემცვლელია“ შემეცნებასა და პრაქტიკაში. ის ემსახურება ორიგინალის შესახებ ცოდნის (ინფორმაციის) შენახვასა და გაფართოებას, მის კონსტუირებას, სახეცვლასა თუ მართვას. მოდელსა და ორიგინალს შორის უნდა არსებობდეს ფიზიკური მახასიათებლების, ფუნქციების, სტრუქტურული და სხვა სახის მსგავსება. სწორედ აღნიშნული მსგავსება იძლევა საშუალებას მოდელზე განხორციელებული კვლევისას მიღებული ინფორმაცია განვრცობილ იქნას ორიგინალზე. მოდელირების ფორმები

განსხვავებულია და დამოკიდებულია მისი გამოყენების სფეროსა და თავად იმაზე, თუ რა მოდელი იქნა გამოყენებული.

სისტემური მიდგომა - სისტემა (ბერძ.- მთლიანი, ერთიანი) - ზოგადსამეცნიერო ცნებაა, რომელიც გამოხატავს ერთმანეთთან და გარემოსთან კავშირში მყოფ ელემენტთა ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრულ მთლიანობას წარმოქმნიან. სისტემათა სახეები ფრიად მრავალფეროვანია: მატერიალური და სულიერი, არაორგანული და ცოცხალი, ღია და დახურული და ა.შ. თითოეული სისტემა სტრუქტურისა და ორგანიზაციის მქონე მრავალი სახის ელემენტის ერთობას წარმოადგენს. სისტემური მიდგომა - ზოგადსამეცნიერო მეთოდოლოგიური პრინციპების (მოთხოვნების) ერთობლიობაა, რომელიც ობიექტებს განიხილავს, როგორც სისტემას.

სისტემური მიდგომის ძირითადი პრინციპებია:

- მთლიანობა, რაც საშუალებას იძლევა, განვიხილოთ სისტემა, როგორც ერთი მთლიანი და ამავდროულად, როგორც ზემდგომ დონეთა ქვესისტემა;
- იერარქიული წყობა, ე.ი ელემენტთა სიმრავლის (სულ მცირე ორი ელემენტის) არსებობა, სადაც უფრო დაბალი დონის ელემენტი ექვემდებარება უფრო მაღალი დონისას. აღნიშნული პრინციპის რეალიზება ნათლად იკვეთება ნებისმიერი კონკრეტული ორგანიზაციის ფუნქციონირების მაგალითზე, რომელიც წარმოადგენს ორი ქვესისტემის ურთიერთქმედებას: მმართველისა და მართულის, ანუ, როცა ერთი მეორეს ექვემდებარება;
- სტრუქტურირება, რაც კონკრეტული ორგანიზაციული სტრუქტურის ჩარჩოებში სისტემის ელემენტებისა და მათი ურთიერთკავშირის გაანალიზების საშუალებას იძლევა. როგორც წესი, სისტემის ფუნქციონირება განპირობებულია არამარტო მისი შემადგენელი ელემენტების, არამედ საკუთრივ სტრუქტურის თვისებებით.
- სიმრავლე, რაც მთლიანად სისტემისა და მისი ცალკეული ელემენტის აღწერისთვის უამრავი კიბერნეტიკული, ეკონომიკური და მათემატიკური მოდელის გამოყენების საშუალებას იძლევა.

- სისტემურობა, რაც გულისხმობს ობიექტის თვისებას, ჰქონდეს სისტემის ყველა ნიშანი.²⁹

სისტემური მიდგომის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ კვლევას მიმართავს ობიექტის მთლიანობისა და მისი უზრუნველყოფი მექანიზმების, რთული ობიექტისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი კავშირების გამოვლენისა და ყოველივე ამის ერთიან თეორიულ სურათად ჩამოყალიბებისკენ. ამრიგად, სამეცნიერო კვლევის პროცესში ფუნქციონირებს სხვადასხვა დონის, სფეროსა და მიმართულების მეთოდთა რთული, დინამიური, ერთიანი სისტემა. ყველა მეთოდი თავისთავად არ არის წარმატების გარანტი მატერიალური რეალობის ამათუ იმ მხარის კვლევისას, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, კვლევის დროს მეთოდის სწორად გამოყენებაც.³⁰

2.3.2. თეორიული შემეცნების მეთოდები

აქსიომატური მეთოდი (ბერძ. Axioma მნიშვნელოვანი, მიღებული დაშვება) - სამეცნიერო თეორიის აგების მეთოდი, რომელსაც საფუძვლად ედება პირველადი დაშვებები - აქსიომები (პოსტულატები), რომელთა საფუძველზე თეორიის ყველა დანარჩენი დასკვნა ლოგიკურად მტკიცდება. აქსიომიდან თეორემის (და ზოგადად, ერთი ფორმულიდან მეორის) გამოყვანის მიზნით გამოიყენება სპეციალური წესები. შესაბამისად, მტკიცება აქსიომატურ მეთოდში ფორმულების ერთგვარი თანმიმდევრობაა, რომელთაგან თითოეული ან აქსიომაა, ან მიიღება წინამორბედი ფორმულებიდან გამოყვანის რომელიმე ხერხის გამოყენებით. აქსიომატური მეთოდის გამოყენების ფარგლები შეზღუდულია. ცნობილი ფრანგი ფიზიკოსი ლუი დე ბროილი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ „აქსიომატური მეთოდი შესაძლოა კარგი იყოს კლასიფიკაციის ან სწავლებისთვის, თუმცა, ის არ არის აღმოჩენების მეთოდი“.

აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლა - თეორიული კვლევის მეთოდი, რომელიც გულისხმობს სამეცნიერო აზრის მოძრაობას საწყისი აბსტრაქციიდან შედეგისაკენ შემეცნების თანმიმდევრული და ეტაპობრივი

²⁹ Блауберг И. В., Садовский В. Н., Юдин Э. Г. - Системный подход в современной науке // Проблемы методологии системных исследований. — М.: Мысль, 1970. — С. 7-48

³⁰ Bertalanffy L.on, General systems theory. Foundations, development, applications, 2 ed., N. Y., 1969;

ჩადრმავეებისა და გაფართოების გზით, საკვლევი ობიექტის სრული თეორიული რეპროდუქციის უზრუნველსაყოფად. შემეცნების პირუკუ მოძრაობისას - კონკრეტულიდან აბსტრაქტულისკენ, ანუ ერთეულიდან ზოგადისაკენ, გამოიყენება ისეთი ლოგიკური ხერხები, როგორცაა ანალიზი და ინდუქცია. აბსტრაქტულიდან აზრობრივ-კონკრეტულზე გადასვლა კი ეს არის შემეცნების მოძრაობა ცალკეული ზოგადი აბსტრაქციიდან საერთომდე - კონკრეტულ-საყოველთაომდე და აქ სინთეზისა და დედუქციის ხერხები გამოდის წინა პლანზე. შემეცნების ამგვარი მოძრაობა არ არის ფორმალური, ტექნიკური პროცედურა, ის დიალექტიკური წინააღმდეგობრივი მოძრაობაა, რაც თავად საგნის წინააღმდეგობრივ განვითარებას აირეკლავს, მის გადასვლას ერთი დონიდან მეორეზე, შინაგანი წინააღმდეგობების გაშლის კვალდაკვალ.

ჰიპოთეზურ-დედუქციური მეთოდი - (ბერძ. Hypothesis- საფუძველი, დაშვება და ლათ. Deductio გამოყვანა) - სამეცნიერო შემეცნების მეთოდი, რომლის არსიც მდგომარეობს დედუქციურად დაკავშირებულ ჰიპოთეზათა სისტემის შექმნაში, რომელთაგან საბოლოო ჯამში გამომდინარეობს ემპირიული ფაქტების შესახებ დასკვნები. თავის მხრივ, აღნიშნული მეთოდი ეფუძნება დასკვნათა გამოყვანის პროცესს ისეთი ჰიპოთეზებიდან, რომელთა ჭეშმარიტი მნიშვნელობა უცნობია. ეს კი ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული მეთოდის გამოყენებით მიღებული დასკვნა გარდაუვალად ვარაუდებზე იქნება დამყარებული. ქვემოთ წარმოჩენილია ჰიპოთეზურ-დედუქციური კვლევის ეტაპები:

- ფაქტობრივად არსებული მასალის გაცნობა, რომელიც თეორიულ განმარტებას საჭიროებს, რაც უკვე არსებული თეორიებისა და კანონების გამოყენებით ხორციელდება. თუ კი ეს არ ხერხდება, მაშინ:
- ვარაუდის (ჰიპოთეზის, დაშვების) გამოთქმა მოცემულ მოვლენათა მიზეზებისა და კანონზომიერების შესახებ სხვადასხვა ლოგიკური ხერხის გამოყენებით;
- დაშვებათა საფუძვლიანობისა და სერიოზულობის შეფასება და მათი სიმრავლიდან ყველაზე რეალურის შერჩევა;
- ჰიპოთეზიდან შედეგების გამოყოფა (ჩვეულებრივ, დედუქციის გზით), მისი შემადგენლობის დაზუსტებით;³¹
- ჰიპოთეზიდან გამოტანილი დასკვნების ექსპერიმენტული შემოწმება, რომლის დროსაც ჰიპოთეზა ან იღებს ექსპერიმენტულ დადასტურებას, ან უარყოფილია. ამავედროულად, ცალკეული

³¹ Mario Bunge *Evaluating Philosophies*. Dordrecht-Heidelberg-London-New York, Springer

შედგების დადასტურება არ არის მთლიანობაში მისი ჭეშმარიტების ან მცდარობის გარანტი. შემოწმების საფუძველზე საუკეთესო შედეგების მქონე ჰიპოთეზა იქცევა თეორიად.

ჰიპოთეზურ-დედუქციური მეთოდის სახესხვაობად შესაძლოა მიჩნეულ იქნას მათემატიკური ჰიპოთეზა, რა დროსაც ჰიპოთეზა განტოლების სახეს იღებს.

ჰიპოთეზურ-დედუქციური მეთოდი (მსგავსად აქსიომატიკისა) არა იმდენად აღმოჩენების მეთოდია, რამდენადაც სამეცნიერო ცოდნის აგებისა და ჩამოყალიბების ხერხი, იმდენად რამდენადაც, გვიჩვენებს, თუ რა გზით შეიძლება ახალ ჰიპოთეზამდე მისვლა.³²

ფორმალიზება - (ლათ. forma - სახე) – ანუ ცოდნის ნიშნობრივ-სიმბოლური ფორმით გამოხატვა, აზროვნების შედეგების ჩამოყალიბება ზუსტი ცნებებისა და დასკვნების სახით.

ფორმალიზებისას შესასწავლი ობიექტები, მათი თვისებები და ურთიერთქმედება გაიგივებულია მყარ, კარგად გააზრებულ მატერიალურ კონსტრუქციებთან (ნიშნებთან, სიმბოლოებთან), რომლებიც საშუალებას იძლევიან გამოვლინდეს, დაფიქსირდეს და აისახოს ობიექტთა მნიშვნელოვანი მხარეები ნიშან-სიმბოლოების სახით (ფორმალიზებული ენით). ეს ხდება აზრის ზუსტად გადმოცემის მიზნით, რათა თავიდან იქნას არიდებული მისი არაერთგვაროვანი გაგება. სპეციალური სიმბოლიკის გამოყენება გამორიცხავს ჩვეულებრივ ენაში არსებული სიტყვის მრავალგვარ მნიშვნელობას. ფორმალიზებული მსჯელობისას თითოეული სიმბოლო მკაცრად ერთმნიშვნელოვანია. ფორმალიზება გამოიყენება ელექტრო-გამომთვლელ მოწყობილობათა ალგორითმიზაციისა და პროგრამირებისთვის, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს არამხოლოდ სამეცნიერო-ტექნიკური, არამედ სხვა ფორმის ცოდნის კომპიუტერიზებას. ფორმულიზაციის პროცესში ხელოვნურ ენათა ფორმულებს ოპერაციული პოტენციალი გააჩნიათ, რაც მათგან ახალი ფორმულებისა და კორელაციების მიღების საშუალებას იძლევა. ამ თვალსაზრისით, ფორმალიზება სხვადასხვა შინაარსობრივი ფორმის პროცესის განზოგადობაში და ამ ფორმების საკუთარი შინაარსისგან აბსტრაგირებაში მდგომარეობს. თუმცა, ცოდნის ფორმალიზება ვერასდროს იქნება სრული,

³² Гипотетико-дедуктивный путь познания

http://studme.org/1640011629071/filosofiya/gipotetiko-deduktivnyy_put_poznaniya

ვინაიდან შემეცნების საგნის განვითარება (ცვლილება) და მის შესახებ ცოდნის დაგროვება უწყვეტი პროცესია.³³

2.3.3. ემპირიული კვლევის მეთოდები.

დაკვირვება - ობიექტის მიზანმიმართული პასიური შესწავლაა, რაც, ძირითადად, გრძნობათა ორგანოებით მიღებულ მონაცემებს ემყარება. დაკვირვების პროცესში ვიღებთ ცოდნას არამართო შემეცნების ობიექტის გარეგან მხარეებზე, არამედ მისი არსებითი თვისებების შესახებაც. დაკვირვება შესაძლოა იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი, რაც ხელსაწყოებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ხორციელდება. მეცნიერების განვითარებასთან ერთად, არაპირდაპირი დაკვირვების ხერხები სულ უფრო რთულდება. სამეცნიერო დაკვირვებისადმი არსებული ძირითადი მოთხოვნებია: ჩანაფიქრის ერთმნიშვნელოვნება (ზუსტად რაზე წარმოებს დაკვირვება); გაკონტროლების შესაძლებლობა განმეორებითი დაკვირვების მეშვეობით, ან სხვა მეთოდების გამოყენებით, მაგალითად, ექსპერიმენტით. დაკვირვების მნიშვნელოვანი მომენტია შედეგების ინტერპრეტაცია, მოწყობილობების მაჩვენებლების გაშიფვრა და ა.შ.

დაკვირვება, როგორც სამეცნიერო მეთოდი, ფართოდ გამოიყენება ფსიქოლოგიასა და სოციალურ ფსიქოლოგიაში, რომელიც სპეციალიზდება ადამიანის ქცევის შესწავლაზე, თუმცა, სოციოლოგიასა და კრიმინოლოგიაში აღნიშნულმა მეთოდმა, ასევე ჰპოვა ფართო გამოყენება და სოციოლოგიური ანალიზის რიგი საკითხების წარმატებით გადაჭრის საშუალებას იძლევა.

ექსპერიმენტი - მოიაზრებს შესასწავლი პროცესის მიმდინარეობაში აქტიურ და მიზანმიმართულ ჩარევას, საკვლევი ობიექტის ცვლილებას ან ობიექტის აღწარმოებას სპეციალურად შექმნილ და კონტროლირებად პირობებში, გამომდინარე ექსპერიმენტის მიზნებიდან. ექსპერიმენტის მიმდინარეობისას ხდება შესასწავლი ობიექტის იზოლირება გვერდითი გარემოებებისგან და მისი წარმოჩენა „სუფთა სახით“. ექსპერიმენტის ძირითადი თავისებურებებია:

1. კვლევის ობიექტისადმი უფრო აქტიური დამოკიდებულება (დაკვირვებასთან შედარებით), მათ შორის, მისი შეცვლა და გარდაქმნა;

³³ John W. Dawson, Jr. Logical Dilemmas: The Life and Work of Kurt Gödel. AK Peters, Ltd., 1996. ISBN 978-1-56881-025-6

2. ობიექტის ქცევის კონტროლის და შედეგების შემოწმების კონტროლის შესაძლებლობა;
3. მკვლევარის სურვილის შესაბამისად, საკვლევო ობიექტის მრავალგზის აღწარმოების შესაძლებლობა;
4. მოვლენისა და ობიექტის ისეთი თვისებების აღმოჩენის შესაძლებლობა, რომლებიც ბუნებრივ პირობებში არ ვლინდება.³⁴

ექსპერიმენტის სახეები(ტიპები) მეტად მრავალგვარია. ასე მაგალითად, ფუნქციის მიხედვით, გამოყოფენ კვლევით (სადიებო), საკონტროლო, აღწარმოებით ექსპერიმენტებს. ობიექტთა ხასიათის მიხედვით, ექსპერიმენტი შეიძლება იყოს ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, სოციალური და ა.შ. არსებობს რაოდენობრივი და ხარისხობრივი ექსპერიმენტები. თანამედროვე მეცნიერებაში ფართო გამოყენება ჰპოვა აზრობრივმა ექსპერიმენტმა - რაც იდეალიზებულ ობიექტებზე განხორციელებული აზროვნებითი პროცედურების სისტემას მოიცავს.

შედარება - ობიექტების (ან ერთი და იმავე ობიექტის) განვითარების დონეთა მსგავსებისა თუ განსხვავების გამოსავლინებელი შემეცნებითი ოპერაცია. ის გამოსადეგია მხოლოდ ერთგვაროვანი საგნების ერთობლიობის არსებობისას, რომლებიც კლასს ქმნიან. კლასში საგანთა შედარება ხორციელდება კონკრეტული კვლევისათვის მნიშვნელოვანი ნიშნების მიხედვით. ამასთან ერთი ნიშნით შედარებადი საგნები შესაძლოა სხვა ნიშნით არაშედარებადი აღმოჩნდეს.

შედარება ისეთი ლოგიკური ხერხის საფუძველს წარმოადგენს, როგორცაა ანალოგია და ამოსავალი წერტილია შედარებით-ისტორიული მეთოდისათვის. მისი არსი მდგომარეობს ზოგადისა და განსაკუთრებულის გამოვლენაში ერთი და იგივე ან თანაარსებული მოვლენების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე (ფაზაში).

აღწერა - შემეცნებითი ოპერაციაა და გულისხმობს ცდის (დაკვირვების, ექსპერიმენტის) შედეგების ფიქსირებას მეცნიერებაში მიღებული აღნიშვნის სისტემების მეშვეობით.

გამოკითხვა - ფსიქოლოგიური ვერბალურ-კომუნიკაციური მეთოდია და მოიაზრებს ინტერვიუერსა და რესპონდენტებს (გამოკითხვაში მონაწილე პირებს) შორის ურთიერთობის დამყარებას, წინასწარ ფორმულირებულ კითხვებზე პასუხების მიღების მეშვეობით. სხვა სიტყვებით, გამოკითხვა

³⁴ Основы философии науки - <http://mybiblioteka.su/8-13100.html>

არის ინტერვიუერისა და რესპონდენტის ურთიერთობა, რა დროსაც მთავარ ინსტრუმენტად გვევლინება წინასწარ მომზადებული შეკითხვა. გამოკითხვა შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც სუბიექტის, ანუ რესპონდენტის შესახებ ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი. გამოკითხვისას რესპონდენტს მიმართავენ სპეციალური კითხვებით, რომელზე გაცემული პასუხების მეშვეობით მკვლევარი იღებს კვლევის მიზნებიდან გამომდინარე აუცილებელ მონაცემებს. გამოკითხვის თავისებურებებია მისი მასშტაბურობა, რაც გამოწვეულია გადასაჭრელ ამოცანათა სპეციფიკით. გამოკითხვის შემდეგი სახეები არსებობს:

- ანკეტირება - ფსიქოლოგიური ვერბალურ-კომუნიკაციური მეთოდი, რა დროსაც რესპონდენტისგან მონაცემების მიღების საშუალებად გამოიყენება სპეციალურად გაფორმებული კითხვების ჩამონათვალი (ანკეტა);
- კიბის მეთოდი ან ლედერინგი (Laddering)- მარკეტინგულ კვლევებში გამოყენებადი გამოკითხვის მეთოდი, ერთ-ერთი ნაწილობრივ სტანდარტიზებულ თვისებრივ გამოკითხვათა მეთოდებიდან. ლედერინგის მიზანს წარმოადგენს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა ნაწარმის ან ბრენდის თვისებებს (attributes), გამოყენებისაგან მიღებულ სარგებლობასა (consequences) და მომხმარებლის ღირებულებებს (values) შორის.³⁵
- თავისუფალი გამოკითხვა (თავისუფალი ინტერვიუ) ხასიათდება მინიმალური სტანდარტიზებით. სამეცნიერო-კვლევითი დანიშნულების თვალსაზრისით, ასეთ ინტერვიუს უნდა ვუწოდოთ პირველადი/მოსამზადებელი. მოსამზადებელი ინტერვიუ გამოიყენება რესპონდენტთა სიტყვითი მარაგის, კითხვაზე რეაქციის ტიპის, ამა თუ იმ შეკითხვის დასმისას რესპონდენტის მიერ გაწეული წინააღმდეგობის ხასიათისა და სხვათა შესასწავლად. პირველადი ინტერვიუ ტარდება წინასწარ მომზადებული კითხვარისა თუ საუბრის გეგმის გარეშე; განისაზღვრება მხოლოდ განხილვისათვის შეთავაზებული თემა. საუბრის მიმართულება, მისი ლოგიკური სტრუქტურა, შეკითხვების თანმიმდევრობა, მათი ფორმულირება - ყველაფერი დამოკიდებულია ინტერვიუერის ინდივიდუალურ თვისებებზე; რესპონდენტთა რაოდენობა დიდი არაა, ცხრა, იშვიათად, 10-20 პირზე მეტი).³⁶

³⁵ Reynolds. T. J.: Gutman, J. Laddering Theory, Methods, Analysis and Interpretation // Journal of Advertising Research. — 1988. — Т. 28, № 1.

³⁶ Добренъков В.И., Методы социологического исследования 2004
<http://www.alleng.ru/d/sociol/soc014.htm>

- ზეპირი გამოკითხვა - მეთოდია, რომლის გამოყენებისას პირი დასმულ შეკითხვებს ზეპირად პასუხობს. გამოკითხვის თითოეულ სახეს გააჩნია საკუთარი მიზნები, უპირატესობები და ნაკლოვანებები. ზეპირი გამოკითხვა გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც პარალელურად, სასურველია დაკვირვება გამოსაკითხი პირის მოქმედებასა და რეაქციაზე. წერილობითისგან განსხვავებით, ზეპირი გამოკითხვა საშუალებას იძლევა უფრო დრამად ჩაეწვდეთ ადამიანის ფსიქოლოგიას, თუმცა საჭიროებს სპეციალურ ცოდნასა და დროის დიდ დანახარჯს; ამასთან, მიღებული პასუხები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ ატარებს გამოკითხვას.
- წერილობითი გამოკითხვა - პროცესში პირთა დიდი წრის ჩართვის შესაძლებლობას იძლევა. (მისი შედარებით გავრცელებული ფორმაა - ანკეტირება). წერილობითი გამოკითხვის ნაკლოვანებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ შეუძლებელია რესპონდენტის რეაქციის წინასწარ გათვალისწინება და შესაბამისად, შეკითხვის ხასიათის, შინაარსისა და ტონის შეცვლა რესპონდენტის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესაბამისად.
- სტანდარტული გამოკითხვა - კითხვები და შესაძლო პასუხები წინასწარაა შედგენილი; შედარებით ეკონომიურია.

გამოკითხვის კლასიფიკაცია რესპონდენტთან ურთიერთქმედების ხერხის მიხედვით:

- პირადი გამოკითხვა - ტარდება მკვლევარისა და რესპონდენტის პირდაპირი კონტაქტის პირობებში.
- დისტანციური გამოკითხვა - შესაძლოა ჩატარდეს მკვლევარის არაპირდაპირი მონაწილეობით, ან მისი მონაწილეობის გარეშეც.

თანამედროვე მსოფლიოში შედარებით ფართოდ გამოყენებად დისტანციურ მეთოდებს წარმოადგენს სატელეფონო და ინტერნეტ-გამოკითხვა.

გამოკითხვა, ასევე, შეიძლება იყოს სტანდარტიზებული ან არასტანდარტიზებული. სტანდარტიზებულად მიიჩნევა მკაცრი გამოკითხვა ხისტი ჩარჩოებით, ის, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენება საკვლევ პრობლემაზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად. არასტანდარტიზებული გამოკითხვა ნაკლებად მკაცრია სტანდარტიზებულთან შედარებით. ის საშუალებას აძლევს მკვლევარს შეცვალოს შეკითხვა რესპონდენტის რეაქციიდან გამომდინარე.

გაზომვა - განსაზღვრულ ხერხთა მეშვეობით განხორციელებულ ქმედებათა ერთობლიობაა, რომელთა მეშვეობით ხდება საზომი ერთეულით გამოხატული გასაზომი სიდიდის რიცხობრივი მნიშვნელობის დადგენა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ემპირიული კვლევის მეთოდები არასდროს ხორციელდება „ბრმად“. ყოველი ასეთი მეთოდი „თეორიული დატვირთვის“ მატარებელია და განსაზღვრული კონცეპტუალური იდეებითაა ნაკარნახევი.

2.3.4. კვლევის ლოგიკურ-ინტუიციური მეთოდები

ანალოგია (ბერძ. Analogia შესაბამისობა) - სამეცნიერო კვლევის მეთოდი, დაფუძნებული საგანთა (მოვლენათა, პროცესთა) მსგავსებაზე (ანალოგიაზე) რაიმე მახასიათებლის მიხედვით. ანალოგიის გამოყენებით დასკვნის გამოტანა ხდება, რომელიმე ობიექტის (მოდელის) შესწავლით მიღებული ცოდნის განვრცობით სხვა, ნაკლებად შესწავლილ (კვლევისათვის ნაკლებად მისაწვდომ) ობიექტზე. ანალოგია გამოიყენება მტკიცებისათვის. მაგალითად, მსჯელობის არამართებულობის წარმოსაჩენად, შესაძლოა, ანალოგიური მსჯელობის ისეთი მაგალითის მოყვანა, რომლის სიმცდარეც ცალსახად ნათელია. ანალოგიის მეშვეობით გამოტანილი დასკვნები გამოყენებას ჰპოვებს ცოდნის სხვადასხვა სფეროში (ფიზიკა, მათემატიკა, ლინგვისტიკა, კიბერნეტიკა და ა.შ.). ისეთი საერთო მეთოდების შემუშავება, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება ანალოგიის საფუძველზე დასკვნების ჩამოყალიბების პირობების შესრულება, ლოგიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა. მსგავსების თეორიის საფუძველზე შექმნილი მოდელის კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები მტკიცებითი ხასიათისაა.³⁷

„დელფი“, - სისტემების მოდელირების თვისებრივი მეთოდი და წარმოადგენს განმეორებად პროცედურას „გონებრივი იერიშის“ განხორციელებისას, რომელიც ხელს უწყობს ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენის შემცირებასა და შედეგის ობიექტურობის გაზრდას. „დელფის“ მეთოდით სარგებლობისას ობიექტურობის ამაღლების ძირითად საშუალებებს წარმოადგენს უკუკავშირის გამოყენება, ექსპერტებისთვის გამოკითხვის წინა ტურის შედეგების გაცნობა და აღნიშნული შედეგების გათვალისწინება ექსპერტთა აზრის მნიშვნელოვნების შეფასებისას.³⁸

³⁷ Фролова Т.А. - Экономическая теория: конспект лекций, Таганрог: ТТИ ЮФУ, 2009.

³⁸ Dalkey, Norman; Helmer, Olaf (1963). "An Experimental Application of the Delphi Method to the use of experts". Management Science 9 (3): 458–467

სინერგეტიკა - ასევე, სისტემების მოდელირების თვისებრივი მეთოდია, რომელიც გამოიყენება ალტერნატივების გენერირებისათვის ასოციაციური აზროვნებისა და ანალოგიების მოძიების გზით. გონებრივი იერიშის მეთოდის საპირისპიროდ, აქ მნიშვნელობა არ ენიჭება ალტერნატივების რაოდენობას.³⁹

გონებრივი იერიში (Brainstorming)⁴⁰ სისტემების მოდელირების თვისებრივი მეთოდია. მეთოდი სპეციალურადაა შემუშავებული მაქსიმალური ოდენობის იდეათა მისაღებად მოდელის შექმნის მიზნით.⁴¹ გონებრივი იერიშის განსახორციელებლად იკრიბება ალტერნატიული წინადადებების გენერირებისთვის შერჩეულ პირთა ჯგუფი. შერჩევისას მხედველობაში მიიღება მათი გამოცდილება, კვალიფიკაცია, პროფესიათა მრავალფეროვნება, რამაც შესაძლოა გააფართოვოს აპრიორული ინფორმაციის ფონდი, რომელსაც ჯგუფი ფლობს. წევრებს განუმარტავენ, რომ მისასაღებელია ყველა სახის იდეა, წარმოშობილი როგორც ინდივიდუალურად, ისე ასოციაციურად - სხვა მონაწილეთა მიერ შეთავაზებული წინადადებების მოსმენის შედეგად, მათ შორის, სხვათა იდეების გაუმჯობესებული ვერსიების შეთავაზებით. კატეგორიულად იკრძალება ნებისმიერი სახის კრიტიკა - რაც გონებრივი იერიშის უმნიშვნელოვანესი პირობაა: კრიტიკის შესაძლებლობაც კი აფერხებს წარმოსახვას.⁴²

თითოეული პირი მორიგეობით გამოთქვამს საკუთარ იდეას, სხვები უსმენენ და ბარათებში ინიშნავენ გაგონილის ზემოქმედებით აღმოცენებულ საკუთარ აზრებს. ამის შემდეგ ყველა ბარათი იკრიბება, ხდება მათი დახარისხება და გაანალიზება (ჩვეულებრივ, ექსპერტთა სხვა ჯგუფის მიერ). მსგავსი ჯგუფური საქმიანობის შედეგი, რომლის პროცესშიც ერთის აზრმა შეიძლება მეორეს უბიძგოს საკუთარი განსხვავებული აზრის ჩამოყალიბებისკენ, ხშირად უფრო ღირებულია. დასაშვებია ალტერნატიული მოსაზრებების რიცხვის გაზრდა გენერირებულ იდეათა კომბინირების მეშვეობით. გონებრივი იერიშის გამოყენებით გამოთქმულ იდეათაგან ზოგის განხორციელება შესაძლოა ვერ მოხერხდეს, თუმცა, უსარგებლო იდეები მარტივად გამოირიცხება თანმდევი კრიტიკით,

³⁹ http://www.aup.ru/books/m202/1_5.htm

⁴⁰ ტერმინი პოპულარიზებულია Alex Faickney Osborn მიერ 1953 წელს წიგნში Applied Imagination

⁴¹ Jonah Lehrer The brainstorming myth // The New Yorker, 01.30.2012.

⁴² Авдошнина З А. - Исследования систем управления

http://www.cfin.ru/management/strategy/classic/management_research.shtml

ვინაიდან კომპეტენტური კრიტიკა უფრო მარტივია, ვიდრე კომპეტენტური შემოქმედება.

გონებრივი იერიშის მეთოდი ასევე ცნობილია იდეათა კოლექტიური გენერირების, იდეათა კონფერენციის, იდეათა გაცვლის მეთოდის სახელწოდებით.

დადგენილი წესების და მათი დაცვის სიმკაცრის მიხედვით განარჩევენ პირდაპირ გონებრივ იერიშს, მოსაზრებათა გაცვლის მეთოდს, კომისიურ მეთოდს, სასამართლოებს. ამ უკანასკნელის შემთხვევაში იქმნება ორი ჯგუფი, რომელთაგან ერთი იდეების გენერირებას ახორციელებს, მეორე კი აკრიტიკებს მათ. პრაქტიკაში, გონებრივი იერიშის მაგალითად შესაძლოა დავასახელოთ სხვადასხვა სახის სათათბირო ორგანოების (მაგალითად, დირექტორატის) კრებები, სამეცნიერო საბჭოს სხდომები, პედაგოგიური საბჭოები, სპეციალურად შექმნილი კომისიები და ა. შ.⁴³

სტრუქტურირება (problem structurization) - სისტემის მოდელირების თვისებრივი მეთოდი, რომლის დროსაც სტრუქტურირების საფუძველზე ხდება რთული და გაურკვეველი პრობლემიდან შედარებით მცირე პრობლემების გამოყოფა, რომლებიც უკეთ ექვემდებარება ანალიზს. აღნიშნულ მეთოდს ზოგჯერ სისტემურ-სტრუქტურული მოდელირების მეთოდსაც უწოდებენ.

ექსტრაპოლირება (ლათ.extra - აღმატებითი, polire - გაპრიალება, გაგლუვება) – სამეცნიერო კვლევის მეთოდი, რომელიც გულისხმობს 1)ზოგიერთ ქვესისტემასთან (მოვლენის ნაწილთან) მიმართებით მიღებული შედეგების გავრცელებას მთლიანად სისტემაზე (მის სხვა ნაწილზე); 2) მათემატიკაში - ფუნქციის წინასწარ მოცემული მნიშვნელობებით მისი სხვა მნიშვნელობების განსაზღვრას; 3) ბიოლოგიაში - ცხოველთა უნარს, სწორად გამოიციონ რაიმე მოვლენის მიმდინარეობა მათთვის ამ მოვლენის განვითარების ეტაპების წინასწარ გაცნობის საფუძველზე (რეალობის წინმსწრები გამოცნობის ერთერთი ხერხი).⁴⁴

ექსპერტთა შეფასება - ანუ მაღალკვალიფიციური სპეციალისტ-პროფესიონალების მსჯელობა, მათ მიერ ობიექტის შინაარსობრივი, თვისებრივი ან რაოდენობრივი შეფასება, რომლის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება.

⁴³ Furnham, A., & Yazdanpanahi, T. (1995). Personality differences and group versus individual brainstorming. *Personality and Individual Differences*, 19, 73-80.

⁴⁴ Громова Н.М., Громова Н.И. - Основы экономического прогнозирования - Методы прогнозной экстраполяции, Издательство "Академия Естественных наук", 2009

ექსპერტიზის ძირითადი მიზნებია:

- გადაწყვეტილების დასაბუთებულობის გამყარება ექსპერტთა დასკვნების საფუძველზე;
- ექსპერტიზის ობიექტის მახასიათებლებსა და სხვადასხვა დონის ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტებით დადგენილ მოთხოვნებს შორის შესაბამისობაზე კონტროლი.

ზემოაღნიშნული ორი ძირითადი მიზნის გათვალისწინებით, გამოყოფენ ნორმატიულ ექსპერტიზას და ექსპერტიზას გადაწყვეტილების მისაღებად. პროფესიული საქმიანობის სფეროს მიხედვით, განარჩევენ ნორმატიული ექსპერტიზის შემდეგ სახეებს: სამშენებლო, სამედიცინო, სასამართლო, ეკოლოგიურ, მათ შორის, წიაღისეული ობიექტების გამოყენების, სასაქონლო, საპატენტო, სადაზღვევო, სააუდიტო ქონების, ბიზნესის, ინტელექტუალური საკუთრების, არამატერიალური აქტივების შეფასების ექსპერტიზებს და ა.შ.

ექსპერტიზის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს მატერიალური და არამატერიალური ობიექტების, მოვლენებისა და პროცესების სხვადასხვა თავისებურება, რასაც ადგილი ჰქონდა წარსულში (რეტროსპექტული ანალიზი), აწმყოში ან მომავალში (ექსპერტული პროგნოზირება, სტრატეგიული დაგეგმვა). ექსპერიმენტის ობიექტთა მრავალფეროვნებაზე მეტყველებს მათი ჩამონათვალი: შენობის ან მოწყობილობის მდგომარეობა; საქონლის სამომხმარებლო მახასიათებლები; საკანონმდებლო აქტის პროექტი; რეგიონის განვითარების სტრატეგია; დარგის განვითარების პერსპექტივები; სოციალური ჯგუფის მოსაზრება; საარჩევნო კამპანიის შედეგების პროგნოზი და სხვა მრავალი.

საექსპერტო ინფორმაციის მიღებისთვის გამოყოფენ ოთხი ტიპის ძირითად პროცედურას. ესენია:

1. ერთჯერადი (ერთტურიანი) პროცედურები ექსპერტთა უშუალო ურთიერთქმედებით (მაგალითად, „გონებრივი იერიში“ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში);
2. ერთჯერადი პროცედურები ექსპერტთა ურთიერთქმედების გარეშე (მაგალითად, მასობრივი გამოკითხვა);
3. განმეორებადი პროცედურები ექსპერტთა უშუალო ურთიერთქმედებით (მაგალითად, მრგვალი მაგიდის ირგვლივ დისკუსიები ჩვეულებრივი ექსპერტიზის შემთხვევაში, ან დისკუსიები ფორუმებზე, ბლოგებზე და ა.შ. ქსელური ექსპერტიზის დროს);

4. განმეორებადი პროცედურები ექსპერტთა უშუალო ურთიერთქმედების გარეშე („დელფის“ ტიპის პროცედურები).⁴⁵

საექსპერტო საქმიანობის დროს იკვეთება შემდეგი ტიპური შეცდომები:

- საექსპერტო მეთოდების, მათ შორის, ქსელური ტექნოლოგიების პოტენციალის შესაძლებლობების გაზვიადება;
- არაკომპეტენტურ ექსპერტთა ჩართვა;
- ექსპერტისთვის შევითხვის ბუნდოვნად დასმა;
- უარი ექსპერტიზის მრავალი ვარიანტის გამოყენებაზე;
- რაოდენობრივი შეფასებებისა და ფორმალური მოდელების გადაჭარბებულად გამოყენება;
- გაზომვის თეორიის პრინციპების დარღვევა (არაკორექტული ქმედებები საექსპერტო შეფასებების მიმართ), ექსპერტიზის შედეგების არასწორი დამუშავება;
- ექსპერტთა შორის ინფორმაციული ურთიერთქმედების არასაკმარისობა ან სიჭარბე;
- ექსპერტთა კონფორმიზმის ან კონიუნქტურულობის გაუთვალისწინებლობა;
- ექსპერტიზის შედეგების არაკორექტული ინტერპრეტირება, მათ შორის, შედეგების გაყალბება გადაწყვეტილების მიღებამდე.⁴⁶

ექსპერტიზის ორგანიზებისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ყველა მონაწილე შეიძლება არ იყოს დამოუკიდებელი ექსპერტი და ერთი, რამდენიმე ან ყველა მათგანი ამა თუ იმ ხარისხით დაინტერესებული აღმოჩნდეს მისი შედეგებით, რომლებიც შესაძლოა არ დაემთხვეს შემკვეთის, ორგანიზატორის ან სხვა მონაწილის ინტერესებს. ამან შესაძლოა გამოიწვიოს ექსპერტიზის მონაწილეთა გააქტიურება ექსპერტიზის შედეგების შეცვლის და სასურველ შედეგთან მათი დაახლოვების მიზნით. მონაწილეთა ამგვარი აქტიურობით, მიზანმიმართულობითა და არა ყოველთვის ობიექტური ქმედებებით წარმოებული ექსპერტიზა მანიპულირებადია. ექსპერტიზა, რომლის საორგანიზაციო მექანიზმში ნეიტრალიზებულია შედეგებზე მანიპულირების შესაძლებლობები, როცა ყველა მონაწილეს „აწყობს“ კეთილსინდისიერად და სამართლიანად მოქცევა), იწოდება არამანიპულირებად (strategy-proof) ექსპერტიზად.⁴⁷

⁴⁵ Орлов А.И. - Организационно-экономическое моделирование: теория принятия решений. – М.: Кнорус, 2010.

⁴⁶ Экспертный метод <http://thisisme.ru/content/ekspertnyi-metod>

⁴⁷ Бурков В.Н., Коргин Н.А., Новиков Д.А. Введение в теорию управления организационными системами /– М.: Ленанд, 2009.

მეთოდთა ზემოთ განხილული კლასიფიკაციები რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება: ზოგი მათგანი არ მოიცავს კვლევის მეთოდთა მთელ კომპლექსს; სხვები არ იძლევიან ამა თუ იმ მეთოდის კონკრეტული კლასიფიკაციური ჯგუფისთვის ცალსახად მიკუთვნების საშუალებას და ეს მიკუთვნება მუდამ ფარდობითი და პირობითია.

კვლევის ხერხების მთელი ჩამონათვალიდან მომავალში შევჩერდებით რიგ საბაზისო მეთოდებსა და კლასიფიკაციურ ჯგუფებზე, რომლებიც შედარებით ხშირად გამოიყენება მუშაობის დროს.

2.4. კერძო სამეცნიერო მეთოდები

არსებობს მეთოდთა სისტემა, რომელსაც ხშირად გამოიყენებენ კვლევისათვის სოციალურ მეცნიერებებში.

ზოგადად, სამეცნიერო კვლევის მეთოდებს საფუძვლად საყოველთაო ფილოსოფიური მეთოდი უდევს, რომელიც ყველა კონკრეტულ მეცნიერებაში და შეცნობის ყველა სტადიაზე გამოიყენება. აღნიშნული მეთოდი სახელმწიფოსა და სამართლის ფუნქციონირების ზოგადი კანონზომიერებების კვლევის საშუალებას იძლევა ფილოსოფიური პრინციპების პოზიციიდან.

ფილოსოფიურს იერარქიულად თან სდევს ზოგადი სამეცნიერო (სისტემური, ინფორმაციული, ალბათობის და სხვ.) მეთოდები. ისინი ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლია ფილოსოფიურ და ყოველ კონკრეტულ, მათ შორის, იურიდიული მეცნიერების კერძო კვლევის მეთოდებს შორის.

სამართლებრივ კვლევებში ფილოსოფიური და ზოგადი სამეცნიერო მეთოდების გამოყენებამ მათ სპეციფიკური ელემენტები შესძინა, რითაც სამართლებრივი მეცნიერების კვლევის კერძო მეთოდების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ეს უკანასკნელნი, არსობრივად, კვლევის ფილოსოფიური და ზოგადი სამეცნიერო მეთოდების სპეციფიკურ დანამატს წარმოადგენენ.

სპეციალურ მეთოდებად გვევლინება:

1. იურისპრუდენციაში: შედარებით-სამართლებრივი, ფორმალურ-იურიდიული, სამართლებრივი მოდელირების, სამართლებრივი ნორმების განმარტების და სხვა მეთოდები;

2. ეკონომიკურ მეცნიერებებში: ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების, ეკონომიკური კონიუნქტურის კვლევის სტატისტიკური მეთოდები და ა. შ.
3. ფსიქოლოგიაში: საუბრის, ანკეტური, ბიოგრაფიული, მოქმედების პროცესისა და შედეგების ფსიქოლოგიური ანალიზის მეთოდები და სხვ.

2.4.1. კვლევის კერძო მეთოდები სამართლის მეცნიერებაში

სამართლის მეცნიერებაში გამოყენებული კერძო სამეცნიერო კვლევის მეთოდები ე. წ. დისციპლინარული მეთოდების კატეგორიას მიეკუთვნება.

იურიდიული მეცნიერების დისციპლინარული მეთოდებია:

1. ისტორიულ-სამართლებრივი;
2. შედარებით-სამართლებრივი (შედარებითი სამართალმცოდნეობის);
3. ფორმალურ-დოგმატური;
4. იურიდიულ-განმარტებითი.

1. ისტორიულ-სამართლებრივი მეთოდი.

ისტორიული კვლევის პროცესში მნიშვნელოვანია ისტორიზმის პრინციპის დაცვა. მკვლევარისთვის ეს ნიშნავს, რომ ისტორიული მოვლენის შესწავლისას მან მხედველობაში უნდა მიიღოს, თუ სად, როდის, რა პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეკონომიკური თუ სოციალური მიზეზების გამო აღმოცენდა აღნიშნული მოვლენა, როგორი იყო ის თავიდან, როგორ განვითარდა და როგორად ჩამოყალიბდა საბოლოოდ. ისტორიული კვლევა მოითხოვს ერთდროულად ორი ზოგადი მეთოდის - ისტორიულისა და ლოგიკურის გამოყენებას. ისტორიული მეთოდი ითვალისწინებს მოვლენის თანმიმდევრული განვითარების კვლევას ამ მოვლენისთვის ნიშანდობლივი თვისებებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, რომლებმაც, თავის მხრივ, გავლენა იქონიეს მისი განვითარების ზოგად კანონზომიერებებზე. ლოგიკური მეთოდი საშუალებას გვაძლევს კვლევის პროცესში გაჩენილი რეალური ვარაუდებიდან გავაკეთოთ რეალური დასკვნები. კვლევისათვის გამოიყენებენ სპეციფიკურ ისტორიულ მეთოდებს. ესენია ქრონოლოგიური, პრობლემურ-ქრონოლოგიური, სინქრონისტული, პერიოდიზაციის, რეტროსპექტული და სხვა მეთოდები.

ისტორიულ-სამართლებრივი მეთოდი ძირითადი კვლევის მეთოდია ისტორიულ-იურიდიული მეცნიერებისთვის, როგორცაა სახელმწიფოს და

სამართლის ისტორია. მას გამოიყენებენ სამართლის ზოგად თეორიაშიც, ასევე, სახელმწიფოს თეორიაში ისტორიული წყაროების, წარსული წლების დოკუმენტების (კანონების, ოფიციალური საბუთების, კონკრეტულ საქმეებზე სასამართლოს გადაწყვეტილებების და სხვათა) გაანალიზების პროცესში. მოცემული მეთოდი საშუალებას გვამძლევს მივიღოთ ცოდნა საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა პერიოდის მოვლენებზე, საკანონმდებლო დადგენილებებზე, იურიდიულ პრაქტიკაზე და გავაკეთოთ შესაბამისი თეორიული დასკვნები. ისტორიული მეთოდის მნიშვნელოვანი ხერხია წარსულ მოვლენათა მეცნიერული (აზრობრივი) რეკონსტრუქცია კონკრეტულ დროსა და სივრცეში, რის შედეგადაც ჩამოყალიბებული ინფორმაციული ბაზა საშუალებას გვამძლევს გავაკეთოთ დასკვნები კვლევის კონკრეტული ობიექტის წარმოშობისა და განვითარების ისტორიული კანონზომიერებების შესახებ.

2. შედარებით-სამართლებრივი (შედარებითი სამართალმცოდნეობის) მეთოდი. დღეისათვის, ინტეგრაციული პროცესების გაძლიერების პარალელურად, იზრდება შედარებითი სამართალმცოდნეობის მეთოდის როლი, რომლის ობიექტადაც სხვადასხვა ქვეყნის მსგავსი სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტები გვევლინება.

აღნიშნული მეთოდის ფუძემდებელი გახლავთ არისტოტელე, რომელმაც 150-მდე ქალაქის საკონსტიტუციო კანონი შეადარა ერთმანეთს.

შედარებით-სამართლებრივი მეთოდის მნიშვნელობა მკვეთრად იზრდება, როდესაც ჩნდება ხოლმე პოლიტიკური და სამართლებრივი რეფორმების გატარების აუცილებლობა. ამავდროულად, არ შეიძლება უცხოური გამოცდილების ბრმად გაზიარება და მისი მექანიკური დანერგვა ამათივე ნაციონალურ სახელმწიფო-სამართლებრივ სისტემაში.

შედარებით-სამართლებრივი, იგივე იურიდიულ-კომპარატივისტული (ინგლ. comparative jurisprudence) კვლევის ობიექტია ორი ან მეტი პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის ანალოგიური ან მსგავსი ინსტიტუტები. შედარების მეთოდი შეიძლება იყოს სინქრონული ან დიაქრონული (შედარებით-ისტორიული).

შედარებით-სამართლებრივი კვლევა რამდენიმე ეტაპად წარმოებს. ესენია:

- შესადარებელი ინსტიტუტების ცალ-ცალკე შესწავლა;
- გამოვლენილი ნიშნების შედარება მსგავსებისა და განსხვავების ასპექტში;
- შედეგების შეფასება.

თავისი ბუნებით, შედარებითი სამართალმცოდნეობის მეთოდი კომპლექსურია (ისევე, როგორც სამართლებრივი სამეცნიერო კვლევის სხვა კერძო მეთოდები). მას გააჩნია ფილოსოფიური ბაზა, ეყრდნობა ანალოგიის მეთოდს და კვლევისათვის იყენებს ფორმალურ-ლოგიკურ, სპეციალურ-იურიდიულ და სხვა ხერხებს. აღნიშნული მეთოდისთვის განმსაზღვრელია ანთროპოლოგიური მიდგომა (ბერძ. anthropos — ადამიანი), რომლის თანახმადაც, ადამიანი, როგორც ბიო-სოციალური ინდივიდი, ყველაფრის საზომია (მათ შორის, შესადარებელი სამართლებრივი სისტემებისა).

შედარებითა სამართალმცოდნეობამ განვითარების სამი ეტაპი გაიარა:

- აღმოცენდა, როგორც იურიდიული მეცნიერება, რომლის ფარგლებშიც მოხდა მსოფლიოს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის საერთო, განსაკუთრებული და ერთეული ნიშნების შესწავლა, განხორციელდა იურიდიული ცოდნის სისტემატიზაცია შედარებით-სამართლებრივ ასპექტში.
- ჩამოყალიბდა, როგორც იურიდიული მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი, რომელსაც გააჩნია საკუთარი საგანი, მეთოდი, ცნებითი აპარატი და ა.შ.
- იურიდიული კომპარატივისტიკა ჩამოყალიბდა, როგორც ცოდნის ერთი მთლიანი სისტემა, გაიზარდა მისი მნიშვნელობა, მოხდა მის ფარგლებში ჩატარებული კვლევების აღიარება.

შედარებითი სამართალმცოდნეობა/იურიდიული კომპარატივისტიკა მეცნიერებაა, რომელიც იკვლევს მსოფლიოს თანამედროვე სამართლებრივი სისტემების აღმოცენების, განვითარების და ფუნქციონირების ზოგად და სპეციფიკურ კანონზომიერებებს მიკრო და მაკრო-დონეებზე. შედარებითი სამართალმცოდნეობა წარმოადგენს სამართლის შეცნობის აუცილებელ ობიექტურ პროცესს შედარებით ასპექტში, რომლის დროსაც ხდება სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის, მათი ტიპების, ჯგუფების შედარება. მის აქტივაციას და სრულყოფას ხელს უწყობს მსოფლიო საზოგადოებაში კანონზომიერად მიმდინარე პროცესები, კერძოდ, ახალგაზრდა სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემების შემუშავება-ფორმირება, სახელმწიფოებსა და ქვეყნების ჯგუფებს შორის კავშირების გაფართოვება და გაღრმავება, ქვეყნების ერთ მთლიანობაში ინტეგრაცია. შედარებითი სამართალმცოდნეობის ამოცანას წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი სისტემისთვის დამახასიათებელი სახელმწიფო-სამართლებრივი მოვლენების კლასიფიკაცია, მათი ისტორიული თანმიმდევრობის, გენეტიკური კავშირების, ელემენტების (ნორმების,

პრინციპების, სამართლის ფორმების) ერთმანეთისგან დასესხების ხარისხის გამოვლენა.

3. ფორმალურ-დოგმატური (ფორმალურ-იურიდიული) მეთოდი
იურიდიული მეცნიერების ტრადიციული, უშუალოდ მისი ბუნებიდან მომდინარე კვლევის მეთოდია. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში დაფუძნდა სკოლები, ჩამოყალიბდა მთელი რიგი მიმართულებები (გლოსატორები, პოსტგლოსატორები), რომლებიც სამართლებრივი ნორმების განმარტებათა სრულყოფას ემსახურებოდნენ და მოქმედი კანონმდებლობის ფორმალურ ანალიზს აწარმოებდნენ.

სახელმწიფო-სამართლებრივი მოვლენების ფორმალურ-იურიდიულ განხილვას თანამედროვე მეცნიერებაში არ ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. თუმცა, დაუშვებელია მისი როლის დაკნინება. როგორც რომის სამართალი გვასწავლის, *forma legalis* - *forma esseentialis* - იურიდიული ფორმა არსებითი ფორმაა.

ფორმალიზმი სამართლის განუყოფელი თვისებაა. ფორმალური მიდგომის შედეგად ჩამოყალიბდა სამართლის არაერთი ძირითადი პოსტულატი. ფორმალიზმი აუცილებელ საფეხურს წარმოადგენს სახელმწიფოსა და სამართლის მეცნიერული შეცნობის პროცესში. ის ხელს უწყობს მიღებული ცოდნის აღწერას, განზოგადებას, კლასიფიკაციას, სისტემატიზებას, მის გასაგებად გადმოცემას.

ფორმალურ-იურიდიული მეთოდის ელემენტები შეიძლება აღმოვაჩინოთ სახელმწიფოსა და სამართლის შესწავლის სხვა ისეთ ფორმალიზებულ ხერხებში, როგორცაა, მაგალითად, სამართლებრივი მოდელირება, ასევე, მათემატიკურ, სტატისტიკურ მეთოდებში და სხვ.

ფორმალურ-იურიდიული მეთოდის გამოყენებით ხდება სამართლის დოგმის, სამართლებრივი რეგულირების იურიდიული შინაარსის კვლევა. აღნიშნულის რეალიზება შესაძლებელია:

- სამართლებრივი მოვლენის ნიშნების დადგენით, ცნებათა შემუშავებითა და მათი განსაზღვრით;
- სამართლებრივი მოვლენების კლასიფიკაციით;
- მათი ბუნების დადგენით სამართლებრივი კონსტრუქციების, იურიდიული მეცნიერების ზოგადი დებულებების შესაბამისად;
- სამართლებრივი მოვლენების ახსნით იურიდიული თეორიებისა და კონცეფციებიდან გამომდინარე.

ფორმალურ-იურიდიული კვლევის მეთოდი გამოიყენება სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში, სისხლის სამართალში, კრიმინოლოგიაში, სხვა დისციპლინებში. ის მოიცავს სამართლებრივი ნორმების (ასევე, მთლიანად სამართლის) აგების კვლევას, სამართლის ფორმების წყაროთა ანალიზს, ნორმატიული მასალის სისტემატიზაციის ხერხებს, იურიდიული ტექნიკის წესებს.

4. იურიდიულ-განმარტებითი მეთოდი გულისხმობს სამართლებრივი აქტების შინაარსის ახსნას, რაც, პრაქტიკაში იურიდიული ნორმების სწორ გამოყენებას უზრუნველყოფს. აღნიშნული მეთოდი მოიცავს სამართლის შეცნობის სპეციალურ-იურიდიულ ხერხებს. ანუ, სამართლებრივი ნორმების განმარტების მეთოდი სამართლებრივი ნორმების მეცნიერული გაანალიზების ხერხების ერთობლიობაა, რომელიც ემსახურება ამ ნორმების შინაარსის ახსნას მათი სწორი პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით.

განარჩევნ განმარტების სხვადასხვა ხერხს (მეთოდს). ესენია:

- **ფილოლოგიური** (გრამატიკული, ენობრივი, ტექსტობრივი) განმარტება - ნორმის შინაარსის ახსნა მისი სიტყვიერი ფორმულირების გრამატიკული ანალიზით, ფილოლოგიის კანონების გამოყენებით. ის ეფუძნება ლექსიკურ, გრამატიკულ მონაცემებს და გულისხმობს იურიდიული ნორმის სიტყვიერი ფორმულირების, წინადადებების, სიტყვების ანალიზს. უპირველეს ყოვლისა, ხდება ყოველი სიტყვისა და გამონათქვამის მნიშვნელობის დადგენა; შემდეგ ხორციელდება არსებითი და ზედსართავი სახელების გრამატიკული ფორმების, ზმნათა უღლებისა და მიმღეობის ფორმების გაანალიზება. შემდეგ დგინდება წინადადების გრამატიკულ სტრუქტურა. კვლევის პროცესში არ შეიძლება ზედმეტად იქნას მიჩნეული ცალკეული სიტყვა, გამოთქმა ან სასვენი ნიშანი. გრამატიკული განმარტების შედეგად დგინდება სამართლის ნორმის არსობრივი შინაარსი, მაგრამ მის საფუძველზე ყოველთვის არ ხერხდება სარწმუნო დასკვნების გამოტანა.
- **სისტემური განმარტება** - ნორმის შინაარსის განსაზღვრა სხვა ნორმებთან მისი სისტემური კავშირის დადგენის გზით, რაც კონკრეტული ნორმის სხვა ნორმებთან შედარებით მიიღწევა. დგინდება მისი მნიშვნელობა და ადგილი მოცემულ ნორმატიულ აქტში, სამართლის დარგსა და მთლიანად სამართლებრივ სისტემაში. აუცილებელია სისტემურად იქნას განმარტებული ყველა,

განსაკუთრებით კი მითითებითი და ბლანკეტური ნორმები, რომლებიც იმგვარადაა აგებული, რომ ერთობლივად განიხილება მითითებულ ნორმებთან.

- ისტორიულ-პოლიტიკური (მათ შორის, შედარებით-ისტორიული) განმარტება - ნორმის შინაარსის განსაზღვრა მისი მიღების დროს არსებული კონკრეტული ისტორიული პირობების გათვალისწინებით, კანონმდებლის მიზნებისა და ამოცანების დადგენა. მნიშვნელოვანია იმ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინება, რომლებმაც განაპირობეს კონკრეტული სამართლებრივი აქტის შექმნა. მხედველობაშია მისაღები მისი განხილვის პროცესიც (პირველი, მეორე საპარლამენტო მოსმენით, მუხლობრივი განხილვით და ა. შ.). ისტორიულ-პოლიტიკური განმარტების მეთოდის გამოყენებისას მნიშვნელოვანია ალტერნატიული კანონ-პროექტების განხილვა, მათი შედარება. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შეტანილი შესწორებები, მათი მიღების ან აცილების საფუძვლები, დებატები პარლამენტში, პროექტის განხილვა მასმედიის საშუალებებში და სხვ. ამავდროულად, ისტორიულ-პოლიტიკური მონაცემები არ შეიძლება იყოს კანონის განმარტების წყარო და საფუძვლად დაედოს იურიდიული გადაწყვეტილებების მიღებას. იურიდიული განმარტების ყველა ხერხი ერთობლივად, კომპლექსურად უნდა იქნას გამოყენებული.

სამართლებრივი ნორმის განმარტების სახეობები სუბიექტის მიხედვით. სამართლებრივი ნორმის განმარტების სახეობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სუბიექტზე (განმარტების მომცემ პირზე ან ორგანოზე). ნორმის განმარტება შეუძლია სამართლის ყველა სუბიექტს. ესენია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, სასამართლო და პროკურატურა, იურიდიული და ფიზიკური პირები, თუმცა, ნორმათა განმარტების კომპეტენტურობა და მათი გაზიარების სამართლებრივი ვალდებულება არაერთგვაროვანია. იმის მიხედვით, თუ ვინაა სუბიექტი, სხვადასხვაა იურიდიული შედეგიც. სუბიექტისა და იურიდიული შედეგის მიხედვით განმარტება შეიძლება იყოს:

ოფიციალური - სამართლებრივი ნორმის შინაარსისა და მიზნის ახსნა სპეციალურ აქტში უფლებამოსილი ორგანოს მიერ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ასეთ განმარტებას გააჩნია იურიდიული ძალა ყველასთვის, ვინც მოცემულ ნორმას იყენებს. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის

ოფიციალური განმარტების უფლებით აღჭურვილია მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლო. მისი განმარტება სავალდებულოა და ლეგალური (დაკანონებული).

კაზუალური (ინდივიდუალური) სასამართლო განმარტება - ხორციელდება სასამართლო ორგანოების მიერ საქმეების განხილვისას და გამოხატავს კპოულობს კონკრეტულ განაჩენსა და გადაწყვეტილებაში.

ადმინისტრაციულ განმარტებას - იძლევიან სამინისტროები, უწყებები, ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციები. ასეთი განმარტება შეიცავს მითითებებს შესაბამისი ორგანოებისთვის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ესა თუ ის საქმე.

ოფიციალურ განმარტებების გაკეთებით დაკავებულია მონაწილეთა სპეციფიკური წრე.

არაოფიციალური განმარტება - გულისხმობს სამართლებრივი ნორმის შინაარსის ახსნას პირთა მიერ, რომელთაც არ აქვთ ამის ოფიციალური უფლებამოსილება და შესაბამისად, მათ მიერ შემოთავაზებულ განმარტებას არც იურიდიული ძალა გააჩნია. მაგალითად, კანონის მუხლის განმარტება პროფესორის მიერ არასავალდებულოა და დაკანონებას არ ექვემდებარება, თუმცა, შეიძლება მისაღები აღმოჩნდეს იურიდიული პრაქტიკისთვის და გავლენაც იქონიოს ოფიციალური განმარტების ფორმულირებაზე.

არაოფიციალურ განმარტება იძენს ხოლმე „საზოგადოებრივი აზრის ძალას“, მითუმეტეს, თუ ინტერპრეტატორი ავტორიტეტული პიროვნებაა; ქმნის იმ ინტელექტუალურ და ზნეობრივ სამართლებრივ გარემოს, რომელიც კანონგამომეცნებებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს უყალიბებს წარმოდგენას იურიდიული საქმის კანონიერებასა და სამართლიანობაზე.

არაოფიციალური განმარტება, თავის მხრივ, შეიძლება იყოს:

1. პროფესიულ-სამართლებრივი, რაც გულისხმობს სამართლის სფეროში პროფესიულ ცოდნაზე დაფუძნებულ განმარტებას. განარჩევენ მის ორ სახეობას:

- დოქტრინალურს - როდესაც განმარტება კეთდება სამეცნიერო-კვლევითი ან უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მეცნიერების მიერ, რომლებიც სამართლებრივი ნორმის ანალიზის შედეგად შეიმუშავებენ სამართლებრივ კონცეფციებს-დოქტრინებს, რაც შემდგომ აისახება სამეცნიერო სტატიებში, მონოგრაფიებში,

პრაქტიკის კომენტარებში, ნორმატიული აქტების ზეპირ და წერილობით განხილვებში;

- კომპეტენტურ-იურიდიულს - როდესაც განმარტებას აკეთებს პრაქტიკოსი იურისტი, სახელმწიფო აპარატის თანამდებობის პირი, პროკურორი, მოსამართლე, ადვოკატი, იურიდიული სამსახურის თანამშრომელი, ასევე, იურიდიული ჟურნალ-გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციები სპეციალურ იურიდიულ მიმოხილვებში.
- 2. კომპეტენტური არასამართლებრივი ნორმების განმარტება ეფუძნება მომიჯნავე მეცნიერებების (ეკონომიკის, პოლიტიკის, ისტორიის, ბიოლოგიის) სფეროში არსებულ ცოდნას და ხორციელდება სპეციალური კომპეტენციის სუბიექტის (ბიოლოგის, ისტორიკოსის, პოლიტიკოსის, ეკონომისტის და სხვ.) მიერ.
- 3. ჩვეულებრივი არაოფიციალური განმარტება ხორციელდება სამართლის ყველა სუბიექტის მიერ ცხოვრებისეული გამოცდილების, ყოველდღიური ცხოვრების ფაქტების საფუძველზე და შეესაბამება სუბიექტის სამართლებრივი ცნობიერების დონეს. მსგავსი განმარტება გამოხატავს მოქალაქეთა სამართლებრივ გრძნობებს, ემოციებს, წარმოდგენებს, მათ დამოკიდებულებას როგორც მთლიანად სამართლისადმი, ისე კონკრეტული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის მიმართ.

2.4.2. დისციპლინათაშორისი კვლევის მეთოდები სამართლის მეცნიერებაში

აღნიშნული მეთოდები ფართოდ გამოიყენება კომპლექსური სამეცნიერო პროგრამების რეალიზაციაში. მათ მიეკუთვნება:

- სამართლებრივი სტატისტიკის;
- სამართლებრივი მოდელირების;
- სამართლებრივი პროგნოზირების;
- სამართლებრივი კიბერნეტიკის;
- სამართლებრივი ფსიქოლოგიის;
- სამართლებრივ-სოციოლოგიური და სხვა მეთოდები.

1. *სამართლებრივი სტატისტიკის მეთოდი* საშუალებას გვაძლევს მივიღოთ შესასწავლი მოვლენისთვის დამახასიათებელი რაოდენობრივი მონაცემები. სამართლის საერთო თეორიასა და სახელმწიფოს თეორიაში აღნიშნულ მეთოდს იყენებენ მასობრივი, განმეორებადი მოვლენების (სამართალდარღვევა, იურიდიული

პრაქტიკა, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა და სხვ.) შესასწავლად. ამ მეთოდს დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

2. *სამართლებრივი მოდელირების მეთოდი ეფუძნება* კანონზომიერებას, რომლის მიხედვით, უკვე არსებული ან სპეციალურად შექმნილი ობიექტის (მოდელის) მახასიათებლების ცოდნა საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ დასკვნები ამ მოდელის ორიგინალის (პროტოტიპის) მიმართ.

მოდელირების პროცესი სამ სტადიას მოიცავს:

- ამოცანის ფორმულირებას და მოდელის შერჩევას (ან შექმნას);
- მოდელის შესწავლას და დასკვნების გაკეთებას;
- შედეგების ინტერპრეტაციას (ანალიზს, განმარტებას) და მიღებული ცოდნის ორიგინალზე გავრცელებას.

მოდელი პროტოტიპის ანალოგი უნდა იყოს. ეს მის მიმართ წაყენებული მთავარი მოთხოვნაა და ანალოგიის საფუძველზე დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ ობიექტზე (მოდელზე) მსჯელობისას მიღებული დასკვნები შესაძლოა სხვა ობიექტზე (პროტოტიპზე) გავრცელდეს.

მოდელი შეიძლება იყოს ფიზიკური (მაკეტი), მათემატიკური და აღწერილობითი. ეს უკანასკნელი პროტოტიპის თვისობრივი მახასიათებლების სიტყვიერ აღწერილობას შეიცავს. იურისპრუდენციაში ძირითადად აღწერილობითი და მათემატიკური მოდელები გამოიყენება. თუმცა, კრიმინალისტიკაში აქტუალურია ფიზიკური მოდელირებაც.

მოდელების უფრო მეტად გავრცელებული სახეობებია:

- გრაფიკული მოდელი - ობიექტის ვიზუალური წარმოდგენა ნახატის, ნახაზის, გრაფიკის ან სქემის მეშვეობით;
- სიტყვიერი მოდელი - ფიზიკური ობიექტის, პროცესისა თუ მოვლენის სიტყვიერი აღწერა;
- მათემატიკური მოდელი - ფიზიკური ობიექტის, მოვლენის ან პროცესის სხვა ობიექტებთან და მოვლენებთან ურთიერთქმედების, მათი განვითარების შინაგანი კანონების და თვისებების მათემატიკური ასახვაა.

მოდელირების პროცესი ოთხ სტადიას მოიცავს:

პირველ ეტაპზე განისაზღვრება განსახილველი ობიექტის მახასიათებლები და მისი განვითარების კანონზომიერებები. ეს ეტაპი მოითხოვს შესასწავლ ობიექტთან დაკავშირებული ფაქტების ღრმა ცოდნას და მისი შედეგი მოდელის აგებაა. მეორე ეტაპზე ხდება შედეგების მიღება მოდელის გამოყენებით, რომელთაც შემდეგ შესასწავლ მოვლენაზე დაკვირვების შედეგებს ადარებენ.

მესამე ეტაპზე არკვევენ, აკმაყოფილებს თუ არა მიღებული მოდელი პრაქტიკის კრიტერიუმს, ანუ შეესატყვისება თუ არა დაკვირვების შედეგები თეორიულ გათვლებს და რა სიზუსტით.

მეოთხე ეტაპზე ხორციელდება მოდელის შემდგომი ანალიზი შესასწავლი მოვლენებისა თუ პროცესების შესახებ მიღებულ მონაცემებთან მიმართებით და ხდება მოდელის შემდგომი სრულყოფა.

სამართლებრივ ინფორმატიკაში მოდელირების მეთოდის გამოყენებისას ხდება მთლიანად სამართლებრივი სისტემის, სამართლებრივი რეგულირების, სამართალშემოქმედების და სხვა მექანიზმების მოდელირება. მოდელირებას ექვემდებარება, ასევე, სამართლებრივი და სხვა სახის ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების და გამოყენების პროცესები.

სამართლებრივ ინფორმატიკაში მიმართავენ როგორც სტრუქტურულ, ისე ფუნქციურ მოდელირებას. მაგალითად, სასამართლოში სამართლებრივ ინფორმაციაზე მუშაობის მექანიზმის მოდელი შეიძლება აიგოს ისე, რომ მოიცავდეს:

- სამართლებრივ ინფორმაციაზე მუშაობის მიზნებს;
- ინფორმაციულ-სამართლებრივი ზემოქმედების სუბიექტებს (სამართლებრივი ინფორმაციის შეგროვებაზე, დამუშავებასა და გამოყენებაზე პასუხისმგებელ თანამშრომლებს);
- ინფორმაციულ-სამართლებრივი ზემოქმედების ობიექტებს (მაგალითად, სასამართლო დოკუმენტებს);
- პირდაპირი და უკუკავშირის არხებს საინფორმაციო-სამართლებრივი ზემოქმედების სუბიექტებსა და ობიექტებს შორის;
- სასამართლოში სამართლებრივ ინფორმაციაზე მუშაობის სქემებს.

3. სამართლებრივი პროგნოზირების მეთოდი საშუალებას გვაძლევს შევადგინოთ მეცნიერულად დასაბუთებული პროგნოზი სახელმწიფო-

სამართლებრივი მოვლენების მდგომარეობის შესახებ მომავალში. მაგალითად, ვიწინასწარმეტყველოთ ცვლილებები სამართლებრივ სისტემაში, სამართლის ცალკეულ დარგში, მოსახლეობის სამართლებრივ ცნობიერებაში, განვსაზღვროთ სამართალდარღვევათა მიახლოებითი რაოდენობა ახლო და შორეულ პერსპექტივაში. სახელმწიფოსა და სამართლის სფეროში მომავალი პროცესებისა და მოვლენების პროგნოზირება აუცილებელი პირობაა საზოგადოების, ასევე, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სოციალური პროცესების კომპეტენტური მართვისათვის.

4. *სამართლებრივი კიბერნეტიკის მეთოდი* საშუალებას გვაძლევს საინფორმაციო სისტემისა და კიბერნეტიკის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მოვიპოვოთ ცნობები სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ. ინტერნეტის გლობალურ განვითარებასთან ერთად, აღნიშნულმა მეთოდმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

5. *სასამართლო ფსიქოლოგიის მეთოდი* ფსიქოლოგიის კანონებსა და ხერხებს ეფუძნება და გამოიყენება მოქალაქეების, თანამდებობის პირების სამართლებრივი ფსიქოლოგიის შესწავლის, ასევე, მართლსაწინააღმდეგო და სამართლებრივი ქცევის ფსიქოლოგიური მექანიზმების, მოტივების ახსნისთვის.

6. *სამართლებრივ-სოციოლოგიური მეთოდი* სახელმწიფო-სამართლებრივი რეგულირების ეფექტურობის შესწავლის საშუალებას იძლევა. აღნიშნული მეთოდით კვლევის საწარმოებლად გამოიყენება ტრადიციული (ზოგადსოციოლოგიური) ხერხები, თუმცა კვლევის ობიექტები და მიზნობრივი დანიშნულება სპეციფიკურია.

სამართლებრივ-სოციოლოგიური მეთოდი სახელმწიფო-სამართლებრივ რეალობას იკვლევს ისეთი სოციოლოგიური ხერხებით, როგორცაა ანკეტირება, მოსახლეობის გამოკითხვა, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების მასალების, სხვა დოკუმენტების შესწავლა, სოციალურ-სამართლებრივი ექსპერიმენტების ჩატარება. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით შეიძლება ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლების შტოების ფუნქციონირების ეფექტურობის, სამართლებრივი რეგულირების, კანონიერებისა და მართლწესრიგის ხარისხის გამოვლენა.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკის ახალი მოთხოვნები კვლევის საწარმოებლად სულ უფრო მეტად მოითხოვს ზუსტი და სანდო

მეთოდების გამოყენებას, რომელთაც მიეკუთვნება მათემატიკური, მათემატიკურ-სტატისტიკური, კომპიუტერული და სხვა მეთოდები. ლოგიკურ-მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდები ეფექტურად იქნა გამოყენებული სამართლებრივ კვლევებში. ელექტრონული ტექნიკის გამოყენებამ დააჩქარა და გაამარტივა რაოდენობრივი მასალის დამუშავების რთული პროცესი. მათემატიკურმა მიდგომამ ხელი შეუწყო სახელმწიფო-სამართლებრივი მოვლენებისა და პროცესების თეორიული (ლოგიკური) და ისტორიული კვლევების მაღალ დონეზე ჩატარებას.

შეკითხვები თვითშეფასებისთვის:

1. რა სამეცნიერო მიზნებისათვის ტარდება ფუნდამენტური კვლევები?
2. რა სამეცნიერო მიზნებისთვის ტარდება გამოყენებითი კვლევები?
3. რა სახის კვლევებს იცნობთ დონის მიხედვით?
4. სამეცნიერო ანალიზის რა სახეები არსებობს?
5. რა დონეები გამოიყოფა ზოგად-სამეცნიერო მეთოდებისა და ხერხების სტრუქტურაში?

ტესტი

1. რა სამეცნიერო მიზნებისთვის ტარდება ფუნდამენტური კვლევები:
 - დისციპლინის შესახებ ცოდნის გაღრმავებისა და სოციალურ პროცედურათა უკეთ გაგებისათვის;
 - სოციალური ქცევის ასახსნელად;
 - ამა თუ იმ თეორიის დასამტკიცებლად ან უარსაყოფად;
 - ემპირიულ მიდგომათა რეალიზებისთვის.
2. ანალიზის რა სახეები არსებობს:
 - მონაცემთა ანალიზი;
 - დეტერმინაციული ანალიზი;
 - ტიპოლოგიური ანალიზი;
 - ვარიაციული ანალიზი.
3. რას გულისხმობს ტერმინი აბსტრაგირება:
 - აზრობრივი გადართვის პროცესს;
 - აზრობრივი კონცენტრირების პროცესს;
 - რეალობის უარყოფას;
 - შემოქმედებით წარმოსახვას.
4. ზოგად-სამეცნიერო მეთოდებისა და ხერხების სტრუქტურაში გამოყოფენ შემდეგ დონეებს:

- კვლევის ზოგადლოგიკურ მეთოდებსა და ხერხებს;
 - თეორიული შემეცნების მეთოდებს;
 - ემპირიული კვლევის მეთოდებს;
 - მონოგრაფიული კვლევის მეთოდებს.
5. *საკვლევ ობიექტებზე ინფორმაციის მიღების ხერხებისა და წყაროების მიხედვით შესაძლოა გამოიყოს მეთოდთა შემდეგი ჯგუფები:*
- თეორიული და ემპირიული;
 - ლოგიკურ-ინტუიციური;
 - კომპლექსურ-კომბინირებული;
 - ამორჩევით- იზოლირებული.
6. *ანალიზის რომელი სახეები გამოიყენება სამეცნიერო კვლევებში?*
- დიაგნოსტიკური და პროგნოზული;
 - დეტალური;
 - გლობალური;
 - ლატენტური.
7. *მიუთითეთ სამეცნიერო კვლევის სახეები დონის მიხედვით:*
- საყოველთაო (დიალექტიკური მეთოდები);
 - ზოგადი (თეორიული, ემპირიული);
 - ერთჯერადი;
 - კერძო.
8. *რომელ ექსპერიმენტებს გამოყოფენ ფუნქციების მიხედვით:*
- კვლევითს (სადიებოს);
 - საკონტროლოს;
 - აღწარმოებითს;
 - შედარებითს.
9. *სამეცნიერო მეთოდის დამახასიათებელი ნიშანია:*
- ობიექტურობა და აღწარმოება;
 - აუცილებლობა და კონკრეტულობა;
 - ევრისტიკულობა;
 - დამოუკიდებლობა.
10. *თეორიული შემეცნების მეთოდებია:*
- ჰიპოთეტურ-დედუქციური მეთოდი;
 - აქსეომატური;
 - ანალიტიკური;
 - ფორმალისტური

ნაწილი 2. სამართლებრივი სტატისტიკა, როგორც ემპირიული კვლევის მეთოდი

თავი 3. სამართლებრივი სტატისტიკის ცნება, საგანი და მეთოდები

- 3.1. სამართლებრივი სტატისტიკის ცნება
- 3.2. სამართლებრივი სტატისტიკის საგანი
- 3.3. სამართლებრივი სტატისტიკის დარგები
- 3.4. სამართლებრივი სტატისტიკის ამოცანები და მეთოდოლოგიური ბაზა
- 3.5. სამართლებრივი სტატისტიკის მნიშვნელობა, მისი ფუნქციები და ადგილი იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში.

მე-3 თემის შესწავლის შემდეგ სტუდენტმა უნდა

იცოდეს:

- განსხვავება „სამართლებრივ სტატისტიკას“, „მორალურ სტატისტიკასა“ და „სასამართლო სტატისტიკას“ შორის;
- სამართლებრივი სტატისტიკის თეორიული საფუძვლები;
- სამართლებრივი სტატისტიკის წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია;
- სამართლებრივი სტატისტიკის მეთოდები;
- სამართლებრივი სტატისტიკის დარგებისა და ნაწილების კვლევის ამოცანები და ობიექტები;
- სამართლებრივი სტატისტიკის კავშირი სხვა სამართლებრივ მეცნიერებებთან.

შეძლოს:

- მკაფიოდ გაიაზროს კავშირი სამართლებრივ სტატისტიკასა და სხვა მეცნიერებებს შორის;
- გამოიყენოს სამეცნიერო სტატისტიკური ლიტერატურა;
- მოახდინოს სამართლებრივი მოვლენების სტატისტიკური კვლევისას გამოყენებული მეთოდების ურთიერთშედარება.

შეიძინოს უნარები:

- სამართლებრივი მოვლენებისა და პროცესების კვლევის მეთოდების განსაზღვრის;

- დანაშაულობისა და სხვა სამართალდარღვევათა შესახებ ინფორმაციის წყაროების გაანალიზების;
- სამართლებრივი მოვლენებისა და პროცესების სტატისტიკური კვლევის.

თემის შინაარსი

ზოგადი წარმოდგენა სტატისტიკაზე

- ✓ სამართლებრივი სტატისტიკის განვითარების ეტაპები;
 - ✓ სამართლებრივი სტატისტიკის განმარტება (სამართლებრივი სტატისტიკა სტატისტიკის დარგია, რომელიც შეისწავლის სამართალდამცავი და იუსტიციის ორგანოების საქმიანობის სტატისტიკურ-რაოდენობრივ მახასიათებლებს);
 - ✓ „სტატისტიკის“ ძირითადი თანამედროვე განმარტებები;
 - ✓ სტატისტიკა, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერება და პრაქტიკული საქმიანობის სფერო;
 - ✓ სტატისტიკის სამეცნიერო დისციპლინების სისტემა: სტატისტიკის ზოგადი თეორია, ეკონომიკური სტატისტიკა და მისი დარგები, სოციალური სტატისტიკა და მისი დარგები, ურთიერთკავშირი სტატისტიკურ მეცნიერებასა და სტატისტიკურ პრაქტიკას შორის.
- ✓ სამართლებრივი სტატისტიკის შესწავლის საგანია ხარისხობრივად ერთგვაროვანი მასობრივი სამართლებრივ-იურიდიული მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მხარე, მათი განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები კონკრეტულ ადგილზე, დროსა და პირობებში.
 - ✓ სამართლებრივი სტატისტიკის განსაზღვრის თავისებურებები: საკუთრივ სამართლებრივი სტატისტიკის სპეციფიკურ ნიშანს წარმოადგენს შესასწავლი მოვლენებისა და პროცესების სამართლებრივ-იურიდიული მნიშვნელობა.
 - ✓ სამართლებრივი სტატისტიკის ძირითადი დარგებია: სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატისტიკა.
 - ✓ სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის ობიექტი: სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის ნაწილები - სისხლის სამართლის სამართალწარმოების სტატისტიკა, სასამართლოს განაჩენის

აღსრულების სტატისტიკა, კრიმინოლოგიური სტატისტიკა, როგორც სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის დამოუკიდებელი ნაწილი, ვიქტიმური სტატისტიკა - დაზარალებულის პიროვნულ თვისებებთან და დანაშაულის განვითარებაში მისი ქცევის როლთან დაკავშირებული მოვლენების სტატისტიკა.

- ✓ სამოქალაქოსამართლებრივი სტატისტიკის ობიექტი: სამოქალაქო სამართლებრივი სტატისტიკის ნაწილები - სამოქალაქო სამართალწარმოების სტატისტიკა, სამოქალაქო გადაწყვეტილებათა აღსრულების სტატისტიკა.
- ✓ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სტატისტიკა.
- ✓ საპროკურორო ზედამხედველობის სტატისტიკა, როგორც სამართლებრივი სტატისტიკის დამოუკიდებელი ნაწილი: ადამიანის უფლებათა დაცვაზე მეთვალყურეობა, საგამოძიებო ორგანოების მხრიდან კანონების დაცვაზე ზედამხედველობა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე ზედამხედველობა.
- ✓ სამართლებრივი სტატისტიკის მეთოდოლოგიური ბაზა. სამართლებრივი სტატისტიკის თეორიული საფუძვლები. სტატისტიკის ზოგადი თეორიის მეთოდები, როგორც სამართლებრივი სტატისტიკის მეთოდოლოგიური ბაზის ბირთვი.
- ✓ სამართლებრივი სტატისტიკის სამეცნიერო-პრაქტიკული ამოცანები.
- ✓ სტატისტიკური კვლევის სტადიები: სტატისტიკური დაკვირვება, შეჯამება და დაჯგუფება, სტატისტიკური ანალიზი. ხარისხიანი ანალიზის ჩატარების აუცილებლობა სტატისტიკური კვლევის ყველა ეტაპზე.
- ✓ სამართლებრივი სტატისტიკის ურთიერთკავშირი სტატისტიკის ზოგად თეორიასთან, სისხლისა და სამოქალაქო სამართალთან, სოციოლოგიასთან, ისტორიასთან, დემოგრაფიასთან, გეოგრაფიასთან, დარგობრივ სტატისტიკებთან.
- ✓ სამართლებრივი სტატისტიკის ფუნქციები: შემეცნებითი (კვლევითი), იდეოლოგიური, მართვის, საინფორმაციო, საკოორდინაციო.

- ✓ სამართლებრივი სტატისტიკის სამეცნიერო-პრაქტიკული მნიშვნელობა. ერთი მხრივ, სამართლებრივი სტატისტიკა ინფორმაციის უმნიშვნელოვანესი წყაროა დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა შესახებ, მეორე მხრივ, ის სამართლებრივი მოვლენებისა და პროცესების კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია, რომელიც დანაშაულობის განვითარების კანონზომიერებებისა და ტენდენციების გამოვლენის საშუალებას იძლევა.

თემის შესწავლის მიზნები:

- ✓ ამოსავალი ცოდნის ფორმირება სამართლებრივი სტატისტიკის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების შესახებ;
- ✓ სამართლებრივი სტატისტიკის წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორიის გაცნობა;
- ✓ სტატისტიკის გამოყენების ძირითადი მიმართულებების ცოდნა.

თემის შესწავლის ამოცანები:

- ✓ სამართლებრივი სტატისტიკის საგნის, ობიექტის, მეთოდოლოგიური ბაზის გაცნობა;
- ✓ სტატისტიკის შესახებ ცოდნის გამოყენება საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში;
- ✓ სამართლებრივი სტატისტიკის დარგების გაცნობა;
- ✓ სამართლებრივი სტატისტიკის ამოცანებისა და ფუნქციების ცოდნა.

თემის შესწავლისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება შემდეგ ცნებებზე:

- ✓ სტატისტიკა;
- ✓ სამართლებრივი სტატისტიკა;
- ✓ სისხლისსამართლებრივი სტატისტიკა;
- ✓ სამოქალაქო-სამართლებრივი სტატისტიკა;
- ✓ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატისტიკა;
- ✓ კრიმინოლოგიური სტატისტიკა;
- ✓ ვიქტიმოლოგიური სტატისტიკა;
- ✓ საპროკურორო ზედამხედველობის სტატისტიკა;
- ✓ სტატისტიკური კვლევის ეტაპები/სტადიები.

თემის შესწავლის თანმიმდევრობა:

1. თეორიული მასალის შესწავლა;
2. პრაქტიკული დავალების შესრულება;
3. პასუხი ტესტურ შეკითხვებზე.

დამატებითი ლიტერატურა:

1. წულაძე ლ. 2008. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. თბილისი.
http://css.ge/files/Books/Books/raodenobrivi_kvlevis_meTodebis_saxelomzgv.
2. გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ. 2013. სოციალური სტატისტიკა. თბილისი.
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/socialuri%20statistika.pdf
3. Moses, Lincoln E. 1986. *Think and Explain with Statistics*, Addison-Wesley, ISBN 978-0-201-15619-5 .
4. Chance, Beth L.; Rossman, Allan J. 2005. "Preface". *Investigating Statistical Concepts, Applications, and Methods (PDF)*. Duxbury Press. ISBN 978-0-495-05064-3.
5. Dodge, Y. .2006. *The Oxford Dictionary of Statistical Terms*, OUP. ISBN 0-19-920613-9
6. Singh, Yogesh Kumar Fundamentals Of Research Methodology And Statistics
<https://archive.org/details/1.fundamentalOfResearchMethodologyAndStatistics>
7. Шмойлова Р.А., авторский колл. *Теория статистики. Учеб. для вузов /*
<http://www.alleng.ru/d/econ/econ324.htm>
8. Герчук Я.П. 1968. *Графические методы в статистике*. М.,
9. Иванов О.В. 1992. *Теория статистической группировки*. М.,
10. Лунеев В.В. *Юридическая статистика*. Гл. 8. – С. 204-243.
http://www.pravo.vuzlib.su/book_z975_22.html
11. Савюк Л.К. *Правовая статистика* <http://www.alleng.ru/d/jur/jur686.ht>

3.1. სამართლებრივი სტატისტიკის ცნება.

თანამედროვე მეცნიერებად ჩამოყალიბებამდე სტატისტიკამ განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა გაიარა.

ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებულ რიცხობრივ მონაცემებს ჯერ კიდევ შორეულ წარსულში აგროვებდნენ. ასე მაგალითად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 5 ათასი წლის წინ აწარმოებდნენ მოსახლეობის, ძველ რომში კი ქონების რაოდენობრივ აღწერასაც. მოსახლეობისა და ქონების აღწერას მიმართავდნენ შუა საუკუნეებშიც. მიღებული მონაცემები გამოიყენებოდა სამხედრო და დაბეგვრის მიზნებით. შორეულ წარსულში ხდებოდა მხოლოდ სტატისტიკური მონაცემების შეკრება; მათი დამუშავება და ანალიზი, ანუ სტატისტიკის მეცნიერებად ჩამოყალიბება XVII საუკუნის მეორე ნახევარს უნდა მივაკუთვნოთ.

ტერმინი „სტატისტიკა“ შემოთავაზებულ იქნა 1746 წელს გერმანელი მეცნიერის გოტფრიდ აჰენვალის (Gottfried Achenwall) მიერ და სახელმწიფოს

შესახებ ცნობების ერთობლიობას ნიშნავდა. თავად ტერმინი წარმოდგება ლათინური სიტყვიდან „status“ (საქმის ვითარება/მდგომარეობა), რაც შუა საუკუნეებში გულისხმობდა პოლიტიკურ მდგომარეობას სახელმწიფოში.⁴⁸

განვითარების ამ ეტაპზე სტატისტიკა აღწერილობით ხასიათს ატარებდა. მის ცნებაზე, საგანსა და ამოცანებზე წარმოდგენა შორს იდგა სტატისტიკაზე თანამედროვე შეხედულებებისგან, რომლებიც სხვებზე უფრო მეტად „პოლიტიკური არითმეტიკოსების“ ინგლისური სკოლისთვის იყო ნიშანდობლივი. ეს უკანასკნელი გერმანულ აღწერილობით სკოლაზე 100 წლით ადრე დაარსდა. მის დამფუძნებლებად მიიჩნევიან ვ. პეტი (William Petty) (1623 – 1687წწ.) და ჯ. გრაუნტი (John Graunt) (1620-1674წწ.).⁴⁹

„პოლიტიკური არითმეტიკოსები“, მასობრივ მასალებზე დაყრდნობით, ფაქტების განზოგადებისა და ანალიზის გზით ცდილობდნენ რიცხობრივი მონაცემების გამოყენებით დაეხასიათებინათ საზოგადოებრივი მდგომარეობა, მისი განვითარების კანონზომიერებები.

ისტორიამ აჩვენა, რომ სწორედ აღნიშნულმა სკოლამ ჩაუყარა საფუძველი თანამედროვე სტატისტიკას, როგორც მეცნიერებას, ვ. პეტი კი სამართლიანად იქნა მიჩნეული ეკონომიკური სტატისტიკის ფუძემდებლად.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში გაჩნდა სტატისტიკის მესამე - მათემატიკური მიმართულება. მის მიმდევრებს შორის არიან საშუალო სიდიდეების შესახებ მომღვრების ფუძემდებელი ბელგიელი მეცნიერი ა. კეტლე (1796-1874წწ.).⁵⁰ მათემატიკურმა სტატისტიკამ განვითარება ჰპოვა ასევე ინგლისელ მეცნიერთა ფ. ჰალტონისა (Francis Galton) (1822 - 1911წწ.) და კ. ლირსონის (K. Lirson) (1857-1936წწ.), ვ. ჰოსეტის (William Sealy Gosset) (1876-1937წწ.), რ. ფიშერის (Sir Ronald Aylmer Fisher) (1890-1962წწ.), მ. მიტჩელისა (M. Mitchel) (1874—1948წწ.) და სხვათა შრომებში.⁵¹

⁴⁸ Abriß der neuen Staatswissenschaft der vornehmen Europäischen Reiche und Republiken

⁴⁹ Предыстория эмпирической социологии <http://studopedia.info/1-78535.html>

⁵⁰ А. Кетле - http://explanatory_sociological.academic.ru/727/%D0%9A%D0%95%D0%A2

⁵¹ <http://studopedia.org/7-24575.html>



ადოლფ კეტლე (ფრ. Lambert-Adolph-Jacques Quetelet; 1796, - 1874) - ბელგიელი მათემატიკოსი, ასტრონომი, მეტეოროლოგი და სოციოლოგი, სამეცნიერო სტატისტიკის ერთერთი ფუძემდებელი. მის სახელს უკავშირდება სოციალურ სტატისტიკაში ფაქტების შეგროვებიდან და აღწერიდან, მაჩვენებლებს შორის მყარი კორელაციების დადგენაზე გადასვლა. კეტლეს მონაწილეობით მოხდა ნაციონალური სტატისტიკური საზოგადოებების ორგანიზება ინგლისსა და საფრანგეთში. ის იყო საერთაშორისო სტატისტიკური ასოციაციის შექმნის ინიციატორი, რაც სოციალური ინფორმაციის შეგროვების ძალისხმევის კოოპერაციას ისახავდა მიზნად. ასევე, მან დიდად შეუწყო ხელი 1853 წელს ბრიუსელში საერთაშორისო სტატისტიკური კონგრესის ჩატარებას.

მეცნიერების მრავალსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე არაერთხელ შეიცვალა „სტატისტიკის“ განმარტება. თანამედროვე სტატისტიკა წარმოადგენს მეცნიერების დარგს, რომელიც შეისწავლის მასობრივი საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ კანონზომიერებებს თვისებრივ მხარესთან განუყოფელ კავშირში; ის მოიპოვებს, გადაამუშავებს და გააანალიზებს ინფორმაციას საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესებისთვის დამახასიათებელი რაოდენობრივი კანონზომიერებების შესახებ.

სტატისტიკის დარგს, რომელიც შეისწავლის სამართალდამცავი და იუსტიციის ორგანოების (პოლიციის, სასამართლოების, პროკურატურის, არბიტრაჟის, ნოტარიატის, ადვოკატურის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და სხვათა) საქმიანობის რაოდენობრივ მაჩვენებლებს, სამართლებრივი სტატისტიკა ეწოდება. ანუ, სამართლებრივ სტატისტიკურ კვლევას შეიძლება დაექვემდებაროს ყველა იმ დაწესებულების საქმიანობა, რომლებშიც წყდება სამართლებრივი და იურიდიული მნიშვნელობის საკითხები.

ტერმინი „სამართლებრივი სტატისტიკა“ პირველად შემოთავაზებულ იქნა პროფესორ ს.ს. ოსტროუმოვის მიერ და გასული საუკუნის 80-იან წლებში დამკვიდრდა საბჭოთა კავშირში, ჩაანაცვლა რა მანამდე არსებული სახელწოდება „სასამართლო სტატისტიკა“.⁵²

⁵² Остроумов С. С. Советская судебная статистика : Часть общая и специальная : 1977

ტერმინის ჩანაცვლება განაპირობა იმან, რომ სასამართლო სტატისტიკა შეისწავლიდა არამართო სასამართლო, არამედ სხვა იურიდიული ორგანოების საქმიანობასაც. სამართლებრივ ლიტერატურაში შეიძლება წავაწყდეთ სხვა ტერმინებსაც: „მორალური“, „სისხლისსამართლებრივი“ „იურიდიული“ სტატისტიკა. თითოეული მათგანი მოწმობს სამართლებრივი სტატისტიკის (როგორც მეცნიერების და პრაქტიკული საქმიანობის) წარმოშობა-განვითარებაზე.

არსებობს „სტატისტიკის“ („სამართლებრივი სტატისტიკის“) შემდეგი ძირითადი განმარტებები:

სტატისტიკა სხვადასხვა სახის ციფრული მონაცემების, სტატისტიკური ცნობების ერთობლიობაა, რომელიც ახასიათებს საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს (ეკონომიკა, მოსახლეობა, დანაშაული...) და ემსახურება საზოგადოებრივი პროცესების დონის, დინამიკის, სტრუქტურის შეფასებას.

სტატისტიკურ მონაცემთა ერთობლიობის ერთ-ერთ მაგალითად გამოდგება სტატისტიკური კრებული “European Criminal Justice Sourcebook”, რომელიც შეიცავს ცნობებს დანაშაულზე და მის ცალკეულ სახეობაზე, ნასამართლობაზე ევროპისა და სხვა ქვეყნებში და ა.შ.⁵³

პრაქტიკული საქმიანობის სფეროა, რომლის მიზანია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენისა და პროცესის (მათ შორის, სამართლებრივის) რაოდენობრივ მხარეზე ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, გაანალიზება და გასაჯაროება. სახელმწიფო დონეზე ჩვენს ქვეყანაში ამ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური⁵⁴, უწყებრივ დონეზე - სამინისტროების სტატისტიკური დეპარტამენტები (მაგალითად, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი⁵⁵) სხვადასხვა დაწესებულების, უწყებების სპეციალური განყოფილებები.

სტატისტიკა საზოგადოებრივი მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის ერთობლივი ნიშნების მქონე მასობრივ მოვლენებსა და პროცესებს. სამართლებრივი სტატისტიკა, როგორც მეცნიერება ან სასწავლო დისციპლინა, ზოგადი ცნებაა და მოიცავს სამართალდამცავი და

⁵³http://www.heuni.fi/material/attachments/heuni/reports/qrMwCVTF/HEUNI_report_80_

⁵⁴ <http://www.geostat.ge/>

⁵⁵ <http://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/sainformatsio-analitikuri-departamenti>

იუსტიციის ორგანოების საქმიანობის აღრიცხვისა და ანგარიშგების პრაქტიკას, სტატისტიკურ ფაქტებს. სამართლებრივი სტატისტიკა ახდენს სხვადასხვა სოციალურ-სამართლებრივი კანონზომიერებების კონსტატირებას და მათ საფუძველზე იკვლევს საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების ურთიერთკავშირს, კერძოდ, გამოავლენს დანაშაულის სოციალურ მიზეზებს, ანუ, წარმოაჩენს დანაშაულობაზე ეკონომიკური, პოლიტიკური, დემოგრაფიული და საზოგადოების ცხოვრების სხვა პირობების გავლენას.

სტატისტიკა მოიცავს შემდეგ სამეცნიერო დისციპლინებს: სტატისტიკის ზოგად თეორიას, ეკონომიკურ სტატისტიკას და მის დარგებს (მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და ა.შ.), სოციალურ სტატისტიკას და მის დარგებს (დემოგრაფიული, სამართლებრივი, ჯანდაცვის, პოლიტიკის, მეცნიერებისა და ა.შ.)

სტატისტიკის ზოგადი თეორია მეთოდოლოგიური ბაზაა ყველა დარგობრივი განხრისთვის. ის შეიმუშავებს სტატისტიკის ზოგად ცნებებსა და კატეგორიებს, საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების სტატისტიკური კვლევის ზოგად მეთოდოლოგიას (სტატისტიკური დაკვირვების, დაჯგუფების მეთოდები, სტატისტიკური მონაცემების ანალიზი). ამავედროულად, სტატისტიკის დამოუკიდებელ დარგებს საკუთარი (სპეციფიკური) კვლევის მეთოდები გააჩნია.

ეკონომიკური სტატისტიკა შეიმუშავებს მაჩვენებლების სისტემას ეკონომიკის სფეროში, მათ შორის, ნაციონალური ეკონომიკის ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა შიდა ეროვნული პროდუქტი, ეროვნული სიმდიდრე და სხვ., აანალიზებს თანაფარდობასა და კავშირს დარგებს შორის, საწარმოო ძალების განაწილების თავისებურებებს, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების დონესა და მათ გამოყენებას.

სოციალური სტატისტიკა შეისწავლის საზოგადოების ცხოვრების წესის სხვადასხვა მხარეს და შეიმუშავებს რაოდენობრივი მაჩვენებლების სისტემას სოციალური მოვლენებისა და პროცესების ყოველმხრივი დახასიათებისთვის.

სტატისტიკურ მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს: პრაქტიკის მონაცემების გათვალისწინებით, სამეცნიერო შემადგენელი შეიმუშავებს სტატისტიკური კვლევის ჩატარების

მეთოდოლოგიას, რაც, თავის მხრივ, პრაქტიკულ საქმიანობაში მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ამოცანათა გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა.

3.2. სამართლებრივი სტატისტიკის საგანი

ზოგადად, სტატისტიკის კვლევის საგანია მასობრივი საზოგადოებრივი მოვლენების რაოდენობრივი კანონზომიერებები მათ ხარისხობრივ და შინაარსობრივ შემადგენლებთან განუყოფელ კავშირში, ასევე, საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებების რიცხობრივი გამოხატვა კონკრეტულ ადგილზე და პირობებში, დროის მოცემულ მომენტში (შუალედში).

საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებები სრულად მხოლოდ მასობრივ მოვლენებში ვლინდება. სტატისტიკა კი სწორედ მასობრივ მოვლენებს შეისწავლის, გამოავლენს და ზომავს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების განვითარების კანონზომიერებებს, მათ ურთიერთკავშირს აუცილებელი და შემთხვევითი/ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით. აუცილებელი მახასიათებლები ნიშანდობლივია მოცემული სახეობის მოვლენებისთვის, ინდივიდუალური კი ახასიათებს ცალკეულ კონკრეტულ მოვლენას. ამავდროულად, ინდივიდუალური და აუცილებელ მახასიათებლები ერთობლივად ვლინდება.

სამართლებრივი სტატისტიკის კვლევის საგანია შინაარსობრივად (თვისებრივად) ერთგვაროვანი მასობრივი სამართლებრივი და იურიდიული პროცესებისა და მოვლენების რაოდენობრივი მხარე, მათი განვითარების კანონზომიერებები და ტენდენციები კონკრეტულ ადგილზე და პირობებში, დროის მოცემულ მომენტში (შუალედში).

სამართლებრივი სტატისტიკის საგნის განმარტება მოიცავს სტატისტიკური მეცნიერებისთვის ნიშანდობლივ რამდენიმე პრინციპულ თავისებურებას:

1. სამართლებრივი სტატისტიკა შეისწავლის მასობრივი საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეს და განსაზღვრავს მათ რიცხობრივ მახასიათებლებს სტატისტიკური მაჩვენებლების მეშვეობით;
2. იმდენად რამდენადაც, სამართლებრივი სტატისტიკა მასობრივ მოვლენებსა და პროცესებს შეისწავლის, სტატისტიკური კვლევის ამოცანას წარმოადგენს აღნიშნული მოვლენების განმაზოგადებელი

- მახასიათებლების მიღება და მასობრივ სოციალურ პროცესებში მიმდინარე სტატისტიკური კანონზომიერებების დადგენა;
3. რაოდენობრივი მახასიათებლების გამოყენებით სამართლებრივი სტატისტიკა შეისწავლის მოვლენის ხარისხობრივ/შინაარსობრივ მხარეს. ასე მაგალითად, დანაშაულობის სტრუქტურის რაოდენობრივი ცვლილება მიუთითებს არამართო ამა თუ იმ სახეობის დანაშაულის გავრცელებაზე, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში მომხდარ ხარისხობრივ ცვლილებებსა და მოცემულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობის დონეზე.
 4. სამართლებრივი სტატისტიკა იკვლევს საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეს კონკრეტულ პირობებში, ადგილსა და დროში. სტატისტიკური მონაცემები ასახავენ ამა თუ იმ მოვლენის მდგომარეობას კონკრეტული დროისა და ტერიტორიის საზღვრებში (მაგალითად, დანაშაულის ხვედრითი წილის დინამიკას ქვეყნის რეგიონებში დროის მოცემულ მონაკვეთში) ყველა ჩამოთვლილი ნიშანი ზოგადსტატისტიკური ხასიათისაა და ერთობლივად ზოგადად განსაზღვრავს სტატისტიკის საგანს.
 5. სამართლებრივი სტატისტიკის სპეციფიკურ ნიშანს წარმოადგენს სამართლებრივი ან იურიდიული მოვლენისა და პროცესის შესწავლა; მისი კვლევის ობიექტია სახელმწიფო ორგანოების (პროკურატურის, პოლიციის, სასამართლოების, ნოტარიატის და სხვათა) საქმიანობა, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო წყობის, მოქალაქეებისა და ორგანიზაციების, საკუთრების ყველა ფორმის სისხლისსამართლებრივ, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო-სამართლებრივ დაცვას.⁵⁶

სამართლებრივი ხასიათის მოვლენებია: დანაშაული და მასთან ბრძოლის ღონისძიებები; სასამართლო გარჩევას დაქვემდებარებული სამოქალაქო სამართალდარღვევები; ადმინისტრაციული დარღვევები და მათი აღკვეთის ღონისძიებები ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან.

სამართლებრივი სტატისტიკა იკვლევს სამართალდარღვევათა რაოდენობრივ-ხარისხობრივ პარამეტრებს (მდგომარეობა, დონე, სტრუქტურა, დინამიკა), ასევე, მათ განმსაზღვრელ ფაქტორებს (დანაშაულობის ხელშემწყობი მიზეზები და პირობები, სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან დანაშაულზე სოციალური კონტროლის ღონისძიებათა ერთობლიობა).

⁵⁶ Дедкова И. А. - Правовая статистика, Томск «Эль Контент» 2012
<http://ir.nmu.org.ua/bitstream/handle/123456789/17528/4c879a446b1b7ff0268e663f03e51ecb.pdf>


3.3. სამართლებრივი სტატისტიკის დარგები

სამართალდარღვევათა ხასიათისა და შესაბამისი დაწესებულებების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამართლებრივ სტატისტიკაში გამოყოფენ სამ კომპლექსურ დარგს. ესენია:

- სისხლისსამართლებრივი სტატისტიკა;
- სამოქალაქო-სამართლებრივი სტატისტიკა;
- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატისტიკა.

აღნიშნულ დარგებს კომპლექსურს უწოდებენ იმის გამო, რომ თითოეული მათგანი, მომიჯნავე სამართლებრივ ურთიერთობებსაც მოიცავს. სქემატურად სამართლებრივი სტატისტიკის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

გრაფიკი #2 სამართლებრივი სტატისტიკის სტრუქტურა




1. სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის ობიექტია დანაშაულობის, მისი აღკვეთის ღონისძიებების, შესაბამისი ორგანოების საქმიანობის რაოდენობრივი მხარე, რომლის შესწავლისთვისაც ის იკვლევს რეგისტრირებული დანაშაულის, მისი სახეობების, აღძრული სისხლის სამართლის საქმეების, დანაშაულის ჩამდენი, დაკავებული და დაპატიმრებული პირების რაოდენობას, აღრიცხავს დანაშაულის

გამომიებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს: გამოძიების ვადებს, აღკვეთის ზომებს, გახსნილი და ძიებაში დაბრუნებული საქმეების რაოდენობასა და სხვა მაჩვენებლებს. მაგალითისთვის იხილეთ ცხრილი #1

ცხრილი # 1.	შს-ს მიერ საქართველოში რეგისტრირებული დანაშაული									
	2003	2004	2005*	2006	2007	2008	2009	2010	2011	
რეგისტრირებული დანაშაული - სულ	17397	24856	43266	62283	54746	44644	35949	34739	32263	
მათ შორის:										
მძიმე დანაშაული	10326	17833	24320	29249	13158	13028	11093	9987	9017	
არასრულწლოვანთა დანაშაული	617	557	755	997	674	759	595	543	333	

სისხლის სამართალწარმოების სტატისტიკის ნაწილი მოიცავს შესაბამისი სასამართლო ინსტანციების საქმიანობის აღრიცხვას. ამისთვის გამოიყენება როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მაჩვენებლები. რაოდენობრივია, მაგალითად, სასამართლოში შემოსულ და განხილულ სისხლის სამართლის საქმეთა, მსჯავრდებულ, გამართლებულ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებულ პირთა რაოდენობა და ა. შ. თვისებრივი მაჩვენებლები ასახავენ სისხლის სამართლის საქმის განხილვის ვადებს, სასჯელის საკასაციო და ზედამხედველი ინსტანციების მუშაობას და ა. შ. (მაგალითისთვის იხ. დიაგრამა#1)


მსჯავრდებულთა რაოდენობასასჯელის ღონისძიებების მიხედვით
2013 წელს, კაცი



სასამართლოს განაჩენების აღსრულების სტატისტიკის ნაწილი მოიცავს სისხლის სამართლის აღსრულების სისტემის დაწესებულებათა საქმიანობის აღრიცხვას სასჯელის, ასევე, სისხლისსამართლებრივი ხასიათის სხვა ღონისძიებების რეალიზაციის კუთხით. აქვე აისახება სასამართლოების მუშაობა პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების, სასჯელის შემსუბუქების მიმართულებით, აღირიცხება მსჯავრდებულ

პატიმართა რაოდენობა ჩადენილი დანაშაულის სახეობის, თავისუფლების აღკვეთის ვადების მიხედვით და ა.შ. იხ. დიაგრამა #2

დიაგრამა #2



გარდა ამისა, სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის დამოუკიდებელ ნაწილად განიხილება მასთან მჭიდროდ დაკავშირებული კრიმინოლოგიური სტატისტიკა (ზოგიერთი ავტორი მას ცალკე დარგადაც გამოყოფს).

კრიმინოლოგიური სტატისტიკა, რომელსაც კრიმინოლოგიის ნაწილადაც მიიჩნევენ, შეისწავლის დანაშაულობის, მისი მიზეზების, დამნაშავის პიროვნების და პრევენციული საქმიანობის რაოდენობრივ მახასიათებლებს. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მონაცემებს ნარკომანიის, ალკოჰოლიზმის, პროსტიტუციის და დანაშაულობის ხელშემწყობ მოვლენათა შესახებ. თავის მხრივ, კრიმინოლოგიური სტატისტიკის განსაკუთრებულ ნაწილს წარმოადგენს ვიქტიმოლოგიური სტატისტიკა, რომელიც რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოყენებით აღრიცხავს მსხვერპლის როლს დანაშაულის განვითარებაში.

კრიმინოლოგიურ სტატისტიკაში მხედველობაში მიიღება თავად დანაშაული, მისით მიყენებული ზიანი, ბრალდებულის პიროვნება, დაზარალებულის პიროვნული თვისებები, სამართლებრივი, დემოგრაფიული, სოციალური მახასიათებლები, დაზარალებულის როლი კონფლიქტურ სიტუაციაში (მისი საქციელი დანაშაულის ჩადენის მომენტში, ურთიერთქმედება ბრალდებულთან და ა. შ.)

2. სამოქალაქო-სამართლებრივი სტატისტიკის უშუალო ამოცანას წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ დავათა აღრიცხვა საარბიტრაჟო და საერთო სასამართლოებში, ასევე, მათი საქმიანობის შედეგების

რაოდენობრივი მახასიათებლების შესწავლა სამოქალაქო სამართალწარმოების ეტაპების შესაბამისად. ის ითვალისწინებს, აგრეთვე, ადმინისტრაციული ან ნოტარიული წესით დამოწმებულ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს.

სამოქალაქო-სამართლებრივი სტატისტიკის ნაწილებია:

- სამოქალაქო სამართალწარმოების სტატისტიკა, რომელიც აღრიცხავს საარბიტრაჟო, ასევე, საერთო სასამართლოების მუშაობის შედეგებს, იკვლევს საქმის განხილვის ვადების, გადაწყვეტილების მიღების, პირველად, საპელაციო და საკასაციო ინსტანციებში საქმის განხილვის, ამ პროცესში დაშვებული შეცდომებისა და კანონდარღვევების მაჩვენებლებს და ა.შ.

- სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების სტატისტიკა, რომელიც აწარმოებს სასამართლო აღმასრულებლების საქმიანობის აღრიცხვას სამოქალაქო საქმეებზე მიღებულ განჩინებათა აღსრულების შესაბამისად.

3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატისტიკის ობიექტია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, მის წინააღმდეგ გამოყენებული ბრძოლის მეთოდების, მიყენებული ზიანის რაოდენობრივი მხარე.

სამართლებრივი სტატისტიკა თავისი მაჩვენებლებით აირეკლავს სამოქალაქო, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული პროცესის სხვადასხვა ეტაპს. ამავდროულად, აღნიშნული მაჩვენებლები, ერთი მხრივ, ასახავენ ამა თუ იმ სამართალდარღვევის (მაგალითად, სისხლისსამართლებრივის) აბსოლუტურ და ფარდობით ოდენობებს, მეორე მხრივ კი, შესაბამისი ორგანოების (მაგალითად, სასამართლოების) საქმიანობის ეფექტურობას მოცემული სამართალდარღვევის პრევენციის თვალსაზრისით.

3.4. სამართლებრივი სტატისტიკის ამოცანები და მეთოდოლოგიური ბაზა

სტატისტიკის (მათ შორის, სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის) საგნის შესწავლისთვის შემუშავებულია სპეციალური ხერხები და მეთოდები, რომელთა ერთობლიობა სტატისტიკის მეთოდოლოგიას შეადგენს. მის თეორიულ საფუძველს ქმნის ისეთი ცნებები და კატეგორიები, როგორცაა

რაოდენობრიობა და თვისებრიობა, შემთხვევითობა და აუცილებლობა, მიზეზობრიობა, კანონზომიერება და ა.შ.

სამართლებრივი სტატისტიკის მეთოდოლოგიური ბაზის ბირთვს შეადგენს სტატისტიკის ზოგადი თეორიის მეთოდები: სტატისტიკური დაკვირვება, დაჯგუფება, საშუალო სიდიდეები, დინამიური რიგები, ინდექსები, გრაფიკული და ცხრილის მეთოდები და ა.შ. სტატისტიკური კვლევის ამოცანების ფაქტობრივი გადაწყვეტისთვის გამოიყენება მათემატიკის და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები.

სამართლებრივი სტატისტიკის მეთოდოლოგიური ბაზა მთელი რიგი სამეცნიერო-პრაქტიკული ამოცანების რეალიზების საშუალებას იძლევა. მათ შორის, მთავარია:

- სამართალდარღვევათა აღრიცხვა, განზოგადება და კომპლექსური ანალიზი;
- დანაშაულობისა და სხვა სამართალდარღვევების მდგომარეობის, სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა;
- დანაშაულობისა და სხვა სამართალდარღვევების აღმოცენებისა და განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების შესწავლა;
- დანაშაულობისა და სხვა სამართალდარღვევების სოციალური შედეგების კვლევა;
- ქვეყანაში კანონიერების რეჟიმის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ორგანოების მიერ სამართალდარღვევებზე განხორციელებული სოციალური კონტროლის ღონისძიებების აღრიცხვა;
- ოფიციალური სამართლებრივი სტატისტიკური ინფორმაციის სანდოობის, სრულყოფილების, დროულობის, მეცნიერული დასაბუთებულობის უზრუნველყოფა.

სტატისტიკურ კვლევაში სტატისტიკური მეთოდები კომპლექსურად (სისტემურად და ერთობლივად) გამოიყენება.

როგორც წესი, სტატისტიკური კვლევა მოიცავს სამ ეტაპს:

პირველი ეტაპი გულისხმობს პირველადი აუცილებელი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას, რისთვისაც გამოიყენება მასობრივი სტატისტიკური დაკვირვების მეთოდი. ამოსავალი მონაცემების მიღება შესაძლებელია პროკურატურის, პოლიციის, სასამართლო და სხვა სამართალდამცავი ორგანოების სტატისტიკური ანგარიშებიდან და

ბარათებიდან, სისხლის სამართლის საქმეებიდან, ანკეტირების მეშვეობით და ა.შ.

შესასწავლი მოვლენის კანონზომიერებების გამოვლენისთვის, სტატისტიკურმა დაკვირვებამ უნდა მოიცვას ან მთლიანად მოვლენა (რაც უზრუნველყოფს პირველადი ინფორმაციის სისრულესა და საყოველთაობას, ან მისი საკმარისად წარმომადგენლობითი (რეპრეზენტატული) ნაწილი, რათა შესაძლებელი იყოს არასრულ მონაცემების შესწავლის საფუძველზე მიღებული შედეგების გავრცელება სრულიად შესასწავლ ერთობლიობაზე.

მეორე სტადია გულისხმობს მასობრივი სტატისტიკური დაკვირვების შედეგად მიღებული პირველადი მონაცემების დაჯამებასა და დაჯგუფებას (კლასიფიკაციას). ამ ეტაპზე ხდება შეგროვებული ინფორმაციის სისტემატიზაცია და დამუშავება სტატისტიკური დაჯგუფების მეთოდის გამოყენებით, რაც საშუალებას მოგვცემს შესასწავლი ერთობლიობიდან გამოვყოთ თვისებრივად (შინაარსობრივად) ერთგვაროვანი ჯგუფები ჩვენთვის საინტერესო ნიშნების მიხედვით. მაგალითად, დანაშაულთა ერთობლიობა შეიძლება დავახარისხოთ ჯგუფებად ხელყოფის ობიექტის (პიროვნების, სახელმწიფოს და ა. შ. წინააღმდეგ) ან დანაშაულის სუბიექტის (სქესის, ასაკის, სოციალური მდგომარეობის, ნასამართლეობის და სხვ.) მიხედვით. დაჯგუფების მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია საწყის ინფორმაციაზე და მკვლევარის მიერ დასმულ ამოცანებზე.

მესამე ეტაპზე წარმოებს შეგროვილი და დაჯგუფებული მონაცემების გაანალიზება განმაზოგადებელი სტატისტიკური მაჩვენებლების - აბსოლუტური, შეფარდებითი და საშუალო სიდიდეების, კოეფიციენტების, ინდექსების და სხვათა გამოყენებით.

სტატისტიკური ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, დავადგინოთ შესასწავლი სამართლებრივი და იურიდიული მოვლენების კანონზომიერებები, მათი ურთიერთდამოკიდებულება, შევაფასოთ დანაშაულთან ბრძოლის ღონისძიებების ეფექტურობა და ა. შ.

დასახელებული ეტაპები მჭიდრო ურთიერთკავშირშია და სტატისტიკური კვლევის ერთიან პროცესს შეადგენს. კვლევის ყოველ მომდევნო ეტაპზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ წინა ეტაპის შედეგებზე დაყრდნობით. მხოლოდ სამივე ეტაპის ერთობლივი გამოყენება იძლევა სრულყოფილი სტატისტიკური კვლევის ჩატარების შესაძლებლობას. ამავდროულად,

სტატისტიკური კვლევის ყველა საფეხურზე აუცილებელია შესასწავლი სამართლებრივი მოვლენებისა და პროცესების თვისებრივი ანალიზის ჩატარება. ასე მაგალითად, სტატისტიკური ანგარიშის მონაცემებზე დაყრდნობით დადგენილი დანაშაულობის შემცირება შეიძლება იყოს სამართალდამცავი ორგანოების წარმატებული მუშაობის ან მათივე მხრიდან დანაშაულის აღურიცხაობის შედეგი. შესასწავლი მოვლენების თვისებრივი ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მათი განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები კონკრეტულ პირობებში, ადგილსა და დროში.

3.5. სამართლებრივი სტატისტიკის მნიშვნელობა, მისი ფუნქციები და ადგილი იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში

სამართლებრივი სტატისტიკა არამარტო უმნიშვნელოვანესი სოციალურ-სამართლებრივი ინფორმაციის წყაროა სამართალდარღვევათა შესახებ, არამედ თავისი მაჩვენებლებით ის აირეკლავს სახელმწიფო წყობის, საზოგადოების, საკუთრების სხვადასხვა ფორმის, მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და ინტერესების დაცვის ხარისხს.

სამართლებრივი სტატისტიკა მჭიდრო ურთიერთკავშირშია მეცნიერების სხვა დარგებთან:

- ✓ სტატისტიკის ზოგადი თეორიასთან, უფრო ზუსტად, მის მეთოდოლოგიურ ნაწილთან;
- ✓ სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალთან, მათი კვლევის საგანთან;
- ✓ ისტორიასთან, დანაშაულობისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების განვითარებაზე ისტორიული მოვლენების ზემოქმედების საკითხებთან;
- ✓ დემოგრაფიასთან;
- ✓ გეოგრაფიასთან;
- ✓ სოციოლოგიასთან;
- ✓ სხვა დარგობრივ სტატისტიკებთან;

საკუთარი ამოცანებიდან გამომდინარე, სამართლებრივ სტატისტიკას გარკვეული ფუნქციები გააჩნია. ესენია:

- *შემეცნებითი (კვლევითი);* სტატისტიკური მეთოდების გამოყენებითაა შესაძლებელი დანაშაულის მდგომარეობისა და განვითარების შესწავლა, მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ეფექტურობის შეფასება.
- *იდეოლოგიური;* სტატისტიკური მონაცემებით გონივრული მანიპულირება ხელისუფლებისთვის კრიმინალთან წარმატებული ბრძოლის დემონსტრირების იარაღია და პირიქით.
- *მართვითი;* სამართლებრივი სტატისტიკის მონაცემები სამართალდამცავ ორგანოებს საშუალებას აძლევს წარმოაჩინონ საკუთარი როლი საზოგადოებაში, დაასაბუთონ მატერიალური რესურსებისა და დამატებითი კადრების გამოყოფის აუცილებლობა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და ეფექტური სამართალდამცავი საქმიანობის უზრუნველსაყოფად.
- *საინფორმაციო ფუნქცია* გულისხმობს ემპირიული ინფორმაციის მოწოდებას დანაშაულობის დონის, მდგომარეობისა და დინამიკის, მისი სოციალური შედეგების, მიზეზებისა და პირობების, ასევე, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულების შესახებ;
- *საკოორდინაციო;* სამართლებრივი სტატისტიკის მონაცემები არსებით როლს ასრულებენ სამართალდამცავი და იუსტიციის ორგანოების (პროკურატურა, სასამართლო სისტემა, შინაგან საქმეთა ორგანოები, უსაფრთხოების სამსახური, საგადასახადო პოლიცია, ადვოკატურა და ა. შ.) საქმიანობის კოორდინაციაში, ხელს უწყობენ სამართლებრივი დახმარების ხარისხის ზრდას, მოქალაქეებისა და მათი საკუთრების დაცვას.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივ, უფრო კონკრეტულად, სისხლისსამართლებრივ სტატისტიკას დანაშაულობის შესწავლისა და მისი პრევენციის საქმეში. დანაშაულის მდგომარეობის, სტრუქტურის, დინამიკის, მის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგების შესახებ მონაცემების გათვალისწინება იუსტიციის ორგანოებს შესაძლებლობას აძლევს უფრო ეფექტიანად განახორციელონ საკუთარი მოვალეობა, დაიცვან კანონიერება და მართლწესრიგი.

სამართლებრივ-სტატისტიკური ინფორმაცია დანაშაულთან ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვის, მართვის და კონტროლის შესაძლებლობას იძლევა. დანაშაულობის დონის, მდგომარეობის, ოპერატიული და სამძებრო მუშაკების შესაძლებლობებისა და სხვა მონაცემების გათვალისწინებით ხდება დანაშაულთან მებრძოლი ძალებისა და საშუალებების სწორი გადანაწილება.

სამართლებრივი სტატისტიკა, სხვა წყაროებთან ერთად, შესაძლებლობას გვაძლევს, განვსაზღვროთ, რამდენად წარმატებულია სამართალდამცავი და იუსტიციის ორგანოების მუშაობა. სამმებრო და სასამართლო პრაქტიკის აღრიცხვა მათ მუშაობაზე ზედამხედველობის განხორციელების საშუალებას იძლევა. სამართლებრივი სტატისტიკა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ხარვეზები იუსტიციის ორგანოების მუშაობაში და ზომები მივიღოთ მათ აღმოსაფხვრელად. ასე მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკის მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება განვსაზღვროთ, თუ რამდენად მაღალია დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი, რამდენადაა დაცული გამოძიების ვადები და ა. შ.

სისხლის სამართლის სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის იუსტიციის საქმიანობის ეფექტურობაზე. სამართლებრივი სტატისტიკის მასალები ფართოდ გამოიყენება კანონმდებლობის სრულყოფისათვის. კანონთა პროექტების შემუშავება არ შეიძლება მოხდეს მთელი რიგი სტატისტიკური მაჩვენებლების შეუსწავლელად, რომლებიც ახასიათებენ დანაშაულობის მდგომარეობას, ყოველი კონკრეტული სამართალდარღვევის დინამიკას, მოქმედი კანონმდებლობის ცალკეული ნორმის მიზანშეწონილობას. აღნიშნული მაჩვენებლების გათვალისწინებით კანონშემოქმედებით პროცესში ხდება ნორმების დახვეწა, ამა თუ იმ სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ფორმების დანერგვა.

ტრადიციულად, სამართლებრივი სტატისტიკა ფართოდ გამოიყენება სამართლის სხვა დარგებში, იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში.

სისხლისსამართლებრივი სტატისტიკა მჭიდრო ურთიერთკავშირშია სისხლის და სააღსრულებო სამართალთან, კრიმინოლოგიასთან, კრიმინალისტიკასთან, რომლებიც, თავის მხრივ, განსაზღვრავენ სტატისტიკური დაკვირვების ობიექტების სოციალურ-სამართლებრივ არსს. ასე მაგალითად, სისხლის სამართალი ადგენს დანაშაულებრივი ქცევის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, სისხლის სამართლის პროცესი კი წყვეტს კონკრეტული ქმედების დანაშაულებრიობის საკითხს.

სამართლებრივი სტატისტიკის სამეცნიერო-პრაქტიკული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ, ერთი მხრივ, სტატისტიკა მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროა დანაშაულისა და სხვა კანონდარღვევების შესახებ, მეორე მხრივ კი ის საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების (მათ

შორის, სამართლებრივის) კვლევის ერთერთი ძირითადი მეთოდია, რომელიც დანაშაულობის განვითარების კანონზომიერებებისა და ტენდენციების დადგენის საშუალებას იძლევა.

სამართალდარღვევის რაოდენობრივ-ხარისხობრივი პარამეტრების მახასიათებლების შესწავლა გვეხმარება გამოვავლინოთ დანაშაულის მიზეზები, მისი კავშირი სხვა სოციალურ მოვლენებთან (უმუშევრობა, მოსახლეობის ალკოჰოლიზაცია, განათლება და ა. შ.)

დანაშაულობის მიზეზების, კანონზომიერებებისა და ტენდენციების ამსახველი სტატისტიკური ინფორმაცია, მისი განვითარების პროგნოზირების საშუალებას იძლევა მომავალში.

შეკითხვები თვითშეფასებისთვის :

1. რომელი ლათინური სიტყვისგან წარმოდგება ტერმინი „სტატისტიკა“, რას ნიშნავს ის?
2. რას შეისწავლის სამართლებრივი სტატისტიკა?
3. რომელ დარგებად და ქვედარგებად იყოფა სამართლებრივი სტატისტიკა?
4. ჩამოთვალეთ სტატისტიკური კვლევის ეტაპები.
5. ჩამოაყალიბეთ სტატისტიკური მეთოდების გამოყენების ძირითადი მიმართულებები და ამოცანები დანაშაულთან და სხვა სამართალდარღვევებთან ბრძოლის სფეროში.

ტესტი

1. ვინ არის ტერმინ „სტატისტიკის“ ავტორი?

- ჯ. გრაუნტი;
- უ. პეტი;
- გ. აჰენვალი;
- ა. კეტლე.

2. ვინ არის ტერმინ „სამართლებრივი სტატისტიკის“ ავტორი?

- ჩ. ბეკარია;
- ა. გერცენზონი;
- ს. ოსტროუმოვი;
- ვ. კუდრიავეცი.

3. მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის სამართალდამცავი და იუსტიციის ორგანოების საქმიანობის რაოდენობრივ მაჩვენებლებს, ეწოდება:

- სისხლისსამართლებრივი სტატისტიკა;
- სამართლებრივი სტატისტიკა;
- სამართალდამცავი სტატისტიკა;
- საგამომიებო ორგანოების სტატისტიკა.

4. თანამედროვე გაგებით ტერმინი „სტატისტიკა“ ნიშნავს:

- ციფრობრივი მონაცემებისა და ცნობების ერთობლიობას მასობრივი საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ;
- პრაქტიკული საქმიანობის სახეობას, რომელიც მოიცავს მასობრივი საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მხარის შესახებ ინფორმაციის შეკრებას, დამუშავებას, ანალიზსა და გასაჯაროებას;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების მეთოდოლოგიას.

5. რომელია სწორი დებულება?

- სოციალური სტატისტიკა და სამართლებრივი სტატისტიკა ერთი და იგივე მეცნიერებაა;
- სოციალური სტატისტიკა სამართლებრივი სტატისტიკის შემადგენელი ნაწილია;
- სამართლებრივი სტატისტიკა სოციალური სტატისტიკის დარგია;
- ეს ორი მეცნიერება არ იმყოფება ურთიერთკავშირში.

6. სამართლებრივი სტატისტიკა დარგია:

- სტატისტიკის ზოგადი თეორიისა;
- ეკონომიკური სტატისტიკისა;
- სოციალური სტატისტიკისა;
- პოლიტიკური სტატისტიკისა.

7. სამართლებრივი სტატისტიკის საგანია:

- თვისებრივად ერთგვაროვანი მასობრივი სამართლებრივი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მხარე, კონკრეტულ პირობებში, ადგილსა და დროში მათი განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები;
- დანაშაულობისა და ნასამართლეობის რაოდენობრივი კანონზომიერებები;
- დანაშაულობის პრევენციისა და მასთან ბრძოლის პრობლემები;
- სამოქალაქო სამართალდარღვევების რაოდენობრივ-ხარისხობრივი პარამეტრები.

8. საკუთრივ სამართლებრივი სტატისტიკის სპეციფიკური ნიშანია:

- შესასწავლი მოვლენებისა და პროცესების მასობრივობა;
- შესასწავლი მოვლენებისა და პროცესების სამართლებრივი და იურიდიული მნიშვნელობა;
- საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების შესწავლა კონკრეტულ პირობებში, ადგილსა და დროში;
- საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების შესწავლა მათ ხარისხობრივ მხარესთან უწყვეტ კავშირში.

9. სამართლებრივი ხასიათის მოვლენებს მიეკუთვნება:

- დანაშაულობა და მასთან ბრძოლის ღონისძიებები;
- ნოტარიატში, საარბიტრაჟო და ჩვეულებრივ სასამართლოებში გარჩევის საგნად ქცეული სამოქალაქო სამართალდარღვევები;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და მათთან ბრძოლის ღონისძიებები;
- ყოველდღიური სამოქალაქო ურთიერთობები.

10. სამართლებრივი სტატისტიკის დარგებია:

- სისხლისსამართლებრივი სტატისტიკა;
- სამოქალაქო სამართლებრივი სტატისტიკა;
- მორალური სტატისტიკა;
- ადმინისტრაციული სამართლებრივი სტატისტიკა.

11. კრიმინოლოგიური სტატისტიკის ობიექტებია:

- დანაშაულობისა და მისი მიზეზების რაოდენობრივი მახასიათებლები;
- დამნაშავის პიროვნების რაოდენობრივი მახასიათებლები;
- დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული პრევენციული საქმიანობის რაოდენობრივი მახასიათებლები;
- სასჯელის ვადების მახასიათებლები.

12. დაზარალებულის პიროვნებისა და დანაშაულის განვითარებაში მისი ქცევის როლის სტატისტიკა

- მორალური სტატისტიკა;
- კრიმინოლოგიური სტატისტიკა;
- ვიქტიმურობის სტატისტიკა;
- სოციალური სტატისტიკა.

13. სამოქალაქო სამართლებრივი სტატისტიკის ობიექტია:

- სამოქალაქო კოდექსით რეგულირებული ყველა სამართალურთიერთობა;

- საერთო იურისდიქციის სასამართლოებში დავის საგნად ქცეული სამართალურთიერთობები;
- საარბიტრაჟო სასამართლოებში დავის საგნად ქცეული სამართალურთიერთობები.

14. სამოქალაქო სამართალწარმოების სტატისტიკა აირეკლავს:

- ყველა ინსტანციის სასამართლოების საქმიანობის შედეგებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებისას;
- სამოქალაქო დავების განხილვის შედეგებს საერთო სასამართლოებში;
- სპეციალიზებული სასამართლოების საქმიანობას სამოქალაქო დავების განხილვისას;
- სპეციალიზებული სასამართლოების საქმიანობას სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას.

15. სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების სტატისტიკა აირეკლავს:

- სასამართლო აღმასრულებლების საქმიანობას სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების აღსრულებისას;
- სამოქალაქო დავების განხილვაში მონაწილე ყველა ინსტანციის სასამართლოს საქმიანობას;
- სასამართლო აღმასრულებლების საქმიანობას სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის სასჯელისა და სხვა ზომების დანიშვნისას.

16. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატისტიკის ობიექტია:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევების რაოდენობრივი მხარე;
- ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებების რაოდენობრივი მხარე;
- შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობის რაოდენობრივი მხარე;
- სასამართლოებისა და იუსტიციის სხვა ორგანოების საქმიანობის რაოდენობრივი მხარე.

17. სამართლებრივი სტატისტიკის რომელი ნაწილი აირეკლავს პროკურატურის საქმიანობას?

- სისხლის სამართალწარმოების სტატისტიკა;
- სამოქალაქო სამართალწარმოების სტატისტიკა;
- საპროკურორო ზედამხედველობის სტატისტიკა;
- ვიქტიმურობის სტატისტიკა.

18. ქვემოთ ჩამოთვლილი სამართლებრივი მოვლენების შესწავლის მეთოდებიდან რომელია უშუალოდ სტატისტიკური?

- დაჯგუფების მეთოდი;
- დიალექტიკური შეცნობის მეთოდი;
- ცხრილების მეთოდი;
- ინდექსები.

19. შეცნობის დიალექტიკური მეთოდის თანახმად, სამართლებრივი მოვლენები და პროცესები განიხილება:

- დინამიკაში;
- ურთიერთკავშირში;
- ურთიერთშედარების პროცესში;
- სივრცისა და დროისგან დამოუკიდებლად.

20. მიუთითეთ, რომელია სრული სტატისტიკური კვლევის ეტაპები:

- მოსამზადებელი სამუშაო;
- სტატისტიკური დაკვირვება;
- შეგროვილი მასალის შეჯამება და დაჯგუფება;
- შეგროვილი და დაჯგუფებული მასალის ანალიზი განმაზოგადებელი სტატისტიკური მაჩვენებლების გამოყენებით.

21. სტატისტიკური კვლევის პირველი ეტაპია:

- სტატისტიკური დაკვირვება;
- სტატისტიკური მასალების შეჯამება და დაჯგუფება;
- სტატისტიკური მასალის ანალიზი;
- საპილოტო კვლევა.

22. რა ეწოდება კანონზომიერებებს, რომლებიც მხოლოდ მასობრივ პროცესებში იჩენენ თავს:

- კორელაციური;
- სტოქასტიკური;
- დინამიური;
- სტატისტიკური.

23. სამართლებრივი სტატისტიკის საგანს წარმოადგენს იმ მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი კანონზომიერებები, რომლებიც დამახასიათებელია:

- ყველა სახელმწიფო ორგანოსთვის;
- სამართალდამცავი ორგანოებისთვის;
- ადმინისტრაციული ორგანოებისთვის;
- იუსტიციის ორგანოებისთვის

თავი 4. სტატისტიკური დაკვირვება სამართლებრივ სტატისტიკაში

- 4.1 სტატისტიკური დაკვირვების ცნება
- 4.2 სტატისტიკური დაკვირვების ორგანიზების მეთოდოლოგიური საკითხები
- 4.3 სტატისტიკური დაკვირვების ორგანიზაციული ფორმები, სახეები და ხერხები

მე-4. თემის შესწავლის შემდეგ სტუდენტმა უნდა

იცოდეს:

- სტატისტიკური დაკვირვების ორგანიზების პროგრამულ-მეთოდოლოგიური საკითხები სამართლებრივ სტატისტიკაში;
- სოციალური და სამართლებრივი მოვლენებისა და პროცესების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღების ხერხების შესაძლებლობები.

შეძლოს:

- სტატისტიკური დაკვირვების ფორმის, სახისა და ხერხის განსაზღვრა;
- სამართლებრივი მოვლენების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეკრების მეთოდების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში.

შეიძინოს უნარები:

- სტატისტიკურ-სამართლებრივ კვლევებში დაკვირვების ობიექტისა და ერთეულის განსაზღვრის;
- სტატისტიკური დაკვირვების პროგრამის შედგენის;
- სამართლებრივ მოვლენებსა და პროცესებზე სტატისტიკური დაკვირვების წარმოების.

თემის შინაარსი:

- ✓ სამართლებრივი სტატისტიკური დაკვირვება - ნებისმიერი სამართლებრივად ან იურიდიულად მნიშვნელოვანი მოვლენისა და პროცესის სტატისტიკური კვლევის პირველი ეტაპია, რომელზეც ხდება მონაცემების მეცნიერულად ორგანიზებული შეკრება დადგენილი ფაქტების სააღრიცხვო დოკუმენტებში რეგისტრაციის გზით, მათი შემდგომი განზოგადების მიზნით.

- ✓ სტატისტიკური დაკვირვებას წაეყენება რიგი მოთხოვნებისა: სისტემატურობა, ამოსავალი ინფორმაციის საიმედოობა და სისრულე, დაკვირვების ერთეულების შესადარისობა.
- ✓ სტატისტიკური დაკვირვების ორგანიზების მეთოდოლოგიური საკითხები: სტატისტიკური დაკვირვების მთავარი მიზანია სარწმუნო ინფორმაციის მიღება შესასწავლი მოვლენებისა და პროცესების შესახებ. სამართალდამცავი ორგანოების სფეროში მისი ძირითადი პრაქტიკული მიზანია ყოველი გამოვლენილი დანაშაულის და მისი ჩამდენი პირის რეგისტრაცია და აღრიცხვა პირველადი აღრიცხვის დოკუმენტებში.
- ✓ სტატისტიკური დაკვირვების ობიექტს სამართლებრივ სტატისტიკაში წარმოადგენს სოციალურ-სამართლებრივი მოვლენებისა და პროცესების, ფაქტებისა და შემთხვევების ერთობლიობა. ობიექტის განსაზღვრისას აუცილებელია მისი რაოდენობრივი, სივრცობრივი (დაკვირვების ტერიტორიის) და დროითი (დაკვირვების პერიოდის) ფარგლების დადგენა, ასევე არსებითი ნიშნების მითითება. სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის ობიექტები; სამოქალაქოსამართლებრივი სტატისტიკის ობიექტები; ადმინისტრაციულსამართლებრივი სტატისტიკის ობიექტები. დაკვირვების ერთეული, ანგარიშების ერთეული და საზომი ერთეული სოციალურ-სამართლებრივ მოვლენებზე სტატისტიკური დაკვირვებისას.
- ✓ სტატისტიკური დაკვირვების პროგრამა მკაფიოდ ფორმულირებული შეკითხვების ერთობლიობაა, რომლებზედაც მიღებულ უნდა იქნას სარწმუნო პასუხი დაკვირვების ყოველ ერთეულთან მიმართებით.
- ✓ სტატისტიკური დაკვირვების ორგანიზაციული ფორმები: ანგარიშგება და სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვება.
- ✓ სტატისტიკური დაკვირვების სახეები შეიძლება დაიყოს ფაქტების რეგისტრაციის ვადების (უწყვეტი, წყვეტილი) და დაკვირვების ერთეულების მოცვის (სრული, არასრული) მიხედვით. არასრული დაკვირვება შეიძლება იყოს მონოგრაფიული, შერჩევითი ან წარმოებდეს ძირითადი მასივის მეთოდის გამოყენებით. შერჩევითი დაკვირვება - დაკვირვების ორგანიზების ხერხია, რომლის დროსაც კვლევას ექვემდებარება არა გენერალური ერთობლიობა, არამედ მისი

განსაზღვრული ნაწილი. შერჩევითი კვლევისას მიღებული შედეგები ვრცელდება გენერალურ ერთობლიობაზე.

- ✓ სტატისტიკური დაკვირვების ხერხები: უშუალო დაკვირვება, დოკუმენტური დაკვირვება და გამოკითხვა (ინტერვიუ, ანკეტირება)
- ✓ ანკეტის სტრუქტურა, მისი ნაწილები (შესავალი, სტატუსი, ძირითადი, დასკვნითი) შესავალში განმარტებულია ანკეტის შევსების წესი რესპონდენტათვის, სტატუსის ნაწილი შეიცავს დამხმარე კითხვებს რესპონდენტის სოციალურ-დემოგრაფიული სტატუსის შესახებ, ძირითად ნაწილში განთავსებულია იურიდიული მნიშვნელობის შეკითხვები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან კვლევის თემას. დასკვნით ნაწილში რესპონდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი შესასწავლი თემის ირგვლივ.
- ✓ ინტერვიუს სახეები: თავისუფალი, სტანდარტიზებული (ფორმალური), პანელური, ჯგუფური.

თემის შესწავლის მიზნები:

- ✓ სამართლებრივი სტატისტიკური ინფორმაციის მიღების სახეებისა და ხერხების გაცნობა;
- ✓ სამართლებრივ მოვლენებსა და პროცესებზე სტატისტიკური დაკვირვების მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესწავლა;
- ✓ სამართლებრივი და იურიდიულად მნიშვნელოვანი მოვლენებისა და პროცესების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების ხერხისა და სახის შერჩევის უნარ-ჩვევების შექმნა-განვითარება;

თემის შესწავლის ამოცანები:

- ✓ დაკვირვების ერთეულისა და ობიექტის განსაზღვრა სამართლებრივი სტატისტიკური კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე;
- ✓ სამართლებრივი სტატისტიკური ინფორმაციის მიღების ძირითადი ფორმების, სახეებისა და ხერხების ცოდნა;
- ✓ სამართლებრივი სტატისტიკური ინფორმაციის მიღების ხერხების ანალიზი.

თემის შესწავლისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება შემდეგ ცნებებზე:

- ✓ სტატისტიკური დაკვირვება;
- ✓ სტატისტიკური დაკვირვების ობიექტი;
- ✓ დაკვირვების ერთეული;

- ✓ ანგარიშგების ერთეული
- ✓ საზომი ერთეული
- ✓ მიმდინარე დაკვირვება;
- ✓ სრული დაკვირვება;
- ✓ არასრული დაკვირვება
- ✓ შერჩევითი დაკვირვება.

თემის შესწავლის თანმიმდევრობა:

1. თეორიული მასალის შესწავლა;
2. პრაქტიკული დავალების შესრულება;
3. პასუხი ტესტურ შეკითხვებზე.

დამატებითი ლიტერატურა:

1. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში ლია წულაძე თბილისი 2008
http://css.ge/files/Books/Books/raodenobrivi_kvlevis_meTodebis_saxelomzgv
2. სიმონ გელაშვილი, ზამირა შონია, რუსუდან ქინქლაძე - სოციალური სტატისტიკა, თბილისი 2013-
3. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/socialuri%
4. Dodge, Y. (2006) *The Oxford Dictionary of Statistical Terms*, OUP, ISBN 0-19-920613-
5. Singh, Yogesh Kumar *Fundamentals Of Research Methodology And Statistics* <https://archive.org/details/1.fundamentalOfResearchMethodologyAndStatisti>
6. Теория статистики: Учеб. для вузов / Под ред. Р.А. Шмойловой. <http://www.alleng.ru/d/econ/econ324.htm>
7. Теория статистики. Учеб. для вузов / Под ред. Р.А. Шмойловой.
8. Герчук Я.П. Графические методы в статистике. – М., 1968.
9. Иванов О.В. Теория статистической группировки. – М., 1992.
10. Лунеев В.В. Юридическая статистика. – Гл. 8. – С. 204-243. http://www.pravo.vuzlib.su/book_z975_22.html
11. Савюк Л.К. Правовая статистика <http://www.alleng.ru/d/jur/jur686.h>

4.1. სტატისტიკური დაკვირვების ცნება

დაკვირვება სამეცნიერო კვლევის მეთოდია და გულისხმობს ობიექტის მიზანმიმართულ, აქტიურ, სისტემატურ და გეგმიურ შეცნობას, რომლის მსვლელობისას ხდება ამ ობიექტის გარეგნული ნიშნების, თვისებების, სხვა ობიექტებთან და გარემოსთან მისი ურთიერთქმედების შესწავლა.

დაკვირვების ელემენტებია: დამკვირვებელი (დაკვირვების სუბიექტი), დაკვირვების ობიექტი და დაკვირვების საშუალებები. ეს უკანასკნელი

შეიძლება იყოს ადამიანის გრძნობათა ორგანოების გამაძლიერებელი სპეციალური ხელსაწყოები, ასევე ობიექტზე ზემოქმედების იარაღები, რომელთა გამოყენება დაკვირვებას ექსპერიმენტის შემადგენელ ნაწილად აქცევს.

დაკვირვების მიმართ წაყენებული მეთოდოლოგიური მოთხოვნებია:

1. აქტიურობა - არა უბრალო მეთვალყურეობა ობიექტზე, არამედ მკვლევარისთვის საინტერესო ნიშნების მოძიება და ფიქსაცია;
2. მიზანმიმართულება - ყურადღების ფიქსაცია მხოლოდ კვლევისთვის საინტერესო მოვლენებზე;
3. გეგმიურობა - წინასწარ შემუშავებული გეგმის ან სცენარის მიხედვით მოქმედება;
4. სისტემატურობა - ობიექტზე მრავალჯერადი დაკვირვება წინასწარ განსაზღვრულ სხვადასხვა რეჟიმში.

დაკვირვების მსვლელობაზე და შედეგებზე მეთვალყურეობას, კვლევის კვლავწარმოების შესაძლებლობას განიხილავენ სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზების მეთოდოლოგიურ დონეზე. დაკვირვების მსვლელობისას გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური ფაქტორებიც, რომლებიც განსაზღვრავენ დამკვირვებლის მდგომარეობას, მისი აქტივობის დონეს.

თანამედროვე სამეცნიერო მეთოდოლოგიაში დაკვირვება იშვიათად განიხილება, როგორც დამოუკიდებელი და უნივერსალური კვლევის მეთოდი, ყველაზე მარტივ შემთხვევებშიც კი. რთული კვლევების პროცესში ის აუცილებელ, მაგრამ გამოყენებით მეთოდს წარმოადგენს.

დაკვირვების მეთოდის ძირითადი თავისებურებებია: დამკვირვებლის უშუალო კავშირი დაკვირვების ობიექტთან; ემოციური ელემენტის არსებობა დაკვირვების პროცესში; განმეორებითი დაკვირვების სირთულე (ზოგჯერ კი შეუძლებლობა). ბუნებრივ პირობებში დამკვირვებელი, როგორც წესი, არ ახდენს ზეგავლენას შესასწავლ პროცესზე (მოვლენაზე).

სოციალურ დისციპლინებში (სოციოლოგია, კრიმინოლოგია, სტატისტიკა) დაკვირვების მეთოდის გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სოციოლოგიის ფარგლებში პირველად იქნა შემოთავაზებული დაკვირვების პრინციპულად ახალი სქემა, რომლის დროსაც დამკვირვებელი თავადაა ჩართული საკვლევი ობიექტის შიგნით მიმდინარე სოციალურ პროცესებში. ეს ე. წ. ჩართული დაკვირვება და ჩართულობის ხარისხი განსხვავებულია სხვადასხვა კვლევის წარმოებისას.

სტატისტიკური დაკვირვება მასობრივი, გეგმური, სისტემატური, მეცნიერულად ორგანიზებული დაკვირვებაა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე მოვლენებსა თუ პროცესებზე და გულისხმობს სტატისტიკური ერთობლიობის შემადგენელი ცალკეული ერთეულისთვის დამახასიათებელი ნიშნების შეგროვებასა და რეგისტრაციას.⁵⁷ უტყუარი სტატისტიკური მონაცემების მისაღებად საჭიროა საკმარისად დიდი ოდენობით ერთეულზე დაკვირვება, რაც წარმოებს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით. გეგმის შემუშავება ხდება კვლევის მეთოდოლოგიის, მისი ორგანიზებისა და მიღებული მონაცემების საიმედოობაზე კონტროლის შესაძლებლობის გათვალისწინებით. კვლევას აწარმოებენ სისტემატურად - პერიოდულად ან რეგულარულად, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამის შესაბამისად.

სოციალურ მეცნიერებებში დაკვირვების ქვეშ იგულისხმება კონკრეტული სოციალურ-სამართლებრივი მოვლენისა თუ პროცესის მიზანმიმართული აღქმა და შედეგების გარკვეული ფორმით დაფიქსირება.

დაკვირვების სახეებია:

- რაოდენობრივი დაკვირვება;
- თვისებრივი დაკვირვება.

თვისებრივ დაკვირვებას ადამიანები უძველესი დროიდან გამოიყენებდნენ, რაოდენობრივი დაკვირვება კი თანამედროვე მეცნიერების ფორმირების პარალელურად ვითარდება და მჭიდრო კავშირშია გაზომვის თეორიისა და საზომი ტექნიკის განვითარებასთან. რაოდენობრივი დაკვირვების წარმოებაში ფართოდ გამოიყენება მათემატიკური მეთოდები. ჩვეულებრივ, დაკვირვება ჩართულია ხოლმე ექსპერიმენტში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. დაკვირვების პროცესი მოიცავს, ასევე, შედეგების ინტერპრეტაციას, ხელსაწყოების მაჩვენებლების გაშიფვრას და ა. შ. დაკვირვების შედეგია ობიექტის შესახებ ამოსავალი მონაცემების ფიქსაცია, რისთვისაც გამოიყენება სქემები, გრაფიკები, დიაგრამები, ცხრილები, ნახატები და სხვ.⁵⁸

სამეცნიერო დაკვირვება, არსობრივად, იგივეა, რაც საყოფაცხოვრებო დაკვირვება. სამეცნიერო დაკვირვების წარმოებისას მხედველობაში მიიღება დროის ფაქტორი; დამკვირვებლის ემოციური ფონი ამ დროს ნეიტრალურია, ყურადღება - გამახვილებული; დაკვირვების მსვლელობა

⁵⁷ <http://www.grandars.ru/student/statistika/vidy-statisticheskogo-nablyudeniya.html>

⁵⁸ История и философия науки: учеб. пособие для аспирантов Авторы: Под ред. А. Мамзин. М., 2008 с. 77

და მისი შედეგები ექვემდებარება დოკუმენტირებას. დაკვირვება მჭიდრო კავშირშია გაზომვასთან, რომლის პროცესშიც დგინდება მოცემული სიდიდის ფარდობა საზომ ერთეულად მიჩნეულ ერთგვაროვან სიდიდესთან. გაზომვის შედეგი გამოისახება რიცხობრივად.

დაკვირვების ძირითადი ტიპებია ჩართული და ჩართვის გარეშე მიმდინარე დაკვირვება. ჩართული დაკვირვება გულისხმობს მოვლენებზე დაკვირვებას კვლევის ობიექტის შიგნით დამკვირვებლის ანონიმური ინტეგრაციის შედეგად.

ჩართვის გარეშე მიმდინარე დაკვირვების მაგალითია ოპერატიული კრიმინოლოგიური დაკვირვება არასრულწლოვან დამნაშავეთა ჯგუფზე, მისი შიდა იერარქიის და დევიანტური ქცევის მექანიზმის განსაზღვრისათვის. ამ დროს მკვლევარი უშუალოდ არ მონაწილეობს ობიექტის საქმიანობაში, ობიექტმა კი არ იცის, რომ აკვირდებიან.

ჩართული დაკვირვების შემთხვევაში დამკვირვებელი უშუალოდ მონაწილეობს კვლევის ობიექტის (მაგალითად, დამნაშავეთა ჯგუფის) საქმიანობაში, და, როგორც წევრს, შეუძლია გავლენა იქონიოს ან მართოს ექსპერიმენტული ფაქტორები ობიექტის შიგნიდან. ჩართული პირი არაერთ სირთულეს აწყდება დაკვირვების პროცესში, ის ზოგჯერ კარგავს ობიექტურობის შეგრძნებას, ირგებს რა დაჯგუფების წევრის როლს. გარდა ამისა, ზოგიერთი სპეციალისტი ეჭვს გამოთქვამს დაკვირვების ობიექტის წევრად სოციოლოგის შენიღბვის ეთიკურობასთან დაკავშირებით. თუმცა, აღნიშნული მეთოდის დადებითი მხარე უდავოა. მკვლევარი „შიგნიდან“ აკვირდება ჯგუფს, მის წევრებს, რაც საშუალებას აძლევს სიღრმისეულად გააანალიზოს მათი ქცევა, სწორი შეფასება მისცეს ჯგუფში არსებულ წინააღმდეგობებს, ან, პირიქით, წევრთა ერთიანობას.

დაკვირვების კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდება.

1. ფორმალიზების ხარისხის მიხედვით დაკვირვება შეიძლება იყოს სტანდარტიზებული (standardized observation) და არასტანდარტიზებული. სტანდარტიზებული დაკვირვების დროს წინასწარ განსაზღვრულია არამართო დაკვირვების საგანი და ობიექტი, არამედ შესასწავლი პროცესის ელემენტების შემადგენლობა; ასევე, განსაზღვრულია დაკვირვებას დასაქვემდებარებელი ფაქტორები და მათი ასახვის ხერხები (ცხრილების, ბარათების და სხვათა გამოყენებით). მაგალითად, სასამართლო სხდომებზე დაკვირვება სპეციალურად შემუშავებული ბლანკების - ანკეტების მეშვეობით). არასტანდარტიზებული (იგივე, არასტრუქტურული) დაკვირვების დროს დადგენილია მხოლოდ დაკვირვების ობიექტი და

მკვლევარი წინასწარ არ განსაზღვრავს შესასწავლი პროცესის, მოვლენისა თუ სიტუაციის რომელ ელემენტებს დააკვირდება.⁵⁹

2) შესასწავლ მოვლენაში დამკვირვებლის როლისა და მდგომარეობის მიხედვით, განარჩევენ ჩართულ დაკვირვებას და დაკვირვებას ჩართვის გარეშე. ჩართული დაკვირვების დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამკვირვებელი უშუალოდ მონაწილეობს შესასწავლ სოციალურ პროცესში, მოქმედებს დაკვირვების ობიექტის შიგნით, როგორც მისი წევრი. დამკვირვებელი საკუთარ როლს შეიძლება არც მაღავდეს ან, პირიქით, მისი ინტერაცია ობიექტის შიგნით შესაძლოა ანონიმური იყოს (მაგალითად, მარგინალურ დაჯგუფებებზე დაკვირვების წარმოებისას). ჩართვის გარეშე დაკვირვების დროს დამკვირვებელი მოვლენებს გარედან აკვირდება, არ მონაწილეობს ჯგუფის (ობიექტის) საქმიანობაში და არ ამყარებს პირდაპირ კავშირს მის წევრებთან.

სამართლებრივი სტატისტიკური დაკვირვება - ნებისმიერი სამართლებრივად ან იურიდიულად მნიშვნელოვანი მოვლენისა და პროცესის სტატისტიკური კვლევის პირველი ეტაპია, რომელზეც ხდება მონაცემების მეცნიერულად ორგანიზებული შეკრება, დადგენილი ფაქტების სააღრიცხვო დოკუმენტებში რეგისტრაციის გზით, მათი შემდგომი განზოგადების მიზნით.

ნებისმიერი სტატისტიკური დაკვირვება, პირველ რიგში, იწყება ამოსავალი სტატისტიკური მონაცემების მიღებით (მაგალითად, სამართალდარღვევების, სასამართლო გადაწყვეტილებების და სხვა იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტების აღრიცხვით), რასაც თან სდევს დადგენილი ფაქტების გადანაწილება შესაბამის ერთობლიობებში (მიღებული მონაცემები, რაიმე ნიშნის მიხედვით, ნაწილდება აღრიცხვის სხვადასხვა ფორმაში).

კვლევის შედეგები და დასკვნების ობიექტურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სტატისტიკური დაკვირვების ჩატარების ხარისხზე და მის სწორ მეცნიერულ ორგანიზებაზე, ამიტომ სტატისტიკურ დაკვირვებას წაყენება რიგი მოთხოვნები, რომელთაგან უმთავრესია ამოსავალი ინფორმაციის საიმედოობა და სისრულე.

მონაცემთა საიმედოობა (მათი შესაბამისობა საქმის ფაქტობრივ ვითარებასთან) განისაზღვრება რიგი მიზეზებით: სტატისტიკური

⁵⁹ Добреньков В.И., Кравченко А.И. -Методы социологического исследования, 2004

პერსონალის პროფესიონალიზმით, დაკვირვების პროგრამის სრულყოფილებით, მაჩვენებლების სოციალური შინაარსით (მაგალითად, დანაშაულის რაოდენობაზე მონაცემების განზრახ დამახინჯება) და ა. შ.

ობიექტური სტატისტიკური მონაცემების მიღებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სტატისტიკური კვლევის მასობრივი ხასიათი, რაც გულისხმობს შესასწავლი პროცესის გამოვლენის ფაქტების საკმარისად დიდ რაოდენობას.

სამართლებრივი სტატისტიკური დაკვირვება აუცილებლად უნდა ატარებდეს სისტემატურ ხასიათს, ვინაიდან მხოლოდ უწყვეტი და რეგულარული დაკვირვება იძლევა რაოდენობრივად და ხარისხობრივად ცვლადი სამართლებრივი პროცესების კანონზომიერებებისა და ტენდენციების შესწავლის საშუალებას.

სტატისტიკური დაკვირვების უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა დაკვირვების ერთეულთა შესადარისობა (ურთიერთშედარების შესაძლებლობა). მაგალითად, შეუძლებელია ერთმანეთს შევადაროთ, ერთი მხრივ, დანაშაულებრივი ქმედებებით (დანაშაულის ფაქტებით), მეორე მხრივ კი დანაშაულის სუბიექტებით (მათი ჩამდენი პირებით) გაზომილი დანაშაულობა, იმდენად რამდენადაც, ერთი დანაშაული შეიძლება ჩადენილი იყოს პირთა ჯგუფის მიერ, ერთ პირს კი შეუძლია ჩაიდინოს რამდენიმე დანაშაული.

მონაცემთა შესადარისობა მიიღწევა მონაცემთა აღრიცხვის (რეგისტრირების) მეთოდების, დაკვირვების პროგრამის, დაკვირვების ვადებისა და დროის ერთიანობით (მაგალითად, დანაშაული რეგისტრირდება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მომენტში, ხოლო დანაშაულის ჩამდენი პირები აღირიცხებიან პროკურორის მიერ საბრალდებო დასკვნის დამტკიცების მომენტში.

სამართლებრივ სფეროში სტატისტიკური დაკვირვება შეიძლება აწარმოონ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებმა, სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, სასამართლოს და სამართალდამცავი ორგანოების შესაბამისმა სამსახურებმა.

აღრიცხვისა და ანგარიშების შინაარსი, სტატისტიკური დაკვირვების ხასიათი დამოკიდებულია მის მიზნებსა და ამოცანებზე, რომლებიც, თავის მხრივ, განისაზღვრება იურიდიული პრაქტიკის მოთხოვნებიდან და

სტატისტიკური დაკვირვების მწარმოებელი ორგანიზაციების შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

4.2. სტატისტიკური დაკვირვების ორგანიზების მეთოდოლოგიური საკითხები

სტატისტიკური დაკვირვება სამართლებრივ სტატისტიკაში ნებისმიერი სამართლებრივი და იურიდიული მნიშვნელობის მოვლენის სტატისტიკური შესწავლის საწყისი ეტაპია და მისი შედეგები უშუალოდაა დამოკიდებული დაკვირვების სწორ, მეცნიერულად დასაბუთებულ ორგანიზებაზე.

სამართლებრივი სტატისტიკური დაკვირვების ორგანიზების მეთოდოლოგიურ საკითხებს მიეკუთვნება:

1. დაკვირვების მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა;
2. დაკვირვების ობიექტისა და ერთეულის დადგენა;
3. დაკვირვების პროგრამის შედგენა;
4. დაკვირვების სახეობისა და ხერხის არჩევა.⁶⁰

1. სამართლებრივ-სტატისტიკური დაკვირვების მიზნები მრავალგვარია. თითოეული მათგანი გამომდინარეობს რეალურად არსებული სოციალურ-სამართლებრივი საჭიროებიდან. მაგალითად, დანაშაულობის შესწავლისას დაკვირვების მიზნად შეიძლება იქცეს აღრიცხული დანაშაულის დონის მონიტორინგი, რესპუბლიკის, ქალაქების და ა. შ. დონეებზე შეიძლება წარმოიშვას ამა თუ იმ სამართლებრივი მოვლენის შესწავლის სპეციფიკური საჭიროება, მაგალითად, უფრო დეტალური ცნობების მიღების აუცილებლობა დანაშაულობის შესახებ, როდესაც ცნობები გროვდება არამართო აღრიცხვისა და ანგარიშების საერთო-სახელმწიფოებრივი ფორმებიდან.

ნებისმიერი სტატისტიკური დაკვირვების მთავარი მიზანია უტყუარი ინფორმაციის მიღება შესასწავლ პროცესსა და მოვლენაზე მათი განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერებების დასადგენად. სამართალდამცავი ორგანოების სფეროში სტატისტიკური დაკვირვების ძირითადი პრაქტიკული მიზანია ყველა გამოვლენილი დანაშაულისა და მისი ჩამდენი პირის რეგისტრაცია და აღრიცხვა შესაბამის პირველადი

⁶⁰ Ниворожкина Л. И. Статистическое наблюдение // Ниворожкина Л. И. Теория статистики — Ростов на Дону: «Мини Таип», «Феникс», 2005

აღრიცხვის დოკუმენტებში. ანალიზისთვის აუცილებელი სრული მონაცემების მისაღებად, დაკვირვების მიზანი ნათლად და მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს. მიზნის შესაბამისად განისაზღვრება კონკრეტული ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა ხდება სტატისტიკური დაკვირვების პროცესში.

სტატისტიკური დაკვირვების ამოცანები, თავის მხრივ, გამომდინარეობს სტატისტიკური კვლევის ამოცანებიდან, რომელთა განსაზღვრა სამართალდამცავი ორგანოების ან სახელმწიფოს რეალური სოციალურ-სამართლებრივი საჭიროების შესაბამისად ხდება და მრავალფეროვნებით ხასიათდება. სტატისტიკური დაკვირვების მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის დროს აუცილებელია იმ ორგანიზაციების პრაქტიკული შესაძლებლობების მხედველობაში მიღება, რომლებსაც სამართლებრივი და იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოვლენებზე დაკვირვება ევალებათ.

2. სტატისტიკური დაკვირვების მიზნის მიხედვით ხდება დაკვირვების ობიექტის შერჩევა.

სამართლებრივ-სტატისტიკური დაკვირვების ობიექტი იმ სოციალურ-სამართლებრივი მოვლენებისა და პროცესების, ფაქტებისა და შემთხვევების ერთობლიობაა, რომლებზეც დაკვირვება უნდა განხორციელდეს. თუ, მაგალითად, კვლევის მიზანი აღრიცხული დანაშაულის დონის მონიტორინგია, დაკვირვების ობიექტი შეიძლება იყოს დანაშაულის ჩამდენი პირები. სამართლებრივ სტატისტიკაში დაკვირვების ობიექტის განსაზღვრისას დადგენილ უნდა იქნას სივრცის, დროის და ობიექტის რაოდენობრივი საზღვრები. მნიშვნელოვანია წინასწარ განისაზღვროს დაკვირვების ტერიტორია (რაიონი, ქალაქი და სხვ.), დაკვირვების პერიოდი (თვე, წელი და ა. შ.), უნდა მიეთითოს ობიექტის არსობრივი, სხვა ობიექტებისგან მისი განმასხვავებელი ნიშნები (მაგალითად, დანაშაულობის შესწავლისთვის აღრიცხვას ექვემდებარებიან პირები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული და არა ადმინისტრაციული ან სხვა სახის სამართალდარღვევა).

სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის კონკრეტული ობიექტებია: დანაშაული, დანაშაულის ჩამდენი პირი, ასევე, სასჯელი, ანუ სახელმწიფო იძულების ზომა, რომელიც სასამართლოს მიერ ინიშნება.

სამოქალაქო-სამართლებრივი სტატისტიკის კონკრეტული ობიექტებია: დავა სამოქალაქო სამართალში (სამოქალაქო საქმე), სამოქალაქო პროცესის მხარეები (მოსარჩელე, მოპასუხე), სასამართლო განჩინება.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატისტიკის ობიექტებია: ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, მათი ჩამდენი პირები, ადმინისტრაციული სასჯელის ზომები.

სტატისტიკური დაკვირვების ნებისმიერი ობიექტი შედგება ცალკეული ელემენტისგან. ამიტომ დაკვირვების ობიექტის განსაზღვრისას, აუცილებელია დაკვირვების ერთეულის საკითხის გადაწყვეტაც.

სამართლებრივ სტატისტიკაში დაკვირვების ერთეული სტატისტიკური დაკვირვების ობიექტის (გამოსაკვლევ ერთობლიობის) პირველადი ელემენტია, შესასწავლი (აღსარიცხი, სარეგისტრაციო) იურიდიული ნიშნებით. სამართლებრივ სტატისტიკაში დაკვირვების ერთეული შეიძლება იყოს დანაშაული, მისი ჩამდენი პირი, სამოქალაქო საქმე, მოსარჩელე და ა.შ. არ შეიძლება დაკვირვების ერთეულის გაიგივება ანგარიშგების ერთეულთან. ანგარიშგების ერთეული წყაროა, საიდანაც შემოდის პირველადი სტატისტიკური ინფორმაცია. სისხლისსამართლებრივ სტატისტიკაში ასეთია, მაგალითად, პოლიციის განყოფილება, პროკურატურა, სასამართლო და ა.შ.

არსებობს საზომი ერთეულის ცნებაც, რომელიც უჩვენებს, თუ რა სიდიდეებით ხდება სამართლებრივი სტატისტიკის ფარგლებში შესასწავლი სოციალურ-სამართლებრივი მოვლენების აღრიცხვა. სისხლის სამართლის იუსტიციის ორგანოების სტატისტიკურ ანგარიშგებაში დანაშაულობის საზომად გამოიყენება სამი ასეთი ერთეული: სისხლის სამართლის საქმე (გამოძიება ან სასამართლო წარმოება), დანაშაული (სახეობების მიხედვით), დანაშაულის სუბიექტი (პირთა მიხედვით: ექვმიტანილი, ბრალდებული, მსჯავრდებული, გასამართლებული, პატიმარი). მხედველობაშია მისაღები, რომ შეიძლება შეუძლებელი იყოს დანაშაულის სუბიექტების შედარება სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე: ყველა ექვმიტანილი არ იქცევა ბრალდებულად და არც ყველა ბრალდებული - მსჯავრდებულად და ა.შ.

სამართლებრივ სტატისტიკაში სტატისტიკური დაკვირვებისადმი წაყენებული მნიშვნელოვანი მოთხოვნაა საზომი ერთეულების შედარების შესაძლებლობა, ანუ, მათი შესადარისობა. მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს სისხლის სამართლის საქმით, დანაშაულით, დანაშაულის სუბიექტით გაზომილი დანაშაულობა. ასე მაგალითად, რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობა, როგორც წესი, რიცხობრივად სჭარბობს დანაშაულის ჩამდენ პირთა რიცხვს, იმდენად რამდენადაც, საგამოძიებო და

ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ხდება დანაშაულის ჩამდენ პირთა მხოლოდ ნაწილის გამოვლენა, რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა კი მოიცავს იმ დანაშაულებსაც, რომელთა გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირები ჯერ არ გამოვლენიან; ასევე, ერთ სისხლის სამართლის საქმეში შეიძლება გაერთიანებული იყოს რამდენიმე დანაშაული, ერთი დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას პირთა ჯგუფის მიერ, ერთი და იგივე პირმა კი შეიძლება ჩაიდინოს რამდენიმე დანაშაული.

3. სტატისტიკური დაკვირვების პროგრამის შემუშავება ხდება სტატისტიკური დაკვირვების ობიექტის, მიზნისა და ამოცანების შესაბამისად ნებისმიერი სამართლებრივ-სტატისტიკური კვლევის ორგანიზებისას.

სტატისტიკური დაკვირვების პროგრამა მკაფიოდ ფორმულირებული შეკითხვების ერთობლიობაა, რომლებზედაც მიღებულ უნდა იქნას სარწმუნო პასუხი დაკვირვების ყოველი ერთეულის მიმართ. პროგრამის შინაარსი დამოკიდებულია ობიექტის კვლევის სპეციფიკასა და მიზნებზე. მაგალითად, დამნაშავის პიროვნების შესწავლის დროს დაკვირვების პროგრამა უნდა შეიცავდეს კითხვებს დამნაშავეთა სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემების შესახებ. სწორად შედგენილი დაკვირვების პროგრამა და მონაცემთა საიმედოობის უზრუნველყოფა სტატისტიკური დაკვირვების წარმატებით ჩატარების წინაპირობაა.

დაკვირვების პროგრამაში არასასურველია ორაზროვანი, ასევე, ისეთი შეკითხვების შეტანა, რომლებზე პასუხიც არ ემსახურება კონკრეტული კვლევის ამოცანის გადაწყვეტას ან უნდობლობას აღძრავს რესპონდენტში (მაგალითად, ნასამართლობაზე ანონიმური გამოკითხვის წარმოებისას კითხვების დასმა სოციალურ-დემოგრაფიულ მონაცემების შესახებ). შეკითხვა ზუსტად უნდა იქნას ფორმულირებული და აირეკლოს უშუალოდ შესასწავლი მოვლენისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნები.


კვლევის ძირითადი ინსტრუმენტი სტატისტიკური ფორმულარია (ფორმა, ანკეტა, აღრიცხვის ბარათი და ა. შ.), რომლებშიც ასახულია სტატისტიკური დაკვირვების პროგრამის კითხვები და მათზე პასუხები. გამოყოფენ ორი ტიპის ფორმულარს - ინდივიდუალურს და ერთობლივს.⁶¹

ინდივიდუალური ფორმულარი განკუთვნილია დაკვირვების ერთი ერთეულის ნიშნების რეგისტრაციისთვის. მისი მაგალითია პირველადი

⁶¹ Неганова. Л. М.- Статистика: Конспект лекций http://www.e-reading.club/bookreader.php/98881/Neganova_-_Statistika__konspekt_lekciii.html

აღრიცხვის სტატისტიკური ბარათი გამოვლენილ დანაშაულზე, რომელსაც ავსებს გამომძიებელი ან პროკურორი სისხლის სამართლის საქმის აღძვრისთანავე. ერთობლივ ფორმულარში რეგისტრირდება რამდენიმე დაკვირვების ერთეულის ნიშნები, როგორც განსახილველ სასამართლო საქმეთა სიაში, სადაც რამდენიმე ცალკეული საქმეა მითითებული. ერთობლივ ფორმულარს შეიძლება მივაკუთვნოთ დანაშაულების, სისხლის სამართლის საქმეების, დანაშაულის ჩამდენი პირების აღრიცხვის ჟურნალი, რომლებშიც შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ შეიტანება პირველადი აღრიცხვის ბარათის სტატისტიკური მონაცემები.

გრაფიკი#3. სტატისტიკური დაკვირვების სახეები



4.3. სტატისტიკური დაკვირვების ორგანიზაციული ფორმები, სახეები და ხერხები

სტატისტიკური დაკვირვების ორგანიზაციულ ფორმებს მიეკუთვნება ანგარიშგება და სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვება.

იურიდიულ დაწესებულებებში ორგანიზებული ანგარიშგება სამართლებრივი სტატისტიკური ინფორმაციის მთავარი წყაროა, რომელიც წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ დოკუმენტს და შეიცავს ინფორმაციას იურიდიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ, ასახულს სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულ სააღრიცხვო ფორმაში.

სტატისტიკური ანგარიშგების ორგანიზების მეთოდები და ფორმები ერთმანეთისგან განსხვავდება იმ იურიდიული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თავისებურებების მიხედვით, რომელთა მიმართაც ხდება მათი გამოყენება.

ანგარიშგება ეფუძნება დაკვირვების ობიექტის შესახებ პირველადი მონაცემების შეგროვებასა და განზოგადებას. მონაცემების პირველადი აღრიცხვა ხდება სხვადასხვა ფაქტისა და შემთხვევის რეგისტრაციით მათი მოხდენის პარალელურად.

ოფიციალური საერთო სახელმწიფო ანგარიშგების ორგანიზებას (მათ შორის, სამართლებრივ სფეროშიც) უზრუნველყოფს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.⁶² ანგარიშგების წარმოება სავალდებულოა საკუთრების ყველა ფორმის დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, რაც შემდგომ წარედგინება სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს.

საერთო სახელმწიფო ანგარიშგების გარდა, არსებობს შიდაუწყებრივი ანგარიშგებაც. მას ამტკიცებს უწყების ხელმძღვანელობა და სამინისტროებისა და უწყებების მიერ გამოიყენება თავიანთი ოპერატიული საჭიროებისთვის. იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების საუწყებო არხები, სადაც ჩაედინება სამართალდამცავი და იუსტიციის ორგანოების სრული ანგარიშგება, სამართლებრივი სტატისტიკისთვის ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა.⁶³

სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვება გულისხმობს მონაცემთა შეკრებას სპეციალურად ორგანიზებული ერთდროული გამოკვლევების, ანკეტური გამოკითხვის, აღწერის და ინფორმაციის შეგროვების სხვა მეთოდებით.

⁶² http://www.geostat.ge/?action=page&p_id=757&lang=geo

⁶³ www.police.ge

სამართლებრივ სტატისტიკაში ამ მეთოდს გამოიყენებენ მაშინ, როდესაც რაიმე მოვლენისა თუ პროცესის შესწავლისათვის საჭირო ხდება იმ სამართლებრივი ხასიათის მონაცემებისა და მაჩვენებლების მიღება, რომელთაც არ მოიცავს საერთო სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგება. იურიდიულ კვლევებში დაკვირვების ეს სახე საკმაოდ ფართოდ გამოიყენება (მაგალითად, დანაშაულობის და მისი მიზეზების შესწავლისთვის ცალკეულ რაიონში, დანაშაულთან ბრძოლის ღონისძიებების ეფექტურობის გამოვლენისთვის და სხვ.)

სტატისტიკური დაკვირვების სახეები შეიძლება დაიყოს სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე:

1. ფაქტების რეგისტრაციის დროის/ვადების მიხედვით სტატისტიკური დაკვირვება შეიძლება იყოს უწყვეტი/მიმდინარე/სისტემატური და წყვეტილი (პერიოდული და ერთდროული)

უწყვეტი დაკვირვება ეს მუდმივი, სისტემატური რეგისტრაციაა ფაქტების მათი წარმოქმნის პარალელურად. ამიტომ სოციალურ-სამართლებრივი კვლევა, როგორც წესი, ეფუძნება სამართალდარღვევებზე, სამოქალაქო-სამართლებრივ გადაწყვეტილებებზე მიმდინარე დაკვირვებას, მათ უწყვეტ რეგისტრაციას დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კანონმდებლობის შეცვლის, მოსახლეობის დინამიკისა და სხვათა გათვალისწინებით.

პერიოდული დაკვირვება ტარდება დროის განსაზღვრულ შუალედებში (პერიოდებში) და გულისხმობს მონაცემების რეგისტრაციას საჭიროების შესაბამისად. მისი ერთ-ერთი მაგალითია სამართალდამცავი ორგანოების პირადი შემადგენლობის პერიოდული აღწერა.

ერთდროული დაკვირვება ტარდება რაიმე მოვლენის ან პროცესის კონკრეტული კვლევისას, რომლის შედეგების ასახვაც არ მოხდა მიმდინარე ანგარიშგების მაჩვენებლებში.

სოციალურ-სამართლებრივ კვლევებში პერიოდული და ერთდროული სტატისტიკური დაკვირვება იშვიათად გამოიყენება, იმდენად რამდენადაც, სერიოზული კრიმინოლოგიური ან დელიქტოლოგიური კვლევების ჩატარება უნდა ეფუძნებოდეს ოფიციალურ სტატისტიკურ ანგარიშგებას სხვადასხვა სამართალდამცავ ორგანოში, სადაც დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების აღრიცხვა უწყვეტად მიმდინარეობს.

2. გამოსაკვლევი ერთობლიობის ერთეულების მოცვის მიხედვით დაკვირვება შეიძლება იყოს სრული და არასრული. სრული დაკვირვების

დროს რეგისტრაციას ექვემდებარება ერთობლიობის ყველა ერთეული, გამონაკლისის გარეშე. სრული დაკვირვება საშუალებას გვაძლევს მივიღოთ სრული მონაცემები შესასწავლ მოვლენაზე (მაგალითად, ყველა რეგისტრირებული დანაშაულის სრული აღრიცხვა) ასეთი დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემები მეტად სარწმუნო და საიმედოა, მაგრამ შრომის დიდ დანახარჯს მოითხოვს და ტარდება ნიშნების შეზღუდული რაოდენობის მიმართ.

შრომითი და ფინანსური დანახარჯების შემცირების, დაკვირვების პროგრამის გაფართოების და მოვლენის უფრო დაწვრილებით შესწავლის საშუალებას იძლევა არასრული დაკვირვება, რომლის დროსაც რეგისტრაციას ექვემდებარება შესასწავლი ერთობლიობის ერთეულების მხოლოდ ნაწილი, რომლის საფუძველზეც მიიღება მთლიანი ერთობლიობის განზოგადებული დახასიათება.

განვიხილოთ არასრული დაკვირვების ძირითადი სახეები:

- *ძირითადი მასივის მეთოდი*, რომლის მიხედვითაც მონაცემთა შეგროვება ხდება ერთობლიობის მნიშვნელოვან ან მსხვილ ერთეულებზე დაყრდნობით, რომლებშიც ყველაზე სრულყოფილადაა წარმოჩენილი შესასწავლი მოვლენის მახასიათებლები. მაგალითად, რეგიონში კრიმინოლოგიური ვითარების შესასწავლად დეტალური სტატისტიკური დაკვირვების საწარმოებლად შეირჩევა გარკვეული მონაცემების (ტერიტორია, მოსახლეობის რიცხოვნობა, დანაშაულობის დონე და ა. შ.) მიხედვით დომინირებადი რაიონები (ქალაქები). ამავდროულად, საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ მიღებული შედეგების გავრცელება მთელ ერთობლიობაზე გარკვეულწილად პირობითია. თუ ძირითადი მასივი არასწორადაა შერჩეული, მისი რეპრეზენტატულობა შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს იმისთვის, რომ მთელ ერთობლიობაზე ვიმსჯელოთ.

- *მონოგრაფიული დაკვირვება* გულისხმობს ერთობლიობის ცალკეული ერთეულის სიღრმისეულ შესწავლას. უფრო ხშირად მას ატარებენ ამა თუ იმ მოვლენის ტენდენციების (არსებულისა თუ მოსალოდნელის) გამოსავლენად, შესასწავლი ობიექტის თავისებურებების განმაპირობებელი მიზეზების, ამ ობიექტის ნაკლისა თუ ღირსების დასადგენად მაშინ, როცა მათი შესწავლა არ ხერხდება მასობრივი დაკვირვების წარმოებით. მონოგრაფიულ დაკვირვებას, მაგალითად, მიმართავენ ცალკეული დაწესებულების გამოკვლევის მიზნით, რომლებშიც დაფიქსირებულია ეკონომიკური დანაშაულის ან, პირიქით, სამართლებრივი წესრიგის მაღალი დონე. დაკვირვების აღნიშნულ სახეს გამოიყენებენ იმ მონაცემების

მოსაპოვებლად, რომელთა მიღებაც ვერ ხერხდება სტატისტიკური ანგარიშგებიდან, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი კვლევის შედეგები დაბალი რეპრეზენტატულობით ხასიათდება.

– შერჩევითი დაკვირვება არასრული დაკვირვების ყველაზე გავრცელებული სახეა, რომლის დროსაც კვლევას ექვემდებარება არა მთლიანად ერთობლიობა, არამედ მისი მკაცრად განსაზღვრული ნაწილი, მიღებული შედეგები კი ვრცელდება მთლიან ერთობლიობაზე. საკვლევი ერთეულების შერჩევა ხდება იმგვარად, რომ მცირე მასშტაბში იქნას არეკლილი საწყისი ერთობლიობა.

შერჩევითი დაკვირვების დროს რეგისტრირდება გენერალური ერთობლიობის ერთეულების მხოლოდ ნაწილი. მათი რაოდენობა საკმარისი უნდა იყოს რეპრეზენტატულობისთვის, რომლის ქვეშაც იგულისხმება შერჩევითი ერთობლიობის თვისება, აირეკლოს გენერალური ერთობლიობის მახასიათებლები.

გენერალური და შერჩევითი ერთობლიობების მონაცემებს შორის განსხვავებას უწოდებენ რეპრეზენტატულობის ან შერჩევის შეცდომას. ვთქვათ, სამართალდამრღვევთა გენერალური ერთობლიობა შეადგენს 500 ადამიანს, რომელთა 30% არასრულ ოჯახშია აღზრდილი. თუ შერჩევითი დაკვირვებისას შეისწავლიან 50 ადამიანს, რომელთა შორისაც არასრულ ოჯახში აღზრდილთა ხვედრითი წილი 25%-ია, რეპრეზენტატულობის, ანუ, შერჩევის შეცდომა იქნება $30\% - 25\% = 5\%$ (0,5).

ანალოგიურად გამოიყვანება რეპრეზენტატულობის შეცდომა რაოდენობრივი ნიშნისთვისაც. ვთქვათ, გენერალურ ერთობლიობაში დამნაშავეთა ასაკის საშუალო არითმეტიკული სიდიდეა 28,3 წელი, შერჩევით ერთობლიობაში კი მან შეადგინა 26,5 წელი. რეპრეზენტატულობის შეცდომა იქნება $28,3 - 26,5 = 1,8$ წელი.

შეცდომა შეიძლება იყოს სისტემატური ან შემთხვევითი. პირველი არასწორი ან მკვლევარის მიერ ამა თუ იმ მაჩვენებლის განზრახ უპირატესი შერჩევის შედეგია, მეორე კი - შემთხვევითი არასრული შერჩევისა.

სისტემატურ შეცდომას ადგილი აქვს მაშინ, როცა მკვლევარი არასწორად აყალიბებს შერჩევით ერთობლიობას, არ იცის ერთობლიობის ერთეულების შერჩევის მეცნიერული წესი ან შეგნებულად არჩევს უფრო მეტ სადემონსტრაციო ერთეულს. მაგალითად, მოქალაქეთა სამართლებრივი შეგნების დონის კვლევისას, დროის ეკონომიის მიზნით, ანკეტური

გამოკითხვა ჩატარდა სტუდენტი-იურისტების აუდიტორიაში. მიღებული მონაცემებმა, ბუნებრივია აჩვენა მხოლოდ ამ რესპონდენტების სამართლებრივი განათლების დონე, რაც ვერ აირეკლავდა ზოგადად მოქალაქეების შეხედულებებს. ტენდენციური შერჩევის საფუძველზე მიღებული მონაცემები, როგორც წესი, მცდარია და მას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქმეს.

ისტორია იცნობს არაერთ კურიოზს, რომელიც უკავშირდება შერჩევითი დაკვირვების წესების დარღვევით ჩატარებულ კვლევას. ერთი მათგანი მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1936 წელს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების პროგნოზირებისას. ჟურნალმა „Literary Digest“ სატელეფონო ცნობარის გამოყენებით გამოკითხა ორ მილიონზე მეტი ადამიანი. გამოკითხვის შედეგების თანახმად, პრეზიდენტად უნდა არჩეულიყო რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი ალფრედ ლენდონი. სოციოლოგმა ჯ. გელაპმა და კოლეგებმა გამოჰკითხეს 4 000 მოსახლე და მივიდნენ ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე, რომ არჩევნებში გაიმარჯვებდა დემოკრატი ფრანკლინ რუზველტი. მათი პროგნოზი გამართლდა. რა იყო მიღებული განსხვავების მიზეზი? პირველი შერჩევითი ერთობლიობა ძირითადად წარმოდგენილი იყო შეძლებული მოსახლეებით კონსერვატული ფენებიდან, რომელთაც ტელეფონი ჰქონდათ, მეორე ერთობლიობა კი მოიცავდა მოსახლეობის ყველა ფენას. ეს უკანასკნელი გაცილებით წარმომადგენლობითი აღმოჩნდა, თუმცა, 500-ჯერ ნაკლები იყო პირველზე. ასე რომ, ტენდენციურმა შეცდომებმა აქ გადაწყვეტი როლი ითამაშა.⁶⁴

შერჩევითი დაკვირვების სამეცნიერო-პრაქტიკული ამოცანა არ მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ფიზიკური და მატერიალური სახსრების მცირე დანახარჯებით მაქსიმალურად დაეუახლოვოთ შერჩევითი ერთობლიობის მონაცემები გენერალურისას; მნიშვნელოვანია, ასევე, რომ ზუსტად გავზომოთ შერჩევითი და გენერალური ერთობლიობის მონაცემების სხვაობის საზღვრები.

სისტემატური შეცდომის გაზომვა არ შეიძლება. ის შეიძლება მრავალგვარი იყოს სიდიდისა და შინაარსის მიხედვით. ასეთი შეცდომა მით ნაკლებია, რაც უფრო მაღალია მკვლევარის კვალიფიკაცია, რაც უფრო კარგად იცნობს ის შესასწავლ ობიექტს და სისტემატური შეცდომების შესაძლო მიზეზებს.

⁶⁴ <http://www.ukrreferat.com/index.php?referat=955&pg=93&lang=book>; Moore D.W. The Superpollsters. New York: Four Walls Eight Windows, 1992.; http://fom.ru/uploads/books/Dzhordzh_Gjellap_Biografija_i_sudba.pdf

შემთხვევითი შეცდომების, ანუ რეალურად არსებული ერთობლიობის არასრულყოფილი შესწავლით განპირობებული შეცდომების გაზომვა შესაძლებელია. შემთხვევითი შეცდომა შეიძლება გამოიხატოს როგორც ნიშნის გადაჭარბებული, ისე შემცირებული მაჩვენებლით. შედარებით დიდი კვლევის ჩატარებისას, შემთხვევითი შეცდომები აბათილებენ ერთმანეთს და უახლოვდებიან გენერალური ერთობლიობის მონაცემებს. დარჩენილი განსხვავება შეიძლება შედარებით ზუსტად გაიზომოს ალბათობის თეორიის, დიდი რიცხვების კანონისა და შემთხვევითი სიდიდეების განაწილების საფუძველზე. სისტემატური შეცდომების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია მკაცრად იქნას დაცული შერჩევითი ერთობლიობის ერთეულების შემთხვევითი შერჩევის წესები. შემთხვევით შეცდომებს შერჩევითი დაკვირვებისას თავს ვერ ავარიდებთ, მაგრამ შესაძლებელია მათი ზუსტად გამოთვლა და შემცირება შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის გაზრდით.

შერჩევის შეცდომის ზუსტი გამოანგარიშება აუცილებელი ხდება, როდესაც საჭიროა ჩატარებული შერჩევითი დაკვირვების შეფასება რეპრეზენტატულობისა და საიმედოობის თვალსაზრისით. შერჩევის შეცდომა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

..სადაც W — შერჩევის შეცდომა; A — გადახრის საშუალო კვადრატი (დისპერსია); O — საშუალო კვადრატული გადახრა; Π — შერჩევითი ერთობლიობის ერთეულების რაოდენობა. შერჩევითი ერთობლიობის სწორად განსაზღვრისას მისი შედარებით მცირე (100 ერთეული) მოცულობაც საკმარისია იმისთვის, რომ რეპრეზენტატულობის შეცდომა დასაშვებად იქნას მიჩნეული. 400 ერთეულის შემცველი ერთობლიობის შემთხვევაში, ბუნებრივია, ეს შეცდომა კიდევ უფრო ნაკლებია. 100-ერთეულიანი ერთობლიობის კვლევისას, თვისებრივი ნიშნის მაქსიმალური დისპერსიის დროს, შერჩევის შეცდომა არ აჭარბებს $\pm 5\%$.

ამა თუ იმ რაოდენობის ერთეულზე დაკვირვებისას, რეპრეზენტატულობის შეცდომის საზღვრების დასადგენად არაა აუცილებელი რთული მათემატიკური გაანგარიშებების ჩატარება. ამაში მათემატიკოსების მიერ გათვლილი ცხრილები გვხვმარება. (ცხრ. 2).

შეცდომის საზღვრები დაკვირვებათა მოცემული რაოდენობისთვის⁶⁵, $t = 2, \%$

⁶⁵ *Боярский А.Я.* Таблицы для определения достоверности статистических показателей и числа наблюдений в статистическом исследовании. М., 1997.

დაკვირვებათა ხვედრითი წილი, %		ცხრილი#2. დაკვირვებათა რიცხვი									
		100	200	300	400	500	600	700	800	900	1000
5	(95)	4.4	3.1	2.8	2.5	1.9	1.8	1.6	1.5	1.4	1.4
10	(90)	6.0	4.3	3.5	3.0	2.7	2.5	2.3	2.1	2.0	1.9
15	(85)	7.2	5.1	4.1	3.6	3.2	2.9	2.7	2.5	2.4	2.3
20	(80)	8.0	5.7	4.6	4.0	3.6	3.3	3.0	2.8	2.7	2.5
25	(75)	8.7	6.2	5.0	4.3	3.9	3.5	3.3	3.1	2.9	2.7
30	(70)	9.2	6.5	5.3	4.6	4.1	3.7	3.5	3.2	3.1	2.9
35	(65)	9.6	6.8	5.5	4.8	4.3	3.9	3.6	3.4	3.2	3.0
40	(60)	9.9	7.0	5.6	4.9	4.4	4.0	3.7	3.5	3.3	3.1
45	(55)	10.0	7.1	5.7	5.0	4.5	4.1	3.8	3.5	3.3	3.1
50		10.0	7.2	5.8	5.0	4.5	4.1	3.8	3.5	3.3	3.2


ცხრილის მიხედვით, შეიძლება გამოვითვალოთ იმ პირთა ხვედრითი წილი, რომლებმაც დანაშაული მთვრალ მდგომარეობაში ჩაიდინეს. სწორი შემთხვევითი შერჩევისას, 100-ერთეულიანი ერთობლიობის შემთხვევაში, აღნიშნული წილის მერყეობა გენერალური ერთობლიობის იმავე ნიშნის ხვედრით წილთან იქნება $\pm 9.6\%$, ანუ $35\% \pm 9.6\%$, ე.ი. 25.4% -დან 44.6% -მდე. თუ შერჩევით ერთობლიობას 4-ჯერ გავზრდით (400 ერთეულამდე) შერჩევის შეცდომა ორჯერ შემცირდება და შეადგენს $\pm 4.8\%$. *შერჩევითი ერთობლიობის დაანგარიშება*. შესასწავლი მოვლენისა და პროცესის გენერალური ერთობლიობის შესახებ სარწმუნო მონაცემების მისაღებად შეიძლება გამოყენებულ იქნას სპეციალური ცხრილი.

ცხრილი#3. დაკვირვებათა აუცილებელი რაოდენობა, შეცდომის დადგენილი საზღვრისათვის		შეცდომის საზღვარი %-ში					
დაკვირვებათა ხვედრითი წილი		1	2	3	4	5	10
10	(90)	3600	900	400	200	150	37
15	(85)	5100	1300	570	320	210	52
20	(80)	6400	1600	710	400	260	65
30	(70)	8400	2100	930	530	340	85
35	(65)	9100	2300	1010	570	370	92
40	(60)	9600	2400	1070	600	390	97
50	(50)	10000	2500	1110	630	400	100

ცხრილი წარმოდგენილია შემოკლებული სახით

ვთქვათ, შესასწავლი ნიშნის ხვედრითი წილი 30% (70%)-ს შეადგენს. ცხრილში მარცხიდან მარჯვნივ 1%-იანი შეცდომის დაშვებით დაკვირვებათა რიცხოვნობამ უნდა შეადგინოს 8400 ერთეული, $\pm 2\%$ -იანი შეცდომის დაშვებით = 2100 და ა.შ. ($+3\% = 930$, $\pm 4\% = 530$). იმის

მიხედვით, თუ რა შეცდომის დაშვებაა შესაძლებელი კონკრეტული კვლევის პირობებში, ხდება შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის განსაზღვრა. კრიმინოლოგიურ და სხვა სოციალურ-სამართლებრივ კვლევებში ხშირად საკმარისია ხოლმე შერჩევითი ერთობლიობა 300-400 ერთეულის მოცულობით. თვისებრივი ნიშნის მაქსიმალური ცვალებადობის დროსაც (50%), რეპრეზენტატულობის მაქსიმალური შეცდომა იქნება მხოლოდ +1-5%. **უშუალო დაკვირვება** ეფუძნება მკვლევარის მიერ შესასწავლ მოვლენასთან დაკავშირებული ფაქტების უშუალო აღქმასა და რეგისტრაციას. განარჩევენ მარტივ და ჩართულ დაკვირვებას. მარტივი დაკვირვების დროს მოვლენის შესწავლა ხდება „გარედან“, დამკვირვებლის უშუალო მონაწილეობის გარეშე. ჩართული დაკვირვებისას მკვლევარი წვერიანდება შესასწავლ ობიექტში (ერთობლიობაში) და მონაწილეობს მის საქმიანობაში. ამ შემთხვევაში დგება დამკვირვებლის ნეიტრალობისა და სამართალდამრღვევთა დაჯგუფებაში მისი ინტერგაციის დასაშვები ზღვარის . იხილეთ გრაფიკი #4



დოკუმენტური დაკვირვების დროს სამართლებრივ სტატისტიკური ინფორმაციის წყარო სხვადასხვა დოკუმენტია. დაკვირვების აღნიშნულ მეთოდს ეფუძნება სამართალდამცავი და იუსტიციის ორგანოების ანგარიშგება. აღნიშნულ მეთოდს ფართოდ გამოიყენებენ იურიდიული

მნიშვნელობის მასობრივი მოვლენებისა და პროცესების შესახებ სარწმუნო მონაცემების მიღებისთვის.

პირველადი სოციალურ-სამართლებრივი ინფორმაციის შეკრების მნიშვნელოვანი მეთოდია გამოკითხვა. მრავალი ავტორი მას უნივერსალურ მეთოდად მიიჩნევს, იმდენად რამდენადაც, გამოკითხვის მეშვეობით ფიქსირდება როგორც დემოგრაფიული მონაცემები (სქესი, ასაკი, განათლების დონე და ა. შ.), ისე ადამიანის სუბიექტური შინაგანი მოტივაცია, მისი ინტერესები. მოცემული მეთოდი საშუალებას იძლევა მივიღოთ ინფორმაცია წარსული მოვლენების შესახებ, ინდივიდის რეალურ ყოფაზე აწმყოში და მის სამომავლო გეგმებზე. გამოკითხვის მეშვეობით იღებენ სოციოლოგიური მონაცემების 80-90%-ს. გამოკითხვა პირველადი ინფორმაციის შეგროვების მეთოდია, რომელიც ითვალისწინებს მკვლევარის ზეპირ ან წერილობით მიმართვას რესპონდენტისადმი კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე.

გამოკითხვა მნიშვნელოვანი მეთოდია ადამიანთა ცნობიერების სფეროს შესწავლისათვის და განსაკუთრებით ფასდაუდებელია იმ მოვლენებისა და პროცესების კვლევისას, რომლებიც არ ექვემდებარებიან უშუალო დაკვირვებას. მეთოდს აქვს თავისი დადებითი (ოპერატიულობა, დროისა და მატერიალური დანახარჯების ეკონომია) და მიღებული ინფორმაციის სუბიექტურობასთან დაკავშირებული ნაკლოვანი მხარეები. გამოკითხვის მეთოდით მიღებული ინფორმაციის ხარისხზე გავლენას ახდენენ, ერთი მხრივ, თავად რესპონდენტის მახასიათებლები (განათლების დონე, კულტურა, მეხსიერება, საკვლევი პრობლემისადმი დამოკიდებულება და ა. შ.), მერე მხრივ კი მკვლევარის საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტორები (მისი პროფესიონალიზმი, ანკეტის სწორად შედგენისა და საჭირო ინფორმაციის მიღებისათვის სწორი მეთოდიკების შერჩევის უნარი). გამოკითხვის შედეგებზე ნეგატიურად შეიძლება მრავალმა ფაქტორმა იმოქმედოს, მათ შორის, გამოკითხვის ადგილმა და დრომ, ანონიმურობის დაუცველობამ და სხვ. ამიტომ აუცილებელია ჯერ გულმოდგინე მომზადება ობიექტის შესარჩევად, კითხვარის შესადგენად, შემდეგ კი მიღებული რაოდენობრივი მონაცემების კრიტიკული შეფასება.

გამოკითხვა, როგორც სოციალური სინამდვილის შესწავლის მეთოდი, გამოიყენება XVIII საუკუნის ბოლოდან. ერთერთი პირველი ასეთი კვლევა ეკუთვნის დ. დევისს ინგლისის მშრომელი კლასების წარმომადგენელთა ოჯახური ბიუჯეტის შესახებ (1787წ.). საზოგადოებრივი აზრის

სოციოლოგიური გამოკითხვა, მისი თანამედროვე გაგებით, აქტიურად XX საუკუნიდან ტარდება.⁶⁶

არსებობს გამოკითხვის სხვადასხვა სახე.

ინფორმაციის მიღების ხერხისა და მისი ინტერპრეტაციის მიხედვით განარჩევენ:

- ანკეტურ გამოკითხვას დამკვირვებელსა და რესპონდენტს შორის უშუალო ან გაშუალებული ურთიერთქმედებით. პირველ შემთხვევაში დაბეჭდილი კითხვარი შესავსებად რესპონდენტს დამკვირვებლის მიერ, მეორე შემთხვევაში კი ფოსტით, პრესით მიეწოდება.
- სოციოლოგიურ ინტერვიუს, რომელიც შეიძლება იყოს პირდაპირი (რაც გულისხმობს რესპონდენტთან პირისპირ საუბარს) და სატელეფონო.
- საექსპერტო გამოკითხვას; პრაქტიკაში ხშირია სიტუაცია, როდესაც საჭიროა ინფორმაციის მიღება კომპეტენტური პირისგან - ექსპერტისგან, რომელსაც ღრმა ცოდნა აქვს კვლევის საგანსა და ობიექტზე.

ჩატარების პროცედურის მიხედვით, გამოკითხვა შეიძლება იყოს ინდივიდუალური და ჯგუფური. ინდივიდუალური გამოკითხვის დროს მკვლევარსა და რესპონდენტს შორის ურთიერთქმედება უშუალო ან გაშუალებული, მაგრამ ყოველთვის კონფიდენციალურია. ჯგუფური გამოკითხვის შემთხვევაში მკვლევარი ერთდროულად მუშაობს რამდენიმე რესპონდენტთან ან მთელ ჯგუფთან.

გენერალური ერთობლიობის მოცვის ხარისხის მიხედვით გამოკითხვა სრული და არასრულია. სრულ გამოკითხვას ექვემდებარება გენერალური ერთობლიობის ყველა ერთეული, არასრულს - მისი გარკვეული ნაწილი, შერჩეული განსაზღვრული წესით, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

გამოკითხვის წარმოების ორ ძირითად ფორმას გამოყოფენ: ზეპირს (სხვადასხვა სახის ინტერვიუ) და წერილობითს (ანკეტირება)

მკვლევარისა და რესპონდენტის კომუნიკაციის ხერხის მიხედვით განარჩევენ კონტაქტურ გამოკითხვას (ინტერვიუ და ანკეტური გამოკითხვის ზოგიერთი სახეობა) და გამოკითხვას კონტაქტის გარეშე (ფოსტის ან პრესის გამოყენებით).

გამოკითხვა, ასევე შეიძლება იყოს ერთჯერადი ან განმეორებითი (ჩატარების სიხშირის მიხედვით).

⁶⁶ В. С. СЫЧЕВА ИСТОРИЧЕСКИЙ ОЧЕРК БЮДЖЕТНЫХ ИССЛЕДОВАНИЙ В ЗАПАДНОЙ ЕВРОПЕ И США 1998

სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკაში გამოკითხვის ერთერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმა ანკეტირებაა, რომელსაც არაერთი უპირატესობა გააჩნია, როგორცაა ოპერატიულობა (მოკლე ვადებში რესპონდენტთა დიდი რაოდენობის მოცვა), სიაფე, მასალის რაოდენობრივი დამუშავების სიმარტივე, ანონიმურობის უზრუნველყოფა, სოციალური პრაქტიკის სფეროთა ფართო მოცვა. ანკეტირება პირადი პრობლემების, ქცევის მოტივების, ინტერესების, მოსაზრებების უკეთ გამოკვლევის საშუალებას იძლევა. ამავდროულად, ის არ არის ინფორმაციის შეგროვების უნივერსალური მეთოდი. არცთუ იშვიათად, მას გამოიყენებენ იმ მონაცემების მოსაპოვებლად, რომელთა მიღება სხვა ხერხებითაც შესაძლებელია. კითხვარის შედგენისას რიგი საკითხების გაუთვალისწინებლობა მიღებული ინფორმაციის ხარისხს აქვეითებს. ღია კითხვები აუარესებს ხოლმე არასაკმარისად მომზადებული რესპონდენტების პასუხების სისრულესა და საიმედოობას. ანკეტის დახმარებით მიღებული ინფორმაცია, ასევე, ხშირად ასახავს რესპონდენტის ცნობიერების პრიზმაში გარდატეხილ რეალობას. ანკეტირების პროცესში კითხვარის გაგზავნის ან დარიგების მომენტიდან მკვლევარი კარგავს კონტროლს გამოსაკვლევ სოციალურ მოვლენაზე.

ანკეტური გამოკითხვის მრავალფეროვნება მისი კლასიფიკაციის აუცილებლობას განაპირობებს. რესპონდენტთა მოცვის ხარისხის მიხედვით ის შეიძლება იყოს სრული და შერჩევითი, ჩატარების ადგილის მიხედვით - რესპონდენტის სამუშაო, დასვენების ან საცხოვრებელ ადგილზე ჩატარებული, მკვლევარსა და რესპონდენტს შორის კომუნიკაციის ხერხის მიხედვით - ფოსტით, პრესის გამოყენებით დაგზავნილი და ანკეტების დარიგებით წარმოებულ. ფოსტით ანკეტურებისას კითხვარის გავრცელება და მისი უკან მიღება ხდება საფოსტო გზავნილის მეშვეობით, მათ შორის, ინტერნეტის გამოყენებით. პრესით ანკეტურებისას ანკეტა იბეჭდება გაზეთის ან ჟურნალის ფურცლებზე, მკითხველს სთხოვენ წერილობით უპასუხოს დასმულ შეკითხვებს და რედაქციაში დააბრუნოს შევსებული ანკეტა. კითხვარები რიგდება სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და იქვე ხდება შევსებული კითხვარის დაბრუნების პირობებისა და ადგილის დათქმა.

ანკეტური გამოკითხვის სოციოლოგიური ინსტრუმენტარიუმის კითხვარი, რომელიც სტრუქტურირებული შეკითხვების სისტემებისგან შედგება. ისინი ლოგიკურად უკავშირდებიან ერთმანეთს კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად.

ანკეტის შინაარსს (შეკითხვების არსს, რაოდენობასა და თანმიმდევრობას) ძირითადად კვლევის მიზნები განსაზღვრავენ. მის სტრუქტურაში, როგორც წესი, გამოყოფენ შესავალს, სტატუსს, ძირითად და დასკვნითი ნაწილებს.

შესავალში განმარტებულია ანკეტის შევსების წესი რესპონდენტთათვის. სტატუსის ნაწილი შეიცავს დამხმარე კითხვებს რესპონდენტის სოციალურ-დემოგრაფიული სტატუსის შესახებ.

ძირითადი ნაწილში განთავსებულია იურიდიული მნიშვნელობის შეკითხვები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან კვლევის თემას.

დასკვნით ნაწილში რესპონდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი შესასწავლი თემის ირგვლივ.

სავალდებულოდ ითვლება მხოლოდ ძირითადი ნაწილი. სტატუსის ზოგიერთმა შეკითხვამ შეიძლება დააფრთხოს რესპონდენტი. მაგალითად, ლატენტურ სამართალდარღვევებზე ანონიმური გამოკითხვის ჩატარებისას რესპონდენტები ძუნწად იძლევიან სასტატუსო ინფორმაციას. მსგავსი კვლევების წარმოებისას უმჯობესია ეს ნაწილი კითხვარიდან საერთოდ იქნას ამოღებული.

ანკეტას გააჩნია მკაცრი სტრუქტურა და უფრო ხშირად სამი ნაწილისგან შედგება. ესენია:

- შესავალი;
- ძირითადი ნაწილი;
- დემოგრაფიული ბლოკი.

შესავალში განთავსებულია მიმართვა რესპონდენტისადმი, აღწერილია კვლევის მიზანი, მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იქნება გამოყენებული კვლევის შედეგები, მითითებულია ორგანიზაცია, რომელიც ატარებს გამოკითხვას, საკონტაქტო ინფორმაცია, გადმოცემულია ანკეტის შევსებისა და მისი დაბრუნების წესები, მოცემულია ანონიმურობის გარანტია.

ანკეტის ძირითადი ნაწილი შეიცავს შეკითხვებს (მათ ბლოკებს), რომელთა მეშვეობით ხდება აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება. შეკითხვა შეიძლება იყოს:

- დიქტომი ური - მოითხოვს ცალსახა პასუხს („კი“ ან „არა“);
- ღია (რომელსაც რესპონდენტი თავისუფალი ფორმით პასუხობს);
- დახურული (როდესაც რესპონდენტი ირჩევს ერთ პასუხს რამდენიმე შეთავაზებულიდან) .

ანკეტის ძირითადი ნაწილის მომზადებისას, დაცული უნდა იქნას გარკვეული წესები: ის არ უნდა შეიცავდეს ორაზროვან შეკითხვებს, აბსტრაქტულ და მრავალმნიშვნელოვან ტერმინებს; დასაწყისში რეკომენდებულია აქტუალური, მარტივად გასაგები შეკითხვების დასმა, რაც რესპონდენტს ანკეტის შევსების ინტერესს აღუძრავს. კონკრეტული შეკითხვები უნდა დაისვას დასაწყისში, განმაზოგადებელი - შეკითხვების ბლოკის ბოლოს. ძირითადი და საკონტროლო კითხვები ისე უნდა გადანაწილდეს სხვა შეკითხვებს შორის, რომ რესპონდენტმა ვერ აღმოაჩინოს მათ შორის პირდაპირი კავშირი. რეალური სიტუაციის გაკონტროლება ხდება მოდელირებულით, არაპირდაპირი შეკითხვებით კონტროლდება პასუხები პირდაპირ შეკითხვებზე, ღია შეკითხვებით - პასუხები დახურულ შეკითხვებზე. შეკითხვა დასმული უნდა იქნას კორექტულად, თავაზიანად და ა.შ.

დემოგრაფიული ნაწილი შეიცავს შეკითხვებს რესპონდენტის სტატუსის შესახებ (ასაკი, სქესი, განათლება, საცხოვრებელი ადგილი და ა. შ.)

დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ასევე, ინსტრუქციას ანკეტის შევსების ტექნიკის თაობაზე. ინსტრუქცია შეიძლება განთავსებულ იქნას ანკეტის ველზე, ჩართული იყოს შეკითხვის ტექსტში. მასში ძირითადად მიეთითება, თუ პასუხის რამდენი ვარიანტის აღნიშვნა შეუძლია რესპონდენტს, როგორ უნდა შეავსოს ცხრილი-კითხვარი და მსგ. ანკეტის შევსების ხარისხს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი გრაფიკული გაფორმება, საილუსტრაციო მასალების თანდართვა.

შეკითხვების რაოდენობა ანკეტაში ლიმიტირებულია. პრაქტიკამ აჩვენა, რომ კითხვარი, რომლის შევსებაც 40-45 წუთზე მეტ დროს მოითხოვს, მეტი შემთხვევითი ან არასაკმარისი ინფორმაციის შემცველია, რაც რესპონდენტის ფსიქო-ემოციური გადაღლით აიხსნება. უფრო მეტად ოპტიმალურად მიიჩნევა ანკეტის შესავსებად 30-40 წუთის დახარჯვა, რაც საკმარისია 25-30 შეკითხვაზე პასუხის გაცემისთვის. ამავდროულად, ოპერატიული სოციოლოგიური კვლევების წარმოებისას კითხვარის ოპტიმალური მოცულობა 10-15 შეკითხვაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოკითხვის ერთერთი ძირითადი სახეობა ინტერვიუ, რომლის საფუძველზეც საჭირო სოციალურ-სამართლებრივი ინფორმაციის მიღება ხდება ინტერვიუერსა და რესპონდენტს შორის უშუალო მიზნობრივი საუბრით.

აღნიშნული მეთოდის ძირითად ღირსებად უნდა მივიჩნიოთ პირისპირ კონტაქტი მკვლევარსა და რესპონდენტს შორის, რაც საშუალებას იძლევა მხედველობაში იქნას მიღებული რესპონდენტის განათლების, კულტურის დონე, მისი დამოკიდებულება საკვლევი თემისადმი; ინტერვიუ იძლევა, აგრეთვე, დამატებითი, საკონტროლო, მიმანიშნებელი შეკითხვების დასმის, შეკითხვის ფორმულირების შეცვლის შესაძლებლობას, რესპონდენტის პიროვნული თვისებების და მის მიერ წინამორბედ შეკითხვებზე გაცემული პასუხების გათვალისწინებით; ამავდროულად, ინტერვიუ დროისა და სახსრების მნიშვნელოვან დანახარჯს, ინტერვიუერების შერჩევას, მომზადებას, მათი მუშაობის ხარისხზე კონტროლს საჭიროებს; ხშირად, სხვადასხვა მიზეზის გამო, რესპონდენტებს არ სურთ გულახდილად უპასუხონ შეკითხვებს, შეუმღებელია, ასევე, დიდი რაოდენობით ადამიანების გამოკითხვაც.

ინტერვიუ სხვადასხვა სახისაა:

თავისუფალი ინტერვიუ - ტარდება წინასწარ მომზადებული კითხვარის გარეშე. განისაზღვრება მხოლოდ საუბრის თემა, მიმართულება, მისი ლოგიკური სტრუქტურა, შეკითხვის ფორმულირება კი დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე. საუბრისას დასმულ შეკითხვებს რესპონდენტი პასუხობს თავისუფალი ფორმით. ინტერვიუს აღნიშნულ სახეობას ძირითადად იყენებენ რთული საკითხების სიღრმისეული შესწავლისას, მაგალითად, სამართალდამრღვევის პიროვნების კვლევისას;

ფოკუსირებული ინტერვიუ - მონაცემთა შეკრება ხდება კონკრეტულ სიტუაციასთან, მოვლენასთან, მის მიზეზებსა და შედეგებთან კავშირში. აწე დროს რესპონდენტს წინასწარ აცნობენ ხოლმე საუბრის საგანს.

სტანდარტიზებული (ფორმალური) ინტერვიუ - ტარდება შეკითხვათა მკაცრად განსაზღვრული წრის ფარგლებში მათზე მკაფიო პასუხის („კი“ ან „არა“; „+“ ან „-“) გაცემის მოთხოვნით. პასუხი შეიძლება გაცემულ იქნას ქულათა სისტემის გამოყენებითაც. სამართლებრივი კვლევების ჩატარებისას ასეთი პასუხები მოსახერხებელია განზოგადებისა და დიდი რაოდენობის პირთა საზოგადოებრივი აზრის ანალიზისთვის.

პანელური ინტერვიუ - გულისხმობს ერთი და იგივე პირის პერიოდულ ინტერვიუებას დროის განსაზღვრული შუალედების დაცვით, რაც მათი შეხედულებების დინამიკის შესწავლის მიზნით ხორციელდება. ინტერვიუს აღნიშნულ სახეობას გამოიყენებენ კრიმინოლოგიურ და სოციალურ-სამართლებრივ კვლევებში, მაგალითად პატიმართა აზრის შესასწავლად სასჯელის მოხდამდე და მის შემდეგ.

ჯგუფური ინტერვიუ გამოიყენება ფორმალური და არაფორმალური ჯგუფების აზრის კრიმინოლოგიური შესწავლისათვის, მაგრამ ნაკლებად გამოსადეგია ინდივიდუალური შეხედულებების გამოსავლენად, იმდენად რამდენადაც, გამოხატავს ჯგუფის აზრს, რომლის ფორმირებაც ლიდერების შეხედულებების გავლენით ხდება და ყოველთვის არ ემთხვევა უმრავლესობის აზრს.

კომუნიკაციის ხერხის მიხედვით გამოყოფენ პირისპირ და სატელეფონო ინტერვიუს. არსებობს ინტერვიუს სხვა სახეობებიც.

თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენება ინტერვიუს ახალი მეთოდოლოგიების ფორმირებას უწყობს ხელს. ტრადიციულად, ინტერვიუ (განსაკუთრებით ფორმალური) დაკავშირებულია ქაღალდის ანკეტის გამოყენებასთან. კომპიუტერი კი თავიდან გვაცვილებს ქაღალდის გამოყენების აუცილებლობას და ინტერვიუერი ტექსტს კომპიუტერის ეკრანიდან კითხულობს. ეს ე. წ. კომპიუტერით ასისტირებადი პერსონალური ინტერვიუა (CAPI).⁶⁷

არსებობს ე.წ. სატელეფონო ინტერვიუც. მისი ძირითადი ღირსებაა გამოკითხვის მაღალი ოპერატიულობა, დაბალი მატერიალური დანახარჯი, ინტერვიუერის მუშაობაზე პირდაპირი მეთვალყურეობის საშუალება (თუ მუშაობა წარმოებს სპეციალურად აღჭურვილ შენობაში, ანუ, როგორც მას ახლა უწოდებენ „ქოლ-ცენტრში“.

ტელეფონით ინტერვიუს წაყენება გარკვეული მოთხოვნები. ინტერვიუ უნდა იყოს საკმაოდ ხანმოკლე (არსებობს 40 წუთამდე ხანგრძლივობის მაგალითები). შეკითხვები უნდა ჩამოყალიბდეს შედარებით მოკლედ, ვიდრე პირისპირ ინტერვიუს ან ანკეტების შემთხვევაში. არ არის რეკომენდებული პასუხების ვარიანტების გრძელი ჩამონათვალის შეთავაზება. ასევე, მნიშვნელოვნად შეზღუდულია რესპონდენტისთვის ვიზუალური მასალის ჩვენება.

კომპიუტერის გამოყენებით წარმოებულმა სატელეფონო ინტერვიუმ მიიღო კომპიუტერით ასისტირებადი სატელეფონო ინტერვიუს სახელწოდება (CATI), რომლის მსვლელობისას ინტერვიუერი შეკითხვას კითხულობს

⁶⁷ Adèr, H.J.; Mellenbergh, G.J.; Hand, D.J. (2008). Advising on Research Methods: A consultant's companion. Johannes van Kessel Publishing. pp. 191-194.

მონიტორიდან, შეჰყავს პასუხი, რის შემდეგაც მონიტორზე მომდევნო შეკითხვა ჩნდება.⁶⁸

კომპიუტერული ტექნიკა რთული კომპლექსური კითხვარის გამოყენების საშუალებას იძლევა. რესპონდენტის პასუხების მიხედვით, შეიძლება შერჩეულ იქნას ინტერვიუს გაგრძელების მრავალი სცენარი, რაც თითქმის შეუძლებელია ტრადიციული მეთოდის გამოყენებისას, თუნდაც, საუკეთესოდ მომზადებული ინტერვიუერის მიერ.

სოციალურ-სამართლებრივი ინტერვიუს ჩატარების შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საექსპერტო გამოკითხვას, რომელიც მასობრივი გამოკითხვისგან იმით განსხვავდება, რომ რესპონდენტებად შეირჩევიან პირები რომელთაც პრაქტიკული გამოცდილება ან ღრმა თეორიული ცოდნა აქვთ კვლევის საგანსა თუ ობიექტზე.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, კვლევის შედეგების დამახინჯება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული შეკითხვის სტრუქტურაში არსებულ დეფექტზე. შეკითხვა უნდა იყოს ნეიტრალური და რესპონდენტისთვის გასაგები.

შეკითხვაში ფორმულირებული პრობლემა და თემა არ უნდა სცილდებოდეს რესპონდენტის კომპეტენტურობის ფარგლებს. არაა რეკომენდებული სპეციალური და რთულად გასაგები ტერმინებისა და სიტყვების ან სლენგის გამოყენება. შეკითხვამ უნდა აირეკლოს კვლევის საგნის ძირითადი პრობლემები, მისი არსი. ბევრია დამოკიდებული არამარტო შეკითხვის, არამედ რესპონდენტისთვის ასარჩევად შეთავაზებული პასუხის ვარიანტების მართებულად შერჩევაზე. არ შეიძლება მიკერძოებული შეკითხვების დასმა, რითაც რესპონდენტს ვუბიძგებთ გასცეს არა მისთვის, არამედ მკვლევარისთვის მისაღები პასუხი.

კატეგორიულად არ შეიძლება მიმნიშნებელი სიტყვების გამოყენება შეკითხვის ფორმულირებისას. მაგალითად, შეკითხვაში „ფიქრობთ თუ არა, რომ ნარკოტიკების გავრცელების საფრთხე მოითხოვს კანონმდებლობის გამკაცრებას“, სიტყვა „საფრთხე“ ფაქტობრივად ამჟღავნებს მკვლევარის დამოკიდებულებას აღნიშნული საკითხისადმი, რამაც შეიძლება რესპონდენტს მკვლევარის აზრის გაზიარებისკენ უბიძგოს.

⁶⁸ "BLS Information". *Glossary*. U.S. Bureau of Labor Statistics Division of Information Services. February 28, 2008. Retrieved 2009-05-05

ანკეტის შეკითხვები იყოფა სტრუქტურის, ფუნქციის, შინაარსის, ფორმის მიხედვით. სტრუქტურის მიხედვით განარჩევენ ღია, ნახევრად დახურულ და დახურულ შეკითხვებს. ღია შეკითხვას თან არ ახლავს პასუხის შესაძლო ვარიანტები. რესპონდენტი თავად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას. დახურული შეკითხვის შემთხვევაში რესპონდენტი არჩევანს აკეთებს შეთავაზებული პასუხებიდან, ხოლო ნახევრადდახურული შეკითხვის დროს მას შეთავაზებულის გარდა, სხვა პასუხის დაფიქსირებაც შეუძლია. ასეთ შეკითხვებში პასუხის ვარიანტების შემდეგ, კითხვარში წერია: „სხვა აზრი“, „სხვა ვარიანტი“ და მსგ.

დახურული შეკითხვები, თავის მხრივ, შეიძლება იყოს არაალტერნატიული, როდესაც რესპონდენტს შეუძლია აირჩიოს შეთავაზებული პასუხებიდან ერთი და ალტერნატიული - რამდენიმე შესაძლო პასუხის შემოხაზვის უფლებით.

ფუნქციის მიხედვით შეკითხვა შეიძლება იყოს ძირითადი („რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი სამუშაოთი?“), საკონტროლო („გუსრთ თუ არა პოლიციელის სამუშაო შეცვალოთ სხვა სამუშაოთი?“), შეკითხვა-ფილტრი („გქონიათ თუ არა შემთხვევა, როდესაც დაირღვა თქვენი, როგორც პოლიციელის პროცესუალური უფლება?“ პასუხები: 1. კი. 2. არა. 3. თუ კი, გთხოვთ დაასახელოთ კონკრეტული მაგალითები _____) და ე.წ. „შეკითხვა-ხაფანგი“, რომლის მიხედვითაც შეიძლება განვსაზღვროთ, თუ რამდენად გულახდილია რესპონდენტის პასუხი. მაგალითად, რელიგიურ რწმენაზე დასმულ შეკითხვას რესპონდენტთა 70% -მა უპასუხა, რომ თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევს, ამავდროულად მათგან 55% აბორტს მისაღებად მიიჩნევს, ხოლო 40% ევთანაზიას ამართლებს. არაგულახდილი პასუხები მკვლევარმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს შედეგების გაანალიზებისას.

შინაარსის მიხედვით, გამოყოფენ შეკითხვებს ფაქტების, ქმედებების, საქმიანობის შედეგების შესახებ, ასევე, ინდივიდის ქცევის მოტივების, შეფასების, მრწამსის, განწყობისა და აზრის შესახებ. პირველ ჯგუფს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება დემოგრაფიული შეკითხვები, რომლითაც დგინდება რესპონდენტის სტატუსი - მისი სქესი, ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, პროფესია, თანამდებობა, სამუშაო სტაჟი და ა. შ. აღნიშნული შეკითხვები ზუსტ, ცალსახა პასუხებს მოითხოვს, გასაგებად მარტივია და პასუხის უტყუარობის ხარისხიც მაღალია.

შეკითხვები, რომლებიც უკავშირდება რესპონდენტის დამოკიდებულებისა და განწყობის კვლევას, უფრო რთულია. მათში დასმული საკითხების შეფასება ხდება სკალებით. სამართლებრივ სფეროში საკმაოდ ხშირად გამოიყენება შემდეგი ტიპის სკალა:

1. კი;
2. უფრო კი, ვიდრე არა;
3. უფრო არა, ვიდრე კი;
4. არა.

მასში კარგადაა დაბალანსებული დადებითი და უარყოფითი პასუხები.

ფორმის მიხედვით, კითხვები, ასევე, შეიძლება იყოს პირდაპირი („რომელ პოლიტიკურ პარტიას უჭერთ მხარს?“) და არაპირდაპირი (ქვემოთ მოყვანილი მოსაზრებებიდან რომელი მიგაჩნიათ ობიექტურად?).

გამოკითხვის ხარისხი დამოკიდებულია არამარტო შეკითხვების სწორად ფორმულირებაზე, არამედ მათ თანმიმდევრობაზეც. კითხვარის შედგენისას მიზანშეწონილია მათი გაერთიანება თემატურ ბლოკებში. თითოეული ბლოკის ფარგლებში რესპონდენტი უნდა გადადიოდეს ზოგადიდან კონკრეტულ და სპეციფიკურ შეკითხვებზე (მაბრის პრინციპი). ანკეტა რესპონდენტს უნდა უქმნიდეს მიზნობრიობის, თანმიმდევრულობის განცდას.

ნებისმიერი სოციოლოგიური კვლევის, სოციალურ-სამართლებრივი ინფორმაციის შეგროვების პროცესში გადასაწყვეტია მეტად მნიშვნელოვანი საკითხი - გამოკვლეულ უნდა იქნას შესასწავლი მასივი მთლიანად, თუ მისი მხოლოდ ნაწილი? პირველ შემთხვევაში კვლევა იქნება სრული, მეორე შემთხვევაში - შერჩევითი. სოციოლოგიაში უფრო მეტად გავრცელებულია შერჩევითი კვლევის მეთოდი.

შერჩევითი ერთობლიობა გენერალური ერთობლიობის ობიექტების ნაწილია და ის უშუალო დაკვირვების ერთეულებს მოიცავს. შერჩევითი ერთობლიობა გენერალურის რეპრეზენტატული (წარმომადგენლობითი) მოდელი უნდა იყოს. მასში კვლევის ობიექტების შესასწავლი მახასიათებლები მირითადად ისევე უნდა გადანაწილდეს, როგორც ეს გენერალურ ერთობლიობაშია. რეპრეზენტატული ერთობლიობის კვლევის შედეგები საკმაოდ ახლოსაა იმ შედეგებთან, რომლებსაც მივიღებდით გენერალური ერთობლიობის გამოკვლევისას. მთავარია, რომ შერჩევითმა ერთობლიობამ პროპორციულად ასახოს გენერალურის ყველა მახასიათებელი. ეს მის მიმართ წაყენებული მთავარი მოთხოვნაა.

შერჩევითი ერთობლიობის სტრუქტურის გადახრას გენერალური ერთობლიობის სტრუქტურისგან შერჩევის შეცდომას უწოდებენ. სოციალური კვლევისას ნორმალურად მიიჩნევა შერჩევის შეცდომა 3-დან 5%-მდე. შერჩევის 3%-იანი შეცდომა, მაგალითად, ნიშნავს, რომ შერჩევითი ერთობლიობის სტრუქტურის გადახრა გენერალურისგან და შესაბამისად, შერჩევითი ერთობლიობის კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგის გადახრა იმ შედეგისგან, რომელიც მიიღებოდა კვლევის გენერალური ერთობლიობის მასშტაბით ჩატარების შემთხვევაში, შეადგენს პლუს-მინუს 3%-ს.

შესაბამისად, შერჩევითი ერთობლიობის ფორმირება საკმაოდ საპასუხისმგებლო და რთული ამოცანაა და მის ხარისხზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული კვლევის შედეგების საიმედოობა.

სამეცნიერო დაკვირვების ორგანიზებისას მნიშვნელოვანია ეთიკური ნორმების დაცვა. არსებობს სპეციალურად შემუშავებული ინსტრუქციები ეთიკური სტანდარტების უზრუნველსაყოფად. მაგალითად, ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის (American Psychological Association) ეთიკური კოდექსის თანახმად:

- თუ კვლევა ტარდება საზოგადოებრივ ადგილებში, მონაწილის ინფორმირებული თანხმობა მასში მონაწილეობაზე არასავალდებულოა. სხვა შემთხვევაში ამგვარი თანხმობის მიღება აუცილებელია;
- მკვლევარმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ზიანი არ მიაყენოს კვლევის მონაწილეს. მისი თავიდან აცილების შეუძლებლობის შემთხვევაში - ეს ზიანი მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი;
- მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი, ასევე, პირად ცხოვრებაში შეჭრაც;
- დაუშვებელია კვლევაში მონაწილის კონფიდენციალური მონაცემების გამჟღავნება.

მთლიანობაში, დაკვირვების ყველა განხილულ სახეობას, ფორმასა და ხერხს საკუთარი დადებითი და ნაკლოვანი მხარეები გააჩნია. ამ კუთხით, სამართლებრივი ინფორმაციული ბაზის ხარისხიანობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენადაა დაკავშირებული ერთმანეთთან მონაცემთა წყაროები, რამდენად ავსებენ ისინი ერთმანეთს და საბოლოო ჯამში, რამდენად კომპლექსურია დაკვირვების შედეგები.

შეკითხვები თვითშეფასებისთვის:

1. რა არის სტატისტიკური დაკვირვება და რა მოთხოვნები წაყენება მას?
2. სამართლებრივი სტატისტიკის ძირითადი ნაწილების (სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო სამართლებრივი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატისტიკის) რომელ კონკრეტულ ობიექტებს იცნობთ?
3. რა იგულისხმება დაკვირვების ერთეულის, ანგარიშგების ერთეულის და ზომის ერთეულის ქვეშ სამართლებრივ სტატისტიკაში;
4. დაასახელეთ დანაშაულობის საზომი ერთეულები.
5. რა არის სტატისტიკური დაკვირვების პროგრამა? რა მოთხოვნები წაყენება მას?
6. სტატისტიკური დაკვირვების რა ორგანიზაციული ფორმები არსებობს?
7. სტატისტიკური დაკვირვების რომელი სახეები გამოიყენება სხვადასხვა სოციალურ-სამართლებრივ კვლევაში?
8. სტატისტიკური დაკვირვების რა ძირითადი ხერხები გამოიყენება სოციალურ-სამართლებრივ კვლევებში?
9. დაასახელეთ სტატისტიკური დაკვირვების ორგანიზაციული ფორმები.
10. სტატისტიკური დაკვირვების რა სახეები გამოიყენება სოციალურ-სამართლებრივ კვლევებში?
11. სტატისტიკური დაკვირვების რა ძირითადი ხერხები გამოიყენება სოციალურ-სამართლებრივ კვლევებში?

ტესტი

1. კვლევის სტადიას, რომელზეც მიმდინარეობს სამართლებრივი მოვლენების შესახებ ინფორმაციის შეგროვება სააღრიცხვო დოკუმენტებში ფაქტების რეგისტრაციის მეშვეობით, ეწოდება:
 - სტატისტიკური მონაცემების შეგროვება;
 - სტატისტიკური დაკვირვება;
 - სტატისტიკური მონაცემების შეჯამება;
 - სტატისტიკური მონაცემების სამეცნიერო დამუშავება.
2. მიუთითეთ სტატისტიკური დაკვირვებისადმი წაყენებული მოთხოვნები:
 - ამოსავალი ინფორმაციის საიმედოობა და სისრულე;
 - სისტემატურად წარმოება;

- მონაცემების არაშესადარისობა დროის მიხედვით;
 - მონაცემების არაშესადარისობა ტერიტორიის მიხედვით;
3. *სამართლებრივ მოვლენებზე სტატისტიკური დაკვირვების მონაცემთა საიმედოობაზე გავლენას ახდენს:*
- სტატისტიკური პერსონალის პროფესიონალიზმი;
 - სტატისტიკური დაკვირვების პროგრამის შინაარსი;
 - სტატისტიკური დაკვირვების წარმოების ვადები;
 - სტატისტიკური მაჩვენებლების სოციალური შინაარსი
4. *სამართლებრივ მოვლენებზე სტატისტიკური დაკვირვების ერთეულების შესადარისობა მიიღწევა:*
- მონაცემთა რეგისტრაციის (აღრიცხვის) მეთოდების ერთიანობით;
 - დაკვირვების პროგრამის ერთიანობით;
 - დაკვირვების ვადებისა და დროის ერთიანობით;
 - დაკვირვების ტერიტორიული საზღვრების ერთიანობით.
5. *დაკვირვებას დაქვემდებარებული სოციალურ-სამართლებრივი მოვლენებისა და პროცესების ერთობლიობას სტატისტიკაში ეწოდება:*
- დაკვირვების ერთეული;
 - დაკვირვების ობიექტი;
 - საზომი ერთეული;
 - დაკვირვების სუბიექტი.
6. *სტატისტიკური დაკვირვების ობიექტის განსაზღვრისას აუცილებელია მკაფიოდ იქნას დადგენილი:*
- დაკვირვების ობიექტის ტერიტორიული საზღვრები;
 - დაკვირვების ობიექტის დროითი საზღვრები;
 - დაკვირვების ობიექტის ძირითადი ნიშნები, რომლებიც მას სხვა ობიექტებისგან განასხვავებს;
 - დაკვირვების ობიექტის ყველა ნიშანი.
7. *სისხლის-სამართლებრივ სტატისტიკაში დაკვირვების კონკრეტული ობიექტებია:*
- დანაშაულები;
 - დანაშაულის ჩამდენი პირები;
 - სასჯელები;
 - ამორალური ქმედებები.

8. სისხლის-სამართლებრივ სტატისტიკაში დანაშაულობა იზომება:

- დანაშაულის მსხვერპლ პირთა რიცხვით;
- რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობით;
- დანაშაულის ჩამდენ პირთა რიცხვით;
- ყველა ინსტანციის სასამართლოში განხილული სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობით.

9. სამოქალაქო-სამართლებრივ სტატისტიკაში რეგისტრაციის კონკრეტული ობიექტებია:

- პირველი ინსტანციის სასამართლოები, რომლებიც სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ;
- სამოქალაქო დავები;
- სამოქალაქო პროცესის მხარეები;
- სასამართლო გადაწყვეტილებები.

10. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სტატისტიკაში რეგისტრაციის კონკრეტული ობიექტებია:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევები;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირები;
- სასამართლოს მიერ დანიშნული სახელმწიფო იძულების ზომები;
- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები

11. წყაროს, რომლიდანაც მიიღება პირველადი სტატისტიკური ინფორმაცია, ეწოდება:

- დაკვირვების ობიექტი;
- საზომი ერთეული;
- ანგარიშგების ერთეული;
- დაკვირვების ერთეული.

12. დაკვირვების ობიექტის ელემენტს, რომლის ნიშნებიც ექვემდებარება რეგისტრაციას დაკვირვების პროცესში, ეწოდება:

- ერთობლიობის ერთეული;
- დაკვირვების ერთეული;
- საზომი ერთეული;
- დაკვირვების ელემენტი.

13. სისხლისსამართლებრივ სტატისტიკაში დანაშაულობის ზომის ერთეულებია:

- სასჯელის ზომა;

- სისხლის სამართლის საქმე;
- დანაშაული;
- დანაშაულის ჩამდენი პირი.

14. სტატისტიკური დაკვირვების ძირითადი ფორმებია:

- საანკეტო გამოკითხვა;
- ანგარიშგება;
- სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვება;
- დაკვირვება ძირითად მასივზე.

15. მონაცემების წარდგენის ხასიათის მიხედვით განარჩევენ სტატისტიკური დაკვირვების შემდეგ სახეებს:

- ოფიციალურ სახელმწიფო ანგარიშგებას;
- სეზონურ ანგარიშგებას;
- შიდაუწყებრივ ანგარიშგებას;
- ამორჩევით ანგარიშგებას.

16. სტატისტიკური მასალის შეგროვების ძირითადი ხერხებია:

- უშუალო დაკვირვება;
- დოკუმენტური აღრიცხვა;
- თვითტესტირება;
- გამოკითხვა.

17. ფაქტების რეგისტრაციის ვადების მიხედვით, განასხვავებენ სტატისტიკური დაკვირვების შემდეგ სახეებს:

- მიმდინარეს (უწყვეტს);
- პერიოდულს;
- დროებითს;
- ერთდროულს.

18. ერთობლიობის ერთეულების მოცვის ხარისხის მიხედვით განასხვავებენ სტატისტიკური დაკვირვების შემდეგ სახეებს:

- სრულს;
- მიმდინარეს;
- არასრულს;
- ანკეტურს.

თავი 5. სტატისტიკური დაკვირვების მასალების დამუშავების მეთოდოლოგია

- 5.1. სტატისტიკური დაკვირვების მასალების შეჯამება და დაჯგუფება
- 5.2 სტატისტიკური დაჯგუფების სახეები
- 5.3. სამართლებრივი სტატისტიკის მონაცემების ასახვა ცხრილებში
- 5.4. სამართლებრივი სტატისტიკის მონაცემების გრაფიკული ასახვა

მე-5 თემის შესწავლის შემდეგ სტუდენტმა უნდა

იცოდეს:

- სამართლებრივი მოვლენებისა და პროცესების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეჯამების ცნების განმარტება;
- სამართლებრივი სტატისტიკური მონაცემების შეჯამების პროგრამა;
- სტატისტიკური დაჯგუფების სახეები, მათი გამოყენება სოციალურ-სამართლებრივი მოვლენების ანალიზისთვის;
- სამართლებრივი მოვლენების ანალიზისთვის გამოყენებული სტატისტიკური ცხრილების სახეები;
- სამართლებრივი მოვლენების ანალიზისთვის გამოყენებული გრაფიკების სახეები.

შეძლოს:

- სწორად გამოყოს მთავარი ნიშნები სოციალურ-სამართლებრივი სტატისტიკური მონაცემების დაჯგუფებისთვის;
- ასახოს ცხრილებში სამართლებრივ-სტატისტიკური მონაცემები;
- გააანალიზოს დანაშაულობისა და სხვა მოვლენების ცვლილების ტენდენციები;
- გამოიყენოს გრაფიკები პრაქტიკული მუშაობის პროცესში.

შეიძინოს უნარები:

- მთავარი ნიშნების საფუძველზე სამართლებრივი სტატისტიკის პირველადი მონაცემების დაჯგუფების;
- სტატისტიკური ცხრილების მაჩვენებლების ანალიზის;
- სოციალურ-სამართლებრივი მოვლენების გრაფიკული ასახვის.

თემის შინაარსი

- ✓ სტატისტიკური შეჯამება გულისხმობს სტატისტიკური დაკვირვების მასალების მეცნიერულ დამუშავებას, რაც მოიცავს პირველადი სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზაციასა და დაჯგუფებას, მათ ცხრილებში შეტანას, ჯგუფური და საერთო შედეგების დაჯამებას,

წარმოებული მაჩვენებლების, კოეფიციენტების, პროცენტების, საშუალო სიდიდეების დაანგარიშებას ჯგუფისა და მთლიანად ობიექტის დახასიათების მიზნით.

- ✓ სტატისტიკური შეჯამების პროგრამის შინაარსი
- ✓ სტატისტიკური შეჯამების გეგმა
- ✓ სტატისტიკური მონაცემების დამუშავების ფორმის (ხერხის) მიხედვით, სტატისტიკური შეჯამება შეიძლება იყოს: დეცენტრალიზებული, შერეული და ცენტრალიზებული.
- ✓ სტატისტიკური დაჯგუფება სტატისტიკური ერთობლიობის თვისებრივად ერთგვაროვან ჯგუფებად დანაწევრების ან მთავარი თვისებრივი ნიშნების მიხედვით ცალკეულ შემთხვევათა ერთგვაროვან ჯგუფში გაერთიანების პროცესია.
- ✓ ჯგუფების გამოყოფა რაოდენობრივი ნიშნის მიხედვით. ჯგუფების რაოდენობის და ინტერვალის სიდიდის განსაზღვრა
- ✓ ჯგუფების გამოყოფა თვისებრივი ნიშნის საფუძველზე
- ✓ დაჯგუფების მეთოდის მნიშვნელობა სამართლებრივ სტატისტიკაში
- ✓ სტატისტიკური დაჯგუფების სახეები სამართლებრივ სტატისტიკაში: ტიპოლოგიური, სტრუქტურული და ანალიზური დაჯგუფება
- ✓ ტიპოლოგიური დაჯგუფება სამართლებრივ სტატისტიკაში წარმოადგენს თვისებრივად მრავალფეროვან დანაშაულთა, სხვა იურიდიულ მოვლენათა ერთობლიობის დაყოფას ცალკეულ ერთგვაროვან ერთობლიობებად (ჯგუფებად, ტიპებად) მთავარი თვისებრივი ნიშნების მიხედვით. დაჯგუფების მიზანია საერთო ძირითადი ნიშნის მქონე ერთგვაროვანი ჯგუფების გამოვლენა და მათი დახასიათება.
- ✓ სტრუქტურული, ანუ ვარიაციული დაჯგუფება გულისხმობს ერთგვაროვანი ერთობლიობის დაყოფას ჯგუფებად, რომლებიც ერთობლიობის სტრუქტურას ახასიათებს რომელიმე ვარიირებადი ნიშნის მიხედვით.

- ✓ ანალიზური (ფაქტორული) დაჯგუფება საშუალებას იძლევა გამოკვლეულ იქნას ურთიერთკავშირი და დამოკიდებულება შესასწავლ სამართლებრივ მოვლენებსა და მათ ნიშნებს (ფაქტორებს) შორის
- ✓ ფაქტორული ნიშნები, რეზულტატიური (შედეგობრივი) ნიშნები
- ✓ მარტივი დაჯგუფება, რთული დაჯგუფება, კომბინაციური დაჯგუფება
- ✓ პირველადი და მეორადი დაჯგუფებები
- ✓ სტატისტიკური ცხრილის მთავარი ელემენტები: ქვემდებარე, შემასმენელი, რიგები და სვეტები
- ✓ ცხრილის ქვემდებარე - კვლევის ობიექტი ან ერთობლიობის ერთეულების ჩამონათვალი, რომელთა დახასიათება ცხრილში ციფრებით აისახება
- ✓ ცხრილის შემასმენელი - მაჩვენებლების ერთობლიობა, რომლებითაც ხასიათდება კვლევის ობიექტი (ცხრილის ქვემდებარე)
- ✓ ცხრილის სავალდებულო რეკვიზიტები: სათაური, ქვემდებარისა და შემასმენლის, მათი ჯგუფებისა და ნაწილების დასახელება, ცნობები ზომის ერთეულის, ასევე, ცხრილში მოყვანილი მონაცემების სივრცობრივი და დროითი საზღვრების შესახებ
- ✓ ქვემდებარის სახეობიდან გამომდინარე, ცხრილები, რაოდენობრივი ნიშნის მიხედვით, შეიძლება იყოს უბრალო, ჯგუფური და კომბინაციური, ხოლო თვისებრივი ნიშნის მიხედვით - ტიპოლოგიური, ვარიაციული და ანალიზური.
- ✓ გრაფიკი სტატისტიკური სიდიდეების ვიზუალური ასახვა გეომეტრიული ხაზებისა და ფიგურების (დიაგრამების) ან გეოგრაფიული რუქა-სქემების (კარტოგრამების) მეშვეობით.
- ✓ გრაფიკის სავალდებულო რეკვიზიტებია: სათაური, სიტყვიერი განმარტებები სკალის მასშტაბის, ზომის ერთეულების, პირობითი აღნიშვნების და სხვათა შესახებ.
- ✓ გრაფიკის ძირითადი ელემენტებია: გრაფიკული გამოსახულება, სივრცობრივი და მასშტაბური ორიენტირები.

- ✓ გრაფიკების სახეები და მათი გამოყენება სამართლებრივ სისტემაში

თემის შესწავლის მიზნები:

- ✓ ცოდნის მიღება სტატისტიკური შეჯამების შესახებ სამართლებრივი სტატისტიკის დარგში;
- ✓ სამართლებრივი სტატისტიკური მონაცემების დაჯგუფების უნარ-ჩვევების შექმნა;
- ✓ სამართლებრივი სტატისტიკის მონაცემების ასახვის ხერხების გაცნობა;
- ✓ სამართლებრივი პროცესების გაანალიზების უნარ-ჩვევების შექმნა გრაფიკის გამოყენებით.

თემის შესწავლის ამოცანები:

- ✓ ცოდნის მიღება სტატისტიკური შეჯამების და მისი ეტაპების შესახებ სამართლებრივ კვლევებში;
- ✓ სტატისტიკური დაკვირვების სახეების გაცნობა;
- ✓ სტატისტიკური ცხრილების აგების მეთოდის დაუფლება;
- ✓ სტატისტიკურ-სამართლებრივი გრაფიკების აგების წესების გაცნობა.

თემის შესწავლისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება შემდეგ ცნებებზე:

- ✓ სტატისტიკური შეჯამება;
- ✓ სტატისტიკური შეჯამების პროგრამა;
- ✓ სტატისტიკური დაჯგუფება;
- ✓ მაჯგუფებელი ნიშნები;
- ✓ სტატისტიკური დაჯგუფების სახეები;
- ✓ სტატისტიკური ცხრილი;
- ✓ სტატისტიკური ცხრილის სახეები;
- ✓ გრაფიკის ძირითადი ელემენტები.

თემის შესწავლის თანმიმდევრობა:

1. თეორიული მასალის შესწავლა;
2. პრაქტიკული დავალების შესრულება;
3. პასუხი ტესტურ შეკითხვებზე.

დამატებითი ლიტერატურა:

1. Dodge, Y. (2006) *The Oxford Dictionary of Statistical Terms*, OUP. ISBN 0-19-920613-9

2. Singh, Yogesh Kumar Fundamentals Of Research Methodology And Statistics <https://archive.org/details/1.fundamentalOfResearchMethodologyAndStatist>
3. Теория статистики: Учеб. для вузов / Под ред. Р.А. Шмойловой. <http://www.alleng.ru/d/econ/econ324.htm>
4. Теория статистики. Учеб. для вузов / Под ред. Р.А. Шмойловой.
5. Герчук Я.П. Графические методы в статистике. – М., 1968.
6. Иванов О.В. Теория статистической группировки. – М., 1992.
7. Лунеев В.В. Юридическая статистика. – Гл. 8. – С. 204-243. http://www.pravo.vuzlib.su/book_z975_22.html
8. Савюк Л.К. Правовая статистика <http://www.alleng.ru/d/jur/jur686.htm>

5.1. სტატისტიკური დაკვირვების მასალების შეჯამება და დაჯგუფება

სტატისტიკური კვლევის პირველ ეტაპზე, განხორციელებული დაკვირვების შედეგად გროვდება სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სააღრიცხვო ჟურნალებში, სტატისტიკურ ბარათებსა და სხვა პირველად დოკუმენტებში ასახულ დიდი რაოდენობით პირველად მონაცემებს. ეს მონაცემები ასახავენ შესასწავლი ერთობლიობის ცალკეულ ერთეულებს (მაგალითად, დანაშაულის ჩამდენ პირთა სქესს, ასაკს, ეროვნებას, განათლებასა და სხვა ნიშნებს). ცალკეული მონაცემის საფუძველზე არ შეიძლება დასკვნების გაკეთება მთლიანად კვლევის ობიექტის შესახებ.

სამართლებრივი მოვლენებისა და პროცესების სრული დახასიათებისთვის, აუცილებელია სტატისტიკური კვლევის მასალების (დანაშაულობის, სისხლის სამართლის საქმეების, სამოქალაქო გარჩევებისა და სხვა მონაცემების) სისტემატიზაცია, რაც სტატისტიკური კვლევის მეორე ეტაპს წარმოადგენს და მას სტატისტიკური შეჯამება ეწოდება.

სტატისტიკური შეჯამება გულისხმობს სტატისტიკური დაკვირვების მასალების მეცნიერულ დამუშავებას, რომელიც მოიცავს პირველადი სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზაციასა და დაჯგუფებას, მათ ცხრილებში შეტანას, ჯგუფური და საერთო შედეგების დაჯამებას, წარმოებული მაჩვენებლების, კოეფიციენტების, პროცენტების, საშუალო სიდიდეების დაანგარიშებას ჯგუფისა და მთლიანად ობიექტის დახასიათების მიზნით.

სტატისტიკური შეჯამება საშუალებას იძლევა პირველადი მასალებიდან (სტატისტიკური ბარათებიდან, სააღრიცხვო ჟურნალებიდან და ა. შ.)

მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, განზოგადებული დახასიათება მივცეთ მოვლენას და მოვახდინოთ მისი განვითარების პროგნოზირება.

სტატისტიკური შეჯამება, თავისი მნიშვნელოვნებით, არ ჩამოუვარდება სტატისტიკურ დაკვირვებას, იმდენად რამდენადაც, მასალის არასწორმა დამუშავებამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს, ან დაამახინჯოს პირველადი მონაცემები. ამიტომ სტატისტიკური შეჯამება განსაზღვრული პროგრამისა და გეგმის მიხედვით უნდა წარმოებდეს.

სტატისტიკური შეჯამების პროგრამა მოიცავს რამდენიმე ეტაპს. ესენია:

- მაჩვენებელთა სისტემის შემუშავება, რომელზე დაყრდნობითაც მოხდება სოციალურ-სამართლებრივი მოვლენის, ან მისი ცალკეული ჯგუფის დახასიათება;
- მიღებული მონაცემების სტატისტიკური დაჯგუფება;
- ჯგუფური და საერთო შედეგების დათვლა;
- შემაჯამებელი სტატისტიკური ცხრილების მაკეტების შემუშავება შეჯამების შედეგების ასახვისთვის (მაგალითად, სტატისტიკური ანგარიშების ფორმების მომზადება).

შეჯამების პროგრამის შინაარსი განისაზღვრება კონკრეტული სტატისტიკური კვლევის ამოცანებით.

სტატისტიკური შეჯამების გეგმა შეიცავს ინფორმაციას შეჯამების ცალკეული ეტაპის განხორციელების ვადებსა და თანმიმდევრობაზე, მის შემსრულებლებზე, შედეგების წარდგენის წესზე.

სტატისტიკური მონაცემების დამუშავების ფორმის (ხერხის) მიხედვით, შეჯამება შეიძლება იყოს დეცენტრალიზებული (პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები მუშავდება ადგილზე და ზემდგომ ორგანოს ეგზავნება შედეგების საბოლოო ვერსია), შერეული (პირველადი მასალები მუშავდება ნაწილობრივ ადგილზე, მისი საბოლოო დამუშავება კი ზემდგომ ორგანოში ხდება).

სამართალდამცავ და იუსტიციის ორგანოებში უფრო მეტად გავრცელებულია შეჯამების შერეული ფორმა.

ნებისმიერი სტატისტიკური მასალის შეჯამებას საფუძვლად ყოველთვის ერთობლიობის ცალკეული ერთეულების დაჯგუფება უდევს.

სტატისტიკური დაჯგუფება სტატისტიკური ერთობლიობის თვისებრივად ერთგვაროვან ჯგუფებად დანაწევრების ან მთავარი თვისებრივი ნიშნის მიხედვით ცალკეულ შემთხვევათა ერთგვაროვან ჯგუფში გაერთიანების პროცესია. მაგალითად, დანაშაულის დაჯგუფება სახეობის, სიმძიმის კატეგორიის, ჩადენის ხერხის, ხელყოფის ობიექტის (პიროვნების, სახელმწიფოს წინააღმდეგ, ეკონომიკის სფეროში და ა. შ.) მიხედვით. მთავარი (მაჯგუფებელი) ნიშნების შერჩევა ხდება კვლევის მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე. ასეთი ნიშნის სწორად შერჩევა ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან დაჯგუფების სხვადასხვა ხერხის გამოყენებამ ერთი და იგივე სტატისტიკური მასალის გასაანალიზებლად, შეიძლება სრულიად საწინააღმდეგო დასკვნებამდე მიგვიყვანოს. ამიტომ სამართლებრივი მოვლენებისა და პროცესების განვითარების კანონზომიერებათა გამოსავლენად აუცილებელია ისეთი ნიშნების გამოყოფა, რომლებიც რეალურად არსებული კანონზომიერებებიდან გამომდინარეობენ.

მთავარი (მაჯგუფებელი) შეიძლება იყოს შესასწავლი მოვლენის რაოდენობრივი ან თვისებრივი ნიშანი.

ჯგუფის გამოყოფა რაოდენობრივი ნიშნის საფუძველზე (როგორცაა, მაგალითად, დანაშაულის ჩამდენ პირთა ასაკი, ნასამართლობათა რაოდენობა, თავისუფლების აღკვეთის, გამოძიების ვადები და სხვ.) მოითხოვს ჯგუფების საერთო რაოდენობის დადგენას ნიშნის მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობათა გათვალისწინებით.

ჯგუფების რაოდენობის და ინტერვალის სიდიდის საკითხის გადაწყვეტისას აუცილებელია შესასწავლი მოვლენის თავისებურებებისა და არსის გათვალისწინება. ამავდროულად, რაც უფრო მეტია ჯგუფების რაოდენობა, მით ნაკლები იქნება ინტერვალი და პირიქით. ინტერვალი შეიძლება იყოს თანაბარი და არათანაბარი. სამართლებრივი მოვლენების შესასწავლად გამოიყენება არათანაბარი (მზარდი, კლებადი) ინტერვალები, ოღონდ დიდი რიცხვების კანონის მოთხოვნის შესაბამისად, თითოეულ ჯგუფში უნდა შედიოდეს შესასწავლი ერთობლიობის ერთეულების საკმაოდ დიდი რიცხვი.

ზოგიერთ შემთხვევაში მიზანშეწონილია დაჯგუფება წარმოებდეს თანაბარი ინტერვალებით, მაგალითად, სამართალდამრღვევთა განაწილების დროს ასაკობრივ ჯგუფებში.

დანაშაულის ჩამდენი პირების დაჯგუფების მაგალითი ისეთი რაოდენობრივი ნიშნის მიხედვით, როგორცაა ასაკი, მოცემულია ცხრილში #4

ცხრილი # 4. დანაშაულის ჩამდენ პირთა დაჯგუფება ასაკის მიხედვით საქართველოში					
ასაკი	2010	2011	2012	2013	2014
14-18	490	401	410	440	402
19-24	1901	2001	1999	2154	2202
25-29	3421	3521	3213	3452	3321
30-35	2999	2899	2887	2943	3021
36 +	234	345	321	399	432

ჯგუფის ინტერვალი შეიძლება იყოს დახურული (როცა მითითებულია ინტერვალის როგორც ქვემო, ისე ზემო ზღვარი და ღია (როცა მითითებულია ერთერთი ზღვარი: ან ზემო, თუ ის პირველი ინტერვალია ან ქვემო, თუ ის ბოლო ინტერვალია

მთავარი (მაჯგუფებელი) შეიძლება იყოს თვისებრივი (ატრიბუტული) ნიშანიც, მაგალითად, დამნაშავეის სქესი, მისი განათლება და ა. შ. (იხ. ცხრილი #5)

ცხრილი #5 დანაშაულის ჩამდენ პირთა გენდერული თანაფარდობა საქართველოში					
	2010	2011	2012	2013	2014
დანაშაულის ჩამდენ პირთა რაოდენობა, მათ შორის	39881	36943	34597	35290	33576
მამაკაცები	35800	33654	31694	31002	29435
ქალები	4081	3282	2903	4288	4141

სამართალდამცავი ორგანოების ოფიციალურ სტატისტიკურ ანგარიშგებაში სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური რაოდენობრივი და თვისებრივი მაჯგუფებელი ნიშნები შეტანილია შინაგან საქმეთა ორგანოების, პროკურატურის, სასამართლოს, საგადასახადო პოლიციის, საბაჟო სამსახურის შესაბამის ანგარიშგების ფორმებში.

დაჯგუფების მეთოდი პირველადი სტატისტიკური მასალის დამუშავებისა და განზოგადების, გამოსაკვლევი ერთობლიობის რაიმე ნიშნის მიხედვით განაწილების, მისი კომპაქტურად გამოსახვის შესაძლებლობას იძლევა. ის ნიადაგს ქმნის სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშებისთვის, ერთობლიობის სტრუქტურასა და მის ნიშნებს შორის ურთიერთკავშირის

შესწავლისთვის, რაც მონაცემების შემდგომი დაჯამებისა და გაანალიზების საშუალებას იძლევა.

სამართლებრივ სტატისტიკაში დაჯგუფების მეთოდი გამოიყენება ისეთი ამოცანების გადასაწყვეტად, როგორცაა:

- სამართლებრივი მოვლენების თვისებრივად ერთგვაროვანი ერთობლიობების (ტიპების, ჯგუფების, კატეგორიების) გამოვლენა;
- სამართლებრივი მოვლენების სტრუქტურისა და მისი ცვლილების შესწავლა;
- ურთიერთკავშირის გამოვლენა მოვლენის ცალკეულ ნიშნებს, ასევე, თავად მოვლენებს შორის (მაგალითად, სამართალდარღვევებსა და მათ განმაპირობებელ სოციალურ მოვლენებს შორის).

5.2. სტატისტიკური დაჯგუფების სახეები

სამართლებრივი სტატისტიკის პრაქტიკაში გამოიყენება დაჯგუფების სამი სახე: ტიპოლოგიური, სტრუქტურული და ანალიზური.

ტიპოლოგიური დაჯგუფება გულისხმობს, მთავარი თვისებრივი ნიშნის მიხედვით, თვისებრივად არაერთგვაროვანი ერთობლიობის (დანაშაულის, იურიდიული მნიშვნელობის სხვა მოვლენების) დაყოფას ერთგვაროვან ერთობლიობებად (ჯგუფებად, ტიპებად) მათი შემდგომი დახასიათების მიზნით (ცხრილი #6).

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
რეგისტრირებული დანაშაული - სულ	17397	24856	43266	62283	54746	44644	35949	34739	32263
მათ შორის:									
მძიმე დანაშაული	10326	17833	24320	29249	13158	13028	11093	9987	9017
არასრულწლოვანთა დანაშაული	617	557	755	997	674	759	595	543	333

სისხლისსამართლებრივ სტატისტიკაში ტიპოლოგიური დაჯგუფების მაგალითებია:

- დანაშაულის დაჯგუფება სიმძიმის კატეგორიის (ნაკლებად მძიმე, მძიმე, განსაკუთრებით მძიმე, ბრალის ფორმის (განზრახი,

გაუფრთხილებლობით), ასევე, დანაშაულებრივი ხელყოფის სფეროს მიხედვით (ეკონომიკური, სოციალური და ა. შ.);

- სასჯელის დაჯგუფება სახეობის მიხედვით: (ჯარიმა, თავისუფლების აღკვეთა და სხვ.);
- დამნაშავეთა დაყოფა სქესის (მამაკაცები, ქალები), ნასამართლობის (ადრე ნასამართლავი, არანასამართლავი) და სხვათა მიხედვით.

სამოქალაქო-სამართლებრივ სტატისტიკაში უფრო გავრცელებული ტიპოლოგიური დაჯგუფებებია : სამოქალაქო საქმეთა დაყოფა კატეგორიების ან სამართლის დარგების (შრომის, საოჯახო, საავტორო, ქონებრივი, მემკვიდრეობითი და სხვ.), მიხედვით. თავის მხრივ, მათ ყოფენ დავის ხასიათის, მოსარჩელესა და მოპასუხის სახეობის (ფიზიკური, იურიდიული პირი) შესაბამისად, შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული იურიდიული პირის სახეებიც - საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმო, დაწესებულება თუ ორგანიზაცია. დაჯგუფება ხორციელდება საქმის განხილვის შედეგების (განხილულია და გამოტანილია განჩინება, დატოვებულია განხილვის გარეშე, შეწყვეტილია, გადაეცა სხვა სასამართლოს), ასევე, განჩინების ხასიათისა და სანქციების მიხედვითაც.

თვისებრივი ნიშნით დაჯგუფებას, როდესაც არსებობს ამ ნიშნის მხოლოდ ორი ურთიერთგამომრიცხავი მნიშვნელობა, ალტერნატიული დაჯგუფება ეწოდება.

სტრუქტურული (ვარიაციული) ეწოდება დაჯგუფებას, რომელშიც ტიპოლოგიური დაჯგუფების შედეგად მიღებული ერთგვაროვანი ერთობლიობები იყოფა ჯგუფებად, რომლებიც ერთგვაროვანი ერთობლიობის სტრუქტურას რომელიმე ვარირებადი ნიშნის მიხედვით ახასიათებენ.

სტრუქტურული ჯგუფების ანალიზი სამართლებრივ სტატისტიკაში შესაძლებლობას იძლევა გამოვიკვლიოთ სტრუქტურული ცვლილებები სამოქალაქო სარჩელების, დანაშაულის, სხვა სამართლებრივი მოვლენების ტიპობრივად ერთგვაროვან ჯგუფებში. მაგალითად, დამნაშავეთა დაყოფა ასაკის, თავისუფლების აღკვეთის ვადების, ნასამართლობის რიცხვის, დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტისა და სფეროს, სამართლებრივი მოვლენების დროში განაწილების მიხედვით. (ცხრილი #7)

ცხრილი 7. ეკონომიკური დანაშაულის სტრუქტურა საქართველოში (გამოვლენილი დანაშაული)				
დანაშაულის სახეობა	absოლუტური რაოდენობა	წილი %	დიდი ოდენობით	
			absოლუტური რიცხვი	წილი %
ყველა დანაშაული	12333	-	3244	14,1
მათ შორის მძიმე	5699	100	2999	60
მეტრთამეობა	234	4	152	5
მითვისება	675	11	234	7
გაფლანგვა	599	10	402	13
თაღლითობა	1033	18	453	14
ფულის გაყალბება	55	09	52	1.7

ანალიზური დაჯგუფება საშუალებას იძლევა გამოკვლეულ იქნას ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება (მათ შორის, ფარულიც) შესასწავლ სამართლებრივ მოვლენასა და მის ნიშნებს (ფაქტორებს) შორის. ნიშნის, რომლის ზეგავლენითაც სხვა ნიშანი იცვლება, ფაქტორულს ვუწოდებთ. ხოლო ნიშანი, რომელიც ფაქტორული ნიშნის ზემოქმედების შედეგად იცვლება - შედეგობრივი, ანუ რეზულტატიურია.

ცხრილი # 8 ზოგიერთი დანაშაულის გამოძვევი ფაქტორი				
დანაშაულის გამოძვევი ფაქტორები	დანაშაულის სახეობები			
	მკვლელობა	ყაჩაღობა	მარცვა	ქურდობა
დამნაშავეს არ გააჩნია მუდმივი შემოსავალი	52%	64%	56%	50%
დამნაშავე იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში	77%	59%	48%	39%
დამნაშავე იმყოფებოდა ნარკოტიკის გავლენის ქვეშ	2%	1%	0.5%	2%

მაგალითად, ფაქტორული ნიშნის (მოსახლეობის ალკოჰოლიზაციის) ზემოქმედებით იცვლება შედეგობრივი ნიშნის (დანაშაულობის) მაჩვენებელი. ანალიზური დაჯგუფება ხორციელდება ფაქტორული ნიშნის მიხედვით. ყოველ ასეთ ჯგუფს შედეგობრივი ნიშნის თავისი მაჩვენებელი გააჩნია. შესასწავლ ნიშნებს (მოვლენებს) შორის კავშირის სიმყარის განსაზღვრის მიზნით, ანალიზური დაჯგუფებისას გამოიყენებენ მათემატიკური სტატისტიკის მეთოდს (მაგალითად, კორელაციურ-რეგრესიულ ანალიზს).

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, სამართლებრივ-იურიდიული მოვლენების ანალიზისთვის გამოიყენება ზემოთ დასახელებული ყველა სახის დაჯგუფება, ხშირად კი მათი ერთობლიობა (მაგალითად, კომპლექსური ანალიზის დროს).

დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროებისა და სიმძიმის დასადგენად გამოიყენება ტიპოლოგიური დაჯგუფება - დანაშაულები ჯგუფებად იყოფა სიმძიმის კატეგორიის მიხედვით (განსაკუთრებით მძიმე, მძიმე, ნაკლებად მძიმე დანაშაული); სამართალდამცავი ორგანოების (პროკურატურის, საბაჟო სამსახურის, შინაგან საქმეთა ორგანოების, უშიშროების სამსახურის) მუშაობის შედეგების დასახასიათებლად შეიძლება სტრუქტურული (ვარიაციული) დაჯგუფების გამოყენება, რაც ამ უწყებების მიერ გახსნილი დანაშაულის პროცენტული მაჩვენებლის ცვლილების (ვარიაციების) შესწავლის საშუალებას იძლევა; ამა თუ იმ რეგიონში დანაშაულობის ზრდის ან შემცირების მიზეზების დასადგენად უნდა გამოვიყენოთ ანალიზური დაჯგუფების მთელი რიგი.

შესასწავლი მოვლენის სირთულის ხარისხიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, დაჯგუფება შეიძლება იყოს მარტივი, რთული, კომბინაციური, პირველადი და მეორადი.

მარტივია დაჯგუფება ერთი ნიშნის მიხედვით (მაგალითად, დამნაშავეების დაყოფა ასაკობრივ ჯგუფებად). რთულია დაჯგუფება ორი და მეტი ნიშნის მიხედვით.

კომბინაციურია დაჯგუფება, თუ მას საფუძველად უდევს რამდენიმე ნიშნის კომბინაცია. ერთი ნიშნით ფორმირებული ჯგუფები იყოფა ქვეჯგუფებად მეორე და ა. შ. ნიშნების მიხედვით. თუ სქესით განსაზღვრული ქვეჯგუფების გარდა, გამოყოფთ დამნაშავეთა ასაკობრივ ჯგუფებსაც, მივიღებთ კომბინაციურ დაჯგუფებას. ასეთი დაჯგუფებები მრავალი ამოცანის გადაჭრის საშუალებას იძლევა, როგორცაა სტრუქტურული ცვლილებების შესწავლა, გამოყოფილ ნიშნებს შორის კავშირის დადგენა და ა.შ. თუმცა, კომბინაციური ცხრილების გამოყენებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ინფორმაციის მეტისმეტად დანაწილება ართულებს ანალიზს.

დაჯგუფება პირველადია, თუ ის წარმოებს პირველადი სტატისტიკური მასალის საფუძველზე. მეორადი დაჯგუფება გულისხმობს ახალი ჯგუფების წარმოქმნას ადრე განხორციელებული დაჯგუფების საფუძველზე. სამართლებრივ სტატისტიკაში სხვადასხვა სახის დაჯგუფების, ასევე, სტატისტიკის სხვა დარგების მონაცემების გამოყენება

მნიშვნელოვნად აფართოებს დანაშაულისა და მისი აღმკვეთი ორგანოების საქმიანობის შესწავლის შესაძლებლობებს.

5.3. სამართლებრივი სტატისტიკის მონაცემების ასახვა ცხრილებში

სტატისტიკური შეჯამების და დაჯგუფების შედეგები, როგორც წესი, აისახება სტატისტიკურ ცხრილებსა და გრაფიკებში, რომლებშიც თვალსაჩინოდ, რაციონალურად და სისტემატიზებული სახით წარმოდგება სტატისტიკური დაკვირვების მასალები.

ნახატი 1

ცხრილის სათაური (საერთო სახელი)

ქვემდებარე შემასმენელი	ზემო სათაური									
	1	2	3	4	5					
გვერდითი სათაური	უჯრედები									

← სვეტების ნუმერაცია

← რიგები

← ჯამური რიგი

↑

რიგების სვეტები ჯამური
ნუმერაცია სვეტი

სტატისტიკური ცხრილის მთავარი ელემენტებია: ქვემდებარე, შემასმენელი, რიგები და სვეტები

ქვემდებარე – ეს არის კვლევის ობიექტი, ან ერთობლიობის ერთეულების ჩამონათვალი, რომელიც ცხრილში ციფრობრივად ხასიათდება. როგორც წესი, სტატისტიკური ცხრილის ქვემდებარე განთავსდება მარცხენა განაპირა სვეტში რიგების სათაურებად.

შემასმენელი – მაჩვენებლების ერთობლიობაა, რომლებითაც კვლევის ობიექტი (ქვემდებარე) ხასიათდება. შემასმენელი აირეკლავს სვეტების

შინაარსს და, ჩვეულებისამებრ, განთავსდება ქვემდებარის მარჯვნივ ზემო სათაურებად. ქვემდებარემ და შემასმენელმა შეიძლება შეიცვალოს ადგილი მონაცემების წარდგენის ხერხის მიხედვით.

ქვემდებარის რიგები და შემასმენლის სვეტები შეიძლება განლაგდეს პრინციპით -კონკრეტულიდან ზოგადისაკენ ან პირიქით. ჯამური მაჩვენებლები, ჩვეულებისამებრ, განლაგდება ბოლო რიგში ან სვეტში, თუმცა, ცხრილის დანიშნულებიდან გამომდინარე, ჯამური მაჩვენებლები შეიძლება აისახოს პირველ რიგსა თუ სვეტში.

რიგი აირეკლავს რიცხობრივი მონაცემების განლაგებას ცხრილის ჰორიზონტალურზე, ხოლო სვეტი - ვერტიკალურზე. რიგისა და სვეტის კვეთაზე იქმნება უჯრები, რომლებშიც განთავსებულია ციფრული ინფორმაცია.

რიგები და სვეტები შეიძლება დაინომროს რიგობითი რიცხვებით ან ანბანის ასოებით. ეს ამარტივებს ცხრილის გამოყენებას, მითუმეტეს, თუ ის დიდია (ზოგიერთი ცხრილი რამდენიმე გვერდზე თავსდება).

ცხრილის სავალდებულო რეკვიზიტებია: სათაური (საერთო სახელი), ქვემდებარის და შემასმენლის, მათი ჯგუფებისა და ნაწილების დასახელება, ცნობები ზომის ერთეულის, ცხრილში არსებული მონაცემების ტერიტორიული და დროითი საზღვრების შესახებ და სხვა აუცილებელი მონაცემები

სტატისტიკური ცხრილი უნდა იყოს კომპაქტური, ზუსტი, ანუ, ერთი მხრივ, შეიცავდეს ყველა აუცილებელ მაჩვენებელს, მეორე მხრივ - დაკვირვების შედეგების ანალიზურ მონაცემებს, რომლებიც ასახავენ საკვლევ სოციალურ-სამართლებრივ მოვლენას სტატისტიკასა და დინამიკაში. ცხრილს შეიძლება ახლდეს შენიშვნები, რომლებიც შეიცავენ განმარტებებს ცხრილში მოყვანილი მონაცემების სისრულის, მათი მიღების მეთოდის და სხვათა შესახებ.

სტატისტიკურ ცხრილში ყველა მონაცემი სიზუსტის ერთნაირი სტანდარტით (ან მთელი რიცხვებით, ან მთელი რიცხვითა და წილადის მეთადით, ან მთელი რიცხვითა და წილადის მეასედით და ა. შ.) უნდა აისახოს. ზოგიერთ სტატისტიკურ მაჩვენებელს (მაგალითად, დანაშაულის ზრდის (შემცირების) საშუალო წლიურ ტემპს) გამოსახავენ მეასედი წილადის სიზუსტით. ანალოგიურია მოთხოვნები მილიონიან, ათასიან, ასიან თუ ერთეულ რიცხვებზე მუშაობისას.


თუ რაიმე ნიშნის მიხედვით არ არსებობს მონაცემი, შესაბამის უჯრაში იწერება ან მრავალწერტილი, ან კეთდება აღნიშვნა „მონაცემი არ არსებობს“. თუ მონაცემი არ არსებობს ობიექტური მიზეზის გამო (მაგალითად არ არის მონაცემი დანაშაულის ცალკეული სახეობის მიხედვით, რომლებიც სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არ არსებობდა ახალი კოდექსის მიღებამდე), მაშინ შესაბამის უჯრაში იწერება ტირე. ცხრილის სახე განისაზღვრება მისი ქვემდებარის მიხედვით.

რაოდენობრივი ნიშნით ცხრილი შეიძლება იყოს მარტივი, ჯგუფობრივი და კომბინაციური; თვისებრივი ნიშნით - ტიპოლოგიური, ვარიაციული და ანალიზური.

ცხრილის შედგენისას აუცილებელია საერთო წესების დაცვა:

- ✓ ცხრილი უნდა იყოს განსახილველად მარტივი;
- ✓ საერთო სათაურმა მოკლედ უნდა ასახოს ცხრილის ძირითადი შინაარსი;
- ✓ უნდა შეიცავდეს ჯამურ რიგებს;
- ✓ შესავსები რიგები უნდა იყოს დანომრილი;
- ✓ დაცული უნდა იქნას რიცხვების დამრგვალების წესები.⁶⁹

გრაფიკი #5 სტატისტიკური ცხრილების სახეები



მარტივი ცხრილის ქვემდებარეში ერთობლიობის ერთეულები დაუჯგუფებელია და მონაცემები წარმოდგენილია რაიმე ნიშნის

Васнев С.А. Статистика: Учебное пособие Москва: МГУП, 2001. 170 с.
<http://www.hi-edu.ru/e-books/xbook096/01/about.htm>

ერთეულების უბრალო ჩამონათვალის სახით. მარტივი ცხრილი შეიძლება იყოს ქრონოლოგიური, ჩამოთვლითი და ტერიტორიული.

ცხრილი#9. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვი საქართველოში					
2010 წელი	2011 წელი	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
3005	3099	4042	3590	4110	3995

მარტივი ქრონოლოგიური ცხრილის ქვემდებარე აგებულია დროის პრინციპით. მასში მოცემულია დროის პერიოდები- წლები, კვარტლები დაა. შ. - ცხრ. #9. მარტივი ჩამოთვლითი ცხრილი იქმნება სახეობრივი ნიშნის მიხედვით (ერთგვაროვანი ნიშნების ჩამონათვალი, რომლებითაც კვლევის საერთო ობიექტი ხასიათდება. მაგალითად განათლების საფეხურების ჩამონათვალი: დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი და ა. შ.) მარტივი ტერიტორიული ცხრილის ქვემდებარეში აისახება სხვადასხვა ტერიტორია (რაიონები, ქალაქები, ოლქები - ცხრილი #10)

ცხრილი#10 რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობა საქართველოს ცალკეულ რეგიონში (100 000 მოსახლეზე)						
	2010	2011	2012	2013	2014	2015
აჭარა	1799	1818	1895	1938	1834	1711
იმერეთი	1850	1921	1830	2030	2043	1956
სამეგრელო	2020	2001	2201	2503	2345	2312
კახეთი	2030	2150	2038	2343	2265	2199

მარტივი ცხრილები იძლევიან მხოლოდ ზოგად წარმოდგენას შესასწავლ ერთობლიობაზე და ატარებენ აღწერილობით ხასიათს. შემასმენელი ყველა მარტივ ცხრილში, როგორც წესი, ერთია. მარტივი ცხრილების გამოყენებით შეუძლებელია განისაზღვროს შესასწავლი მოვლენის ტიპები, მათი სტრუქტურა, დამახასიათებელ ნიშნებს შორის ურთიერთკავშირი.

ანალიზის დიდ შესაძლებლობას იძლევა ჯგუფური და კომბინაციური ცხრილები.

ჯგუფურია ცხრილი, რომლის ქვემდებარეში ერთობლიობის ერთეულები დაჯგუფებულია რაიმე ერთი რაოდენობრივი ან თვისებრივი ნიშნით (ცხრილი #11). ასეთი ცხრილის შემასმენელი რთულია და შემასმენლის სხვადასხვა მხარეს აირველავს

ცხრილი #11. 30 წლამდე ასაკის ნასამართლევ პირთა რაოდენობა საქართველოში დანაშაულის ცალკეული სახეობის მიხედვით					
	2010	2011	2012	2013	2014
1. განზრახ მკვლელობა	510	522	598	487	501
2. ხულიგნობა	996	987	890	1054	1198
3. ქურდობა	93451	10430	11098	13087	14565
4. გაუპატიურება	45	65	49	47	54

კერძო-სამართლებრივ სტატისტიკაში ჯგუფური ცხრილები შეიძლება გაკეთდეს სასამართლოს მიერ განხილული სამოქალაქო საქმეების დაყოფის საფუძველზე, შრომის, ოჯახურ, ქონებრივ და სხვა სახის დავებად, რომლებიც, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს საქმის განხილვის შედეგების მიხედვით 9 სარჩელი დაკმაყოფილებულია, უარი ეთქვა სარჩელის განხილვაზე და სხვ.)

კომბინაციურ ცხრილებში სამართლებრივი მოვლენები ხასიათდება როგორც ქვემდებარეში, ისე შემასმენელში ასახული რამდენიმე ნიშნის დახმარებით (ცხრილი#12)

ცხრილი #12. 2016 წელს სამართალდარღვევის ჩამდენ არასრულწლოვანთა დახასიათება					
ჯგუფების №	არასრულწლოვანი დამნაშავეების ასაკი	საერთო რაოდენობა	მათ შორის		
			ჰქონდათ მიყვანა პოლიციაში	იმყოფებოდა აღრიცხვაზე	ჩაიდინა დანაშაული
1	14 წლამდე	111	101	10	-
2	14-15	213	157	42	14
3	16-17	452	301	119	32
ჯამში		776	559	171	46

სტატისტიკური ცხრილის ქვემდებარესა და შემასმენელში ასახული ამა თუ იმ სამართლებრივი მოვლენის რაოდენობრივ-თვისებრივი მახასიათებლები, როგორც წესი, ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია და მოვლენას სხვადასხვა მხრიდან ახასიათებს.

სტატისტიკური ცხრილების შედგენა, ინფორმაციის დიდი შემცველობისა და თვალსაჩინოების მაღალი ხარისხის გამო, სტატისტიკური დაკვირვების მონაცემების ასახვის ძირითად ხერხს წარმოადგენს და მას ფართოდ იყენებენ სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში. მაგრამ ცხრილის გაანალიზებისთვის საჭიროა დრო და რიცხვებზე გულდასმით მუშაობა. უფრო თვალსაჩინო და მარტივად აღსაქმელია ცხრილების

საფუძველზე სამართლებრივი მოვლენებისა და პროცესების გრაფიკული ასახვა.

5.4. სამართლებრივი სტატისტიკის მონაცემების გრაფიკული ასახვა

გრაფიკი საშუალებას გვაძლევს ერთობლივად გამოვსახოთ და შევადგინოთ ყველაზე რთული სტატისტიკური მაჩვენებლები, სწრაფად განვსაზღვროთ სამართლებრივი მოვლენებისა და პროცესების განვითარების უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებები და ტენდენციები და გამოვავლინოთ მათი კავშირი სხვა მოვლენებთან.

გრაფიკს უწოდებენ სტატისტიკური სიდიდეების თვალსაჩინო გამოსახვას გეომეტრიული ხაზების, ფიგურების (დიაგრამების), ან გეოგრაფიული რუქა-სქემების (კარტოგრამების) მეშვეობით.

გრაფიკი რომ თვალსაჩინო და გასაგები იყოს, აუცილებელია მისი სწორად აგება. სტატისტიკური ცხრილის მსგავსად, გრაფიკსაც უნდა ჰქონდეს სათაური, რომელშიც მოკლედ და ზუსტად იქნება ასახული მოვლენის ძირითადი შინაარსი, როგორც წესი, გრაფიკის სათაური უნდა შეესაბამებოდეს იმ ცხრილის სათაურს, რომლის საფუძველზეც მოხდა მისი აგება. გრაფიკს თან უნდა ახლდეს სიტყვიერი განმარტებები მასშტაბის, ზომის ერთეულების (აბსოლუტური მაჩვენებლების) ან კოეფიციენტების (ფარდობითი მაჩვენებლების), პირობითი აღნიშვნების და სხვათა შესახებ.

გრაფიკი შედგება აუცილებელი ელემენტებისგან. ესენია:

- *გრაფიკული გამოსახულება* - გეომეტრიული ნიშნების (წერტილების, ხაზების, ფიგურების) ერთობლიობა, რომელთა მეშვეობით გამოისახება სტატისტიკური სიდიდეები. ერთმანეთისგან განსხვავების მიზნით, გრაფიკზე ასახულ სხვადასხვა მაჩვენებელს გამოსახავენ განსხვავებული სისქისა თუ ფერის ხაზებითა და შტრიხებით, განსხვავებული შტრიხებითა და ფერებით ღებავენ დიაგრამებსაც.
- *გრაფიკული ველი* - გეომეტრიული ნიშნების განთავსების სივრცე. გრაფიკის მიზნებიდან გამომდინარე, ველი შეიძლება იყოს სუფთა ან დაშტრიხული. მისი ზომა და პროპორციებიც გრაფიკის

დანიშნულებიდან გამომდინარეობს. ყველაზე ხშირად გამოიყენებენ მართკუთხა ფორმის გრაფიკებს არათანაბარი პროპორციებით.

- *სივრცობრივი ორიენტირები* - საკოორდინაციო ბადეები, რომლებიც განსაზღვრავენ გეომეტრიული ნიშნების ადგილს გრაფიკზე. სტატისტიკურ გრაფიკებში, ჩვეულებრივ, გამოიყენება მართკუთხა კოორდინატული სისტემა ორ- ან სამგანზომილებიანი გამოსახულებით. კარტოგრამებში სივრცობრივ ორიენტირებად გვევლინება ან გეოგრაფიული კონტურები (გზები, მდინარეები, ტყეები, დასახლებული პუნქტები), ან ადმინისტრაციული და ტერიტორიული საზღვრები.
- *მასშტაბური ორიენტირები* - გრაფიკის მასშტაბური სკალების სისტემა, რომელიც რაოდენობრივი სიდიდეების გრაფიკულში გადაყვანის საშუალებას იძლევა. ყველაზე ხშირად სტატისტიკურ გრაფიკებში გამოიყენება სწორხაზოვანი მასშტაბური სკალა. კოორდინატთა ღერძზე გამოსახება მოცემული ზომის ერთეული. სამართლებრივ სტატისტიკაში ასეთ ზომის ერთეულებად გვევლინება აბსოლუტური ან ფარდობითი მონაცემები დანაშაულის, სამართალდარღვევების, ბრალდებულების, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმეების, მოსარჩეეების, მოპასუხეებისა და სხვათა შესახებ. წრიულ და სექტორულ დიაგრამებში გამოიყენება მრუდხაზოვანი სკალები.

გამოყენებული გეომეტრიული ნიშნის მიხედვით, გრაფიკი შეიძლება იყოს წერტილოვანი (წერტილთა ერთობლიობით გამოსახული), ხაზობრივი, სვეტებიანი, ზოლებიანი, წრიული და სხვ. ზოგჯერ სამართლებრივი და იურიდიული მნიშვნელობის მოვლენების სტატისტიკური ასახვისთვის გამოიყენებენ ფიგურულ გრაფიკს, რომელზეც განთავსებულია ცალკეული საგნების (ავტომანქანის, იარაღის) ნახატები ან სილუეტები.


სამართლებრივ სტატისტიკაში ყველაზე ხშირად მიმართავენ ხაზობრივი გრაფიკების გამოყენებას, რომელთა მეშვეობით აისახება, მაგალითად, დანაშაულის, პატიმრების რაოდენობის დინამიკა და ა. შ.

ხაზობრივი გრაფიკების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია მოვლენის დინამიკაზე დაკვირვება. აბსცისათა ღერძზე,

ჩვეულებრივ, აღინიშნება წლები, ხოლო ორდინატთა ღერძზე - შესასწავლი სამართლებრივი მოვლენის, (მაგალითად, დანაშაულის) რაოდენობრივი მაჩვენებლები. დროის პერიოდები და სამართლებრივი მაჩვენებლები ღერძებზე პროპორციულად უნდა განაწილდეს, რათა გრაფიკმა არ დაკარგოს თვალსაჩინოება (არ დაგრძელდეს, ან, პირიქით, არ შეიკუმშოს). გრაფიკზე გამოსახული სხვადასხვა მოვლენის (მაგალითად, დანაშაულის და ნასამართლობის) მაჩვენებლების მრუდები უნდა განსხვავდებოდეს ფორმის, სისქის და სხვ. მიხედვით, რათა მარტივად განვასხვავოთ ისინი ერთმანეთისგან.

დროის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ვიკტიმიზაციის ძირითადი ტენდენციების გამოსავლენად, ზოგჯერ საკმარისია პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს მიღებული მონაცემების შედარება, მაგრამ ასეთი გრაფიკი არ იძლევა შესასწავლი მოვლენის რყევაზე დაკვირვების შესაძლებლობას მოცემული პერიოდის განმავლობაში.


ხაზობრივი გრაფიკი შეიძლება გამოყენებულ იქნას სამართლებრივი მოვლენის განვითარების ძირითადი ტენდენციების პროგნოზირებისთვის. ასეთ შემთხვევაში პროგნოზირება ხდება ექსტრაპოლაციის მეთოდის (დინამიკური რიგის გაგრძელების) გამოყენებით შესასწავლი ნიშნის მნიშვნელობის საშუალო აბსოლუტური ნამატის ან მისი ზრდის საშუალო ტემპის საფუძველზე. შესაძლებელია პროგნოზირების სხვა მოდელების (მაგალითად, მათემატიკურის) გამოყენებაც.



სვეტებიანი დიაგრამა - გრაფიკია, რომელზეც სხვადასხვა სიდიდით ასახულია ვერტიკალურად განლაგებული მართკუთხედებით. სვეტის სიმაღლე ასახავს მაჩვენებლის სიდიდეს. სვეტების ფუძე, როგორც წესი, ერთი

ზომისაა. სვეტებიანი დიაგრამა ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლის დინამიკის შესადარებლად.


დიაგრამა #4 ადამიანის წინააღმდეგ დანაშაულის რაოდენობა საქართველოში



დიაგრამა გვიჩვენებს პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის დინამიკას საქართველოში და, ერთდროულად, იძლევა განზრახ მკვლელობის, მკვლელობის მცდელობისა და სხეულის დაზიანების მაჩვენებლების შედარების საშუალებას. სვეტებიანი დიაგრამა უფრო რთული სახისაც შეძლება იყოს.


დიაგრამის აღნიშნული სახეობა გამოყენება შეიძლება რაიმე სამართლებრივი მოვლენის სტრუქტურის შედარებითი დახასიათებისთვის, მაგალითად, ოჯახური ძალადობის და მისი დონის ცვლილების ასახვისათვის მოძალადისა და მსხვერპლის ასაკობრივ ჭრილში. ამავდროულად, გრაფიკი არ იძლევა დანაშაულის დინამიკაზე დაკვირვების საშუალებას, თუმცა, წარმოაჩენს სტრუქტურულ ცვლილებებს დანაშაულის შიგნით. მაგალითისთვის გამოდგება ქურდობის ხვედრითი წილის ინტენსიური ზრდა თაღლითობის, მითვისებისა და გაფლანგვის წილის შემცირების ფონზე, მაშინ როდესაც, ქურდობის ეს წილი საბიუჯეტო სფეროში ჩადენილი ეკონომიკური დანაშაულის საერთო მასაში პრაქტიკულად არ შეცვლილა. ასეთი დიაგრამით გამოვლენილი სტრუქტურული ცვლილებები ძალიან მნიშვნელოვანია კრიმინოლოგიური მდგომარეობის შეფასებისთვის. სვეტებიანი დიაგრამის ანალიზური შესაძლებლობები ყველაზე მრავალფეროვანი სამართლებრივი მოვლენების ასახვისათვის მათი გამოყენების საშუალებას იძლევა.

დიაგრამა #5



ზოლებიანი დიაგრამა გრაფიკა, რომელშიც, სიდიდეები, ასევე, მართკუთხედებითაა ასახული, მაგრამ, სექტებიანი დიაგრამისგან განსხვავებით, ისინი არა ვერტიკალურად, არამედ ჰორიზონტალურად ლაგდება. ასეთი დიაგრამის გამოყენება მოსახერხებელია რამდენიმე მაჩვენებლის შედარებისას (დიაგრამა#6)

დიაგრამა #6. დანაშაულის რაოდენობრივი მაჩვენებლები საქართველოში 2011-2014



სექტორული დიაგრამა წრიული ფორმის გრაფიკა, რომელიც სექტორებადაა დაყოფილი. ყოველი სექტორი ასახავს მთლიანი ერთობლიობის (მოვლენის) რომელიდაც ნაწილს და იკავებს წრის იმ ფართობს, რომელიც აღნიშნული ნაწილის ხვედრით წილს შეესაბამება მთლიან ერთობლიობაში. მთლიანი წრის ფართობი შეესაბამება 100%-ს.

სექტორული დიაგრამები სამართლებრივ სტატისტიკაში გამოიყენება იურიდიული მნიშვნელობის მოვლენის სტრუქტურის წარმოსაჩენად (დიაგრამა#7).


ტრეფიკინგის მსხვერპლთა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა



- ბიჭი
- კაცი
- გოგო
- ქალი

კარტოგრამა - ფაქტობრივი მონაცემების თვალსაჩინო გამოსახვა გეოგრაფიული რუკის ან სქემის გამოყენებით, რომელზეც პირობითი ნიშნებით (შტრიხებით, წერტილებით, ფერებით) ნაჩვენებია ამა თუ იმ მოვლენის (მაგალითად, დანაშაულის) გავრცელების ხარისხი ცალკეული რაიონის, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის მიხედვით. კარტოგრამებით არაიშვიათად ასახავენ ორგანიზებული დანაშაულის გავრცელებასა და საქმიანობის მარშრუტს მსოფლიოში

კარტოგრამა 1



პიქტოგრამა - კარტოგრამისა და ფიგურული დიაგრამების ერთობლივად გამოსახვა, როდესაც სხვადასხვა დანაშაული განსხვავებული ფიგურებით

აღინიშნება (მაგალითად, მკვლევლობა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით - პისტოლეტით, ავტომობილის გატაცება - ავტომანქანით), პოლიციელი - ადამიანის სილუეტით და ა. შ.

ოჯახური ძალადობა აისახება ხოლმე შემდეგი ფიგურული დიაგრამებით:



ზემოთ განხილულის გარდა, სტატისტიკური მასალის გრაფიკული გამოსახვის სხვა ხერხებიც არსებობს, მაგრამ ისინი ნაკლებადაა გავრცელებული და ფართოდ არ გამოიყენება სამართალდამცავი და იუსტიციის ორგანოების მუშაობაში

შეკითხვები თვითშეფასებისთვის:

1. რას გულისხმობს სამართლებრივი სტატისტიკური მონაცემების შეჯამება?
2. რა არის სამართლებრივი სტატისტიკური შეჯამების პროგრამა?
3. დაასახელეთ სტატისტიკური შეჯამების ფორმები (ხერხები).
4. რა იგულისხმება დაჯგუფების ქვეშ სამართლებრივ სტატისტიკაში?
5. სტატისტიკური დაჯგუფების რა სახეები გამოიყენება სამართლებრივი სტატისტიკის პრაქტიკაში?
6. სტატისტიკური ცხრილების ფუნქციები.
7. სტატისტიკური ცხრილის მთავარი ელემენტები და რეკვიზიტები; მისი შედგენის წესი.
8. სტატისტიკური ცხრილის სახეები ქვემდებარის მიხედვით.
9. გრაფიკის აგების წესი და მიზნები სოციალურ-სამართლებრივ კვლევებში.
10. გრაფიკის ძირითადი ელემენტები.
11. გრაფიკის ძირითადი სახეები.

ტესტი

- სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზაციისა და დაჯგუფების, მათი ცხრილებში შეტანის, ჯგუფობრივი და საერთო შედეგების დაჯამების, მაჩვენებლების გამოთვლის პროცესს ეწოდება:*
 - სტატისტიკური ტაბულირება;
 - სტატისტიკური დაჯგუფება;
 - სტატისტიკური დახარისხება;
 - სტატისტიკური შეჯამება.
- სტატისტიკური დაკვირვების მასალების შეჯამების ძირითადი ამოცანაა:*
 - არაერთგვაროვანი სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზაცია;
 - სტატისტიკური დაკვირვების მასალების თვალსაჩინოდ გამოსახვა;
 - დიდი მოცულობის სტატისტიკური მონაცემების მიღება;
 - სამართლებრივი მოვლენებისა და პროცესების განზოგადებელი დახასიათება.
- მასალის დამუშავების ფორმის (ხერხის) მიხედვით სტატისტიკური მონაცემების შეჯამება შეიძლება იყოს:*
 - კომპიუტერული;
 - ცენტრალიზებული;
 - დეცენტრალიზებული;
 - შერეული.
- სტატისტიკური შეჯამების ეტაპებს მიეკუთვნება:*
 - სტატისტიკური დაკვირვების მასალების დაჯგუფება;
 - მაჩვენებლების სისტემის შემუშავება;
 - დაკვირვების პროგრამის შემუშავება;
 - შემაჯამებელი ცხრილებისა და გრაფიკების გაკეთება.
- დოკუმენტს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სტატისტიკური შეჯამების ცალკეული ეტაპის შესრულების ვადებისა და თანმიმდევრობის, მისი შემსრულებლების და შედეგების წარდგენის წესის შესახებ, ეწოდება:*
 - სტატისტიკური შეჯამების კალენდარი;
 - სტატისტიკური შეჯამების კლასიფიკატორი;
 - სტატისტიკური შეჯამების გეგმა;
 - სტატისტიკური შეჯამების პროგრამა.

6. სტატისტიკური შეჯამების ფორმას (ხერხს), რომლის დროსაც პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები მუშავდება ადგილზე და შემდგომ ორგანოში იგზავნება საბოლოო სახით, ეწოდება:
- კომპიუტერული;
 - ცენტრალიზებული;
 - დეცენტრალიზებული;
 - შერეული.
7. სტატისტიკური ერთობლიობის დაყოფას თვისებრივად ერთგვაროვან ჯგუფებად მთავარი ნიშნის მიხედვით, ეწოდება:
- ტიპოლოგია;
 - დაჯგუფება;
 - კლასიფიკაცია;
 - დანაწევრება.
8. აღნიშნულ მაჯგუფებელი ნიშნების შერჩევის ძირითადი წესი:
- დაჯგუფებას საფუძვლად უნდა დაედოს ყველაზე მთავარი ნიშნები (კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე);
 - რთული მოვლენების სრულად დასახასიათებლად დაჯგუფებისთვის უნდა შეირჩეს 1 ნიშანი;
 - მაჯგუფებელი ნიშნები გამოყენებულ უნდა იქნას შესასწავლი მოვლენის რეალურად არსებული თავისებურებების გათვალისწინებით;
 - მაჯგუფებელი შეიძლება იყოს მხოლოდ რაოდენობრივი ნიშნები.
9. სამართლებრივ სტატისტიკაში გამოყოფენ შემდეგ მაჯგუფებელ ნიშნებს:
- რაოდენობრივს;
 - თვისებრივს;
 - ინტერვალურს;
 - დისკრეტულს.
10. სამართლებრივი სტატისტიკის პრაქტიკაში გამოიყენება დაჯგუფების შემდეგი სახეები:
- ტიპოლოგიური;
 - სტრუქტურული (ვარიაციული);
 - ანალიზური;
 - სისტემატური.

11. რა ეწოდება დაჯგუფებას, რომელიც გამოიყენება შესასწავლ მოვლენებს შორის ურთიერთკავშირის გამოსავლენად?

- ტიპოლოგიური;
- სტრუქტურული;
- ანალიზური;
- კომბინაციური.

12. მიუთითეთ, რომელი დაჯგუფება გამოიყენება სტატისტიკური ერთობლიობის სტრუქტურის გამოვლენის მიზნით:

- ტიპოლოგიური;
- სტრუქტურული (ვარიაციული);
- ანალიზური;
- კომბინაციური.

13. მიუთითეთ, რომელი დაჯგუფება გამოიყენება სამართლებრივ სტატისტიკაში თვისებრივად ერთგვაროვანი ჯგუფების გამოსაყოფად:

- ტიპოლოგიური;
- სტრუქტურული (ვარიაციული);
- ანალიზური;
- კომბინაციური.

14. მაჯგუფებელ ნიშანთა რაოდენობის მიხედვით დაჯგუფება შეძლება იყოს:

- მარტივი;
- რთული;
- პირველადი;
- მეორადი.

15. რომელია სამართლებრივი სტატისტიკის მაჩვენებლების თვისებრივი (ატრიბუტული) მაჯგუფებელი ნიშნები:

- სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეების განხილვის ვადები;
- ჩადენილი დანაშაულის კატეგორიები;
- დანაშაულში მონაწილეთა რაოდენობა;
- სასჯელის ღონისძიების სახეები.

16. რომელია სამართლებრივი სტატისტიკის მაჩვენებლების რაოდენობრივი მაჯგუფებელი ნიშნები:

- ჯარიმის ოდენობა;
- თავისუფლების აღკვეთის ვადები;

- რეგისტრირებული დანაშაულის ბრალის ფორმა;
- სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების ვადები.

17. რომელია სამართლებრივი სტატისტიკის მაჩვენებლების რაოდენობრივი მაგგუფებელი ნიშნები:

- დანაშაულის ჩამდენ პირთა ასაკი;
- ნასამართლობის რაოდენობა;
- დანაშაულებრივი ხელყოფის მაჩვენებლები;
- სისხლის სამართლის საქმეების გახსნის პროცენტი.

18. რომელია სამართლებრივი სტატისტიკის მაჩვენებლების თვისებრივი მაგგუფებელი ნიშნები:

- დანაშაულის სახეები;
- დანაშაულის ჩამდენი პირის სქესი;
- დანაშაულში მონაწილე პირთა რაოდენობა;
- მსჯავრდებულთა განათლება.

19. თვისებრივი ნიშნით დაგგუფებას, როდესაც არსებობს ამ ნიშნის მხოლოდ ორი ურთიერთგამომრიცხავი მნიშვნელობა, ეწოდება:

- ვარიაციული;
- ანალიზური;
- ალტერნატიული;
- მეორადი.

20. ნიშნებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სხვა ნიშნებზე, ეწოდებათ:

- ფაქტორიალური;
- ფაქტორული;
- რეზულტატიური (შედეგობრივი);
- კორელაციური.

21. ნიშნებს, რომლებიც იცვლებიან სხვა ნიშნების ზემოქმედებით, ეწოდებათ:

- ფაქტორიალური;
- ფაქტორული;
- რეზულტატიური (შედეგობრივი);
- რეგრესიული.

22. ადრე განხორციელებული დაგგუფების საფუძველზე წარმოებულ დაგგუფებას ეწოდება:

- წარმოებული დაგგუფება;
- გადაგგუფება;
- რთული დაგგუფება;

- მეორადი დაჯგუფება.
23. *სტატისტიკური ცხრილი შედგება შემდეგი ელემენტებისგან:*
- ქვემდებარე;
 - შემასმენელი;
 - ზედსართავი;
 - რიგი.
24. *სტატისტიკური ცხრილის სახეებია:*
- აღწერილობითი;
 - მარტივი;
 - ჯგუფური;
 - კომბინაციური.
25. *სექტორებად დაყოფილ წრიულ გრაფიკს ეწოდება:*
- სექტორული დიაგრამა;
 - ზოლებიანი დიაგრამა;
 - კონტურული გრაფიკი;
 - პროპორციული გრაფიკი.
26. *სტატისტიკური გრაფიკის მთავარი ელემენტებია:*
- დროებითი ორიენტირები;
 - მასშტაბური ორიენტირები;
 - სივრცითი ორიენტირები;
 - გრაფიკული გამოსახულება.
27. *ცხრილებს, რომლებშიც მოვლენები ხასიათდება ქვემდებარესა და შემასმენელში ასახული რამდენიმე ნიშნით, ეწოდება:*
- აღწერილობითი;
 - ტიპოლოგიური;
 - ჯგუფური;
 - კომბინაციური.
28. *ქვემდებარეში ასახული მონაცემების მიხედვით, მარტივი ცხრილები შეიძლება იყოს:*
- ქრონოლოგიური;
 - ჩამოთვლითი;
 - ტერიტორიული;
 - აღწერილობითი.
29. *სტატისტიკური მონაცემების გამოსახვას გეოგრაფიული რუკის მეშვეობით, ეწოდება:*
- მასშტაბური გრაფიკი;
 - კარტოსქემა;
 - კარტოგრამა;
 - პიკტოსქემა.

თავი 6. აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლები და მათი გამოყენება სამართლებრივ სტატისტიკაში

- 6.1. აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლების ცნება
- 6.2. სტრუქტურის შეფარდებითი მაჩვენებლები
- 6.3. დინამიკის შეფარდებითი მაჩვენებლები
- 6.4. ინტენსივობის შეფარდებითი მაჩვენებლები
- 6.5. კოორდინაციისა და შედარების შეფარდებითი მაჩვენებლები
- 6.6. ინდექსები

მე-6. თემის შესწავლის შემდეგ სტუდენტმა უნდა

იცოდეს:

- ✓ განსხვავება სტატისტიკური მაჩვენებლისა და სტატისტიკური სიდიდის ცნებებს შორის;
- ✓ სამართლებრივ-სტატისტიკური მაჩვენებლების სისტემა;
- ✓ აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლების გამოყენების დადებითი და ნაკლოვანი მხარეები;
- ✓ სამართლებრივ სტატისტიკაში გამოყენებული შეფარდებითი მაჩვენებლების გამოთვლის ხერხები;
- ✓ დანაშაულის კოეფიციენტების გამოთვლისა და შეფასების თავისებურებები სამართლებრივ სტატისტიკაში;

შეძლოს:

- ✓ დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების სტრუქტურის მაჩვენებლების გამოთვლა;
- ✓ დინამიკის საბაზისო, ჯაჭვური და საშუალო წლიური მაჩვენებლების განსაზღვრა;
- ✓ დანაშაულის კოეფიციენტების სწორად განსაზღვრა;
- ✓ კოორდინაციისა და შედარების მაჩვენებლების გამოყენება სამართლებრივი მოვლენების კვლევისას;
- ✓ მიღებული შედეგების გაანალიზება.

შეიძინოს უნარები:

- აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლების გამოყენებისა სამართლებრივი მოვლენების გასაანალიზებლად;
- დანაშაულის სიმძიმის, დანაშაულის ერთობლიობის სიმძიმის, მსჯავრდების ინდექსის გამოანგარიშების;
- სამართლებრივ სფეროში მიმდინარე ცვლილებების ანალიზის.

თემის შინაარსი

- ✓ სოციალურ-სამართლებრივი და იურიდიულად მნიშვნელოვანი მოვლენებისა და პროცესების განვითარების კანონზომიერებების შესწავლის მიზნით სამართლებრივ სტატისტიკაში გამოიყენება სტატისტიკური მაჩვენებლები, რომელთა საფუძველზე ხდება მასობრივი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლების განზოგადება.
- ✓ სტატისტიკური მაჩვენებლის კონკრეტულ რაოდენობრივ გამოსახვას სიდიდე ეწოდება.
- ✓ აბსოლუტური სტატისტიკური მაჩვენებლის ცნება. აღნიშნული მაჩვენებლების მნიშვნელობა სამართლებრივი და იურიდიულად მნიშვნელოვანი მოვლენების ანალიზისთვის.
- ✓ შეფარდებითი სტატისტიკური მაჩვენებლის ცნება. შეფარდებითი მაჩვენებლების სახეობები და მათი გამოთვლის წესი სამართლებრივ სტატისტიკაში.
- ✓ შეფარდებითია სტრუქტურის მაჩვენებელი, რომელიც ასახავს შესასწავლ ერთობლიობაში მისი ცალკეული ნაწილის ხვედრით წილს. სტრუქტურის შეფარდებითი მაჩვენებლების გამოყენება სამართლებრივ სტატისტიკაში; დანაშაულის სტრუქტურის შესწავლის მიმართულებები.
- ✓ შეფარდებითია დინამიკის მაჩვენებელი, რომელიც ასახავს სამართლებრივი სტატისტიკის ამა თუ იმ მაჩვენებლის ცვლილებას დროში. შედარების ბაზის განსაზღვრა დინამიკის შეფარდებითი მაჩვენებლების გამოთვლისას. დინამიკის საბაზისო და ჯაჭვური მაჩვენებლები. დინამიკის შეფარდებითი მაჩვენებლების ძირითადი სახეობები.
- ✓ საშუალო წლიური ზრდისა და მატების ტემპის გამოთვლა.
- ✓ შეფარდებითია ინტენსივობის მაჩვენებელი, რომელიც ასახავს ამა თუ იმ ნიშნის გავრცელების ხარისხს, ან განვითარების დონეს შესასწავლ ერთობლიობაში. სისხლისსამართლებრივ სტატისტიკაში ერთ-ერთი ასეთი მაჩვენებელია დანაშაულ კოეფიციენტი. ინტენსივობის

მაჩვენებლების გამოთვლის თავისებურებები სამართლებრივ სტატისტიკაში.

- ✓ მსჯავრდების კოეფიციენტი; ვიქტიმიზაციის კოეფიციენტი; სასამართლო სისტემის რეპრესიულების მაჩვენებლები. დანაშაულობის სპეციალური კოეფიციენტები.
- ✓ გეგმის რეალიზაციის შეფარდებითი მაჩვენებლები. დანაშაულთან ბრძოლის პროგრამის რეალიზაციის შეფასების თავისებურებები.
- ✓ შეფარდებითა კოორდინაციის მაჩვენებელი, რომელიც ასახავს ერთობლიობის შიგნით მისი ცალკეული ნაწილების თანაფარდობას. კოორდინაციის შეფარდებითი მაჩვენებლები სამართლებრივ სტატისტიკაში.
- ✓ შეფარდებითა შედარების მაჩვენებელი, რომელიც ასახავს სხვადასხვა ერთობლიობის თანაფარდობას ერთი და იგივე ნიშნის მიხედვით დროის ერთსა და იმავე პერიოდში (ან ერთი და იგივე მომენტისათვის).
- ✓ შედარების მაჩვენებლების გამოყენება სამართლებრივ სტატისტიკაში. მოსახლეობის სხვადასხვა ფენის, ჯგუფის დანაშაულებრივი აქტივობის კოეფიციენტი.
- ✓ ინდექსები. სამართლებრივ სტატისტიკაში ინდექსის ქვეშ იგულისხმება შედარების შეფარდებითი მაჩვენებელი, რომელიც ასახავს მარტივი ან რთული, შესადარისი ან არაშესადარისი ელემენტებისგან შემდგარი რაიმე მოვლენის სიდიდის ცვლილებას დროში, სივრცეში ან ნებისმიერ სხვა ეტალონთან მიმართებით. ინდექსების გამოყენების სფერო სამართლებრივი სტატისტიკის ანალიზურ პრაქტიკაში. ინდივიდუალური ინდექსები; საერთო (შემაჯამებელი) ინდექსები; აგრეგატული ინდექსები.
- ✓ დანაშაულის სიმძიმის ინდექსები; დანაშაულის ერთობლიობის სიმძიმის ინდექსი; მსჯავრდების ინდექსი.

თემის შესწავლის მიზნები:

- ✓ სტატისტიკური მაჩვენებლების ცნებათა ცოდნა;
- ✓ სტატისტიკური მაჩვენებლების გამოყენების უნარ-ჩვევების შეძენა სამართლებრივი მოვლენების განვითარების ანალიზისთვის;
- ✓ სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზის მეთოდების დაუფლება.

თემის შესწავლის ამოცანები:

- ✓ სამართლებრივი სტატისტიკის მაჩვენებლების სისტემის გაცნობა;
- ✓ დინამიკის სტატისტიკური მაჩვენებლების გამოყენების უნარ-ჩვევების შექმნა დანაშაულობისა და სხვა სამართლებრივი მოვლენების განვითარების ტენდენციების გაანალიზებისას;
- ✓ ინტენსივობის მაჩვენებლების გამოყენების გამოცდილების შექმნა სამართლებრივი სტატისტიკის ანალიზურ პრაქტიკაში;
- ✓ შედარების და კოორდინაციის სტატისტიკური მაჩვენებლების გამოყენების ცოდნა სამართლებრივი მოვლენების გაანალიზებისთვის;
- ✓ სამართლებრივი მოვლენების ცვლილების მახასიათებელი ინდექსების გამოანგარიშების უნარ-ჩვევების შექმნა.

თემის შესწავლისას საჭიროა ყურადღების გამახვილება შემდეგ ცნებებზე:

- ✓ სტატისტიკური მაჩვენებელი;
- ✓ სტატისტიკური სიდიდე;
- ✓ აბსოლუტური მაჩვენებლები;
- ✓ შეფარდებითი მაჩვენებლები;
- ✓ სამართლებრივი მოვლენის სტრუქტურის მაჩვენებლები;
- ✓ დინამიკის მაჩვენებლები სამართლებრივ სტატისტიკაში;
- ✓ საშუალო წლიური ზრდის და მატების ტემპი;
- ✓ დანაშაულობის კოეფიციენტი;
- ✓ კოორდინაციის და შედარების მაჩვენებლები სამართლებრივ სტატისტიკაში;
- ✓ დანაშაულის ერთობლიობის სიმძიმის ინდექსი.

თემის შესწავლის თანმიმდევრობა:

1. თეორიული მასალის შესწავლა;
2. მონაწილეობა ფორუმში;
3. პრაქტიკული დავალების შესრულება;
4. პასუხი ტესტურ შეკითხვებზე.

დამატებითი ლიტერატურა:

1. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში ლია წულაძე თბილისი 2008
http://css.ge/files/Books/Books/raodenobrivi_kvlevis_meTodebis_saxelomz
2. სიმონ გელაშვილი, ზამირა შონია, რუსუდან ქინქლაძე - სოციალური სტატისტიკა, თბილისი 2013-
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/socialuri%20statistika.p

3. Singh, Yogesh Kumar Fundamentals Of Research Methodology And Statistics <https://archive.org/details/1.fundamentalOfResearchMethodologyAndStatistics>
4. Теория статистики: Учеб. для вузов / Под ред. Р.А. Шмойловой. <http://www.alleng.ru/d/econ/econ324.htm>
5. Лунесв В.В. Юридическая статистика. – Гл. 8. – С. 204-243. http://www.pravo.vuzlib.su/book_z975_22.html
6. Савюк Л.К. Правовая статистика <http://www.alleng.ru/d/jur/jur686.htm>

6.1. აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლების ცნება

დროსა თუ სივრცეში სოციალურ-სამართლებრივი მოვლენის მდგომარეობის, დონის, დინამიკის, განვითარების კანონზომიერებების განსაზღვრისათვის სამართლებრივ სტატისტიკაში გამოიყენებენ სტატისტიკურ მაჩვენებლებს, რომელთა მეშვეობით ხდება მასობრივი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ-თვისებრივი მახასიათებლების განზოგადება.

სტატისტიკური მაჩვენებლის კონკრეტულ რაოდენობრივ გამოსახვას სიდიდე ეწოდება.

სამართლებრივი სტატისტიკის მაჩვენებლებია, მაგალითად, დანაშაულის კოეფიციენტი, დანაშაულებრივი ქმედებებით ან დანაშაულის სუბიექტებით გამოხატული დანაშაულობის დონე ქვეყანაში და ა. შ. ამავდროულად, თავად დანაშაულებრივი ქმედებები (კონკრეტული დანაშაულები) და დანაშაულის უშუალო სუბიექტები წარმოადგენენ ნიშნებს ისეთი სამართლებრივი მოვლენისა, როგორც დანაშაულობაა. ნიშნისაგან განსხვავებით, სტატისტიკური მაჩვენებელი მიიღება მხოლოდ მათემატიკური გამოთვლებით - სტატისტიკური ერთობლიობის ერთეულების სხვადასხვა ნიშნის მნიშვნელობათა სუმირებით, ერთობლიობის ერთეულების უბრალო დათვლით ან უფრო რთული გამოთვლებით. მთლიანად გამოსაკვლევი ერთობლიობის, მისი ცალკეული ჯგუფისა თუ ქვეჯგუფის ჯამურ მახასიათებლებს განზოგადებულ მაჩვენებლებს უწოდებენ. გამოთვლის ხერხის მიხედვით, განარჩევენ აბსოლუტურ და შეფარდებით სტატისტიკურ მაჩვენებლებს.

პირველადი სამართლებრივი სტატისტიკური ინფორმაცია გამოისახება აბსოლუტური მონაცემებით. მაგალითად, 1 მლნ. დანაშაული, 50 ათასი მსჯავრდებული, 500 ათასი სამოქალაქო სარჩელი და სხვ. აბსოლუტური სიდიდეები სტატისტიკური მაჩვენებლების ამოსავალი, პირველადი გამოხატვის ფორმაა.

აბსოლუტური ეწოდება სუმარულ განზოგადებულ მაჩვენებლებს, რომელთა მეშვეობით იზომება სხვადასხვა სოციალური მოვლენა (მათ შორის, სამართლებრივი) კონკრეტულ სივრცესა და დროში. ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა სამართლებრივი მოვლენის ნიშნების მნიშვნელობათა საერთო რაოდენობას, რაც მათი შეჯამებისა და დაჯგუფების შედეგად მიიღება.

აბსოლუტური სტატისტიკური მაჩვენებლები სახელდებული რიცხვებია (named number), ანუ გამოხატავენ სამართლებრივი მოვლენის (მაგალითად, არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი სამართალდარღვევების, სამოქალაქო სარჩელებისა და ა.შ.) სიდიდეს განსაზღვრულ საზომ ერთეულში. საზომი ერთეული შეიძლება იყოს ნატურალური (დანაშაულთა რიცხვი, მსჯავრდებულთა რაოდენობა, ამოღებულ ნარკოტიკული ნივთიერების წონა) და ღირებულებითი (მიყენებული მორალური ან მატერიალური ზიანის ოდენობა).

საშუალო სიდიდეების, ინდექსების, კოეფიციენტების, შეფარდებითი და სხვა მაჩვენებლების გამოთვლა ეფუძნება აბსოლუტური მაჩვენებლებით ოპერირებას. აბსოლუტური მაჩვენებელი იძლევა ზუსტ მონაცემებს დანაშაულობის მასშტაბის, მსჯავრდებულთა რაოდენობის, მიყენებული ზიანისა და სხვა სამართლებრივი მოვლენების შესახებ.

აბსოლუტური მაჩვენებლის სხვა ღირსებებია გამოთვლის სიმარტივე და მონაცემთა მიღების ოპერატიულობა. ყოველივე ზემოთქმულის გამო, სტატისტიკისთვის მას დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, თუმცა, გააჩნია ნაკლოვანი მხარეებიც, რაც, უპირველეს ყოვლისა, მის დაბალ ინფორმატიულობაში გამოიხატება. აბსოლუტური მაჩვენებლებით მწელია სხვადასხვა სამართლებრივი მოვლენის გამოვლენის ინტენსივობის გაზომვა (მაგალითად, არასწორია შედარებითი ანალიზის ჩატარება დანაშაულთა აბსოლუტურ რიცხვზე დაყრდნობით დიდ მეგაპოლისსა და პატარა სოფლის ტიპის დასახლებაში). აბსოლუტურ მაჩვენებლების მიხედვით, ასევე, ვერ ვიმსჯელებთ დანაშაულობის განვითარების ტენდენციებზე, მის სტრუქტურასა და დინამიკაზე, სხვადასხვა მოვლენის თანაფარდობაზე და ა. შ.

აბსოლუტური მონაცემების გამოყენება ღრმა სტატისტიკური ანალიზის მხოლოდ პირველი საფეხურია. ანალიზის შემდგომი საფეხურია შეფარდებითი სტატისტიკური მაჩვენებლების გამოთვლა, რაც აბსოლუტური სიდიდეების შედარების საშუალებას იძლევა.

შეფარდებითი სტატისტიკური მაჩვენებლები წარმოებული განზოგადებული მაჩვენებლებია, რომლებიც მიიღება აბსოლუტური მაჩვენებლების შეფარდებით. სიდიდეს (წილადის მნიშვნელს), რომლის მიმართაც წარმოებს შედარება, როგორც წესი, შედარების ბაზას, ან ფუძეს უწოდებენ.

შესადარებელი სიდიდეების ზომის მიხედვით, შეფარდებითი მაჩვენებელი სამართლებრივ სტატისტიკაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთეულებში (კოეფიციენტის სახით), მეასედებში (პროცენტებში), მეათასედებში (პრომილეში), მეათათასედებში (პროდეციმილეში). გაანგარიშებისას გამოიყენება შეფარდებითი მაჩვენებლის გამოსახვის უფრო მოსახერხებელი ფორმა. თუ შესადარებელი სიდიდე მნიშვნელოვნად სჭარბობს შედარების ბაზას, მოსახერხებელია მიღებული მაჩვენებლის კოეფიციენტებში გამოსახვა. თუ სხვაობა შესადარებელ სიდიდეებს შორის არც თუ ისე დიდია, შეფარდებით მაჩვენებელს პროცენტებში გამოხატავენ. პრომილესა და პროდეციმილეს შეფარდებითი სიდიდეების გამოხატვას მიმართავენ, როცა შედარების ბაზა მნიშვნელოვნად დიდია შესადარებელ სიდიდეზე. მაგალითად, დანაშაულის რაოდენობის თანაფარდობა მოსახლეობის რაოდენობასთან გამოითვლება 1 000, 10 000 ან 100 000 სულ მოსახლეზე.

სამართლებრივ სტატისტიკაში შეფარდებითი სიდიდეების გამოანგარიშებისას აუცილებელია სიდიდეთა შედარება დროის, სივრცის და სხვა პარამეტრების მიხედვით. მაგალითად, შეიძლება დანაშაულობის დონის შედარება სხვადასხვა რეგიონში დროის ერთსა და იმავე შუალედში, ან შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ დანაშაულის დონე სხვადასხვა წლებში ერთსა და იმავე ტერიტორიაზე.

შედარებითი ანალიზი უნდა წარმოებდეს ერთი და იგივე სამართლებრივი ნორმების მოქმედების (ან შეტანილი შესწორებების) ფარგლებში. მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს რეალური ურთიერთკავშირი შესასწავლ მოვლენებს შორის. მაგალითად, არალოგიკურია ერთმანეთს შევადაროთ მსჯავრდებულთა რაოდენობა და შობადობის მაჩვენებელი. დანაშაულის, მსჯავრდებულების, სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა შესადარისია მოსახლეობის ცხოვრების დონესთან, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების, ასევე, იმ მოსამართლეების რაოდენობასთან, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავენ. სამოქალაქო საქმეთა რაოდენობის შეფარდება მათ განმხილველ მოსამართლეთა რიცხვთან გვაძლევს მოსამართლის დატვირთვის განზოგადებულ მაჩვენებელს.

სამოქალაქო საქმეების რაოდენობის შედარება მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან საშუალებას იძლევა მივიღოთ მონაცემები მოქალაქეთა მიერ სასამართლოსთვის მიმართვის ინტენსივობაზე და ა.შ.

სამართლებრივ სტატისტიკაში გამოიყენება შემდეგი სახის შეფარდებითი მაჩვენებლები:

1. სტრუქტურის შეფარდებითი მაჩვენებლები;
2. დინამიკის შეფარდებითი მაჩვენებლები;
3. ინტენსივობის შეფარდებითი მაჩვენებლები;
4. გეგმისა და გეგმის რეალიზაციის შეფარდებითი მაჩვენებლები;
5. კოორდინაციისა და შედარების შეფარდებითი მაჩვენებლები;
6. ინდექსები.

შესადარებელი სიდიდეები შეიძლება იყოს ერთი სახელდების და მიეკუთვნებოდეს სხვადასხვა პერიოდს, ობიექტს ან ტერიტორიას, ან სხვადასხვა სახელდების. უკანასკნელ შემთხვევაში, შეფარდებითი მაჩვენებლების სახელი წარმოიქმნება შესადარებელი სიდიდეების სახელებისგან. მაგალითად: დანაშაული/ადამიანი, დანაშაული/კმ² და ა.შ.

შეფარდებითი მაჩვენებლების გამოყენება საშუალებას იძლევა სამართლებრივი და იურიდიული მნიშვნელობის პროცესები შესწავლილ იქნას როგორც მთლიანობაში, ისე ცალკეული ჯგუფების მიხედვით, გამოკვლეულ იქნას მათი ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რაც მიიღწევა სარჩელთა, ცალკეული სახეობის დანაშაულთა, სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობების შეფარდებით როგორც მთლიან, ისე წინა პერიოდის ჯამურ მაჩვენებლებთან, ერთმანეთთან და ა.შ. ამავდროულად, არ შეიძლება შეფარდებითი მაჩვენებლების განხილვა იმ აბსოლუტურ მაჩვენებლებთან კავშირის გარეშე, რომელთა საფუძველზეც მოხდა მათი გამოანგარიშება. მაგალითად, ისეთი აბსოლუტური სიდიდეების შეფარდებისას, როგორცაა 200 და 400 დანაშაული, მიიღება იგივე შედეგი, რაც 20 000 და 40 000 დანაშაულის შეფარდების შემთხვევაში - 50%. ($200 \div 400 \times 100\%$), თუმცა, მიღებული შეფარდებითი მაჩვენებლების თითო პროცენტის აბსოლუტური მნიშვნელობები განსხვავებულია, პირველ შემთხვევაში ის შეადგენს 4 დანაშაულს, მეორეში - 400-ს.

შეფარდებით მაჩვენებლებზე დაყრდნობით სამართლებრივი მოვლენების გაანალიზებისას, აუცილებელია გავითვალისწინოთ, თუ რა აბსოლუტური მაჩვენებლებით ოპერირების შედეგადაა ისინი მიღებული. სტატისტიკური

ანალიზის პროცესში აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლები ურთიერთკავშირში უნდა განიხილებოდნენ.

6.2. სტრუქტურის შეფარდებითი მაჩვენებლები

სტრუქტურის შეფარდებითი მაჩვენებელი (სშმ) ახასიათებს შესასწავლი ერთობლიობის ცალკეული ნაწილის ხვედრით წილს მთლიან ერთობლიობაში.

$$\text{სშმ} = \frac{\text{ერთობლიობის ნაწილის მაჩვენებელი}}{\text{მთლიანი ერთობლიობის მაჩვენებელი}}$$

ასეთი მაჩვენებლები სამართლებრივ სტატისტიკაში ფართოდ გამოიყენება, მაგალითად, დანაშაულის სტრუქტურის (ცალკეული სახეობის ან კატეგორიის დანაშაულის ხვედრითი წილის) კვლევისას, დამნაშავეთა სქესობრივი, ასაკობრივი და სოციალური შემადგენლობის, ასევე სამოქალაქო სარჩელების სტრუქტურის შესწავლისას და ა. შ.


სამართალდამცავ ორგანოებსა და სასამართლოებში დიფერენციაციის მაღალი ხარისხით ხდება დანაშაულის და მისი ჩამდენი პირების, ასევე, მათი მონაცემების აღრიცხვა, რაც საფუძვლად ედება დანაშაულობისა და მსჯავრდების მაჩვენებლების ფართო გამოყენებას სამართლებრივ სტატისტიკაში.

სტრუქტურის შეფარდებითი მაჩვენებლები გამოისახება პროცენტებით, ან უბრალო წილობრივი შეფარდებით (როგორც მარტივი წილადით, ისე ათწილადით). მთლიანი ერთობლიობა 100%-ად მიიჩნევა, ხოლო მისი შემადგენელი ნაწილები ასახავენ ჩვენთვის საინტერესო ამა თუ იმ ნიშნის გავრცელების ხარისხს.

სტრუქტურის შეფარდებითი მაჩვენებლების მაგალითად გამოდგება სხვადასხვა სტრუქტურის ამსახველი მე-13 ცხრილის მონაცემები, რომლებშიც მითითებულია ერთი პარამეტრი, ხოლო მეორე - იგულისხმება. ჯამში ორივე პარამეტრი 100%-ს შეადგენს. არასრულწლოვანთა ხვედრითი წილი დანაშაულის ჩამდენ პირთა მთლიან ერთობლიობაში 8%-ია; შესაბამისად, იგულისხმება, რომ სრულწლოვან დამნაშავეთა წილი 92%-ია. ანალოგიურად, ქალთა ხვედრითი წილის საფუძველზე შეიძლება გამოვთვალოთ მამაკაცთა ხვედრითი წილი ან უმადლესი განათლების მქონეთა წილის გათვალისწინებით იმ დამნაშავეთა წილი, რომელთაც არ გააჩნიათ უმადლესი განათლება და ა. შ.

გარდა ამისა, მთლიანი ერთობლიობის სტრუქტურის ზოგიერთ შემადგენელ ნაწილში დამატებით გამოყოფენ განსაკუთრებული მნიშვნელობის ნიშნებს. მაგალითად, პირთა რაოდენობიდან, რომელთაც არ გააჩნიათ მუდმივი შემოსავლის წყარო, გამოყოფენ უმუშევრებს; არაერთგზის ნასამართლევ პირთა შორის - საშიშ და განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს. ამავდროულად, უმუშევართა პროცენტული შემადგენლობა გამოითვლება არა გამოვლენილ დამნაშავეთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით, არამედ იმ პირთა რიცხვთან შეფარდებით, რომელთაც არ აქვთ შემოსავლის მუდმივი წყარო; საშიში და განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების შედარება ხდება ადრე ბრალდებულ პირებთან შეფარდებით და ა. შ.

დიაგრამა #8. მსჯავრდებულთა რაოდენობა დანაშაულის სახეების მიხედვით 2014 თბილისი



სტრუქტურის შეფარდებითი მაჩვენებლები გამოიანგარიშება დაჯგუფებული მონაცემების საფუძველზე. დანაშაულობის სტრუქტურა დანაშაულის ჯგუფების ან სახეების თანაფარდობაა დანაშაულობის მთლიან ერთობლიობაში. დამნაშავეთა სტრუქტურა წარმოაჩენს სხვადასხვა კატეგორიის დამნაშავე პირებს გამოვლენილ სამართალდამრღვევთა მთლიან ერთობლიობაში.

დანაშაულობის სტრუქტურის შესწავლა ხდება რამდენიმე მიმართულებით:

- სხვადასხვა სახეობის (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით) და ჯგუფის (კოდექსის ნაწილებისა და თავების შესაბამისად) დანაშაულთა თანაფარდობით;
- დანაშაულის კატეგორიების (ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე) თანაფარდობით;

- განზრახ და გაუფრთხილებლობით, პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვით, დაუდევრობით და გულგრილობით ჩადენილ დანაშაულთა თანაფარდობით;
- დანაშაულთა თანაფარდობით მოტივაციის მიხედვით (ანგარებითი, ძალადობრივი);
- დანაშაულის განაწილებით სოციალური სფეროების, წელიწადის დროისა და სხვ. მიხედვით;
- სიტუაციურ, რეციდიულ, პროფესიულ, ჯგუფურ, ორგანიზებულ დანაშაულთა თანაფარდობით;
- გახსნილ და გაუხსნელ დანაშაულთა თანაფარდობით;
- მოქალაქეთა კატეგორიების (მამაკაცების, ქალების, არასრულწლოვნების, უმუშევრების და ა. შ.) თანაფარდობით სამართალდამრღვევთა სტრუქტურაში;
- სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებულ, თავისუფლების აღკვეთა-მისჯილ და, ასევე, იმ პირთა თანაფარდობით, რომელთა მიმართ სასჯელის სხვა ზომა იქნა გამოყენებული;
- დანაშაულობის გეოგრაფიით (დანაშაულის გავრცელებით ქალაქების, სოფლების, რეგიონების, ტერიტორიების მიხედვით);
- დანაშაულობის ტოპოგრაფიით (დანაშაულის განაწილებით ჩადენის ადგილის მიხედვით).

დანაშაულობისა და მსჯავრდების სტრუქტურის ანალიზი შეიძლება განხორციელდეს მთელი რიგი სხვა ნიშნების (სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური, პროცესუალური და ა. შ.) მიხედვით. სტატისტიკური ანალიზის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო საქმეების ერთობლიობის სტრუქტურის დახასიათება, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ, თუ რა სახის დანაშაული, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალდარღვევა სჭარბობს კონკრეტულ ქალაქში, რეგიონსა თუ ქვეყანაში, რა თანაფარდობითაა წარმოდგენილი მოსარჩელეთა და მოპასუხეთა შორის იურიდიული და კერძო პირები და ა. შ.

სტრუქტურული მაჩვენებლების ანალიზური შესაძლებლობები იზრდება, თუ ადგილი აქვს მათ ცვლილებას დროში. ასეთ შემთხვევაში სტრუქტურული და დინამიკური მაჩვენებლების გადაკვეთა ხდება. სტრუქტურის შეფარდებითი მაჩვენებლების შესწავლა დროში, საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ სამართლებრივი და იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოვლენების შემადგენელი ნაწილების განვითარების

ტენდენციები, რაც, თავის მხრივ პროგნოზების გაკეთების საშუალებას იძლევა.

6.3. დინამიკის შეფარდებითი მაჩვენებლები

დინამიკის შეფარდებითი მაჩვენებელი (დშმ) გვიჩვენებს სამართლებრივი სტატისტიკის ამა თუ იმ მაჩვენებლის (აღრიცხული დანაშაულის, გამოვლენილი სამართალდამრღვევების, პატიმრების, მსჯავრდებულების ან გამართლებულების, სარჩელების, განხილული სამოქალაქო საქმეების, მოსამართლეების, პროკურორების და სხვათა რაოდენობის) ცვლილებას დროში. იგი გამოითვლება დროის მოცემულ პერიოდში (ან მომენტში) ნიშნის არსებული დონის შეფარდებით ამავე ნიშნის დონესთან დროის წინა ან საბაზისო პერიოდში (ან განსაზღვრულ მომენტში).

$$\text{დშმ} = \frac{\text{მიმდინარე პერიოდის მაჩვენებელი}}{\text{წინა ან საბაზისო პერიოდის მაჩვენებელი}}$$

დროის პერიოდად, ჩვეულებრივ, წელი (იშვიათად, კვარტალი, თვე და სხვ.) მიიჩნევა. დროის ინტერვალი განისაზღვრება სამართლებრივი მოვლენის შესწავლის ხასიათისა და მიზნების შესაბამისად. საბაზისო პერიოდის (ან შედარების ბაზის) განსაზღვრაც კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ხდება. დინამიკის შეფარდებითი მაჩვენებლების გამოთვლისას, ბაზად, რომელიც 1-დან 100%-ის ტოლია, შეიძლება გამოყენებულ იქნას ყოველთვის ერთი და იგივე სიდიდე, რომელსაც მომდევნო წლების მაჩვენებლებს შეადარებენ. საბაზისო წლის მონაცემები, ამ შემთხვევაში, უძრავი ბაზის როლს ასრულებენ. საბაზისოდ შეიძლება მიჩნეულ იქნას რაღაცით გამორჩეული ან შესასწავლი მოვლენისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წელი. მაგალითად, სისხლისსამართლებრივი მოვლენების შესწავლისას საბაზისოდ შეიძლება განისაზღვროს სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედების წელი, სამოქალაქოსამართლებრივი მოვლენების შესწავლის შემთხვევაში - შესაბამისი კოდექსის ამოქმედების წელი და ა.შ.

ხშირად, სამართლებრივი მოვლენის სტატისტიკური ანალიზისთვის, აუცილებელია შესასწავლი მოვლენის განვითარების ყოველწლიური ტემპის დადგენა. ასეთ შემთხვევაში ახდენენ ყოველწლიური (ან სხვა ხანგრძლივობის პერიოდის) მონაცემების შეფარდებას, რომლის დროსაც შედარების ბაზად გამოიყენებენ ყოველი წინა წლის (ან სხვა ხანგრძლივობის პერიოდის) მონაცემს. ამ გზით მიღებულ შეფარდებით მაჩვენებლებს, სამართლებრივ სტატისტიკაში, ჯაჭვურ შეფარდებით მაჩვენებლებს უწოდებენ. (ყოველი წლის მონაცემებს ადარებენ წინა წლისას, რომლის

დროსაც მიღებული დინამიკის მაჩვენებლები, თითქოსდა, ერთგვარ უწყვეტ ჯაჭვს ქმნიან); შედარების ბაზა ამ შემთხვევაში *მოძრავია*.

ჯაჭვურ შეფარდებით მაჩვენებლებს ფართოდ იყენებენ სოციალურ-სამართლებრივი და იურიდიულად მნიშვნელოვანი მოვლენების (მაგალითად, დანაშაულობის) ცვლილების გასაანალიზებლად. დინამიკის მაჩვენებლები გვიჩვენებენ დანაშაულობის მდგომარეობის (დონის) ცვლილებას დროში. მათ შეიძლება ასახონ როგორც დანაშაულის ცალკეული კატეგორიის ცვლილება (რაოდენობრივი მაჩვენებლები), ასევე სტრუქტურული ცვლილებები დანაშაულობის შიგნით (თვისებრივი მაჩვენებლები).

დანაშაულობის დონის დინამიკა, ჩვეულებრივ, გამოისახება აბსოლუტური სახელდებული ერთეულებით (მაგალითად, რეგისტრირებული დანაშაულის, დანაშაულის ჩამდენი პირების და ა. შ. რიცხვით) სტატისტიკური დროითი მწკრივების სახით წლების (ან სხვა ხანგრძლივობის პერიოდის) მიხედვით. დინამიკის მახასიათებელი მაჩვენებლები ქმნიან *დინამიკურ მწკრივებს*.

დინამიკური (დინამიკის) მწკრივი წარმოადგენს სტატისტიკური მაჩვენებლის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განლაგებული რიცხობრივი მნიშვნელობების რიგს, რომლებიც ახასიათებენ მოვლენის ცვლილებას დროში. ყოველი დინამიკური მწკრივი შეიცავს ორ ელემენტს: დროს და მაჩვენებლის კონკრეტულ მნიშვნელობას (მწკრივის დონეს), ანუ, მწკრივის დონე მაჩვენებლებია, რომელთა რიცხვითი მნიშვნელობები ქმნიან დინამიკურ მწკრივს, ხოლო დრო გამოხატავს მომენტს ან პერიოდს, რომელსაც მწკრივის კონკრეტული დონე შეესაბამება. შესასწავლი მოვლენების განვითარების სპეციფიკის გამოსავლენად, დროითი დინამიკური მწკრივის საფუძველზე გაიანგარიშება შემდეგი მაჩვენებლები:

- ჯაჭვური აბსოლუტური მატება - სხვაობა რომელიმე პერიოდისა და მომდევნო პერიოდის მწკრივის დონეებს შორის;
- საბაზისო აბსოლუტური მატება - სხვაობა რომელიმე პერიოდისა და საბაზისოდ მიჩნეული პერიოდის მწკრივის დონეებს შორის;
- ჯაჭვური ზრდის ტემპი - რომელიმე პერიოდის მწკრივის დონის შეფარდება წინა პერიოდის მწკრივის დონესთან;
- საბაზისო ზრდის ტემპი - რომელიმე პერიოდის მწკრივის დონის შეფარდება საბაზისოდ მიჩნეული პერიოდის მწკრივის დონესთან;
- ჯაჭვური მატების ტემპი - რომელიმე პერიოდის აბსოლუტური მატების შეფარდება წინა პერიოდის მწკრივის დონესთან;

- საბაზისო მატების ტემპი - რომელიმე პერიოდის აბსოლუტური მატების შეფარდება საბაზისოდ მიჩნეული პერიოდის მწკრივის დონესთან.

საბაზისო მატების ტემპის მიღება მარტივად შეიძლება. ამისთვის ადრე გამოთვლილ საბაზისო ზრდის ტემპს უნდა გამოვაკლოთ ასი. ასევე მარტივად მიიღება ჯაჭვური მატების ტემპი ადრე გამოთვლილი ჯაჭვური ზრდის ტემპისთვის 100-ის გამოკლებით.

ზრდის ტემპი გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ მეტი ან ნაკლებია მოცემული პერიოდის დონე წინა ან საბაზისო პერიოდის დონეზე.

მატების ტემპი ახასიათებს, თუ რამდენი პროცენტითაა ერთი დონე მეტი ან ნაკლები მეორე დონეზე. ზრდისა თუ მატების ტემპი გამოისახება პროცენტებით, უფრო იშვიათად მარტივი შეფარდებით და მათ ზრდის კოეფიციენტები ეწოდებათ. დინამიკის ზემოთ ჩამოთვლილი აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლების მაგალითები მოყვანილია მე-13ცხრილში.

სამართლებრივი მოვლენის ნიშნის საშუალო შეფარდებითი ცვლილების დასახასიათებლად, გამოიანგარიშებენ ნიშნის დონის მატების ან კლების ინტეგრირებულ შეფარდებით მაჩვენებლებს - ზრდისა ან მატების (კლების) საშუალოწლიურ ტემპს

ცხრილი #13. დანაშაულობის დინამიკა საქართველოში					
მაჩვენებლები	2011	2012	2013	2014	2015
დანაშაულის აბსოლუტური რიცხვი	12581,9	13001,7	12952,0	12968,3	12526,3
აბსოლუტური ჯაჭვური ნამატი	-	+1419,8	-149,7	+116,3	-1442,0
აბსოლუტური საბაზისო ნამატი	-	+1419,8	+1370,1	+1385,4	-155,6
ჯაჭვური ზრდის ტემპი % -		116,3	98,3	100,6	85,1
საბაზისო ზრდის ტემპი %	100,0	116,3	114,3	115,0	97,8
ჯაჭვური მატების ტემპი%	-	+16,3	-1,7	+0,6	14,9
საბაზისო მატების ტემპი%	-	+16,3	+14,3	+15,0	+2,2

ზრდის საშუალო წლიური ტემპი მოვლენის დონის საშუალო შეფარდებითი ცვლილებაა დროის აღნიშნულ პერიოდში.

მატების საშუალო წლიური ტემპი მოვლენის პარამეტრის შეფარდებითი მატების საშუალო სიდიდეა აღნიშნულ პერიოდში, რომელიც გამოითვლება ზრდის საშუალო წლიური ტემპის საფუძველზე, მისგან 100%-ის გამოკლებით. თუ დინამიკური მწკრივის დონეები იკლებს, ზრდის

საშუალო ტემპი 100%-ზე ნაკლები იქნება, ხოლო მატების საშუალო ტემპი - უარყოფითი სიდიდე. მატების უარყოფითი ტემპი წარმოადგენს კლების საშუალო ტემპს და ახასიათებს მოვლენის დონის კლების საშუალო შეფარდებით სიჩქარეს. მე -13 ცხრილის მონაცემების მიხედვით, მატების საშუალო წლიური ტემპი დადებითი მნიშვნელობისაა, (+2,2%), რაც მიუთითებს, რომ 2009 წლიდან 2015 წლის ჩათვლით დანაშაულობის დონე საშუალოდ წელიწადში 2-ზე მეტი პროცენტით იმატებდა.

დინამიკის აბსოლუტური მაჩვენებლების გადაყვანა შეფარდებით მაჩვენებლებში საშუალებას გვაძლევს შევადაროთ დანაშაულობის დინამიკა სხვადასხვა რეგიონსა თუ ქვეყანაში. ზოგან დანაშაულობა შეიძლება ასეულობით დანაშაულით იზომებოდეს, სხვაგან კი - მილიონობით, მაგრამ თუ საბაზისო წლის მონაცემებს ამა თუ იმ ქვეყანაში 100%-ად მივიჩნევთ, შესაძლებელი იქნება შევადაროთ დანაშაულობის ზრდის ან კლების ტემპი გამოსაკვლევ ქვეყნებში.

დანაშაულობის დახასიათებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი დონის ცვლილების ანალიზს ტერიტორიული ნიშნით. ზოგიერთ რეგიონში დანაშაულობა ინტენსიურად იზრდება, ზოგში, პირიქით, იკლებს, ზოგან კი, მისი დონე შედარებით სტაბილურია და ა. შ.

დანაშაულობის, მისი ცალკეული სახეობისა და კატეგორიის დონის დინამიკაზე, ასევე, დანაშაულობის შიდა სტრუქტურულ ცვლილებებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ დანაშაულობის განვითარების ტენდენციები წარსულში, განვსაზღვროთ მისი მდგომარეობა აწმყოში და მოვახდინოთ ტენდენციების პროგნოზირება მომავალში. ასეთი ინფორმაცია დანაშაულთან ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის, პრევენციული ღონისძიებების სწორად შერჩევის და სამართალდამცავი ორგანოების ძალებისა და საშუალებების უფრო ზუსტად განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

6.4. ინტენსივობის შეფარდებითი მაჩვენებლები.

ინტენსივობის შეფარდებითი მაჩვენებელი (იმმ) სამართლებრივ სტატისტიკაში ეწოდება მაჩვენებელს, რომელიც ასახავს შესასწავლი ერთობლიობის ამა თუ იმ ნიშნის გავრცელების ხარისხს ან მისი განვითარების დონეს. მას გამოიყენებენ სამოქალაქო დავების, დანაშაულობის გავრცელების ხარისხის დასადგენად სხვადასხვა ქალაქში, რეგიონსა თუ ქვეყანაში, სამართალდამცავი კადრებით მოსახლეობის უზრუნველყოფის შესწავლის და სხვა მიზნებით.

$$\sigma = \frac{\text{მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს სოციო - სამართლებრივ მოვლენ ა ს}}{\text{მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ამ მოვლენის გავრცელების არეალს}}$$

ინტენსივობის შეფარდებითი მაჩვენებლის განსაზღვრა ხდება ერთმანეთთან გარკვეულ კავშირში მყოფი სხვადასხვა დასახელების სიდიდეების შედარებით. მათ, როგორც წესი, ანგარიშობენ 100; 1000 და ა.შ. ერთეულზე (მაგალითად, 100 ჰექტარ მიწის ფართობზე, 1000 სულ მოსახლეზე და ა. შ.). ინტენსივობის მაჩვენებლებს გამოიყენებენ რაიმე მოვლენის გავრცელების ხარისხის დასადგენად კონკრეტულ გარემოში.

შესადარებელ რეგიონებში სამოქალაქო სარჩელებისა და მოსახლეობის სრული რაოდენობის შედარებით შეიძლება მივიღოთ მონაცემები „სამოქალაქო სარჩელების“ დინამიკის შესახებ 10 ან 100 ათას მოსახლეზე.

სისხლისსამართლებრივ სტატისტიკაში ინტენსივობის შეფარდებით მაჩვენებლებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დანაშაულობის კოეფიციენტს (დკ). მისი გამოანგარიშება ხდება დანაშაულის ფაქტების ან დანაშაულის ჩამდენ პირთა რაოდენობის შეფარდებით მოსახლეობის სრულ რაოდენობასთან ან იმ მოსახლეთა რიცხვთან, რომელთაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს (14 წელს) მიაღწიეს.

$$დკ = \frac{x \times 100000}{\theta}$$

სადაც x – რეგისტრირებული დანაშაულის ან მისი ჩამდენი პირების აბსოლუტური რიცხვია, θ – მოსახლეობის საერთო რაოდენობა ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული მოსახლეების რაოდენობა. ორივე რიცხვი („ x “ და „ θ “) აიღება დროისა და სივრცის ერთი და იმავე საზღვრებში.

დანაშაულობის (დანაშაულის, დამნაშავეობის) კოეფიციენტი, ჩვეულებრივ, გამოიანგარიშება დანაშაულის რაოდენობით 100 000 მოსახლეზე, მაგრამ დანაშაულის მცირე რიცხვის შემთხვევაში მისი გამოანგარიშება 10 ათას ან ერთი ათას მოსახლეზე შეიძლება. 100 000; 10 000 ან 1000 კოეფიციენტის განზომილებას აღნიშნავს.

სხვადასხვა რეგიონის ან ქვეყნის დანაშაულობის (დანაშაულის, დამნაშავეობის) კოეფიციენტის შედარება საშუალებას იძლევა ობიექტურად ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რომელ ტერიტორიაზეა დანაშაულის ინტენსივობა

მეტი ან ნაკლები, იმდენად რამდენადაც, გამოირიცხება მოსახლეობის რაოდენობის ან მისი ზრდის გავლენა დანაშაულის რაოდენობაზე.

ინტენსივობის კოეფიციენტის გამოანგარიშებისას და შეფასებისას სამართლებრივ სტატისტიკაში, მხედველობაში უნდა მივიღოთ შესადარებელი მაჩვენებლების ზოგიერთი თავისებურება:

1) განსაზღვრული პერიოდის (ძირითადად 1 წლის) განმავლობაში ჩადენილი დანაშაულის, გამოვლენილი სამართალდამრღვევების, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების და სხვ. რაოდენობების მიხედვით იქმნება ინტერვალური დინამიკური მწკრივები, რომელთა მეშვეობით აისახება მოვლენათა ფაქტების ჯამი მთელი წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც, მოსახლეობის რიცხვი, ჩვეულებრივ, ფიქსირდება განსაზღვრული თარიღისთვის (მაგალითად, წლის დასაწყისში ან ბოლოს) და ქმნის სამომენტო მწკრივს. დანაშაულის და ინტენსივობის სხვა კოეფიციენტები ჩვეულებრივ, გამოითვლება მოსახლეობის საშუალო წლიურ რაოდენობასთან მიმართებით, რომელიც წარმოადგენს წლის დასაწყისში და მის დასასრულს მოსახლეობის რაოდენობათა ჯამის ნახევარს.

2) სტატისტიკის თეორიაში გამოყოფენ მუდმივ და ფაქტობრივ მოსახლეობას. მოსახლეობის დაყოფას ამგვარ კატეგორიებად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი სტატისტიკისთვის დანაშაულობის ინტენსივობის კოეფიციენტის გამოსათვლელად რეგიონებში დროებითი მოსახლეობის მაღალი მაჩვენებლით (მაგალითად, ისეთით, როგორც თბილისია). სხვაობამ მუდმივ და ფაქტობრივ მოსახლეობას შორის თბილისში 2012 წელს შეადგინა 300 000 ადამიანი, რაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული დანაშაულობის (დანაშაულის, დამნაშავეობის) კოეფიციენტის გამოთვლისას, ვინაიდან დანაშაულის მთელი რაოდენობის 1/3-ზე მეტს თბილისში სწორედ დროებითი მაცხოვრებლები იდენენ.

3) ინტენსივობის კოეფიციენტის შედარებისას რეგიონებში მკვეთრად განსხვავებული შობადობის დონით, უფრო სწორია კოეფიციენტების გამოანგარიშება იმ მოსახლეობათან შეფარდებით, რომლებმაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს (14 წელს და უფრო მეტს) მიაღწიეს. ეს განპირობებულია იმით, რომ არასრულწლოვნების ხვედრითი წილი ქვეყნებში დაბალი და მაღალი შობადობით მკვეთრად შეიძლება განსხვავდებოდეს. ამიტომ შედარებითი ანალიზის ჩატარებისას ქვეყნებს შორის, რომელთაგან ზოგიერთში არ არსებობს რაოდენობრივი მონაცემები

14-16 წლის ასაკობრივი კატეგორიის მოსახლეების შესახებ, ასევე, იმ შემთხვევებში, როცა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სხვადასხვა (10; 12; 14; 16 წლის) ასაკში დგება, დანაშაულობის კოეფიციენტი, როგორც წესი, გამოიანგარიშება მთელ მოსახლეობასთან შეფარდებით.

ინტენსივობის კოეფიციენტების გამოთვლისას, დამნაშავეთა საერთო რიცხვის ნაცვლად, შეიძლება ისარგებლონ მხოლოდ მსჯავრდებულთა რიცხვით - ეს იქნება მსჯავრდების კოეფიციენტი, თუ წილადის მრიცხველში ჩავსვამთ დაზარალებულთა რიცხვს, მივიღებთ ვიქტიმიზაციის კოეფიციენტს, თუ პატიმართა რიცხვს - პატიმრობის (პრიზონულ - ინგლ. სიტყვიდან *prison*) კოეფიციენტს. პატიმრობის კოეფიციენტის გამოთვლისას, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ პატიმართა რაოდენობა ქმნის სამომენტო მწკრივს, მსგავსად მოსახლეობის რაოდენობისა. ამიტომ მისი გამოიანგარიშებისთვის გამოიყენებენ ან პატიმართა საშუალო წლიურ რაოდენობას, ან მათ რაოდენობას წლის ბოლოს. პატიმრობის კოეფიციენტი შეიძლება, ასევე, გამოვითვალოთ 100 000 რეგისტრირებულ დანაშაულზე ან დანაშაულის ჩამდენ პირზე, რომლითაც სასამართლო სისტემის რეპრესიულობის ინტენსივობაც ფასდება.

თუ დანაშაულის რაოდენობას შევადარებთ მათ ჩამდენ პირთა რაოდენობას, მივიღებთ დამნაშავეთა კრიმინოგენული აქტივობის კოეფიციენტს, რომელიც გვიჩვენებს, საშუალოდ რამდენ დანაშაულს სჩადის ყოველი დამნაშავე.

ინტენსივობის კოეფიციენტის მრიცხველში, ასევე, შეიძლება განთავსდეს გახსნილი დანაშაულის, ყველა მსჯავრდებულის, თავისუფლების აღკვეთა-მისჯილის ან სხვათა საერთო რაოდენობა.

არასრულწლოვნების, ქალების, მამაკაცების, ადრე ნასამართლეების, უმუშევრების, სამხედრო მოსამსახურეებისა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების მიმართ შეიძლება გამოვითვალოთ დანაშაულობის სპეციალიზებული კოეფიციენტები. ასეთ შემთხვევებში კოეფიციენტის მრიცხველში განთავსდება კონკრეტული ჯგუფის მოსახლეობის მიერ ჩადენილი დანაშაულის რიცხვი, ხოლო მნიშვნელში - მოცემული ჯგუფის მოსახლეობის საერთო რაოდენობა განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

ცალკეული სახეობისა და ჯგუფის დანაშაულის ინტენსივობის გამოსათვლელად ანგარიშობენ ეკონომიკური, ძალადობრივი, ანგარებითი და სხვა დანაშაულის კოეფიციენტებს.

ინტენსივობის სხვადასხვა კოეფიციენტის გამოყენება ხელს უწყობს დანაშაულობის და მისი ცალკეული სახეობის დონის უფრო ობიექტურ შეფასებას, იძლევა მათი შედარების საშუალებას დროისა და სივრცის მიხედვით.

6.5. კოორდინაციისა და შედარების შეფარდებითი მაჩვენებლები

შეფარდებითა კოორდინაციის მაჩვენებელი (კშმ) რომელიც ასახავს მთელის ნაწილების თანაფარდობას. კოორდინაციის შეფარდებითი მაჩვენებელი ინტენსივობის შეფარდებითი მაჩვენებლის ნაირსახეობაა და, მისგან განსხვავებით, უჩვენებს ერთი და იმავე ერთობლიობის (მთელის) სხვადასხვა ნიშნის განვითარების და გავრცელების ხარისხს. მასზე დაყრდნობით ვლინდება, თუ რამდენად მეტია ან ნაკლები ერთი ნიშანი მეორეზე. შედარების ბაზად ნიშნის არჩევა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ხდება. ერთი და იგივე ერთობლიობისთვის შეიძლება რამდენიმე კოორდინაციის შეფარდებითი მაჩვენებლის გამოთვლა. სამართლებრივ სტატისტიკაში ასეთი მაჩვენებლებს მიეკუთვნება, მაგალითად, მამაკაც და ქალ დამნაშავეთა თანაფარდობის ამსახველი მაჩვენებლები (ცხრ. 14).

ცხრილი #14 დამნაშავეთა რაოდენობა სქესობრივი ნიშნის მიხედვით			
დანაშაულის ჩამდენი გამოვლენილი პირები	2013	2014	2015
სულ :	12001	11954	11086
მთი შირის:			
მამაკაცები	11234	11100	10250
ქალები	786	854	836
კოორდინაციის შეფარდებითი მაჩვენებელი	6.9	7.6	8.1

როგორც მე-14 ცხრილიდან ჩანს, მამაკაც დამნაშავეთა რაოდენობრივი უპირატესობა ქალ დამნაშავეებთან შედარებით, განსახილველ პერიოდში, კლებულობდა და 2015 წლისთვის, 1 დანაშაულის ჩამდენ ქალზე მოდის დაახლოებით 12 დანაშაულის ჩამდენი მამაკაცი.

კოორდინაციის მაჩვენებლების გამოყენება შეიძლება, ასევე, მსჯავრდებულ მამაკაცთა და ქალთა რაოდენობის, სხვადასხვა სახეობისა და ჯგუფის დანაშაულის ურთიერთშედარებისთვის და ა.შ.

შედარების შეფარდებითი მაჩვენებლები (შშშ), მიიღება დროის ერთსა და იმავე პერიოდში ან დროის მოცემულ მომენტში სხვადასხვა ობიექტისთვის (ქვედანაყოფის, რაიონისთვის და ა. შ.) დამახასიათებელი ერთი და იგივე დასახელების ნიშნის სიდიდეების შეფარდებით.

$$\text{შშშ} = \frac{\text{მაჩვენებელი, რომელიც ხასიათებს a ობიექტს}}{\text{მაჩვენებელი, რომელიც ხასიათებს b ობიექტს}}$$

შედარების შეფარდებითი მაჩვენებელი გამოისახება პროცენტებში ან ჯერადებში. მას ხშირად გამოიყენებენ დანაშაულობის მაჩვენებლების შედარებისას სხვადასხვა რეგიონში, ქვეყანაში დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში (კვარტალში, წელიწადში) ან განსაზღვრული მომენტისთვის. ასევე შეიძლება მისი გამოყენება ერთსა და იმავე რეგიონში სხვადასხვა დროს არსებული დანაშაულობის მაჩვენებლების შედარებისას და ა. შ.

შედარების შეფარდებითი მაჩვენებლების გამოთვლისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მაჩვენებლების შესადარისობა მათი მიღების მეთოდოლოგიის, საზომი ერთეულის და სხვათა გათვალისწინებით.

მაჩვენებლების აღნიშნულ ჯგუფს მიეკუთვნება, აგრეთვე, მოსახლეობის სხვადასხვა ფენისა და ჯგუფის დანაშაულებრივი აქტივობის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს დამნაშავე კონტინგენტის შემადგენლობაში განსაზღვრული ჯგუფის (ასაკობრივი, სოციალური და სხვ.) წილის თანაფარდობას ანალოგიურ ჯგუფის წილთან მთელ მოსახლეობაში. მაგალითად, 2012 წელს საქართველოში გამოვლენილ იქნა დანაშაულის ჩამდენი 1278 ქალი. გამოვლენილი სამართალდამრღვევების შემადგენლობაში მათმა წილმა 9% შეადგინა, ქალთა ხვედრითი წილი კი იმავე პერიოდში მთელი მოსახლეობის 53%-ს წარმოადგენდა. შესაბამისად, ქალების დანაშაულებრივი აქტივობის კოეფიციენტი იქნებოდა

$$\frac{9}{53} = 0.16$$

ხოლო მამაკაცებისა:

$$\frac{91}{47} = 1.96$$

საიდანაც ჩანს, რომ მამაკაცების დანაშაულებრივი აქტივობის კოეფიციენტი აღნიშნულ პერიოდში დაახლოებით 7-ჯერ აღემატებოდა ქალებისას.

მოცემული კოეფიციენტის გამოყენება შეიძლება არასრულწლოვანთა, ადრე ნასამართლევთა, უმუშევართა და სხვათა მიმართ. დანაშაულებრივი აქტივობის კოეფიციენტი ასახავს დანაშაულობის გავრცელების ინტენსივობას მოსახლეობის კონკრეტულ ჯგუფებში და დანაშაულობის „სტანდარტული“ გავრცელებისგან (როდესაც აღნიშნული კოეფიციენტი უდრის 1-ს) მისი გადახრის ხარისხს. დანაშაულებრივი აქტივობის კოეფიციენტის გამოთვლა პრაქტიკის მაგალითზე ადასტურებს კრიმინოლოგიის თეორიის დებულებას იმის შესახებ, რომ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში დანაშაულებრივი აქტივობა განსხვავებულია.

აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლების, ასევე საშუალო სიდიდეების შედარებითი ანალიზი სტატისტიკური განზოგადების ერთ-ერთი მთავარი ხერხთაგანია. შედარების მეთოდების ანალიზური შესაძლებლობები ფართო პერსპექტივებს ხსნის დინამიკის, სტრუქტურისა და ინტენსივობის მაჩვენებლების (მათ შორის, საშუალო სიდიდეების) თანაფარდობის შესწავლისათვის.

6.6. ინდექსები

ფართო გაგებით, „ინდექსი“ ნიშნავს ნებისმიერ განზოგადებულ მაჩვენებელს, რომელიც ახასიათებს შესასწავლი მოვლენის მდგომარეობას ან ცვლილებას. ის წარმოდგება ლათინური სიტყვიდან *index*, რაც მიმნიშნებელს, მაჩვენებელს გულისხმობს.

სამართლებრივ სტატისტიკაში ინდექსის ქვეშ იგულისხმება შედარების შეფარდებითი მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს რაიმე მოვლენის (მარტივისა თუ რთულის, შესადარისი თუ არაშესადარისი ელემენტებისგან შემდგარის) ცვლილებას დროში, სივრცეში, ასევე, ნებისმიერ სხვა ეტალონთან მიმართებით.

ინდექსების გამოყენების სფერო ანალიზურ პრაქტიკაში ერთობ ფართოა. მათი დახმარებით შეიძლება დავახასიათოთ სამართლებრივი და იურიდიულად მნიშვნელოვანი მოვლენების ცვლილება დროში (*დინამიკის ინდექსები*), სივრცეში (*ტერიტორიული ინდექსები*). ინდექსების დახმარებით შეიძლება განვსაზღვროთ ცალკეული ფაქტორის გავლენის ხარისხი რთული მოვლენის დინამიკის ცვლილებაზე (მაგალითად,

ცალკეული სახეობის დანაშაულის რაოდენობისა და დანაშაულობის სტრუქტურის ცვლილების გავლენის ხარისხი დანაშაულის საერთო რიცხვზე) და ა. შ. ინდექსების მეშვეობით შედარების წარმოება შესაძლებელია არამარტო დროსა და სივრცეში, არამედ გეგმებთან მიმართებითაც.

ინდექსები გამოისახება პროცენტებში ან კოეფიციენტებში. თუ პროცენტით გამოსახულ ინდექსის მნიშვნელობას გამოვაკლებთ 100%-ს, მიღებული სხვაობა გვიჩვენებს, თუ რამდენი პროცენტით მოიმატა (ან დაიკლო) საინდექსო სიდიდემ, ანუ სიდიდემ, რომლის ცვლილებაც შეისწავლება.

შესასწავლი ერთობლიობის ერთეულების მოცვის ხარისხის მიხედვით, განარჩევენ ინდივიდუალურ და საერთო ინდექსებს. ინდივიდუალური ინდექსი ახასიათებს რთული მოვლენის ცალკეული ელემენტის ცვლილებას (მაგალითად, საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების რიცხვის ზრდას ან კლებას). სამართლებრივ სტატისტიკაში რთული მოვლენის ქვეშ იგულისხმება ისეთი ერთობლიობა, რომლის ცალკეული ელემენტების პირდაპირ შეჯამება შეუძლებელია.

ინდივიდუალური ინდექსები წარმოადგენენ დინამიკის, შედარების, გეგმის რეალიზების შეფარდებით მაჩვენებლებს და მათი გაანგარიშება არ მოითხოვს მონაცემთა შეჯამებას. ბაზის შერჩევა ხდება კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. ინდექსირებადი სიდიდის კონკრეტული პერიოდისთვის მისაკუთვნებლად, ინდექსის სიმბოლოს თან ურთავენ სუბსკრიპტულ ნიშნებს: ერთიანს (1) - მიმდინარე პერიოდისთვის (რომელიც უნდა შეადარონ) და ნულს (0) - საბაზო პერიოდისთვის (რომელსაც ადარებენ). თუ მოვლენის ცვლილებას განიხილავენ სხვადასხვა პერიოდში, თითოეულ მათგანს შესაბამისი სუბსკრიპტით აღნიშნავენ - 1; 2; 3; და ა. შ.

ინდივიდუალური ინდექსი გამოიანგარიშება ორი ინდექსირებადი სიდიდის შეფარდებით

$$iq = \frac{q1}{q0}$$

სადაც q1 – ინდექსირებადი სიდიდის (მაგალითად, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების) რაოდენობრივი მნიშვნელობაა მიმდინარე (საანგარიშო) პერიოდში, ხოლო q0 - აღნიშნული სიდიდის მნიშვნელობა საბაზო პერიოდში.

საერთო ინდექსი ახასიათებს დროსა თუ სივრცეში რთული მოვლენის ყველა ელემენტის, ანუ შესასწავლი მოვლენის მთელი მოცულობის ცვლილებას (მაგალითად, იმ დანაშაულთა ერთობლიობის საშუალო დინამიკას, რომელთა პირდაპირ შედარება არ ხერხდება. კვლევის მიზნების, ინდექსირებადი სიდიდის ხასიათის და ამოსავალი მონაცემების მიხედვით, ინდექსის აგება ხდება სხვადასხვა ხერხით. აგების ხერხის მიხედვით, საერთო ინდექსი შეიძლება იყოს აგრეგატული და საშუალო. საშუალო ინდექსები, თავის მხრივ, იყოფა საშუალო არითმეტიკულ და საშუალო ჰარმონიულ ინდექსებად.

აგრეგატული ინდექსი პრაქტიკულ სტატისტიკაში გამოყენებული ინდექსების ძირითადი ფორმაა. მისი მრიცხველი და მნიშვნელი წარმოადგენს ორი სიდიდის წარმოებულთა ჯამს, რომელთაგან ერთი იცვლება (ინდექსირდება), ხოლო მეორე მნიშვნელსა და მრიცხველში უცვლელი რჩება და მას ინდექსის წონა ეწოდება. ინდექსის წონა გამოიყენება იმ ინდექსირებადი სიდიდეების შესადარებლად, რომელთა პირდაპირ შედარება ვერ ხერხდება. ინდექსირებადი სიდიდის გამრავლება ინდექსის წონაზე შეწონვის სახელწოდებითაა ცნობილი. აგრეგატული ინდექსი შეიძლება გამოანგარიშებულ იქნას, როგორც ცვლადი შემადგენლობის ინდექსი (ერთმანეთს ადარებენ მაჩვენებლებს, რომლებიც გამოითვლება მოვლენის ცვალებადი სტრუქტურის საფუძველზე) და მუდმივი (ფიქსირებული) შემადგენლობის ინდექსი (მაჩვენებლების შედარება ხდება მოვლენის უცვლელი სტრუქტურის საფუძველზე).

სამართლებრივ მოვლენებს შორის არსებული ურთიერთკავშირის ბაზაზე, შეიძლება ინდექსური ფაქტორული ანალიზის განხორციელება, რაც საშუალებას მოგვცემს დავახასიათოთ იურიდიულად მნიშვნელოვანი მთლიანი მოვლენის ცვლილება მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის შეცვლის შედეგად.

სისხლისსამართლებრივ სტატისტიკაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დანაშაულის სიმძიმის ინდექსები, რომლებიც ასახავენ სხვადასხვა დროს ან სხვადასხვა ტერიტორიაზე ჩადენილი სხვადასხვა დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. მათი გამოთვლა ხდება რეგისტრირებული დანაშაულის საერთო რიცხვის, დანიშნული სასჯელის ზომისა და საზოგადოებრივი საშიშროების განმსაზღვრელი სხვა ნიშნების საფუძველზე. დანაშაულის სიმძიმის გაზომვისას სასჯელის ზომად შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც სასამართლოს მიერ რეალურად დანიშნული, ისე სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი საწესი.

სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული ყველა საზოგადოებრივად საშიში ქმედება, თავისი ხასიათიდან და საშიშროების ხარისხიდან გამომდინარე, სასჯელის მაქსიმალური ზომის მიხედვით, იყოფა ოთხ კატეგორიად. თუ პირობით ათვლის ერთეულად (ქულად) მივიჩნევთ თავისუფლების აღკვეთის 1 წელს, შეიძლება მივიღოთ ერთიანი ნორმატიული კრიტერიუმი სხვადასხვა დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების (სიმძიმის) შესაფასებლად. ცალკეული სახეობის დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება კი შეიძლება შევავსოთ მოცემული სახეობის დანაშაულის რაოდენობის გამრავლებით შესაბამისი სასჯელის ზომისთვის მინიჭებულ ქულაზე.

სასჯელის ღონისძიებები, რომლებიც არ ითვალისწინებენ თავისუფლების აღკვეთას, შეიძლება შევუსაბამოთ თავისუფლების აღკვეთის წლებს. მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეესაბამება თავისუფლების შეზღუდვის 2 დღე, სავალდებულო სამუშაოს 8 საათი და ა.შ. რაც შეეხება ჯარიმებს, მათი გადაანგარიშება თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობაზე კოდექსში არაა ასახული, მაგრამ ისინი პირობითად შეიძლება შევუსაბამოთ თავისუფლების აღკვეთის მცირე ვადას იმ პირობით, რომ ის უცვლელი დარჩება ანალიზის ჩატარებისას და არ დაარღვევს მაჩვენებლების შესადარისობას.

დანაშაულის ერთობლიობის სიმძიმის ინდექსის (დესი) გამოსაანგარიშებლად შეიძლება გამოვიყენოთ აგრეგატული ინდექსის ფორმულა

$$\text{დესი} = \frac{\sum C1B1}{\sum C0B1}$$

სადაც

C1 - სხვადასხვა სახეობის დანაშაულების რაოდენობაა მიმდინარე პერიოდში

B1 - დანაშაულების სიმძიმის ქულები (რომლებიც ერთნაირი უნდა იყოს მიმდინარე და საბაზო პერიოდისთვის);

C0 - განსაზღვრული სახეობის დანაშაულების რიცხვი საბაზო პერიოდში.

განვიხილოთ დანაშაულის სიმძიმის საერთო ინდექსის გამოანგარიშების მეთოდის მაგალითი: ვთქვათ, N ქალაქში 2012 წელს ჩადენილ იქნა 20 განზრახ მკვლელობა (თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა (თამგ) 20 წელი), 15 გაუპატიურება (თამგ 6 წელი), 150 ხულიგნობა (თამგ 5 წელი), 90 ძარცვა (თამგ 12 წელი), 200 ქურდობა (თამგ 10 წელი), ხოლო 2013 წელს

იმავე ტერიტორიაზე ჩაიდინეს 15 მკვლელობა, 15 გაუპატიურება, 100 ხულიგნობა, 80 მარცვა, 250 ქურდობა.

მოცემული პერიოდის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულების და მათი სიმძიმის განმსაზღვრელი ქულების შეწონილი რიცხვების შეჯამებით მივიღებთ პირობით რიცხვს, რომელსაც სახეობრივ ინდექსს ვუწოდებთ. ფორმულაში ჩვენი მონაცემების შეტანით მივიღებთ:

$$\text{დეხო} = \frac{20 \times 20 + 15 \times 6 + 150 \times 5 + 90 \times 12 + 200 \times 10}{20 \times 20 + 15 \times 6 + 100 \times 5 + 90 \times 12 + 250 \times 10} = \frac{4320}{4350} = 0.99\% = 99\%$$

მიღებული შედეგი გვიჩვენებს, რომ დანაშაულის ერთობლიობის სიმძიმის ინდექსი 2013 წელს შემცირდა 1%-ით 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ ჩადენილ დანაშაულთა საერთო რიცხვი 2012 წელს 3,3%-ით მეტი იყო.

საერთო ინდექსები საშუალებას იძლევა ჩავატაროთ მსგავსი შედარება სხვადასხვა რეგიონებშიც დროის ერთსა და იმავე პერიოდში. აგრეგატული ინდექსების საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, თუ უპირატესად რომელი სახეობის დანაშაულის ხარჯზე ფორმირდება ამა თუ იმ რეგიონში აღრიცხული დანაშაულის დონე. თუ შესადარებელ რეგიონებში რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობა ერთნაირია, ხოლო ერთი რეგიონის აგრეგატული მაჩვენებელი სჭარბობს მეორისას, შეიძლება დავასკვნათ, რომ პირველ რეგიონში მძიმე დანაშაული ან რეალურად ჭარბადაა ჩადენილი, ან უპირატესად მძიმე დანაშაული აღირიცხება.

ანალოგიური სქემით შეიძლება ვიანგარიშოთ მსჯავრდების ინდექსი (მი)

$$\text{მი} = \frac{\sum \text{P1B1}}{\sum \text{P0B1}}$$

სადაც:

P1 – მსჯავრდებულთა რიცხვია მიმდინარე პერიოდში, რომელთა მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი ძალაშია შესული;

P0 – მსჯავრდებულთა რაოდენობაა საბაზო პერიოდში;

B1 – თავისუფლების აღკვეთის წლებში გამოსახული დანაშაულის სიმძიმის ქულებია.

დანაშაულის სიმძიმის რაოდენობრივი გაზომვა, შეიძლება განხორციელდეს ორი გზით (ისევე, როგორც დანაშაულის ერთობლიობის სიმძიმის ინდექსისა):

1) სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსით სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულის მიმართ. (ნაკლებად მძიმე, მძიმე, განსაკუთრებით მძიმე);

2) სასამართლოს მიერ რეალურად დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადით.

მსჯავრდებულთა დანაშაულის ერთობლიობის სიმძიმე ყოველთვის მაღალია ყველა რეგისტრირებული დანაშაულის ერთობლივ სიმძიმეზე. გარდა ამისა, დანაშაულის რეგისტრაციასა და მისი ჩადენის გამო პირის მსჯავრდებას შორის არსებითი ცდომაა დროში. დანაშაულობისა და მსჯავრდების ინდექსებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება შედარებითი კვლევის წარმოების, სისხლისსამართლებრივი პოლიტიკისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის ფართო შესაძლებლობებს იძლევა.

სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი და სასამართლოს მიერ რეალურად დანიშნული სასჯელის მიხედვით გამოთვლილი მსჯავრდების ინდექსების შედარება საშუალებას გვაძლევს შევავსოთ სისხლისსამართლებრივ პრაქტიკასა და კოდექსში არეკლილ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას შორის შეუსაბამობა.

სხვადასხვა ინდექსი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც დანაშაულობის ინდიკატორი, რომელიც პირდაპირ ლახავს მოქალაქეების ინტერესებს. რთული აგრეგატული ინდექსების გამოყენება ხელს უწყობს ანალიზური მუშაობის დონის ამაღლებას და ამის ფონზე დანაშაულობის სოციალური კონტროლის ეფექტური ღონისძიებების შემუშავებას.

შეკითხვები თვითშეფასებისთვის:

1. სტატისტიკური მაჩვენებლების რა სახეები არსებობს?
2. შეავსეთ აბსოლუტური მაჩვენებლების მნიშვნელობა სამართლებრივი სტატისტიკის ობიექტების შესწავლისათვის.
3. დაასახელეთ შეფარდებითი მაჩვენებლების სახეობები.

4. როგორ გამოითვლება სტრუქტურის შეფარდებითი მაჩვენებლები?
5. დაასახელეთ დანაშაულობის სტრუქტურის შესწავლის ძირითადი მიმართულებები;
6. როგორ გამოითვლება დინამიკის შეფარდებითი მაჩვენებლები?
7. მიუთითეთ დანაშაულობის კოეფიციენტის გამოთვლის თავისებურებები.
8. დაასახელეთ ინტენსივობის სისხლისსამართლებრივი სტატისტიკური მაჩვენებლები.
9. განმარტეთ კოორდინაციისა და შედარების მაჩვენებლები სამართლებრივ სტატისტიკაში. რა განსხვავებაა მათ შორის?
10. როგორ გამოითვლება დანაშაულის ერთობლიობის სიმძიმის ინდექსი და მსჯავრდების ინდექსი? დაასახელეთ მათი თავისებურებები.

ტესტი

1. მიუთითეთ, რომელ კატეგორიებად იყოფა განზოგადებული სტატისტიკური მაჩვენებლები:

- ალბათობის მაჩვენებლებად;
- აბსოლუტურ მაჩვენებლებად;
- შეფარდებით მაჩვენებლებად;
- საშუალო სიდიდეებად.

2. რა ეწოდება სტატისტიკური ცხრილებიდან აღებულ შეუცვლელ ჯამურ სიდიდეებს?

- ნორმალური სიდიდეები
- აბსოლუტური მაჩვენებლები;
- შეფარდებითი მაჩვენებლები;
- განზოგადებული მაჩვენებლები.

3. დაასახელეთ საზომი ერთეულები, რომლებიც აბსოლუტური მაჩვენებლების გამოსახატად გამოიყენება:

- ნორმალური;
- ნატურალური;
- ღირებულებითი;
- პრომილე.

4. მიუთითეთ, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მაჩვენებლებია აბსოლუტური:

- 113%;
- 50 000 მსჯავრდებული;
- 10 000 სამოქალაქო სარჩელი 100 000 მოსახლეზე;

- 5 000 ლარის მატერიალური ზიანი.

5. ერთი აბსოლუტური მაჩვენებლის მეორესთან შეფარდებით მიღებულ მაჩვენებლებს ეწოდება:

- ფრაქციული მაჩვენებელი;
- შეფარდებითი მაჩვენებელი;
- საშუალო მაჩვენებელი;
- კოეფიციენტი.

6. მიუთითეთ, რომელ საზომ ერთეულებში გამოისახება შეფარდებითი მაჩვენებლები:

- პროცენტებში;
- ნატურალურ რიცხვებში;
- წილადებში;
- პრომილეებში.

7. შეფარდებითი მაჩვენებლების გამოთვლისას უნდა დავიცვათ მაჩვენებლების შესადარისობა შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

- სამართლებრივი ნორმების მოქმედების ჩარჩოების მიხედვით;
- საზომი ერთეულების მიხედვით;
- ტერიტორიის მიხედვით;
- დროის მიხედვით.

8. მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ მთელი ერთობლიობის შიგნით რაიმე წილს, მიეკუთვნებიან შემდეგი სახის შეფარდებით მაჩვენებლებს

- კოორდინაციის;
- ინტენსივობის;
- სტრუქტურის;
- დინამიკის.

9. შეფარდებითი სიდიდე, რომელიც ახასიათებს ცალკეული კატეგორიის დანაშაულის ხვედრით წილს რეგისტრირებული დანაშაულის მთლიან ერთობლიობაში, წარმოადგენს

- დინამიკის მაჩვენებელს;
- სტრუქტურის მაჩვენებელს;
- შედარების მაჩვენებელს;
- გეგმის რეალიზების მაჩვენებელს.

10. რომელ საზომ ერთეულებში გამოისახება სტრუქტურის შეფარდებითი მაჩვენებელი?

- პროცენტებში;
- ნატურალურ რიცხვებში;
- წილადებში;
- პრომილებში.

11. *მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს რაიმე მოვლენის ცვლილების ტემპს დროში,*

- კოორდინაციის მაჩვენებელია;
- ინტენსივობის მაჩვენებელია;
- განზოგადებული მაჩვენებელია;
- დინამიკის მაჩვენებელია.

12. *დინამიკის შეფარდებითი მაჩვენებლების გამოთვლის ხერხი, რომლის გამოყენებისას ყოველი მომდევნო პერიოდის მაჩვენებელს ადარებენ თავის წინამორბედს, წარმოადგენს:*

- გამოთვლის ბაზისურ ხერხს;
- საფეხურებრივ ხერხს;
- ჯაჭვურ ხერხს;
- აგრეგატულ ხერხს.

13. *დინამიკის შეფარდებითი მაჩვენებლების გამოთვლის ხერხს, რომლის დროსაც შედარების ბაზად (100%) ყოველთვის ერთი და იგივე სიდიდე მიიჩნევა, ეწოდება გამოთვლის*

- ბაზისური ხერხი;
- საფეხურებრივი ხერხი;
- აგრეგატული ხერხი;
- ჯაჭვური ხერხი

14. *მაჩვენებლები, რომლებითაც ახასიათებენ რაიმე მოვლენის გავრცელებას,*

- კოორდინაციის მაჩვენებლებია;
- ინტენსივობის მაჩვენებლებია;
- სტრუქტურის მაჩვენებლებია;
- დინამიკის მაჩვენებლებია.

15. *შეფარდებითი სიდიდის რომელ სახეს მიეკუთვნება დანაშაულობის კოეფიციენტი?*

- კოორდინაციის მაჩვენებლებს;
- ინტენსივობის მაჩვენებლებს;
- განზოგადებულ მაჩვენებლებს;

- დინამიკის მაჩვენებლებს.

16. რომელია დანაშაულობის კოეფიციენტის გამოთვლის შესაძლო ხერხი?

- რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვის შეფარდება მთელი მოსახლეობის რაოდენობასთან;
- რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვის შეფარდება დანაშაულის ჩამდენ პირთა რიცხვთან;
- დანაშაულის ჩამდენ პირთა რიცხვის შეფარდება 14 წლის და მეტი ასაკის მქონე მოსახლეობის რაოდენობასთან;
- 14 წლის ასაკის მქონე მოსახლეობის რაოდენობის შეფარდება მოსახლეობის მთელ რიცხვთან.

17. დინამიკურ მწკრივს, რომელიც ასახავს რაიმე მოვლენის სიდიდის ცვლილებას დროში, ეწოდება:

- მომენტური;
- შეფარდებითი მაჩვენებლების მწკრივი;
- ვარიაციული;
- ინტერვალური.

18. დინამიკურ მწკრივს, რომელიც ასახავს რაიმე სიდიდის ცვლილებას დროის მოცემული მომენტისთვის (თარიღისთვის), ეწოდება:

- მომენტური;
- ბაზისური;
- ვარიაციული;
- ინტერვალური.

19. რომელია მსჯავრდების კოეფიციენტის გამოთვლის შესაძლო ხერხი?

- მსჯავრდებულ პირთა რიცხვის შეფარდება 14 წლის და მეტი ასაკის მქონე მოსახლეობის რაოდენობასთან;
- პატიმართა რაოდენობის შეფარდება მოსახლეობის მთელ რაოდენობასთან;
- დანაშაულის ჩამდენ პირთა რაოდენობის შეფარდება 14 წლის და მეტი ასაკის მქონე მოსახლეობის რაოდენობასთან;
- მსჯავრდებულ პირთა რაოდენობის შეფარდება მთელი მოსახლეობის რაოდენობასთან.

20. რომელია ვიქტიმიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის ხერხი?

- მსჯავრდებულ პირთა რიცხვის შეფარდება 14 წლის და მეტი ასაკის მქონე მოსახლეობის რაოდენობასთან;

- პატიმართა რაოდენობის შეფარდება 14 წლის და მეტი ასაკის მქონე მოსახლეობის რაოდენობასთან;
- დანაშაულის ჩამდენ პირთა რაოდენობის შეფარდება 14 წლის და მეტი ასაკის მქონე მოსახლეობის რაოდენობასთან;
- დაზარალებულთა რაოდენობის შეფარდება მთელი მოსახლეობის რაოდენობასთან.

21. დანაშაულის კრიმინოგენული აქტივობის კოეფიციენტი გამოითვლება:

- რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვის შეფარდებით მთელი მოსახლეობის რიცხოვნობასთან;
- რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვის შეფარდებით მათ ჩამდენ პირთა რაოდენობასთან;
- დანაშაულის ჩამდენ პირთა რაოდენობის შეფარდებით 14 წლის და მეტი ასაკის მქონე მოსახლეობის რაოდენობასთან;
- პატიმართა რიცხვის შეფარდება რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობასთან.

22. დანაშაულობის სპეციალური კოეფიციენტები გამოითვლება:

- რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვის შეფარდებით მოსახლეობის მთელ რაოდენობასთან;
- მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფის მიერ კონკრეტულ ტერიტორიაზე ჩადენილი რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვის შეფარდებით, ამავე ჯგუფის მოსახლეობის მთელ რაოდენობასთან იმავე ტერიტორიაზე.
- მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის რიცხვის შეფარდებით ყველა რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობასთან;
- მსჯავრდებულთა რაოდენობის შეფარდებით რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობასთან.

23. რომელი შეფარდებითი მაჩვენებლები ასახავენ კონკრეტულ პერიოდში ფაქტობრივად მიღწეული და დაგეგმილი დონის თანაფარდობას?

- დინამიკის მაჩვენებლები;
- სტრუქტურის მაჩვენებლები;
- შედარების მაჩვენებლები;
- გეგმის რეალიზაციის მაჩვენებლები.

24. რომელი შეფარდებითი მაჩვენებლები ასახავენ მთელის ცალკეული ნაწილების თანაფარდობას?

- კოორდინაციის;

- სტრუქტურის;
- ინტენსივობის;
- ინდექსები.

25. შეფარდებითი მაჩვენებლების რომელ სახეს მიეკუთვნება მაჩვენებელი, რომელიც ასახავს თანაფარდობას დანაშაულის ჩამდენ მამაკაცებსა და ქალებს შორის?

- ინტენსივობის;
- სტრუქტურის;
- შედარების;
- კოორდინაციის.

26. სამართლებრივ სტატისტიკაში დანაშაულის სიმძიმის ინდექსის გამოსათვლელად ამოსავალ ინფორმაციას წარმოადგენს:

- განსაზღვრული კატეგორიის დანაშაულის რაოდენობა იმდინარე და საბაზისო პერიოდში
- მოსახლეობის რაოდენობა იმდინარე და საბაზისო პერიოდში;
- დანაშაულის სიმძიმის ქულები;
- დანაშაულის ინტენსივობის კოეფიციენტები მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფში.

27. დანაშაულის სიმძიმის ინდექსის გამოანგარიშებისას პირობითი ქულის მისანიჭებლად მხედველობაში მიიღება:

- სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა დანაშაულის კატეგორიის მიხედვით;
- მსჯავრდებულთა რიცხვი ცალკეული კატეგორიის დანაშაულის ჩადენისთვის;
- დანაშაულის ცალკეული კატეგორიის ხვედრითი წილი რეგისტრირებული დანაშაულის საერთო რაოდენობაში;
- სასამართლოს მიერ რეალურად დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადები.

28. დაასახელეთ ინდექსები, რომლებიც ასახავენ შესასწავლი მოვლენის ყველა ელემენტის ცვლილებას დროში ან სივრცეში:

- საერთო;
- მოცულობითი;
- ინდივიდუალური;
- რთული.

ნაწილი 3. სამეცნიერო პუბლიკაციების და სადოქტორო დისერტაციის მომზადების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები

თავი 7. სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები

7.1 სამეცნიერო სტილის ზოგადი დახასიათება

7.2 სამეცნიერო კვლევის ინფორმაციული რესურსები

7.2.1 ინფორმაციის ტრადიციული წყაროები

7.2.2 ელექტრონული ბიბლიოთეკები და მონაცემთა ბაზები ინტერნეტში

7.3 სამეცნიერო სტატია

7.4 მონოგრაფია

7.5 სახელმძღვანელო

მე-7 თავის შესწავლის შემდეგ სტუდენტმა უნდა

იცოდეს:

- როგორ შეარჩიოს სამეცნიერო კვლევის რელევანტური მეთოდი;
- როგორ აირჩიოს სამეცნიერო თემა;
- როგორ ჩამოაყალიბოს სამეცნიერო ნაშრომის სათაური;
- როგორ გააფორმოს ნაშრომი სტრუქტურულად;
- როგორ მოამზადოს და გამოაქვეყნოს სამეცნიერო სტატია;
- როგორ მოამზადოს და გამოაქვეყნოს მონოგრაფია;
- როგორ მოამზადოს და გამოაქვეყნოს სახელმძღვანელო.

შეძლოს:

- სამეცნიერო კვლევის ძირითადი ეტაპების გამიჯვნა;
- სტატიის, მონოგრაფიის და სახელმძღვანელოს მომზადების მეთოდოლოგიების გამიჯვნა;
- რეცენზიის მომზადება სტატიაზე, მონოგრაფიაზე, სახელმძღვანელოზე;
- ბიბლიოგრაფიის შედგენა და სქოლიოს მითითება სამეცნიერო ნაშრომის ტექსტში.

შეიძინოს უნარები:

- პუბლიკაციის მოსამზადებლად სამეცნიერო სტილის გამოყენების;
- ტრადიციული წყაროების, ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და მონაცემთა ბაზის გამოყენების;
- თეორიული და ემპირიული კვლევების ეტაპების გამიჯვნის;
- კვლევის მიზნებისა და ამოცანების გამიჯვნის;
- კვლევის შედეგებისადმი წაყენებული სიზუსტისა და საიმედოობის მოთხოვნათა გათვალისწინების;
- კვლევის შესაძლებლობების, რესურსების და ვადების შეზღუდვის მხედველობაში მიღების;
- კვლევის ობიექტის შესახებ უკვე არსებული მონაცემების გათვალისწინების;
- კონკრეტული კვლევის ჩასატარებლად შერჩეული ამა თუ იმ მეთოდის დადებითი და ნაკლოვანი მხარეების განსაზღვრის;
- მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ნაწილების გამიჯვნის.

თემის შინაარსი

- ✓ სამეცნიერო სტილის ცნება და ზოგადი დახასიათება;
- ✓ სამეცნიერო კვლევის საინფორმაციო რესურსები;
- ✓ სტატიის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს მომზადება;
- ✓ სამეცნიერო კვლევის მეთოდების შერჩევა;
- ✓ სამეცნიერო ნაშრომის სათაურის არჩევის მეთოდიკა;
- ✓ სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურის შემუშავება;
- ✓ ლიტერატურის მიმოხილვის თავისებურებები წიგნსა და სტატიაში;
- ✓ მეთოდოლოგიური ბაზა.

თემის შესწავლის მიზნები:

- ✓ ამოსავალი ცოდნის ფორმირება სამეცნიერო სტილის შესახებ;
- ✓ ცოდნის მიღება სამეცნიერო კვლევის ინფორმაციული რესურსების შესახებ;
- ✓ ამოსავალი ცოდნის ფორმირება სამეცნიერო სტატიის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს სტრუქტურის შესახებ.

თემის შესწავლის ამოცანები:

- ✓ სამეცნიერო ნაშრომის მომზადებისთვის სამეცნიერო სტილის გამოყენების უნარ-ჩვევის გამომუშავება;
- ✓ ტრადიციული წყაროების, ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და ინტერნეტში არსებული მონაცემთა ბაზის გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება;

- ✓ ცოდნის მიღება სამეცნიერო სტატიის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს დაწერის მეთოდების შესახებ;
- ✓ ცოდნის მიღება რეცენზიის დაწერის მეთოდების შესახებ;
- ✓ აქტუალური თემის განსაზღვრის, სამეცნიერო სტატიის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს სათაურის სწორად შერჩევის უნარის გამომუშავება;

თემის შესწავლისას ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ ცნებებზე:

- ✓ სტატია;
- ✓ მეთოდика;
- ✓ მონოგრაფია;
- ✓ სახელმძღვანელო;
- ✓ თემატიკა;
- ✓ რეცენზია;
- ✓ სამეცნიერო სტილი;
- ✓ პროგრამა;
- ✓ ბიბლიოგრაფია;
- ✓ მონოლოგი;
- ✓ დიალოგი;
- ✓ ბმული;
- ✓ სქოლიო.

თემის შესწავლის თანმიმდევრობა:

1. თეორიული მასალის შესწავლა;
2. პრაქტიკული დავალების შესრულება;
3. პასუხი ტესტურ შეკითხვებზე.

დამატებითი ლიტერატურა:

1. Philips, E and Pugh, D (2005, 4th edn) *How to get a PhD: A Handbook for Students and their Supervisors*. Maidenhead: Open University Press.
<http://www.ntu.edu.vn/Portals/73/How%20to%20get%20PhD.pdf>
2. Roisin Donnelly and Marian Fitzmaurice *Resource Pack on Supervising Postgraduate Students* -
<https://www.dit.ie/litc/media/ditlitc/documents/Microsoft%20Word%20-%20Supervising%20Postgraduate%20Students.pdf>

7.1 სამეცნიერო სტილის ზოგადი დახასიათება

სამეცნიერო ნაშრომში (სტატიაში, მონოგრაფიაში, სახელმძღვანელოში) საკუთარი აზრების მკაფიოდ და სწორად გადმოცემის უნარი მეცნიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპეტენციაა. როგორც მარკ ტვენი წერდა: „წერა მარტივია, მთავარია იცოდე არასწორი სიტყვების ამოშლა“. თუმცა, რეალობაში, სამეცნიერო ნაშრომის მაღალ აკადემიურ დონეზე დასაწერად აუცილებელია ხანგრძლივი პრაქტიკა და ე. წ. სამეცნიერო სტილის ფლობა.

სამეცნიერო სტილისთვის ნიშანდობლივია გადმოცემის მონოლოგური ტიპი, ენობრივი ხერხების მკაცრად შერჩევა, ნორმირებული სამეტყველო ენა.

სამეცნიერო სტილის აღმოცენება და განვითარება დაკავშირებულია მეცნიერული ცოდნის, ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს განვითარებასთან.

მეცნიერების სხვადასხვა სახეობის (საბუნებისმეტყველო, ზუსტი, ჰუმანიტარული) ფარგლებში გამოყენებული სამეცნიერო სტილი საერთო ნიშნების მატარებელია, რაც მისი უნივერსალობაზე მეტყველებს.

სამეცნიერო ნაშრომის სტილს განსაზღვრავს მიზანი, რაც შეიძლება ზუსტად და სრულყოფილად იქნას ახსნილი გარემომცველი რეალობა, გამოვლინდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები მოვლენათა შორის, ისტორიული განვითარების კანონზომიერებები და ა. შ. სამეცნიერო სტილი ხასიათდება გადმოცემის ლოგიკური თანმიმდევრობით, კვლევის ნაწილებს შორის კავშირით, რაც ავტორისგან მოითხოვს სიზუსტეს, ლაკონურობას, აზრის ერთმნიშვნელოვნად გამოხატვას და, ერთდროულად, ნაშრომის გაჯერებულობას.

ადრეული სამეცნიერო შრომები იქმნებოდა ტრაქტატის, დიალოგის, განსჯის და, თუნდაც, პოეტური ნაწარმოების ჟანრში. სამეცნიერო ტექსტის თანამედროვე ფორმას კი წარმოადგენს მონოგრაფია, სტატია, მოხსენება, რეცენზია, ნარკვევი, რეფერატი, ავტორეფერატი, მოხსენების თეზისები, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიში, დისერტაცია.

XX საუკუნის შუა წლების სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ გამოიწვია ე. წ. „ინფორმაციული აფეთქება“, რასაც თან მოჰყვა სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობის მკვეთრად ზრდა. ამან განაპირობა პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიების, მოხსენებების

მოცულობის მაქსიმალურად შეკვეცის აუცილებლობა და მათი თეზისებისა და მოკლე შეტყობინებების სახით გამოცემის პოპულარიზაცია. გამომცემლების მოთხოვნამ სამეცნიერო ტექსტის მოცულობის შემცირებაზე ავტორებს უბიძგა განსაკუთრებული ხერხების შემუშავებისკენ, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი გახდა კომპრესიის გზით სამეცნიერო კვლევის მასალების ლაკონურად გადმოცემა.

ამგვარ ფონზე სამეცნიერო გამოცემის დამოუკიდებელ სახეობად გამოიკვეთა სამეცნიერო-საინფორმაციო ლიტერატურა, რაც გულისხმობს პირველადი სამეცნიერო პუბლიკაციების ან მიმოხილვების შეკრებას. ასევე, ფართოდ გავრცელდა სამეცნიერო-საცნობარო ტიპის გამოცემები.

სპეციალისტის მიერ სპეციალისტებისთვისვე განკუთვნილი საკუთრივ სამეცნიერო ტექსტების გარდა, ქვეყნდება სამეცნიერო-სასწავლო და სამეცნიერო-პოპულარული შრომებიც. სამეცნიერო-პოპულარულ თემებზე წერენ არამარტო სპეციალისტები, არამედ ჟურნალისტები, მწერლები. ისინი განკუთვნილია ცოდნის გასავრცელებლად მოსახლეობის ფართო ფენებში. ასეთ ნაწარმოებებს გადმოცემის საკუთარი სტილი გააჩნია.

სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომები განკუთვნილია კონკრეტული სპეციალობის შესასწავლად. სახელმძღვანელოს შინაარსი და სტილი მისადაგება სწავლების ამოცანებსა და პირობებს.

სამეცნიერო სტილი აირეკლავს მეცნიერული შემეცნებისა და აზროვნების იმ თავისებურებებს, რომლებიც ენობრივ ფორმაში ჰპოვებენ ასახვას, ანუ ადგილი აქვს ენობრივი მასალის განსაზღვრულ შერჩევასა და ორგანიზაციას.

სამეცნიერო ნაშრომის მიზანია დაამტკიცოს წამოყენებული ჰიპოთეზის ჭეშმარიტება. ამიტომ, სამეცნიერო ტექსტში, ყველა ენობრივი საშუალება მიმართულია ინფორმაციული და ზემოქმედებითი ამოცანების რეალიზებაზე, მაგრამ, პუბლიცისტური სტილისგან განსხვავებით, სამეცნიერო ტექსტის მნიშვნელოვნება უშუალოდაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად დამტკიცებადია ავტორის მიერ მოყვანილი არგუმენტები, რამდენად ლოგიკურად, მკაფიოდ და ზუსტადაა გადმოცემული სამეცნიერო ტექსტის შინაარსი.

ლოგიკურობა, აზრის მკაფიოდ და ზუსტად გადმოცემა არ არის მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ე. წ. „ოქროს სტანდარტი“. ამ ნიშნებით უნდა ხასიათდებოდეს საქმიანი და

პუბლიცისტური ენა (სასურველია, სალაპარაკო სტანდარტიც). მაგრამ სამეცნიერო სტილისთვის ამ ნიშნების არსებობას ადგენს თავად მეცნიერება. მათ გარეშე სამეცნიერო ნაშრომი ვერ იარსებებს.

სამეცნიერო სტილის აღმოცენება და განვითარება უკავშირდება მეცნიერული ცოდნის, ადამიანის საქმიანობის მრავალი სფეროს განვითარებას. თავდაპირველად მეცნიერული სტილი დიდად არ განსხვავდებოდა მხატვრული თხრობისგან. ბერძენი მოაზროვნეები პითაგორე და პლატონი, რომელი ლუკრეციუსი ემოციურად აღიქვამდნენ და გადმოსცემდნენ ფაქტებსა და მოვლენებს. აღორძინების ეპოქაში სწავლულები ცდილობდნენ ლაკონურად და ზუსტად, ემოციურ-მხატვრული ელემენტების გარეშე აღეწერათ რეალობა.

საქართველოში სამეცნიერო სტილმა ჩამოყალიბება XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში დაიწყო, როდესაც სამეცნიერო წიგნების ავტორებმა და თარჯიმნებმა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნას მოჰკიდეს ხელი.

სამეცნიერო სტილს გააჩნია მეცნიერების სახეობისგან (საბუნებისმეტყველო, ზუსტი, ჰუმანიტარული) და გადმოცემის უარისგან (მონოგრაფია, სამეცნიერო სტატია, მოხსენება, სახელმძღვანელო და ა.შ.) დამოუკიდებელი საერთო ნიშნები, რაც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ მთლიანად სტილის სპეციფიკაზე. ამასთანავე, სავსებით ბუნებრივია, რომ მათემატიკური, ქიმიის, ფიზიკის ტექსტები გადმოცემის ხასიათით შესამჩნევად განსხვავდება ფილოლოგიური ან ისტორიული ტექსტებისაგან.

სამეცნიერო სტილისთვის ნიშანდობლივია ნაშრომის გაჯერება ტერმინებით, მათ შორის, საერთაშორისოთი. თუმცა, არ ღირს გაჯერების ხარისხის გაზვიადება. საშუალოდ, ტერმინოლოგიური ლექსიკა ნაშრომში გამოყენებული საერთო ლექსიკის 15-25%-ს შეადგენს, სამაგიეროდ, ფართოდაა წარმოდგენილი აბსტრაქტული ლექსიკა.

სამეცნიერო სტილისთვის ნიშანდობლივია აზრთა მკაფიოდ და ლოგიკურად გადმოცემა.

ლოგიკურობა გულისხმობს ტექსტის ყველა ერთეულის თანმიმდევრულ განლაგებას და მათ შორის აზრობრივი კავშირის არსებობას. თანმიმდევრულია მხოლოდ ის ტექსტი, რომელშიც დასკვნები

გამომდინარეობს შინაარსიდან და არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ტექსტი დაყოფილია ცალკეულ მონაკვეთებად, რომლებშიც იგრძნობა აზრის მოძრაობა კერძოდან ზოგადისკენ ან, პირიქით, ზოგადიდან კერძოსკენ.

ტექსტის ნაწილების დაკავშირებისთვის გამოიყენება სპეციალური საშუალებები (სიტყვები, სიტყვათშეთანხმებები, წინადადებები), რომლებიც მიუთითებენ აზრის განვითარების თანმიმდევრობაზე („დასწყისში“, „შემდეგ“, „უპირველეს ყოვლისა“, „წინასწარ“ და ა.შ.), კავშირზე წინა და მომდევნო ინფორმაციას შორის („როგორც უკვე აღინიშნა“, „როგორც ითქვა“, „განხილული“ და ა. შ.), მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე („მაგრამ“, „ამიტომ“, „შესაბამისად“, „იმის გამო, რომ“, „ამის შედეგად“ და სხვ.), ახალ თემაზე გადასვლაზე („ახლა განვიხილოთ“, „გადავიდეთ შემდეგი საკითხის განხილვაზე“ და სხვ.), საგნების, გარემოებების, ნიშნების მსგავსებაზე („იგივე“, „ისეთივე, როგორიც“ და ა.შ.)

სამეცნიერო ტექსტში ტიპურია შემდეგი კონსტრუქციები: „უნდა აღინიშნოს“, „უნდა ვალიაოთ“, „როგორც ითქვა“, „გამოცდილებამ გვიჩვენა“, „უნდა დავასკვნათ“ და მსგ.

აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბება გულისხმობს მის გასაგებად გადმოცემას. შესაბამისად, საკუთრივ სამეცნიერო, სამეცნიერო-სასწავლო და სამეცნიერო-პოპულარული ტექსტები თავისებურ ენობრივ გაფორმებას მოითხოვს.

სავტორო „მე“-ს გამოყენება სამეცნიერო ტექსტში შეზღუდულია, რაც სულაც არ ნიშნავს ეტიკეტისთვის ხარკის გაღებას. სამეცნიერო თხრობისთვის უფრო მეტად აბსტრაქტულ-განზოგადებული სტილია დამახასიათებელი. აზროვნების აბსტრაქტული ხასიათი სამეცნიერო ტექსტში ვლინდება ლექსიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეებზე. მაგალითად. ლექსიკაში ხშირად იხმარება განყენებული, ფართო მნიშვნელობის სიტყვები (მრავალი, სისტემა, სტრუქტურა), სინტაქსურად ხშირად გამოიყენება უპირო წინადადებები, ზმნა ხშირადაა წარმოჩენილი ვნებით ფორმაში და ა. შ.

სამეცნიერო ნაშრომი ფორმდება, როგორც დასრულებული ნაწარმოები, რომლის სტრუქტურაც შესაბამისი ჟანრის კანონებს ემორჩილება. შეიძლება გამოვყოთ სამეცნიერო პროზის შემდეგი ჟანრები: მონოგრაფია, საჟურნალო სტატია, რეცენზია, სახელმძღვანელო, ლექცია, მოხსენება, საინფორმაციო შეტყობინება (ჩატარებული კონფერენციის, სიმპოზიუმის, კონგრესის შესახებ), ზეპირი გამოსვლა (კონფერენციაზე, სიმპოზიუმზე და ა.შ.),

დისერტაცია, სამეცნიერო ანგარიში. ყველა დასახელებული ჟანრი პირველადია, ანუ თავად ავტორის მიერაა შექმნილი. მეორად ანუ უკვე არსებული ნაშრომების საფუძველზე შემდგარ სამეცნიერო ტექსტებს მიეკუთვნება რეფერატი, ავტორეფერატი, კონსპექტი, თეზისი, ანოტაცია. მეორადი ტექსტების მომზადებისას ხდება ინფორმაციის შეკუმშვა ტექსტის მოცულობის შემცირების მიზნით.

სამეცნიერო-სასწავლო ჟანრის სტილს მიეკუთვნება: ლექცია, სასემინარო მოხსენება, საკურსო სამუშაო.

სამეცნიერო სტილის ჟანრობრივი მრავალფეროვნება აისახება ენობრივ მხარეზეც. ზოგიერთი ჟანრი უფრო მეტად სტანდარტულია (მაგალითად, რეცენზია), სხვა შეიძლება ვარირებდეს იმის მიხედვით, თუ რა კონკრეტულ მიზანს ისახავს ნაშრომი, რა აუდიტორიისთვისაა ის განკუთვნილი და ა. შ. მაგალითად, საჟურნალო სტატია შეიძლება შეიცავდეს აღწერილობით მასალებს, ჰქონდეს პოლემიკური ხასიათი, მოიცავდეს ლიტერატურის მიმოხილვას. მიმოხილვითი სტატიები, ასევე, შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს ამოცანებისა და მასალის მოცულობის მიხედვით და ა. შ.

ზოგიერთი ჟანრი რეალიზდება წერილობით (მონოგრაფია, სტატია და ა.შ.), სხვა - ზეპირად (ლექცია, მოხსენება და სხვ.), თუმცა, ყველა ზეპირი ჟანრი შეიძლება წერილობითაც რეალიზდეს. მაგალითად, მოხსენება შეიძლება დაიწეროს და წაკითხულ იქნას. ყველა სამეცნიერო ანგარიში მზადდება წინასწარ და ხშირად იკითხება ნაბეჭდი ტექსტიდან.

თანამედროვე სამეცნიერო ტექსტები, უმთავრესად, მონოლოგის ფორმითაა დაწერილი. ეს ფორმა უფრო მეტად პასუხობს სამეცნიერო ტექსტის შინაარსსა და ამოცანებს. მეცნიერებაში გამოიყენება მონოლოგის სამივე ძირითადი ტიპი: აღწერა, თხრობა და მსჯელობა.

მონოლოგი მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი ფორმაა სამეცნიერო სტილისა. მასთან შედარებით, სამეცნიერო დიალოგს რიგი უპირატესობები გააჩნია: 1) ის იძლევა იმ საკითხების ირგვლივ მსჯელობის საშუალებას, რომელთა მიმართ მეცნიერებაში არ არსებობს ცალსახა დამოკიდებულება; 2) ამარტივებს ერთი აზრიდან მეორეზე გადასვლას მათ შორის თვალსაჩინო კავშირის არარსებობის შემთხვევაშიც. სამეცნიერო დიალოგი უფრო

თავისუფალი ფორმაა, რომელიც არ მოითხოვს სამეცნიერო სტილის კანონებისადმი ისეთ მკაცრ მორჩილებას, როგორც მონოლოგი.

თანამედროვე მკვლევარები გამოყოფენ სამეცნიერო დიალოგის რამდენიმე სახეობას: 1) ინტელექტუალურ საუბარს; 2) სამეცნიერო დისკუსიას; 3) დიალოგის ფორმით აგებულ მონოგრაფიას; 4) დიალოგის ელემენტებს მონოლოგიურ თხრობაში.

საუბარი, სიტუაციიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს არაფორმალური და ოფიციალური. მაგალითად, ხელოვნების პრობლემებზე საუბარი ახლო ნაცნობებს შორის შინაურ გარემოში და იმავე თემაზე მსჯელობა ოფიციალურ ვითარებაში მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან.

დიალოგში აისახება სამეცნიერო სტილის ძირითადი ნიშნები, რომლებიც მონოგრაფიული ფორმისთვისაც დამახასიათებელია. განსხვავებით მონოლოგისგან, დიალოგში გამოკვეთილია ავტორის „მე“. ეს არის კონკრეტული პირი, რომელიც თავისი სახელით ლაპარაკობს. სამეცნიერო დიალოგი, ზოგიერთი მაჩვენებლით, ემსგავსება სალაპარაკო სტილს, რაც უფრო თვალში საცემია სინტაქსის სფეროში: არასრული წინადადებები, გამეორება, იდეის ატაცება და სხვ. უფრო ნაკლებად იგრძნობა ეს გავლენა ლექსიკურ და მორფოლოგიურ დონეზე.

არაიშვიათად, დიალოგის ელემენტები ჩართულია ხოლმე სამეცნიერო მონოლოგშიც. ის ოპონენტთან პოლემიკის ერთგვარი ანარეკლია ან გამოიყენება მკითხველის ყურადღების გასამახვილებლად. უფრო ხშირად ამგვარი ხერხს სამეცნიერო-პოპულარული შრომების ავტორები მიმართავენ.

7.2. სამეცნიერო კვლევის ინფორმაციული რესურსები

ნებისმიერი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, დისერტაცია უნდა ეყრდნობოდეს სერიოზულ მეცნიერულ ბაზას. მასში ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული სხვადასხვა მასალა, მოხდეს ინფორმაციის წყაროების განზოგადება.

დისერტაციის მომზადების ერთერთი საპასუხისმგებლო ეტაპია პრობლემის დამუშავების ხარისხის გაანალიზება, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული პრობლემების წარმოჩენა.

კვლევის საწყის ეტაპზე დოქტორანტი უნდა გაეცნოს სხვა ავტორების შრომებს არჩეული თემის ირგვლივ, გაანალიზოს, რამდენადაა განვრცობილი შესასწავლი საკითხები სხვა მეცნიერთა კვლევებში, მათ შორის, სხვა სადისერტაციო ნაშრომებში. ამისათვის აუცილებელია ინფორმაციის შეკრება იმის შესახებ, თუ რა იქნა გამოკვლეული უკანასკნელი 5-10 (ზოგჯერ უფრო მეტი) წლის წინ სადისერტაციო თემაში წამოჭრილი საკითხების ირგვლივ. ინფორმაციის მოძიების პროცესში მნიშვნელოვანი პირობაა სოციალური თეორიების კლასიკოსების ნაშრომების, ასევე, სამამულო და უცხოელი თანამედროვე ავტორების მონოგრაფიების, სამეცნიერო სტატიების, ანგარიშების, მოხსენებების გაცნობა და გაანალიზება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სადისერტაციო კვლევისთვის ლიტერატურის მოძიება ხდება ბიბლიოთეკების კატალოგებში, პერიოდულ გამოცემებში, ინტერნეტში. განსაკუთრებით მოსახერხებელია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, რაც მეცნიერს საშუალებას აძლევს განახორციელოს ბიბლიოგრაფიული ძიება მონაცემთა ელექტრონული ბაზების და საძიებო სისტემების დახმარებით. წიგნებისა და პერიოდული გამოცემების მონაცემთა ფართო ბაზები იტვირთება დიდი მოცულობის მატარებლებზე და მათი პოვნა შესაძლებელია კომპიუტერის დახმარებით საძიებო სიტყვების, გამოცემის სახეობისა და დასახელების, გამოქვეყნების წლისა და სხვა პარამეტრების მიხედვით, ჩვეულებრივი და გაფართოებული ძიების ხერხებით, კომპიუტერის გამოყენებით.

7.2.1. ინფორმაციის ტრადიციული წყაროები

სამეცნიერო ინფორმაციის ტრადიციულ წყაროებს უნდა მივაკუთვნოთ:

1. წიგნები - მონოგრაფიები, ბროშურები, სამეცნიერო-მეთოდური გამოცემები, სასწავლო და დამხმარე სახელმძღვანელოები, სამეცნიერო სტატიების კრებულები;
2. პერიოდიკა - სამეცნიერო ჟურნალები, აკადემიური მაცნე, სხვ.;
3. დოკუმენტები - ნორმატიული დოკუმენტების კრებული, ნორმატიული აქტები, ინსტრუქციები, სტანდარტები;
4. ენციკლოპედიები, ლექსიკონები და ცნობარები, რეცენზიები;
5. სამეცნიერო კვლევის ანგარიშები;
6. საინფორმაციო გამოცემები - ანალიზური მიმოხილვები, ბიულეტენები, პროსპექტები;
7. სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანები, უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის ორიგინალური წყაროები;

8. დისერტაციები და დისერტაციის რეზიუმეები.

მამიებელი ვალდებულია, კრიტიკულად გააანალიზოს არსებული ლიტერატურა, თეორიული შეხედულებები, აჩვენოს საკუთარი პოზიციის უპირატესობა განმარტებითი, გამოყენებითი და პროგნოზული კუთხით. მამიებლები, რომელთაც არ აქვთ მკაფიო წარმოდგენა კვლევის მიზნებზე, ამოცანებსა და პრობლემებზე, ხშირად დროს კარგავენ ისეთი ინფორმაციის მოძიებაზე, რომელიც შორეულ კავშირშია სადისერტაციო თემასთან. სათანადო დამუშავების გარეშე, ასეთი ინფორმაცია ერთგვარ ბალასტად იქცევა ხოლმე. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა შესასწავლი საკითხების დაჯგუფება, სისტემატიზაცია, კლასიფიკაცია, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს ძიების და მასალის ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგების პროცესს.

ზოგჯერ დამწყები მკვლევარის (მაგისტრანტის, დოქტორანტის) სამეცნიერო ტექსტი ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებული ნაწილებისგან შედგება. მასში აღწერილია ერთი, შემდეგ მეორე, მესამე და ა. შ. წყაროს მოკლე შინაარსი. ასეთი ტექსტი პასუხობს სხვათა ნაშრომების თანმიმდევრული გაცნობის ამოცანას. ის ერთგვარი ნედლი მასალაა, რომლის სისტემატიზაციაც უნდა მოხდეს ძიების ლოგიკიდან და იმ ამოცანებიდან გამომდინარე, რომელთა გადაწყვეტასაც მიზნად ისახავს მკვლევარი.

ავტორთა დაჯგუფება უნდა ხდებოდეს წყაროების მიმოხილვის პროცესში. თუ ძირითადი სამეცნიერო გამოცემების განხილვის შემდეგ არ იქნება მიგნებული საკითხის იდენტური გადაწყვეტა, შესაძლებელი ხდება სრულფასოვანი სამეცნიერო კვლევის პროექტირება და გაშლა.

მრავალფეროვნების მიუხედავად, სამეცნიერო დისციპლინებს ბევრი აქვთ საერთო, უპირველეს ყოვლისა კი განზოგადებული მეთოდოლოგიური ორიენტირები. იმდენად რამდენადაც, დისერტაცია საკვალიფიკაციო ნაშრომია, მისი შეფასება ხდება არამარტო კვლევის აქტუალობის, სამეცნიერო-თეორიული და გამოყენებითი ღირებულების, არამედ კვლევაში წარმოდგენილი მეთოდოლოგიური აპარატის მიხედვითაც.

სამეცნიერო ავტორიტეტების, პერსონალების მითითება კვლევის სამეცნიერო აპარატის შემადგენელია. პირდაპირი ციტირების გარდა, მკვლევარები ხშირად ახდენენ პირველწყაროს პერიფრაზს. ასეთ დროს არ არის გამორიცხული ავტორის აზრის დამახინჯება, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი ყურადღებით შედარება.

მასალის მოძიების შემდეგ აუცილებელია მისი რეგისტრაცია. რეგისტრაციის ფორმა მრავალგვარია. უფრო მეტად გავრცელებულია ექსპერიმენტული კვლევის შედეგების ჩაწერა, ამონაწერის გაკეთება დოკუმენტებიდან, სამეცნიერო წყაროებიდან: სტატიებიდან, წიგნებიდან. ამასთანავე, აუცილებელია ზუსტად იქნას მითითებული ინფორმაციის წყარო.

მასალის რეგისტრაციის პარალელურად უნდა წარმოებდეს მისი დაჯგუფება, კლასიფიკაცია, ურთიერთშედარება, რის გარეშეც შეუძლებელია სამეცნიერო ნაშრომის აგება და დასკვნების გაკეთება. აღნიშნული ეტაპი განსაკუთრებულ მაღალხმევას მოითხოვს დისერტანტისგან. ინფორმაციის დამუშავების პარალელურად მკვლევარი კონსტრუქციულად აკრიტიკებს ავტორთა დებულებებს, რომელთაც არ ეთანხმება. ავტორთა დაჯგუფება ხდება იმ ასპექტებისა და კონცეფციების მიხედვით, რომელთა მიხედვითაც განხორციელდა აღნიშნული პრობლემატიკის შესწავლა.

პრობლემის დამუშავების ხარისხის აღწერა სრულდება დისერტანტის მოკლე დასკვნით პრობლემურ საკითხებზე, რომლებიც არასაკმარისადაა დამუშავებული სამეცნიერო ლიტერატურაში და შემდგომ კვლევას საჭიროებს.

სამეცნიერო ინფორმაციის მიმოხილვა, მისი სისტემატიზაცია და პრობლემის ცალკეული ასპექტის მიხედვით დაჯგუფება, სამეცნიერო პრობლემის გამოკვეთის, კვლევის მიზნებისა და ამოცანების სწორად ფორმულირების საშუალებას იძლევა.

ინფორმაციის შეგროვების შემდეგ ხდება საკვლევი პრობლემის მიმართ არსებული პოზიციების კლასიფიკაცია, სხვადასხვა ავტორის თვალსაზრისის შედარება, საკუთარი სადისერტაციო ნაშრომის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, სიახლის ნიშნების გამოკვეთა საკუთარ კვლევაში. დამატებითი არგუმენტაციის წარმოსაჩენად მკვლევარს შეუძლია მოიყვანოს სხვა ავტორების მოსაზრებები. აზრის დასესხებისა და სხვათა ნაშრომების ციტირების შემთხვევაში ის ვალდებულია მიუთითოს, საიდან იქნა აღებული შესაბამისი მასალა.

მითითება/ზმული ჩანაწერია, რომლის მეშვეობითაც ერთმანეთს უკავშირდება დოკუმენტის ნაწილები, ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები, საგნობრივი რუბრიკები. მითითება, როგორც ინფორმაციის წყაროს

წარმოჩენის საშუალება, დამწერლობის გარდა, ზეპირ მეტყველებაში გამოიყენება და არსებობს იმ დროიდან, რაც ინფორმაციის გადაცემის დასახელებული საშუალებები არსებობს. მითითების/ბმულის თავისებურება მისი სიმოკლეა, რაც თავიდან გვაცილებს სხვისი ტექსტის ნაწილის ჩასმის აუცილებლობას საკუთარ ნაშრომში, საკმარისია ხოლმე მხოლოდ წყაროს შესახებ მონაცემების მითითება.

თანამედროვე პირობებში ბმული ხშირად გამოიყენება ინტერნეტში მოპოვებული ინფორმაციის გასაცვლელად. ის ერთი გვერდიდან ან საიტიდან მეორეზე გადასვლის საშუალებას იძლევა. შიდა მითითებით შეიძლება ერთი და იგივე დოკუმენტის სხვა ნაწილის წარმოჩენა, გარე მითითებით - სხვა დოკუმენტისა. შიდა ბმულით ინფორმაცია მოიძიება იმავე საიტზე, გარე ბმული კი სხვა საიტზე გადასვლის საშუალებას იძლევა. რაც მეტია მითითება სხვა საიტზე, მით უფრო ავტორიტეტულად მიიჩნევენ მას. ჩვეულებრივი წიგნისთვის არსებობს მითითების გაფორმების რამდენიმე ფორმა. მაგალითისთვის მოგვყავს შემდეგი: ავტორის გვარ-სახელი, წიგნის სათაური, გამოცემის ადგილი, გამომცემლობის დასახელება, გამოცემის წელი, ციტირებადი გვერდი/გვერდები. ძიების გასამარტივებლად, მითითება იწერება ხოლმე ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული შრიფტით.

ჰიპერბმული, ჩვეულებრივი ტექსტური ბმულისგან განსხვავებით, საშუალებას იძლევა მაშის ერთი დაწკაპუნებით გადავიდეთ ინფორმაციის წყაროზე, რომელზეც ნაშრომის ან საიტის ავტორი მიუთითებს. შესაბამისად, აღარაა აუცილებელი ინფორმაციის მოძიება ბიბლიოთეკებში ან ინტერნეტში, ორიგინალის წაკითხვა შეიძლება უშუალოდ დაწკაპუნების შემდეგ.

რით განსხვავდება მითითება ჩამოტანილი შენიშვნისგან? ჩამოტანილი შენიშვნა დამატებითი ტექსტია - განმარტება, ბიბლიოგრაფიული ცნობა, უცხოური ტექსტის თარგმანი, რედაქტორის შენიშვნა, წყაროს მითითება. ის წიგნის გვერდის ქვემო ზოლში განთავსდება ძირითადი ტექსტისგან გამყოფი ხაზის ქვეშ. ჩამოტანილი შენიშვნა, ჩვეულებრივ, იკრიფება უფრო მცირე შრიფტით და წინ უძღვის ციფრი ან ვარსკვლავი, ანუ ნიშანი, რომელიც იდენტურია ძირითად ტექსტში დასმული მიმითიებელი ნიშნისა. ჩამოტანილი შენიშვნის ნუმერაცია შეიძლება ხელახლა დაიწყოს წიგნის ყოველ მომდევნო გვერდზე, ან იყოს გამჭოლი, როცა დანომვრა ხდება უწყვეტი თანმიმდევრობით პირველიდან უკანასკნელ გვერდამდე. ჩამოტანილი შენიშვნა შეიძლება განლაგდეს გვერდის, მთლიანად

ნაშრომის, მისი თავების ან ნაწილების ბოლოს და მიენიჭოს შესაბამისი ნომერი.

სხვისი ტექსტის ციტირება დასაშვებია 300 ნიშნის ფარგლებში სქოლიოს სავალდებულო თანხლებით. უმაღლესი სასწავლებლები და სადისერტაციო საბჭოები ადგენენ ციტირებისა და მითითების აპარატის ფორმატს. ძირითადად, მითითება ხდება ყოველი გვერდის ბოლოს ან ტექსტში ციტატის შემდეგ ფრჩხილებში ჩაწერილი წყაროს რიგითი ნომრით თანდართული ბიბლიოგრაფიული ჩამონათვალიდან. უცხოური წყარო აუცილებლად შესაბამის ენაზე მიეთითება. თარგმანის არსებობისა და მისი გამოყენების შემთხვევაში, ცხადია, მითითება ამ უკანასკნელზე უნდა მოხდეს.

დასავლეთის უნივერსიტეტების აკადემიურ წრეებში მითითების სისწორე ძალიან მკაცრად მოწმდება. ლინკოლნის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საიტზე განთავსებულია არაერთი პუბლიკაცია, რომელიც ეძღვნება პლაგიატის გამოვლენისა და პრევენციის საკითხებს. თუ ავტორი ახდენს სხვისი ნაშრომის ციტირებას ან საკუთარ ნაშრომში წარმოაჩენს სხვისგან ნასესხებ ფაქტს, მითითებაში აუცილებლად უნდა აღნიშნოს, საიდან აქვს აღებული მასალა.

ციტატის გამოყენების შემთხვევაში, ის უცვლელად უნდა აისახოს ტექსტში და ბრჭყალებში მოექცეს. სხვისი ტექსტის პერიფრაზის დროს საკმარისია მხოლოდ მითითების გაკეთება, ციტირება კი არასავალდებულოა. მითითება აუცილებელია სხვა ავტორის იდეის ან თეორიის გამოყენების შემთხვევაში მისი სიტყვასიტყვით ციტირების გარეშე. და ბოლოს, არ ხდება არც მითითება და არც ციტირება, როცა საუბარია საყოველთაოდ ცნობილ იდეებსა და საკუთარ მოსაზრებებზე.

სხვისი ციტატის გამოყენების ან ტექსტის პერიფრაზის შემთხვევაში მითითების გაკეთება სავალდებულოა არამარტო სამეცნიერო ეთიკის კანონების თანახმად, არამედ ნებისმიერი მოქალაქის ვალდებულებით, დაიცვას ხელყოფისაგან ინტელექტუალური საკუთრება. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ზნეობრივი და სამართლებრივი ასპექტების თანხვედრას. პროფესიული ეთიკის დარღვევა ასეთ დროს ნიშნავს, რომ მამიებელი ვერ მიიღებს ახალ სტატუსს.

ილინოისის შტატის უნივერსიტეტის (ჩიკაგო, აშშ) ინფორმაციის დეპარტამენტმა შექმნა განმარტებითი დოკუმენტი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში გამოიყენებენ, როგორც

პლაგიატთან ბრძოლის „ოქროს სტანდარტს“. დოკუმენტში აღწერილია პლაგიატის 10 ძირითადი სახეობა.

ესენია:

1. სხვისი ნაშრომის, როგორც საკუთარის წარდგენა;
2. ადრე გამოქვეყნებული საკუთარი ნაშრომის ნაწილის ციტირების გარეშე გამოყენება ახალ ნაშრომში;
3. სხვისი ნაშრომის გადაკეთება არასწორი წყაროების მითითებით;
4. სხვისი ტექსტის „ბრჭყალებით“ მონიშვნა წყაროს მითითების გარეშე;
5. სხვადასხვა წყაროს ერთმანეთში აღრევა ციტირების გარეშე;
6. სხვისი ტექსტის ნაწილობრივი ციტირება;
7. ტექსტის ციტირებული და არაციტირებული ნაწილების შერწყმა;
8. სხვა ავტორის სიტყვების, სტრუქტურისა და იდეების გადაჭარბებულად დასესხება (კოპირება), მართებული ციტირების მიუხედავად;
9. წყაროს არასწორი ციტირება;
10. სხვა ავტორთა შრომებზე დიდწილად დამოკიდებულება და საკუთარი ორიგინალური იდეების არქონა.

სხვისი ნაშრომის სიტყვა-სიტყვით კოპირება ნათლად უნდა იყოს იდენტიფიცირებული. მაგალითად, მცირე სეგმენტი (რამდენიმე სიტყვა ან ერთი-ორი წინადადება) უნდა ჩაისვას ბრჭყალებში ან დაიწეროს დახრილად (*Italic*); უფრო დიდი სეგმენტი (მაგალითად, აბზაცი) უნდა გამოიყოს დახრილი შრიფტის გამოყენებით. ორივე შემთხვევაში, სხვის ტექსტს უნდა ახლდეს მითითება (ვებ-გვერდის გამოყენების შემთხვევაშიც). სხვა ავტორის ნაშრომის უფრო დიდი მონაკვეთების კოპირება (მაგალითად, პარაგრაფის, თავის, ნაწილის) აკრძალულია, იმის მიუხედავად, მოხდა თუ არა მათი კორექტული ციტირება.

იგივე რეგულაციები გამოიყენება პლაგიატთან მიმართებით რუსეთის უნივერსიტეტებში. მაგალითად, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკის უმაღლეს სკოლაში პლაგიატად მიჩნეულია წერილობით ნაშრომში ქაღალდისა თუ ელექტრონულ მატარებელზე მანამდე გამოქვეყნებული სხვისი ტექსტის გამოყენება სრული ციტირების გარეშე, ან ციტირების გამოყენებით, მაგრამ სხვისი ტექსტის ან იდეების გადაჭარბებული მოცულობით კოპირება, რაც ეჭვქვეშ აყენებს ავტორის მეცნიერული დამოუკიდებლობის ხარისხს.

7.2.2 ელექტრონული ბიბლიოთეკები და მონაცემთა ბაზები ინტერნეტში

ინტერნეტში წამყვანი უნივერსიტეტების ბიბლიოთეკების ატვირთვა უდიდესი გარღვევა იყო სამეცნიერო-საინფორმაციო სფეროში. დღეისათვის მონაცემთა ელექტრონული ბაზებით სარგებლობა ხელმისაწვდომია ქართული უნივერსიტეტებისთვისაც. აღნიშნული რესურსები მკვეთრად ამარტივებს აუცილებელი ლიტერატურის მოძიების და დისერტაციის საინფორმაციო ველის ფორმირების პროცესს. ამასთანავე, ზოგიერთი პუბლიკაცია შემოთავაზებულია სრული ფორმატითაც. მსგავსი მონაცემთა ბაზა გააჩნიათ დასავლეთის მსხვილი უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო ცენტრების ბიბლიოთეკებს.

ელექტრონული ბიბლიოთეკები ინტერნეტის ჯამური პოტენციალის ერთერთი მთავარი და ღირებული შემადგენელია. მათ შექმნას საფუძველი ჩაეყარა ამერიკის შეერთებულ შტატებში 60-იან წლებში. ელექტრონული ბიბლიოთეკების განვითარებას მძლავრი ბიძგი მისცა გლობალური კომპიუტერული ქსელების განვითარებამ. ინტერნეტმა განუზომლად გაზარდა ელექტრონული ბიბლიოთეკების პოტენციურ მომხმარებელთა აუდიტორია. გლობალურ ქსელებში განთავსებული დოკუმენტების ხელმისაწვდომობამ მთელ კორპორაციებს და ცალკეულ პირებს ციფრული კრებულების შექმნის საშუალება მისცა, რომელთა რაოდენობა ათეულ ათასებს შეადგენს და სწრაფად იზრდება.

ქსელური ელექტრონული ბიბლიოთეკების გამოყენება სამეცნიერო-საინფორმაციო საქმიანობაში შესაძლებელია როგორც ტექსტების უფასო ელექტრონულ კოლექციაზე, ისე კომერციულ სრულტექსტოვან მონაცემთა ბაზაზე წვდომით.

ღია ელექტრონული ბიბლიოთეკების ფორმირება ფორმალურად 1971წლიდან დაიწყო, რაც „გუტენბერგის პროექტის“ (Project Gutenberg) შექმნას უკავშირდება. მათი დაკომპლექტების მეთოდები ძალიან მარტივია. ტექსტები ბიბლიოთეკაში სხვადასხვა გზით ხვდება:

- სხვა საიტებიდან მათი კოპირებით;
- სკანირებით;
- საჩუქრის სახით ავტორთა, გამომცემელთა, ქველმოქმედთა მხრიდან.

მონაცემთა ბაზის უფრო მეტად ცნობილი მწარმოებლები და მომწოდებლები არიან

LEXIS/NEXIS, Dialog, Silver Platter, EBSCO, Information Services, STN International, H.W. Wilson, UMI (ამჟამად ProQuest), netLibrary და Northern Light.

ქსელში არსებული კომერციული საინფორმაციო პროდუქციიდან ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს სრულტექსტოვანი მონაცემთა ბაზები. მათში წარმოდგენილია წიგნების, ჟურნალების, კრებულების, საგაზეთო სტატიების ტექსტები, საინფორმაციო სააგენტოების შეტყობინებები, სხვადასხვა დაწესებულების ანალიზური ანგარიშები და სხვა დოკუმენტები.

აღნიშნულ ბაზებზე წვდომა მნიშვნელოვნად ცვლის მიდგომებს სამეცნიერო-საინფორმაციო საქმიანობის მიმართ, ათავისუფლებს მკითხველს გამოცემის ბეჭდური ორიგინალის მოპოვების და ბიბლიოთეკებში ფიზიკურად ყოფნის აუცილებლობისგან.

მონაცემთა სრულტექსტოვანი ბაზების შევსება ხდება ნაბეჭდი ორიგინალების სკანირებით და მათი ელექტრონული ასლების შექმნით, ძირითადად PDF-ფორმატში. მათი წაკითხვა შეიძლება უფასოდ გავრცელებული პროგრამის Adobe Acrobat გამოყენებით, რომლის ჩაწერა ინტერნეტიდან მარტივად შეიძლება. კომერციული პროექტის ფარგლებში დოკუმენტური მასივების ციფრირების არსებული ტემპისა და მასშტაბის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უახლოეს წლებში კაცობრიობისთვის მნიშვნელოვანი მასალების უმრავლესობის ციფრირება განხორციელდება.

პროფესიული ციფრული ბიბლიოთეკები გამოირჩევიან სისრულის მაღალი ხარისხით და მასალის ელექტრონული აქტივაციის ოპერატიულობით. გრამატიკული შეცდომები იშვიათია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დოკუმენტები ინახება არა PDF, არამედ HTML-ფორმატში.

როგორც უმრავლესობა ბიზნეს-პროექტებისა, მონაცემთა სრულტექსტოვანი ბაზა მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფს სერვისის მაღალ დონეს. სამიეზო მექანიზმი მრავალასპექტიანი ძიების საშუალებას იძლევა. ძებნა შეიძლება განხორციელდეს ცალკეული სიტყვის, სიტყვათშეთანხმების და ზუსტი ფრაზების მიხედვით. მისი შედეგები ეკრანზე აისახება ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების სახით, ყველა აუცილებელი ელემენტის მითითებით. საერთო ჩამონათვალიდან შესაძლებელია რელევანტური დოკუმენტების ნუსხის გაკეთება

მონაცემთა ბაზაში სრული ტექსტები მომხმარებლის წინაშე იხსნება HTML-დოკუმენტის ან PDF-ფაილის სახით. ეს უკანასკნელი ზუსტად იმორებს დოკუმენტის ბეჭდურ ანალოგს სვეტების, ცხრილების, ილუსტრაციების და სხვათა შენარჩუნებით. ამავდროულად, საძიებოდ შეიძლება დოკუმენტის სრული შიგთავსის გამოყენება (ინდექსირება). შესაძლებელია PDF-წყაროს არამარტო წაკითხვა ონლაინ რეჟიმში, არამედ მისი შენახვა კომპიუტერში და შემდგომი მუშაობის პროცესში გამოყენება.

კომერციული ბაზებით სარგებლობენ წინასწარ გამოწერის წესით, ძირითადად 1 წლამდე ვადით. ტექნიკური წვდომა ხორციელდება მომხმარებლისთვის მინიჭებული პაროლითა და სახელით ან IP-მისამართის მიხედვით. უკანასკნელი ხერხი უფრო მომგებიანია ორგანიზაციების, მათ შორის, ბიბლიოთეკებისთვის, ვინაიდან დაწესებულების (ერთი IP-მისამართის მქონე) ნებისმიერი კომპიუტერიდანაა შესაძლებელი მონაცემთა ბაზებით სარგებლობა.

პრაქტიკულად ყველა კომერციული ბაზა იძლევა ამა თუ იმ ხარისხით თავისი რესურსებით სარგებლობის უფლებას ფასიანი გამოწერის გაფორმების გარეშეც. ზოგ მათგანს ეფექტურად გამოიყენებენ ბიბლიოგრაფიული წყაროების გასაცნობად დოკუმენტის სრული ტექსტის მიუღებლად. ამის ტიპური მაგალითია კომპანია EBSCO-ს Library Reference Center (<http://search.epnet.com/reflogin.asp>)-სერვისი, რომელიც მონაცემთა ბაზაში სტატიების ბიბლიოგრაფიული ძიების საშუალებას იძლევა 30-ზე მეტი წამყვანი ინგლისურენოვანი საბიბლიოთეკო ჟურნალიდან. ზოგიერთი სრულტექსტოვანი ელექტრონული ბიბლიოთეკა წვდომადია ყველა მსურველისთვის „არაპიკურ“ დროს, ან განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში „თვის რესურსის“ და სხვა ფორმის სახით.

ჩამოთვლილი წყაროების მახასიათებლების ყურადღებით შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ამა თუ იმ მომწოდებლის დამატებითი დადებითი მხარეები. ამის კლასიკური მაგალითია ProQuest კომპანიის მიერ უზრუნველყოფილი წვდომა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და წყნარი ოკეანის რეგიონში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე დაცული დისერტაციების რეზიუმეებზე. (<http://www.lib.umi.com/dissertations>). აღნიშნული ბაზა მრავალასპექტოვანი ძიების, რეზიუმეს სრული ტექსტის სკანირებული ასლის წაკითხვის და ამობეჭდვის საშუალებას იძლევა.

და ბოლოს, შეზღუდული ბიუჯეტის შემთხვევაში, კომერციულ ციფრულ კრებულთა რესურსების გასაღებს წარმოადგენს უფასო „საცდელი წვდომა“

(free trail) მომსახურება. ცხადია, ეს მეთოდი ნაკლებად სასარგებლოა რესურსების სისტემატურად მომხმარებელთათვის, მაგრამ მოსახერხებელია სხვადასხვა მონაცემთა ბაზის შესაძლებლობების დეტალური გაცნობისთვის.

კომერციულ სრულტექსტოვან მონაცემთა ბაზებს შორის ფართოდ ცნობილია:

LexisNexis (www.lexis-nexis.com)

ერთერთი მსხვილი კომპლექსია, რომელიც მოიცავს 31 ათასზე მეტ წყაროს, რომელთა შორის ბევრია მიმდინარე პერიოდული გამოცემა. ბაზის ფორმირების თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული იყო იურიდიული სრულტექსტოვანი თემატიკის ატვირთვა. შემდგომში ბაზა გამდიდრდა სამთავრობო დოკუმენტებით, აკადემიური კრებულებით და სხვ. დღეისათვის ის მოიცავს ცოდნის ყველა სფეროს და წარმოადგენს Reed Elsevier Inc საკუთრებას.

Dialog (www.dialog.com)

პირველი ონლაინ საინფორმაციო-საძიებო სისტემაა მსოფლიოში. მისი ამოქმედება თარიღდება 1972 წლით. მაშინ სისტემა მხოლოდ ორ ბაზას ფლობდა, დღეისათვის მათი რაოდენობა 573-ს შეადგენს და ცოდნის ყველაზე მრავალფეროვან დარგებს მოიცავს. სისტემაში წარმოდგენილია სამთავრობო დოკუმენტები, პერიოდული გამოცემების არქივები, ბიზნესის, საფინანსო, ენერგეტიკის, ქიმიის ფარმაცევტული, სამედიცინო, ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების მასალები. ამჟამად Dialog წარმოადგენს Thomson Corporation საკუთრებას.

ProQuest (www.proquest.com)

მისი პროდუქცია მოიცავს ასამდე ძირითად მონაცემთა ბაზას, რომელთა შორის დარგობრივი და თემატური სრულტექსტოვანი კრებულები, ცნობილი ჟურნალ-გაზეთების ელექტრონული არქივები, ბიბლიოგრაფიული და რეფერატული მასალებია. ხელშეკრულება აქვს 8 500-ზე მეტ გამოცემლობასთან მთელ მსოფლიოში, რომლის საფუძველზეც ეგზავნება გამოცემის კომპიუტერული ვერსიები ჯერ კიდევ ბეჭდური ორიგინალის გამოქვეყნებამდე. ასეთი გზით ივსება პერიოდულ გამოცემათა ბაზები, რომელთა შორისაა Washington Post, Wall Street Journal, USA Today, ასევე დარგობრივი ბაზები Accounting and Tax Database, Criminal Justice Periodical Index, ProQuest Religion, ProQuest Telecommunications და სხვა მრავალი.

ProQuest, ასევე, მიზანმიმართულად ახორციელებს დიდი ისტორიული ღირებულების მქონე კრებულების ციფრირებას, რომლებიც გაერთიანებულია პროდუქციის ხაზში სახელწოდებით "Digital Vault" („ციფრული თაღი). ამის მაგალითია "Women's History Online", "Genealogy and Local History Online", "Early English Books Online" სრულტექსტოვანი ბაზები, გაზეთების Christen Science Monitor, New York Times და სხვათა სრული არქივები და ა.შ.

დღეისათვის ProQuest პროდუქციის მოცულობა 5,5 მილიარდ გვერდს შეადგენს და მისი რაოდენობა სწრაფად იზრდება. სრული ტექსტები წარმოდგენილია HTML და PDF-ფორმატებში. აღინიშნება მთლიანად PDF-ფორმატზე გადასვლის ტენდენცია.

EBSCO Information Services (<http://www-ru.ebsco.com>)

მოიცავს 50-ზე მეტ სრულტექსტოვან მონაცემთა ბაზას მასალებით ცოდნის თითქმის ყველა სფეროდან. ტექსტები წარმოდგენილია HTML და PDF-ფორმატებში. ცალკე მომსახურებად შემოთავაზებულია ელექტრონულ ჟურნალებზე ხელმოწერა 3,5 მილიონზე მეტი სტატიის შემცველობით.

Silver Platter (www.silverplatter.com)

მოიცავს 250-ზე მეტ მონაცემთა ბაზას მასალებით ბიზნესის, სოფლის მეურნეობის, მედიცინის, ფარმაცოლოგიის, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების სფეროდან. მათგან MEDLINE და ზოგიერთი სხვა ბაზა იძლევა სრულტექსტოვან დოკუმენტებზე წვდომის საშუალებას. Silver Platter მომხმარებელს, ასევე, სთავაზობს „საცდელი წვდომის“ 30-დღიან მომსახურებას.

STN International (<http://stnweb.fiz-karlsruhe.de>)

მოიცავს აკადემიური მიმართულების 200-ზე მეტ ბაზას. ზოგიერთ მათგანზე დაიშვება უფასო საცდელი წვდომა 4 დღე-ღამის ხანგრძლივობით, თუმცა, გამოყენებული სამიებო სისტემა რთულია ასათვისებლად.

NetLibrary (www.netLibrary.com)

შეიქმნა 1998 წელს და ძირითადად ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობს. მომხმარებელს სთავაზობს 37 ათასზე მეტ ელექტრონულ წიგნს (eBooks). შესაძლებელია ძიება სრული ტექსტის მიხედვით, ლექსიკონის, სანიშნის გამოყენება და მინდვრებზე ჩანაწერის გაკეთებაც კი. დაშვებულია უფასო წვდომა რამდენიმე ათეულ წიგნზე, რომლებშიც აღწერილია ელექტრონულ გამოცემებზე მუშაობის შესაძლებლობები. დღეისათვის netLibrary წარმოადგენს OCLC სტრუქტურას.

რუსული კომერციული სრულტექსტოვანი მონაცემთა ბაზები

სამეცნიერო ელექტრონული ბიბლიოთეკა (<http://elibrary.ru>) რუსეთის ფუნდამენტური კვლევების ფონდის პროექტია, რომლის მიზანია უზრუნველყოს რუსეთის სამეცნიერო ორგანიზაციების (ბიბლიოთეკების ჩათვლით) წვდომა უპირატესად საბუნებისმეტყველო პროფილის უცხოურ აკადემიურ პერიოდულ გამოცემებზე. იგი მოიცავს საყოველთაოდ ცნობილი უცხოური გამომცემლობების წიგნებისა და ჟურნალების სრულ ტექსტებს, რომელთა შორისაა Blackwell, Kluwer, Elsevier, Springer, Royal Society of Chemistry, ასევე, ISI (სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტი). სრული უფასო წვდომა გამოცემებზე შესაძლებელია სამეცნიერო ელექტრონულ ბიბლიოთეკასა და აკადემიურ ორგანიზაციას შორის ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში.

7.3 სამეცნიერო სტატია

სამეცნიერო სტატია უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად საკითხებს:

- რა პრობლემას ეძღვნება ის?
- რამდენად აქტუალურია აღნიშნული პრობლემა?
- როგორ, რა მეთოდებით იქნა შესწავლილი დასმული პრობლემა?
- რა შედეგები იქნა მიღებული?
- როგორია შედეგების გამოყენების ეფექტი?
- რის შესწავლას ურჩევდა პრობლემასთან დაკავშირებით ავტორი სხვა მკვლევარებს შემდგომში?⁷⁰

ქვემოთ შემოთავაზებულია სტატიის გეგმის ნიმუში, რომელიც მისაღებია სამეცნიერო ჟურნალების უმრავლესობისთვის:

1. **სტატიის სათაური.** სტატიის გამოსაქვეყნებლად აუცილებელია მისთვის სათაურის შერჩევა. ამისთვის საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი:
 - სტატიის სათაური სრულად უნდა პასუხობდეს მის შინაარსს. სტატიაზე მუშაობის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ გადამოწმდეს მათი ურთიერთშესაბამისობა.
 - დოქტორანტი სტატიის სათაურს არჩევს სადისერტაციო თემიდან გამომდინარე. მიღებულია სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგების სტატიის სახით გამოქვეყნება სამეცნიერო ჟურნალებში.

⁷⁰ Bem, D.J. (2003) 'Writing the Empirical Journal Article', in Darley, J. M., Zanna, M. P., & Roediger III, H. L. (Eds) (2003). *The Compleat Academic: A Practical Guide for the Beginning Social Scientist*, 2nd Edition. Washington, DC: American Psychological Association.

სტატიის სათაური უნდა მიეთითოს ავტორეფერატში და აირეკლავდეს კვლევის შედეგებს. შესაბამისად, სწორად შერჩეული დასახელება დოქტორანტს თავიდან აარიდებს სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივნის დამატებით შეკითხვებს.

- ყოველ ჟურნალს თავისი სტილი აქვს. თუ სათაური არ აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტილს, გამომცემელს ავტორისთვის მისი შეცვლის შეთავაზება შეუძლია. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ დამატებითმა სამუშაომ შეიძლება სტატიის განხილვის პერიოდი გაზარდოს.
2. ინფორმაცია ავტორზე (ავტორებზე). სტატიის გამოქვეყნებისთვის აუცილებელია ავტორის (ავტორების) შესახებ მონაცემების წარდგენა: სპეციალობის შიფრი, ტელეფონის ნომერი, უმაღლესი დაწესებულების, კათედრის/სკოლის დასახელება, სადაც მოღვაწეობს მკვლევარი, სამეცნიერო ხარისხი, სამუშაო ადგილი, თანამდებობა, ელექტრონული ფოსტის მისამართი.
 3. ანოტაცია - სამეცნიერო სტატიის მოკლე დახასიათება, რომელიც დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს გაეცნოს მის ძირითად შინაარსს და მიიღოს გადაწყვეტილება, წაიკითხოს თუ არა სრული ტექსტი. ანოტაცია, ასევე, გამოიყენება საძიებო, მათ შორის, ავტომატიზებულ სისტემებში, ინფორმაციის მოძიებისთვის.⁷¹

ანოტაციაში წარმოჩენილი უნდა იყოს თემის ძირითადი დახასიათება, სტატიაში განხილული პრობლემები, მიზნები, შედეგები. უნდა გამოიკვეთოს სიახლე, ის, რაც განასხვავებს ნაშრომს მსგავს თემაზე ანალოგიური მიზნობრივი მიმართულების ადრე გამოქვეყნებული სტატიებისგან.

ანოტაციის რეკომენდებული მოცულობაა 500 ნაბეჭდი ნიშანი.

ანოტაციის დაწერისას მიზანშეწონილია შემდეგი სტანდარტული ფრაზების გამოყენება:

- წინამდებარე სტატიაში განხილულია... პრობლემა;
- სტატია ემდვნება...
- სტატია ემდვნება დღეისათვის აქტუალურ პრობლემას...

⁷¹ Hyland, K. (2004) 'Corpus analysis and academic persuasion. In U. Connor & T. A. Upton (Eds.), *Discourse in the professions: Perspectives from corpus linguistics*', Amsterdam, Philadelphia: John Benjamins.

- აღნიშნული პრობლემა არასაკმარისადაა შესწავლილი და შემდგომ კვლევას საჭიროებს;
- იდეა ეფუძნება...
- სტატია ეხება თემას...
- მოცემულია შედარება...
- სტატია ეძღვნება კომპლექსურ კვლევას...
- სტატიის მიზანია...
- ძირითადი ყურადღება ეთმობა...
- მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა...
- ავტორი ასკვნის, რომ...
- ყურადღება გამახვილებულია...
- აღწერილია... თვისებრივი მახასიათებლები...
- შესწავლის შედეგად დადგინდა...
- ანალიზის საფუძველზე დადგინდა...
- სტატიაში განზოგადებულია საკვლევ თემასთან დაკავშირებული ახალი მასალები...
- სტატიაში შემოთავაზებულია...
- ნაშრომი ინტერდისციპლინური ხასიათისაა;
- აღნიშნული შეხედულება დააინტერესებს ... სფეროს სპეციალისტებს.
- სტატიაში საუბარია...
- სტატია ეძღვნება... დეტალურ ანალიზს;
- დასკვნაში წარმოჩენილია...
- სტატიაში განხილულია ... ცნების არსი;
- განზოგადებულია პრაქტიკული გამოცდილება...
- გამოკვლევულია ... დამახასიათებელი ნიშნები;
- განხილულია ... ძირითადი ეტაპები;
- განხორციელდა მცდელობა...
- აღწერილია ... პროცესები
- გადმოცემულია ... კვლევის შედეგები;
- მოცემულია ... განზოგადებული დახასიათება;
- გაანალიზებულია კონცეფცია;
- ეფუძნება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ...
- მტკიცებულებად განიხილება...
- გაანალიზებულია მკვლევართა შეხედულებები;
- სადავოდ რჩება საკითხი იმის შესახებ, რომ...

ანოტაციის ნიმუში:

წინამდებარე სტატიაში განხილულია კონსტიტუციის დებულებათა განმარტების პრობლემები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გაანალიზებულია განმარტებისთვის გამოყენებული გრამატიკული მეთოდის თავისებურებები, ლინგვისტური და იურიდიული ანალიზის მეთოდები (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილების ტექსტების მაგალითზე). გამოვლენილი და დასაბუთებულია იურიდიული და ლინგვისტური ანალიზის მეთოდების ერთობლივი გამოყენების აუცილებლობა განმარტების პროცესში. ჩატარებული კვლევის საფუძველზე, გამოსაყენებლად შემოთავაზებულია განმარტების იურიდიულ-ტექნიკური მეთოდი. მოცემულია მისი განსაზღვრება, ფორმულირებულია მოცემული მეთოდის შემადგენელი ლინგვისტური და იურიდიული ანალიზის ძირითადი მახასიათებლები.

4. საძიებო სიტყვები⁷², მათი შერჩევის წესი :

- მნიშვნელოვანია ნაშრომის მთავარი თემის მკაფიოდ განსაზღვრა. საძიებო სიტყვების უმრავლესობა უნდა ეხებოდეს სტატიის მთავარ თემას;
- აუცილებელია სტატიის თემის განზოგადება და მისი შინაარსის 1-3 სიტყვით გადმოცემა ისე, რომ ზუსტად ასახოს ის;
- უნდა განისაზღვროს რა მთავარი მომენტებზეა გამახვილებული ყურადღება სტატიაში;
- აუცილებელია სტატიის ძირითადი პუნქტების განსაზღვრა, მათი შინაარსის 1-3 სიტყვით ან სიტყვათა შეთანხმებით გადმოცემა;
- საძიებო სიტყვად (სიტყვათა შეთანხმებად) არ უნდა იყოს შემოთავაზებული სრული წინადადება.

5. შესავალი. სტატიის შესავალში მკაფიოდ უნდა იყოს ფორმულირებული:

- კვლევის მიზანი, მთავარი იდეა, დედააზრი. მიზნის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია პასუხი გაეცეს შეკითხვას: „რას ქმნით ჩატარებული კვლევის შედეგად? ეს შეიძლება იყოს ახალი მეთოდიკა, კლასიფიკაცია, ალგორითმი, სტრუქტურა, მეთოდური დამუშავება, კანონპროექტი და ა. შ. ნაშრომის მიზნის ფორმულირებისთვის, როგორც წესი, გამოიყენება შემდეგი ზმნები: ფორმირება, სრულყოფა, შემუშავება და ა. შ.
- კვლევის ჰიპოთეზა;

⁷² Абрамов Егор Геннадьевич – Подбор ключевых слов для научной статьи. Научная периодика: проблемы и решения. Выпуск № 2 / 2011

- კვლევის აქტუალობა და სიახლე. აქტუალობა განისაზღვრება განსახილველი პრობლემის მნიშვნელოვნებით მოცემული მომენტისთვის, კვლევის შედეგების გამოყენებადობით სამეცნიერო-პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისათვის. სიახლეა ის, რაც მოცემული კვლევის შედეგებს განასხვავებს სხვა ავტორთა მიერ მიღებული შედეგებისგან.

ნაშრომის ამ ნაწილში, საჭიროების მიხედვით, მკითხველს აცნობენ სტატიის სტრუქტურასაც

შესავლის დაწერის შემდეგ აუცილებელია მისი გაანალიზება შემდეგი ძირითადი პუნქტების მიხედვით:

- მკაფიოდაა თუ არა ფორმულირებული კვლევის მიზანი, ობიექტი და ჰიპოთეზა?
- ხომ არ შეიცავს ტექსტი წინააღმდეგობრივ მოსაზრებებს?
- მოიცავს თუ არა ის თემის აქტუალობასა და სიახლეს?
- წარმოჩენილია თუ არა მასში თემასთან დაკავშირებული ადრინდელი კვლევები?

6. **ლიტერატურის ანალიზი.** სასურველია მოცემულ სფეროში 20-მდე ავტორიტეტული ავტორის შერჩევა და მათი ნამუშევრების გაანალიზება თემასთან მიმართებით. ლიტერატურის მიმოხილვა კვლევის თეორიული ბირთვია. მისი მიზანია შესწავლილ და შეფასებულ იქნას მოცემულ თემატიკასთან დაკავშირებული ნაშრომები. უპირატესობა ენიჭება წინამორბედი შრომების არა უბრალო ჩამოთვლას, არამედ მათ კრიტიკულ ანალიზს და ძირითადი თვალსაზრისის განზოგადებას.⁷³

7. **კვლევის მეთოდები.** ამ ნაწილში აუცილებელია არამარტო კვლევისათვის გამოყენებული მეთოდების აღწერა, არამედ მათი რელევანტურობის დასაბუთება.

8. **კვლევის შედეგებში წარმოდგენილ უნდა იქნას ავტორის მიერ გაანალიზებული სისტემატიზებული მასალა.** შედეგები უნდა აღიწეროს ფართოდ, რათა მკითხველმა შეძლოს თვალი მიადევნოს კვლევის ეტაპებს და შეაფასოს ავტორისეული დასკვნების დასაბუთებულობა. მოცულობის მიხედვით, ამ ნაწილს ცენტრალური ადგილი უჭირავს სამეცნიერო სტატიაში. მონაცემთა ანალიზის, განზოგადების და

⁷³ Dr Pekka Belt, Dr Matti Mottonen & Dr Janne Harkonen - Tips for writing scientific journal articles, 2011

განმარტების მეშვეობით უნდა მოხდეს სამუშაო ჰიპოთეზის (ჰიპოთეზების) დამტკიცება. საჭიროების შემთხვევაში შედეგები დასტურდება საილუსტრაციო მასალის - ცხრილების, გრაფიკების, ნახატების გამოყენებით, რომლებშიც წარმოდგენილია ამოსავალი მასალა ან მტკიცებულებები შემჭიდროვებული სახით. მნიშვნელოვანია, რომ ილუსტრირებული ინფორმაცია არ იყოს ტექსტის დუბლირება. სასურველია, მოხდეს სტატიაში წარმოჩენილი და ამავე სფეროში მანამდე ჩატარებული კვლევების შედეგების შედარება, რაც უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს მიღებულ სიახლეს, მეტ ობიექტურობას შესძენს მას.

განარჩევნენ თეორიულ და ემპირიულ სტატიებს. თეორიული სამეცნიერო სტატიები მოიცავს ისეთი მეთოდებით მოპოვებულ კვლევის შედეგებს, როგორცაა აბსტრაქცია, სინთეზი, ანალიზი, ინდუქცია, დედუქცია, ფორმალიზება, იდეალიზაცია, მოდელირება. თუ სტატია თეორიული ხასიათისაა, უფრო ხშირად, მისი აგება შემდეგი სქემის მიხედვით ხდება: დასაწყისში ავტორი წარმოაჩენს ძირითად დებულებებს, თვალსაზრისს, რომლებიც შემდგომში გაანალიზდება და გაკეთდება დასკვნები. რიგი თეორიული მეთოდები გამოიყენება ემპირიული სტატის მომზადებისთვისაც, თუმცა, კვლევა ძირითადად წარმოებს დაკვირვების, გაზომვის, ექსპერიმენტის და სხვა პრაქტიკული მეთოდების მეშვეობით.

9. დასკვნაში მოკლედ ყალიბდება კვლევის შედეგები. მასში შემჭიდროვებულად მეორდება ნაშრომის ძირითად ნაწილში გადმოცემული თვალსაზრისი, მაგრამ აუცილებელია მისი განსხვავებული ფრაზებით ჩამოყალიბება. ამავე ნაწილში უნდა განხორციელდეს მიღებული შედეგებისა და შესავალში ფორმულირებული მიზნის შედარება. დასკვნაში ხდება შედეგების შეჯამება, განზოგადება, შემუშავდება რეკომენდაციები, ყურადღება მახვილდება მათ პრაქტიკულ ღირებულებაზე და ჩამოყალიბდება პრობლემის შემდგომი კვლევის ძირითადი მიმართულებები.

10. მითითებათა ჩამონათვალი გამოყენებულ წყაროებზე.

შინაარსის მიხედვით სტატიები შეიძლება იყოს:

- საკონფერენციო (Conference paper) მარტივად გასაგები ნაშრომია. რეცენზენტები და რედაქტორები ადვილად სწვდებიან მის სამეცნიერო მნიშვნელობას; სტატიის მოცულობა, ჩვეულებრივ, 5-10

გვერდს შეადგენს, საილუსტრაციო მასალის მიღებული რაოდენობა 3 ერთეულია, რეკომენდებულია 15-მდე წყაროს მითითება. სტატია გადაეცემა კონფერენციის ორგანიზატორებს. კარგი საშუალებაა სამეცნიერო კარიერის დასაწყებად.

- **სრულფასოვანი სტატია (Full Article)** სტანდარტული ფორმატია დასრულებული სამეცნიერო კვლევის გასავრცელებლად. ჩვეულებრივ, მოიცავს 8-10 გვერდს, 5-8 ერთეულ საილუსტრაციო მასალას, 25-40 მითითებას. გამოქვეყნებისთვის გადაეცემა ჟურნალის რედაქციას. მართებული საშუალებაა სამეცნიერო კარიერის გასაკეთებლად.
- **მოკლე სტატია (Short Communications Articles):** ერთგვარი სწრაფი შეტყობინება და ადრეული ანგარიშია ორიგინალური, გამოჩენილი აღმოჩენებისა და მიღწევების თაობაზე. გაცილებით მცირე მოცულობისაა (არაუმეტეს 2500 სიტყვისა), ვიდრე ჩვეულებრივი სტატია, 2 ერთეული საილუსტრაციო მასალით, მინიმუმ 8 მითითებით გამოყენებულ წყაროებზე.
- **მიმოხილვითი სტატია (Review paper/perspectives):** საკვლევი თემის კრიტიკული განზოგადებაა, 10 გვერდის (და მეტი) მოცულობით, 5 ერთეული საილუსტრაციო მასალით, 80-მდე სქოლიოთი. ჩვეულებრივ, მზადდება რედაქტორის შეკვეთით. კარგი ხერხია სამეცნიერო კარიერის გასამყარებლად.⁷⁴

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სამეცნიერო სტატიის მომზადება არ არის მარტივი. მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება, თუ ის საზღვარგარეთულ ჟურნალში ქვეყნდება და, ჟურნალის მოთხოვნების შესაბამისად, უცხო ენაზე უნდა მომზადდეს. შესაძლოა საჭირო შეიქნას მისი LaTeX პროგრამის დახმარებით გაფორმება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რთულია თარჯიმნის მოძებნა, რომელიც აკადემიური სტილის მოთხოვნების გათვალისწინებით კომპეტენტურ დონეზე თარგმნის სამეცნიერო ტექსტს.

სამეცნიერო სტატია უნდა გამოქვეყნდეს:

- კვლევის ახალი ან ორიგინალური შედეგების წარმოსაჩენად;
- უკვე გამოქვეყნებული შედეგების რაციონალიზაციისთვის (დაზუსტების ან ინტერპრეტაციისთვის);
- კვლევის სფეროს მიმოხილვის ან რომელიმე თემის კვლევის შედეგების შესაჯამებლად;

⁷⁴ Elsevier Recommendation http://kubstu.ru/data/struct/0507/World-class_publication.pdf

- განსაზღვრულ სფეროში ცოდნის გაფართოების, და არა გამეორებისთვის.
- მიზანშეუწონელია სტატიის გამოქვეყნება, თუ ის სამეცნიერო ინტერესს მოკლებული ანგარიშია, თუ მასში დუბლირებულია ადრე გამოქვეყნებული ნაშრომები, თუ მასში განხილული პრობლემატიკა მომკვლელებულია ან შეიცავს მცდარ/მიუღებელ დასკვნებს.

სამეცნიერო სტატიის რეცენზიის მომზადება. რეცენზია უნდა მოიცავდეს:

1. სტატიის სრულ დასახელებას, ავტორის გვარ-სახელს, თანამდებობას;
2. იმ პრობლემის მოკლე აღწერას, რომელსაც სტატია ეძღვნება;
3. სტატიის აქტუალობის ხარისხის შეფასებას;
4. სტატიაში წარმოჩენილ მნიშვნელოვან ასპექტებს;
5. რეკომენდაციას გამოქვეყნებაზე;
6. რეცენზენტის გვარ-სახელს, ინფორმაციას მისი სამეცნიერო წოდების, სამეცნიერო ხარისხის, თანამდებობის, სამუშაო ადგილის შესახებ;
7. რეცენზენტის ხელმოწერასა და დაწესებულების ბეჭედს.

რეცენზიის დაწერისას რეკომენდებულია შემდეგი ფრაზების გამოყენება:

- ავტორი ნაშრომში დაწვრილებით აანალიზებს...
- ავტორი სწორად აღნიშნავს...
- ავტორი ყურადღებას ამახვილებს...
- ავტორი ... სფეროში ცოდნის მაღალი დონის დემონსტრაციას ახდენს;
- ავტორი კონკრეტული მაგალითების საფუძველზე ამტკიცებს...
- ავტორი დიდი ოდენობით ფაქტობრივი მასალის საფუძველზე განიხილავს...
- ავტორი სამართლიანად აღნიშნავს...
- ავტორი წარმატებულად ახდენს საკუთარი თვალსაზრისის არგუმენტირებას...
- ავტორი გვთავაზობს ორიგინალურ იდეას...
- მოცემული კვლევის აქტუალობა მდგომარეობს...
- ავტორი სტატიაში განიხილავს...
- სტატიაში გაანალიზებულია ძირითადი მიდგომები...
- სტატიის ნაწილები ლოგიკურ ურთიერთკავშირშია...
- სტატიაში მთავარია ... განხილვა
- ავტორმა დაწვრილებით შეისწავლა (წარმოადგინა, აღწერა)...
- სწორედ ამიტომ ეთმობა განსაკუთრებული ყურადღება...
- სტატიაში ციტირებული წყაროები შეიცავენ თანამედროვე შეხედულებებს საკვლევ პრობლემაზე;

- ნაშრომის დადებით მხარეებს შეიძლება მივაკუთვნოთ...
- დადებით ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ...
- სტატია ეფუძნება ... დეტალურ ანალიზს;
- განსაკუთრებით ხაზგასასმელია...
- განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა...
- განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს...
- ცალკე ყურადღებას იმსახურებს...
- სტატიის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს...
- შემოთავაზებული მიდგომა პრობლემის შესწავლისადმი...
- სტატიაში განხილული ორიგინალური კონცეფცია...
- სარეცენზიო სტატია წარმოადგენს სერიოზულ და საინტერესო სამეცნიერო ნაშრომს;
- სარეცენზიო ნაშრომი გამოირჩევა სიახლით;
- სტატიაში წარმოჩენილია რამდენიმე საინტერესო ასპექტი;
- სტატია შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე;
- სტატიის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს...

7.4. მონოგრაფია

სიტყვა „მონოგრაფია“ წარმოდგება ბერძნული სიტყვებიდან *monos* (ერთი, ერთიანი, ერთადერთი) და *grapho* (წერა, ხატვა, ხაზვა). ეს არის სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც მეტი სისრულითაა გამოკვლეული ესა თუ ის თემა. მონოგრაფიაში გაანალიზებული და განზოგადებულია კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული ლიტერატურა, წარმოჩენილია ახალი ჰიპოთეზები, ახლებურადაა გადაწყვეტილი ესა თუ ის საკითხი, რითაც ხელი ეწყობა მეცნიერების განვითარებას. მონოგრაფიას, ჩვეულებრივ, თან ერთვის დიდი ბიბლიოგრაფიული ჩამონათვალი, შენიშვნები და ა. შ.

მონოგრაფია შეიძლება იყოს ინდივიდუალური (თუ მას ერთი ავტორი ჰყავს) ან კოლექტიური (ავტორთა ჯგუფის მიერ მომზადებული, რომელთა რაოდენობა, ჩვეულებრივ, არ უნდა აღემატებოდეს ხუთს). შეიძლება წავაწყდეთ სიტყვა „მონოგრაფიის“ არასწორ ინტერპრეტაციას, რომელიც ერთი ადამიანის ავტორობას გულისხმობს, თუმცა, მონოგრაფია შეიძლება მთელი კოლექტივის მიერაც იყოს მომზადებული, თავად სიტყვა კი გულისხმობს, რომ ის ეძღვნება ერთ და მხოლოდ ერთ თემას (პრობლემას). ამის გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოლექტიური მონოგრაფიის მომზადების დროს. თუ სხვადასხვა ავტორის მონაწილეობით მომზადებული წიგნის ნაწილების (თავების) მოქცევა არ შეიძლება ერთი პრობლემის ჩარჩოში, ასეთი ნაშრომი განიხილება არა როგორც მონოგრაფია, არამედ, როგორც „სამეცნიერო ნაშრომთა კრებული“.

მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მამიებლის მონოგრაფია, მნიშვნელოვანია, რომ იყოს ინდივიდუალური.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ოფიციალური ნორმატიული შეზღუდვა, ითვლება, რომ მონოგრაფიის მოცულობა უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატის 100 გვერდს⁷⁵. გარდა ამისა, მონოგრაფია მიიჩნევა სოლიდურად, თუ მისი მოცულობა არანაკლებია A4 ფორმატის 200 გვერდის.

მონოგრაფიის სათაური მოკლე და მკაფიო უნდა იყოს, შეიცავდეს არაუმეტეს 5-6 სიტყვას. გრძელმა სათაურმა შეიძლება დააფრთხოს ან დააბნიოს პოტენციური მკითხველი. გასათვალისწინებელია, რომ მონოგრაფია არაა დისერტაცია, რომელშიც მკაცრად უნდა იყოს ფორმულირებული კვლევის საგანი. ერთგვარი „თავისუფლება“ აქ დასაშვებია. დასახელების შემცირების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი ხერხი: ყდაზე გაკეთდეს მოკლე სათაური, ხოლო სატიტულო გვერდზე მოკლე სათაურის შემდეგ უფრო მცირე შრიფტით დაემატოს განმარტება. მაგალითად, ძირითადი სათაურის „კანონიერი ქურდები“-ს შემდეგ შეიძლება გაკეთდეს განმარტება „პროფესიული დანაშაული“. ასეთ შემთხვევაში, წიგნის სატიტულო გვერდზე სათაურად გაფორმდება „კანონიერი ქურდები. პროფესიული დანაშაული“.

მონოგრაფიის ხელნაწერის მომზადებისას მხედველობაშია მისაღები, რომ მასში გადმოცემულ უნდა იქნას საკუთარი (ავტორისეული) კვლევის შედეგები ან რაიმე პრობლემის ორიგინალური ანალიზი და არა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები ან სხვა სამეცნიერო ტექსტების კომპილაცი. ამით განსხვავდება მონოგრაფია უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოსგან.

მონოგრაფიის ტექსტი უნდა განსხვავებოდეს სადოქტორო დისერტაციის ტექსტისგან. ამიტომ სადისერტაციო ნაშრომის მონოგრაფიად გამოცემის შემთხვევაში, ტექსტიდან ამოღებულ უნდა იქნას ისეთი სადისერტაციო „რუბრიკები“, როგორცაა „თემის აქტუალობა“, „კვლევის მიზნები და ამოცანები“, „ჰიპოთეზა“, „კვლევის სიახლე“ და ა. შ.

სასურველია, მონოგრაფია დაიწეროს მარტივი, გასაგები ენით. განსხვავებით დისერტაციისგან, რომელიც იწერება სპეციალისტთა ვიწრო

⁷⁵ http://www.anovikov.ru/artikle/monograf.htm#_ftn1

წრისათვის, მონოგრაფია, როგორც წესი, გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო მასისთვის. დამწეები მეცნიერები ხშირად უშვებენ შეცდომას და მაქსიმალურად ტვირთავენ მონოგრაფიის ტექსტს რთული ტერმინებით, ლათინური შესატყვისებით, ანგლიციზმით, რაც ართულებს ნაშრომის შინაარსის გაგებას, რის გამოც ის ნაკლებად მიმზიდველი ხდება რიგითი მკითხველისათვის.

მონოგრაფიის სტრუქტურა:

- სატიტულო ფურცელი - 1-ლი ფურცელი, რომელზეც ნაჩვენებია თანმიმდევრობით განთავსდება ავტორის გვარი და ინიციალები, წიგნის სათაური, გამოცემის ადგილი, გამომცემლობის დასახელება, გამოცემის წელი. თუ წიგნი დაწერილია რამდენიმე ავტორის მიერ, მაშინ გვარები ლაგდება ანბანის ან მონოგრაფიის შექმნაში მათი წვლილის მიხედვით. როდესაც მონოგრაფიის გამოცემას მხარს უჭერს უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, ამის მითითება ხდება სავალდებულო წესით, წიგნის სათაურსა და გამოცემის ადგილს შორის.
- საგამოცემო მონაცემები – მეორე ფურცელი, რომელზეც ავტორის (ავტორების) გვარ-სახელის, სათაურის, გამოცემის ადგილისა და გამომცემლობის დასახელების გარდა, მითითებულია გვერდების რაოდენობა, ISBN - წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი, რომელიც აუცილებელია სავაჭრო ქსელში მისი გავრცელებისა და გამოცემაზე მუშაობის ავტომატიზაციისთვის. აქვე განთავსდება ანოტაცია - მოკლე ცნობები წიგნის შინაარსის შესახებ, დამატებით ხდება ხოლმე იმის მითითება, თუ მკითხველთა რა წრისთვისაა ის განკუთვნილი. ანოტაციის საშუალო მოცულობა 500 – 1000 ბეჭდვითი ნიშანია.
- სათაური განთავსდება მონოგრაფიის დასაწყისში, რაც სამეცნიერო გამოცემას მხატვრულისგან განასხვავებს⁷⁶.
- წინასიტყვაობა ან/და შესავალი. წინასიტყვაობა მოკლე დოკუმენტია, რომელშიც აღწერილია ნაშრომის გამოცემის მიზანი და მისი მოკლე

⁷⁶ <http://mysl.kazgazeta.kz/?p=447>

შინაარსი, ჩვეულებრივ, თავების ან ნაწილების მიხედვით. შესავალში ავტორი წარმოაჩენს კვლევის ძირითად დებულებებს, მიუთითებს მის აქტუალობაზე, მოკლედ აღწერს კვლევის მეთოდოლოგიას, განსაკუთრებით ავტორისეულ მიდგომებს, ჩამოთვლის მონოგრაფიაში განხილულ ძირითად საკითხებს. თუ მონოგრაფია, შესავლის გარდა, წინასიტყვაობასაც შეიცავს, ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, თავისუფალი ფორმით მზადდება.

- პირველი თავი (ნაწილი). მას პირობითად უწოდებენ „სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას“, რომელშიც გაანალიზებულია განსახილველი პრობლემისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები. ანალიზი არ გულისხმობს ნაშრომებისა და მათი ავტორების უბრალო ჩამოთვლას. აუცილებელია მასალის სტრუქტურირება და კლასიფიკაცია ასპექტების, ავტორთა პოზიციების, მიდგომებისა და სხვათა მიხედვით. ამასთანავე, უნდა გამოიკვეთოს პრობლემის ავტორისეული ხედვაც. პირველი თავის ბოლოს კეთდება ლიტერატურული წყაროების ანალიზის მოკლე რეზიუმე და წარმოჩნდება პრობლემის გადაწყვეტის ავტორისეული „მოდელი“.
- სხვა თავები (ნაწილები) ლაგდება იმის მიხედვით, თუ ლოგიკურად დასრულებულ რა ნაწილებად შეიძლება დაიყოს შესასწავლი თემა (პრობლემა). აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ თავების (ნაწილების) ერთობლიობამ სრულად უნდა მოიცვას შესასწავლი პრობლემა. თუ ავტორის (ავტორების) საკუთარი მასალა არასაკმარისია მონოგრაფიის სისრულის უზრუნველსაყოფად, კვლევა უნდა გაგრძელდეს. შესაძლებელ ვარიანტად განიხილება, საკუთარი საავტორო პოზიციის ფარგლებში, სხვა ავტორთა პუბლიკაციების გამოყენებაც (სავალდებულო მითითებით). თუ თემასთან დაკავშირებული რომელიმე საკითხი შეუსწავლელი დარჩა, ამის შესახებ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს. შესაძლებელია იმაზე აპელირება, რომ ღიად დარჩენილი საკითხები შემდგომ კვლევას საჭიროებს.
- დასკვნაში ჯამდება მონოგრაფიული კვლევის შედეგები. აქ კიდევ ერთხელ მეორდება ძალიან მოკლედ ძირითადი ფაქტები, აზრები, იდეები, წარმოჩნდება, რა საკითხები გადაწყდა კვლევის პროცესში და რა იქნება გამოკვლეული სამომავლოდ; განიხილება მიღებული

დასკვნების რეალიზების შესაძლებლობები და მათი თეორიულ-პრაქტიკული ღირებულება.

- საგნობრივი მითითებები (მონოგრაფიისთვის დადგენილი მოცულობაა 20 და მეტი ნაბეჭდი ფურცელი);
- ლიტერატურული და სხვა წყაროების ჩამონათვალი;
- დანართები დამხმარე მასალებით;
- მონოგრაფიის ხელნაწერზე მუშობის დასრულების შემდეგ დღის წესრიგში დგება მისი გამოცემის საკითხი. სამეცნიერო მონოგრაფიის გამოსაცემად აუცილებელია არანაკლებ ორი რეცენზენტის არსებობა. მათ შესახებ ცნობები განთავსება საგამოცემო ინფორმაციის ნაწილში. მითითება იმის შესახებ, რომ წიგნი მონოგრაფიაა (სამეცნიერო გამოცემა), ხდება წინასიტყვაობაში ან ანოტაციაში. სასურველია ინგლისურენოვანი ანოტაციის თანდართვაც.

მონოგრაფიის რეკომენდებული ტირაჟია არანაკლებ 500 ეგზემპლარი.

ამის შემდეგ დღის წესრიგში დგება საკითხი იმის შესახებ, თუ სად გამოიცეს მონოგრაფია. კომერციული გამომცემლობები (დღეისათვის კი, უწყებრივის გარდა, ყველა გამომცემლობა კომერციულია) ძალიან იშვიათად იზარებენ სამეცნიერო ლიტერატურას გამოსაცემად.

შესაძლებელია მონოგრაფიის გამოცემა უწყებრივ გამომცემლობებში - უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბაზაზე.

არსებობს მესამე გზაც, რომელიც მონოგრაფიის საკუთარი ან სპონსორის მიერ გაღებული ხარჯით გამოცემა, რაზეც გამომცემლობები უარს არ ამბობენ.

გამოცემამდე წიგნი ექვემდებარება რედაქტირებას. დაუშვებელია მონოგრაფიის რედაქტირება სამეცნიერო რედაქტორის მიერ. ამისათვის, ჩვეულებრივ მოიწვევენ ხოლმე ლიტერატურულ რედაქტორს. ამავდროულად, ლიტერატურულ-ენობრივი თვალსაზრისით სწორი წინადადებებისა და ლამაზი სტილის გამო არ უნდა დამახინჯდეს ავტორის აზრი.

ტექნიკური რედაქტორისა და კორექტორის დახმარება ხელნაწერის გამოსაცემად მომზადებისთვის აუცილებელია.

გამოცემის შემდეგ შესაძლებელია მონოგრაფიის ინტერნეტში განთავსება. ამისათვის მონოგრაფიას განათავსებენ ხოლმე პირად საიტზე ან ფაილს აგზავნიან ელექტრონულ ბიბლიოთეკებში, რაც, ასევე, კარგი ხერხია წიგნის გავრცელებისთვის.

7.5 სახელმძღვანელო

ხარისხიანი სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად აუცილებელია არსებობდეს მეთოდური და ჩვეულებრივი სახელმძღვანელოები. ქვემოთ ისინი გაერთიანებულია საერთო ტერმინში „სახელმძღვანელო“.

სახელმძღვანელო სასწავლო გამოცემაა, მისი სტრუქტურა განისაზღვრება სასწავლო პროგრამის მიხედვით სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად, რომელთა სრულად დაცვა სავალდებულოა.

ინფორმაციის ხასიათიდან გამომდინარე, სახელმძღვანელო მონოგრაფიის მსგავსია, თუმცა, მასში ასახული ინფორმაცია წარმოდგენილია არა ორიგინალური, არამედ აპრობირებული და დიდაქტიურად დამუშავებული მასალის სახით.

სახელმძღვანელოები არსებობენ მას შემდეგ, რაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს. ბოლო პერიოდში ბევრს საუბრობენ ახალი თაობის, საუკუნისა თუ ათასწლეულის სახელმძღვანელოებზე და განათლების „ახალ პარადიგმაზე“, მაგრამ არაა ბოლომდე გასაგები, რით განსხვავდებიან ისინი უკვე არსებულისგან.

აუცილებელია სახელმძღვანელოსადმი წაყენებული მოთხოვნების მკაფიოდ ფორმულირება. დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, სახელმძღვანელო უნდა იყოს:

1. ინფორმაციული;
2. შეიცავდეს თვალსაჩინოებას;
3. გასაგები;
4. მეცნიერული;
5. აქტუალური;
6. საინტერესო;
7. ლოგიკური;

8. პრაქტიკული;
9. სისტემური;
10. ორიგინალური.⁷⁷

განვმარტოთ თითოეული მათგანი:

1. სახელმძღვანელო უნდა შეიცავდეს საგნობრივი ინფორმაციის საკმარისად დიდ მოცულობას, თუმცა, ის ოპტიმალურად უნდა იყოს დაბალანსებული. ინფორმაციის გადაჭარბებულად მოწოდება გაუმართლებელია, სახელმძღვანელო არ არის სამეცნიერო მონოგრაფია.

2. სასწავლო წიგნში უხვად უნდა იყოს წარმოდგენილი თვალსაჩინოება (ილუსტრაციები, გრაფიკები, ცხრილები და სხვ.) მასალა უნდა იყოს კარგი ხარისხის, გასაგები, გამოიწვიოს ინტერესი.

3. წიგნი დაწერილი უნდა იყოს გასაგები ენით, ადვილად იკითხებოდეს, იოლი იყოს ტექსტის დამახსოვრება. არ შეიძლება მისი გადატვირთვა უცხოური და გაუგებარი სიტყვებით. წინადადებები უნდა იყოს მარტივი, მოკლე. ზოგჯერ, სახელმძღვანელოს ავტორი, რომელსაც საკუთარი განსწავლულობის წარმოჩენა სურს, უხვად იყენებს უცხოურ სიტყვებს, რთულ წინადადებებს და არ ითვალისწინებს, რომ სახელმძღვანელო არა სამეცნიერო მონოგრაფია, არამედ სასწავლო წიგნია ახალგაზრდა ადამიანისთვის, რომელიც ახლა იწყებს პროფესიულ ზრდას.

4. სახელმძღვანელო უნდა იყოს მეცნიერული. მან უნდა აირეკლოს მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობა, შეიცავდეს ინფორმაციას უკანასკნელი მიღწევების შესახებ მოცემულ სფეროში. თუმცა, ასეთი ინფორმაცია განსაზღვრული მოცულობით უნდა მიეწოდებოდეს მკითხველის მისი დონის გათვალისწინებით - სკოლის მოსწავლე, სტუდენტი, ბაკალავრი, მაგისტრანტი, დოქტორანტი.

5. სახელმძღვანელოს აუცილებლად მოეთხოვება აქტუალობა, ანუ მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს შესასწავლი ობიექტის შესახებ თანამედროვე მონაცემების გათვალისწინებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნორმატიული დისციპლინების სახელმძღვანელოებისთვის.

⁷⁷ <http://mysl.kazgazeta.kz/?p=447>

6. სახელმძღვანელომ უნდა გამოიწვიოს *ინტერესი*. დიდი ხანია დამტკიცებულია, რომ სწავლება და საგნის ათვისება მარტივდება თამაშის პირობებში. სასწავლო წიგნები გათვალისწინებულია ახალგაზრდებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასალა მიმზიდველად იქნას აღწერილი, რაც ხელს შეუწყობს მის ადვილად ათვისებასა და დამახსოვრებას. ტექსტი გაჯერებული უნდა იყოს საინტერესო ისტორიული და ცხოვრებისეული მაგალითებით, პერიოდულად უნდა მოხდეს ძირითადი მასალის გადმოცემიდან გადახვევა და სხვა თემაზე გადასვლა, იუმორისა და სატირის გარეშე. ამ მხრივ, საჩვენებელია ამერიკული სახელმძღვანელოები. მათში ბევრია ილუსტრაციები, ინფორმაცია იუმორითაა შეზავებული, გამოყენებულია მნემოტექნიკა. მასალის კიდევ უფრო უკეთ დამახსოვრებისთვის სასურველია მოწოდებულ ინფორმაციას თან დაერთოს კარგად ნაცნობი და საინტერესო ფაქტები.

7. სახელმძღვანელოში მასალა დალაგებული უნდა იყოს *ლოგიკურად*, თანმიმდევრულად, ერთი დებულება საფუძვლად უნდა ედებოდეს მეორეს, დაცული უნდა იყოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საგანი იქნება მარტივად გასაგები და არ გამოიწვევს გულაცრუებას მოსწავლეში. მასალის ქაოტურად, არათანმიმდევრულად გადმოცემისას მოსწავლეს უმწიფდება იმის გაგება, თუ საიდან ჩნდება ფაქტები, რას ეფუძნება დასკვნები, და ა. შ.

8. სახელმძღვანელოს *პრაქტიკულობას* განსაზღვრავს მისი გაჯერება პრაქტიკული რჩევებით, მაგალითებით. ხშირად გამოყენებითი დისციპლინის სახელმძღვანელო იძლევა ფუნდამენტურ თეორიულ ცოდნას, მაგრამ მასში ცოტაა საქმიანობაში გამოსაყენებელი პრაქტიკული მაგალითები;

9. სახელმძღვანელო უნდა იყოს მთლიანი, *სისტემური*, იგრძნობოდეს ავტორის წამყვანი პოზიცია, აგებული იყოს ერთ პრინციპზე. არსებობს სახელმძღვანელოები, რომლებშიც მრავალი გვერდი ეთმობა ავტორიტეტების გამონათქვამებს და არაა გამოხატული ავტორის თვალსაზრისი.

10 სახელმძღვანელოს *ორიგინალობა* ავტორის დონეზე მეტყველებს. ორიგინალურ სახელმძღვანელოში მოცემულია უახლესი ინფორმაცია, მასალა ახლებურადაა წარმოჩენილი, ყურადღებაა გამახვილებული უკვე ცნობილი ინფორმაციის ადრე გაუთვალისწინებელ მხარეებზე.

ბუნებრივია, რომ ასეთი სახელმძღვანელო ახალი ცოდნის მატარებელი იქნება.⁷⁸

სახელმძღვანელოს სტრუქტურა შეიცავს შემდეგ აუცილებელი ელემენტებს: სატიტულო ფურცელს, ანოტაციას, სარჩევს, შესავალს, ძირითად ნაწილს, დასკვნას, ბიბლიოგრაფიულ ნუსხას. დამატებითი ელემენტების სახით შეიძლება წარმოდგენილი იყოს: წინასიტყვაობა, დანართი, ტერმინთა ლექსიკონი, პირობითი აღნიშვნებისა და შემოკლებების ჩამონათვალი და ა. შ.

- *სატიტულო ფურცელი (სატიტულო გვერდი)* წიგნის აპარატის აუცილებელი ელემენტია, ის გამოცემის შესახებ ინფორმაციის მთავარი წყაროა. სასწავლო წიგნის დასახელება უნდა შეესაბამებოდეს დისციპლინისას.

- *ანოტაცია* წიგნის ნაწილია, რომელშიც მოცემულია გამოცემის მოკლე დახასიათება მისი დანიშნულების, შინაარსის, ფორმის და სხვა თავისებურებების მიხედვით. სასწავლო გამოცემებში აუცილებლად უნდა მიეთითოს რომელი დისციპლინის პროგრამას შეესაბამება მეთოდური სახელმძღვანელო.

- *სარჩევი* გამოცემის მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც ზოგად წარმოდგენას იძლევა სასწავლო წიგნის თემატიკაზე, მის სტრუქტურაზე, რუბრიკების თანმიმდევრობასა და მათ ურთიერთკავშირზე. სარჩევი მოიცავს ყველა დონის სათაურს. დიდაქტიკური კუთხით, სახელმძღვანელოს თავი, როგორც წესი, შეესაბამება კურსის პროგრამის ნაწილს, პარაგრაფი - თემას. სალექციო კურსის სარჩევში დაიშვება სათაურად „ლექციის“ მითითება რიგითი ნომრის ჩვენებით.

სასწავლო წიგნის სარჩევეზე მუშაობისას მიზანშეწონილია მისი უფრო სრულყოფილი სახეობის გამოყენება არამარტო თავების, არამედ პარაგრაფების მითითებით, რაც სტუდენტს მეტად უმარტივებს მუშაობას.

წინასიტყვაობა – გამოცემის აპარატის ელემენტია. მისი დაწერა შეუძლია როგორც ავტორს, ისე რეცენზენტს, რედაქტორს ან ვინმეს, შეკვეთით. სასწავლო წიგნის წინასიტყვაობის ამოცანაა გამოცემის მნიშვნელობის

⁷⁸ Ben-Ari, M., Walker, H. M., Redvers-Mutton, G., and Mansfield, K. 2002. Writing a textbook. In Proceedings of the 7th Annual Conference on innovation and Technology The Textbook and after... Pierre Moeglinin Computer Science Education (Aarhus, Denmark, June 24 - 28, 2002). ITiCSE '02. ACM Press, New York, NY, 94-95.

ხაზგასმა სასწავლო პროცესისთვის მოცემულ სპეციალობაში, დისციპლინაში, ასევე წინამდებარე გამოცემის განსხვავების წარმოჩენა წინამორბედებისგან.

წინასიტყვაობაში დასაშვებია განისაზღვროს სახელმძღვანელოს დანიშნულება, მისი როლი და ადგილი სასწავლო პროცესში, მოთხრობილი იქნას მასალის შერჩევის და წიგნის აგების პრინციპების შესახებ, დაფიქსირდეს ავტორის პოზიცია დისციპლინის ძირითადი ასპექტების მიმართ. გარდა ამისა, წინასიტყვაობაში შეიძლება მადლიერების გამოხატვა პირებისადმი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს წიგნის შექმნაში.

წინასიტყვაობა შეიძლება შეიცავდეს მეთოდურ მითითებებს წიგნის გამოყენებაზე. ამასთან აუცილებელია:

- წარმოჩნდეს გამოცემის თავისებურებები, რომლებიც მის სიახლესა და აქტუალობაზე მეტყველებენ;
- აღწერილ იქნას დისციპლინის სასწავლო მიზნები სამუშაო პროგრამის შესაბამისად;
- მოხდეს სასწავლო ელემენტების სტრუქტურის, შემადგენლობის, შინაარსის კომენტირება ისე, რომ გამაზვილდეს ყურადღება უფრო მნიშვნელოვან ასპექტებსა და პრობლემებზე;
- გაიცეს რეკომენდაციები დისციპლინის ცალკე თემებად და მთლიანობაში შესწავლისთვის;
- განიმარტოს თვითშემოწმების შესაძლებლობები და ცოდნის გარე კონტროლის თავისებურებები, სპეციალური სიმბოლოების მნიშვნელობა (პიქტოგრამები);
- მიეთითოს დავალების შესრულების სპეციფიკა და თანმიმდევრობა.

წინასიტყვაობისგან განსხვავებით, შესავალი არ წარმოადგენს გამოცემის აპარატის ელემენტს. ის ძირითადი ტექსტის ელემენტია და მისი დაწერა მხოლოდ ავტორს შეუძლია. შესავლის ძირითადი დანიშნულებაა, წარმოაჩინოს წიგნის ძირითადი შინაარსი, სასწავლო დისციპლინის პრობლემატიკა და მოამზადოს მკითხველი (სტუდენტი) მასალის ათვისებისთვის.

შესავალში შეიძლება წარმოჩნდეს შემდეგი ასპექტები:

- დისციპლინის საგნობრივი სფერო;
- მისი აქტუალობა;
- სამეცნიერო-პრაქტიკული მნიშვნელობა;
- შინაარსობრივი დახასიათება;

- ისტორიული ცნობები დისციპლინის ჩამოყალიბების შესახებ, თანამედროვე მდგომარეობა, განვითარების მოკლე ისტორია, პერსპექტივები და ტენდენციები;
- მეთოდოლოგიის, ძირითადი ცნებების, პრინციპების მიმოხილვა.

შესავლის რეკომენდებული მოცულობაა 4,5 – 5 ათასი ნიშანი.

სახელმძღვანელოს ძირითადი ტექსტი უნდა შედგებოდეს სასწავლო ელემენტების ერთობლიობისგან - თავების, ნაწილების ან ლექციებად დაყოფილი თემებისგან. თემებად სასწავლო მასალა შემღებებისდაგვარად თანაბრად უნდა განაწილდეს. ყოველი თემა უნდა მოიცავდეს სასწავლო ტექსტს, საკონტროლო კითხვებს და დავალებებს, ბიბლიოგრაფიულ დანართს, რომელიც შეილება განთავსდეს თავის ან ნაწილის ბოლოს (ავტორის შეხედულებისამებრ).

ძირითადი (სასწავლო) ტექსტი დიდაქტიკურად და მეთოდოლოგიურად დამუშავებული სისტემატიზებული მასალაა. ის ინფორმაციის მთავრი წყაროა და უზრუნველყოფს ახალი ცოდნის სრულყოფილად ათვისებას. სახელმძღვანელოს ძირითადი ტექსტი

- სრულად უნდა აირეკლავდეს სამუშაო პროგრამით განსაზღვრულ შესწავლის საგანს;
- დისციპლინის ცნებითი აპარატი კორექტულად უნდა იყოს გამოყენებული, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა შეესაბამებოდეს იმ განსაზღვრებებსა და განმარტებებს, რომელთა გამოყენება მიღებულია სამეცნიერო ცოდნის მოცემულ სფეროში;
- წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს სწორი და მეცნიერული;

ძირითადი თეორიული მასალის გარდა, სასწავლო ტექსტი უნდა მოიცავდეს დამატებით და განმარტებით მასალებს. განმარტებით მასალებს მიეკუთვნება ტერმინები და განსაზღვრებები, ასევე ტექსტის ავტორისეული ახსნა და დამატებები. განმარტებითი მასალები ხსნიან და აზუსტებენ ძირითადი ტექსტის ცალკეულ დებულებებს. ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა იკვეთებოდეს კავშირი ძირითად ტექსტთან;
- მიზნობრივად უნდა იქნას შერჩეული დებულებები, რომლებიც დამატებით განმარტებას საჭიროებენ;
- სწორად უნდა განისაზღვროს განმარტების შინაარსი და მოცულობა;
- გასაგები უნდა იყოს შესაბამისი კატეგორიის მკითხველისთვის.

ტექსტში პირველად გამოყენებული ტერმინები გამოიყოფა მსხვილი შრიფტით. ტერმინის ქვეშ იგულისხმება სიტყვა ან სიტყვათა შეთანხმება, რომელიც ზუსტად აღნიშნავს ცოდნის კონკრეტული სფეროს ამა თუ იმ ცნებას. ცნების ქვეშ იგულისხმება ლოგიკური აზრი, რომელიც საგნებისა და მოვლენების ზოგად და არსობრივ ნიშნებს აირეკლავს.

ავტორის განმარტებები და დამატებები მიზანშეწონილია გაფორმდეს, როგორც სტრიქონქვეშა შენიშვნა, თუ ის

- მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისაა;
- წყვეტს თანმიმდევრულ თხრობას;
- გაუმართლებლად ართულებს ფრაზას;
- არ იძლევა აზრის გამოყოფისა და ხაზგასმის იმგვარ საშუალებას, როგორსაც შენიშვნა;
- დიდია მოცულობით და შეეხება ერთ სიტყვას ან სიტყვათშეთანხმებას.

სტრიქონქვეშა შენიშვნა, ისე როგორც, სტრიქონქვეშა ბიბლიოგრაფიული მითითება განთავსდება გვერდის ქვემო ნაწილში. მითითების აღნიშვნისთვის გამოიყენება არაბული ციფრები, ნუმერაცია გვერდობრივია.

დამატებითი მასალის ჩართვა აფართოვებს საგნობრივი სფეროს საზღვრებს ისტორიული, ზოგადკულტურული, სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაციის თანდართვით.

დამატებითი ტექსტური მასალები (მაგალითები, დიდი ციტატები) რეკომენდებულია პირითადი ტექსტისგან გამოიყოს დამატებითი დაშორებით ან პიქტოგრამის სახით მოინიშნოს ველებზე, რომელთა მნიშვნელობაზე წინასწარ კეთდება დათქმა შესავალში, მეთოდურ მითითებებში. დამატებითი ინფორმაცია იკრებიება განსხვავებული (უფრო მცირე ზომის) შრიფტით.

დამატებითი ტექსტის განსაკუთრებული სახეობებია ილუსტრაციები, ცხრილები, ფორმულები, რომელთაც იყენებენ თვალსაჩინოებისთვის, ობიექტებსა და პროცესებს შორის კავშირის გამოსავლენად, ტექსტის აზრის ახსნისა და გაღრმავებისთვის, როგორც დამხმარე საშუალებას ცოდნის ასათვისებლად და დასამახსოვრებლად.

ილუსტრაციის ქვეშ იგულისხმება ფერადი ან შავ-თეთრი ნახატი, რუქა, ნახაზი, სქემა, გრაფიკი, დიაგრამა და სხვა სახითი ელემენტები.

ცხრილის ქვეშ იგულისხმება ბეჭდვითი მასალა დაჯგუფებული დამოუკიდებელი დასათაურების სვეტებისა და მწკრივების სახით, რომლებიც ერთმანეთისგან ხაზებით გამოიყოფა.

საილუსტრაციო მასალისადმი წაყენებული ზოგადი მოთხოვნებია:

- ილუსტრაციის ჩართვის მიზანშეწონილობა;
- ტექსტის სადემონსტრაციო ფრაგმენტთან შესაბამისობა;
- მაღალი ხარისხი (თვალსაჩინოება, ესთეტიკური მახასიათებლები).

ტექსტშიდა მითითებები ილუსტრაციებსა და ცხრილებზე სავალდებულოა. ავტორი ვალდებულია ელექტრონულ ხელნაწერს დაურთოს ილუსტრაციების ცალკეული ფაილები. ნახატის ელემენტები დაჯგუფებული უნდა იყოს და მიბმული ტექსტზე.

სკანირებული ფოტოგრაფიებისა და რეპროდუქციების ცუდი ხარისხის შემთხვევაში, რედაქცია უფლებამოსილია მოითხოვოს ორიგინალი.

საკონტროლო კითხვები და დავალებები სახელმძღვანელოსა და დიდაქტიკური სისტემის აპარატის მნიშვნელოვანი შემადგენელი, სასწავლო ტექსტის აუცილებელი ელემენტია.

საკონტროლო შეკითხვებმა და დავალებებმა ხელი უნდა შეუწყოს:

- სტუდენტის მიერ ცნებითი აპარატის გააზრებას;
- ფაქტობრივი მასალის დამახსოვრებას;
- მიზეზ-შედეგობრივი, დროითი და სხვა კავშირების დადგენას;
- მთავარის გამოყოფას, შედარებას, დამტკიცებას, კონკრეტიზაციას, განზოგადებას და ა.შ.

განახსვავებენ კითხვებისა და დავალებების სამ ძირითად ტიპს:

- რეპროდუქციულს - ცოდნის ფიქსაციას აზროვნების რეპროდუქციული ფუნქციის საფუძველზე;
- ანალიზურს - ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშემწყობს;
- პროდუქტიულს - მიღებული ცოდნის გამოყენების ხელშემწყობს.

საკონტროლო კითხვებსა და დავალებებს უნდა ჰქონდეს ნუმერაცია და განლაგდეს უმუალოდ ძირითადი ტექსტის შემდეგ.

ბიბლიოგრაფიული ჩამონათვალი სასწავლო გამოცემაში უნდა მოიცავდეს ავტორის მიერ რეკომენდებულ ლიტერატურას, დისციპლინის უფრო გაღრმავებული შესწავლისთვის.

ბიბლიოგრაფიული ჩამონათვალი განთავსდება ყოველი თავის ბოლოს და შედგება ორი ნაწილისგან - ძირითადი და დამატებითი ლიტერატურისგან. ძირითადი ლიტერატურა მოიცავს ბოლო 5-10 წლის მანძილზე გამოქვეყნებულ ნაშრომებს. სასწავლო გამოცემაში უნდა მიეთითოს უფრო ავტორიტეტული წყაროები, რომლებიც შეავსებენ სასწავლო მასალას, ხელს შეუწყობენ ცოდნის გაღრმავებასა და გაფართოვებას. შემოთავაზებული ბიბლიოგრაფიული წყაროების ცალკეული ნაწილების (გვერდების) მითითება აუცილებელია.

დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალი, სასწავლოსთან ერთად, შეიძლება მოიცავდეს საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ, პერიოდულ და სამეცნიერო გამოცემებს.

დასკვნა სახელმძღვანელოს ტექსტის სინთეზური, განმაზოგადებელი, დამამთავრებელი აუცილებელი სტრუქტურული ნაწილია. მასში ხდება:

- შედეგების შეჯამება;
- სახელმძღვანელოს ძირითად ნაწილში გადმოცემული ინფორმაციის განზოგადება;
- ძირითადი გადაუწყვეტელი პრობლემების მოკლე დახასიათება;
- განიხილება არსობრივი დასკვნები და სასწავლო დისციპლინის განვითარების ტენდენციები;
- გაიცემა რეკომენდაციები დისციპლინის შემდგომი შესწავლისათვის.

შეკითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. რას ნიშნავს სამეცნიერო სტილი?
2. დაახასიათეთ სამეცნიერო კვლევის ინფორმაციული რესურსები.
3. აღწერეთ ტრადიციული და ელექტრონული ინფორმაციული რესურსები.
4. აღწერეთ სამეცნიერო სტატიის დაწერის თავისებურებები.
5. როგორია სამეცნიერო სტატიის რეცენზიის სტრუქტურა?
6. აღწერეთ მონოგრაფიის სტრუქტურა და მისი განსხვავება სტატიისაგან.
7. აღწერეთ სახელმძღვანელოს სტრუქტურა და მისი განსხვავება მონოგრაფიისა და სტატიისაგან.

ტესტი

1. სახელმძღვანელოს მთავარი პარამეტრების ტიპური კრიტერიუმებია: :

- აქტუალობა;
- ფარდობითობა
- ლოგიკურობა;
- პრაქტიკულობა.

2 რამდენ ნიშანს უნდა შეიცავდეს მონოგრაფიის საშუალო მოცულობის ანოტაცია?

- 100-500 ნიშანს;
- 500-1000 ნიშანს;
- 1000-1500 ნიშანს;
- 1500-2000 ნიშანს.

3. ავტორმა არ უნდა გამოაქვეყნოს სტატია, თუ ის

- წარმოადგენს სამეცნიერო ინტერესს მოკლებულ ანგარიშს;
- შეიცავს მოძველებულ მასალას;
- ადრე გამოქვეყნებული შრომების დუბლირებაა;
- წარდგენილია გამოსაქვეყნებლად უცხოური რეცენზიის გარეშე.

4. მონოგრაფიის სათაური უნდა იყოს მოკლე და გასაგები, შეიცავდეს არაუმეტეს

- 5-6 სიტყვას;
- 3-4 სიტყვას;
- 6-7 სიტყვას;
- 1-2 სიტყვას.

5. სტატიის საშუალო მოცულობის ანოტაცია უნდა შეიცავდეს არაუმეტეს

- 500 ნიშანს;
- 600 ნიშანს;
- 700 ნიშანს;
- 900 ნიშანს.

6. სამეცნიერო ნაწარმოების რომელი ჟანრია პირველადი?

- მონოგრაფია;
- სტატია;
- სახელმძღვანელო;
- ავტორეფერატი.

7. თავისი შინაარსით სტატია შეიძლება იყოს:

- საკონფერენციო (Conference paper)
- სრული (Full Article)
- მოკლე (Short Communications Articles)
- საგაზეთო (Newspaper article)

8. თანამედროვე სამეცნიერო სტილის მკვლევარები გამოყოფენ სამეცნიერო დიალოგის შემდეგ სახეობებს:

- ინტელექტუალურ საუბარს;
- სამეცნიერო დისკუსიას;
- დიალოგის სქემით აგებულ მონოგრაფიას;
- მრავალმხრივ დისკუსიას

9. რას ნიშნავს აბრევიატურა ISBN:

- წიგნის საერთაშორისო სტანდარტულ ნომერს;
- გამომცემლობის საერთაშორისო სტანდარტულ ნომერს;
- პლაგიატისგან საერთაშორისო დაცულობას;
- ბიბლიოთეკის სარეგისტრაციო ნომერს.

10. როდის დაარსდა პირველი ღია ელექტრონული ბიბლიოთეკა „გუტენბერგის პროექტი“?

- 1961 წელს;
- 1971 წელს;
- 1981 წელს;
- 1991 წელს.

თავი 8. დისერტაციის მომზადების ძირითადი ეტაპები

- 8.1. კვლევის მეთოდების შერჩევა
- 8.2. სადისერტაციო თემის შერჩევა
- 8.3. დისერტაციის სათაური
- 8.4. დისერტაციის სტრუქტურა
 - 8.4.1. შესავალი: დისერტაციის პროგრამა
 - 8.4.2. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი (დისერტაციის პირველი თავი)
 - 8.4.3. მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა/ანგარიში (დისერტაციის მეორე თავი)
 - 8.4.4. კვლევის შედეგები (დისერტაციის მესამე თავი)
 - 8.4.5. განსჯა და მეცნიერული მიგნებები (დისერტაციის მეოთხე თავი)
 - 8.4.6. დასკვნა-რეკომენდაციები (დისერტაციის მეხუთე თავი)
 - 8.4.7. გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა
- 8.5. ავტორეფერატის (გაფართოებული რეზიუმეს) მომზადება

მე-8 თავის შესწავლის შემდეგ, სტუდენტმა უნდა

იგოდეს:

- როგორ აირჩიოს სადისერტაციო თემა;
- როგორ ჩამოაყალიბოს დისერტაციის სათაური;
- როგორ შეარჩიოს სადისერტაციო კვლევის რელევანტური მეთოდები;
- როგორ გააფორმოს დისერტაციის სტრუქტურა;
- როგორ მოამზადოს ავტორეფერატი (გაფართოებული რეზიუმე).

შეძლოს:

- სადისერტაციო კვლევის ძირითადი ეტაპების გამიჯვნა;
- მოამზადოს დისერტაციის სტანდარტიზებული შესავალი და დასკვნა;
- შეადგინოს ბიბლიოგრაფია და გააკეთოს მითითებები დისერტაციის ტექსტში;
- მოამზადოს ავტორეფერატი (გაფართოებული რეზიუმე).

შეიძინოს უნარები:

- თეორიული და ემპირიული კვლევის ეტაპების გამიჯვნის;
- კვლევის ვადების, რესურსების, შესაძლებლობების გათვლის;

- კვლევისათვის შერჩეული თითოეული მეთოდის დადებითი მხარეებისა და ნაკლოვანებების განსაზღვრის;
- დისერტაციის სტრუქტურირების;
- სადისერტაციო კვლევის ნაწილების გამოჯგნის.

თემის შინაარსი

სადოქტორო დისერტაციის მომზადება

- ✓ კვლევის დასახელების შერჩევის მეთოდიკა;
- ✓ კვლევის მეთოდების შერჩევა;
- ✓ დისერტაციის სტრუქტურის შემუშავება;
- ✓ დისერტაციის შესავლისა და დასკვნის ჩამოყალიბების თავისებურებები;
- ✓ ლიტერატურის მიმოხილვის თავისებურებები სადისერტაციო კვლევაში;
- ✓ მეთოდოლოგიური ბაზა;
- ✓ კვლევის შედეგები;
- ✓ კვლევის სიახლე, დასკვნა და რეკომენდაციები.

თემის შესწავლის მიზანი:

- ✓ ამოსავალი ცოდნის ფორმირება დისერტაციის სტრუქტურის შესახებ

თემის შესწავლის ამოცანები:

- ✓ ცოდნის მიღება დისერტაციის დაწერის მეთოდების შესახებ;
- ✓ აქტუალური თემის და დისერტაციის სათაურის შერჩევის უნარების გამომუშავება;
- ✓ დისერტაციის ავტორეფერატის (გაფართოებული რეზიუმეს) მომზადების შესწავლა.

თემის შესწავლისას ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ ცნებებზე:

- ✓ მეთოდი;
- ✓ მეთოდიკა;
- ✓ დისერტაციის სტრუქტურა;
- ✓ თეორიული;
- ✓ პრაქტიკული;
- ✓ დისერტაციის თემატიკა;
- ✓ დისერტაციის დასახელება;
- ✓ კონვერგენცია;
- ✓ დივერგენცია;
- ✓ პროგრამა;

- ✓ ბიბლიოგრაფია;
- ✓ შედარებით-სამართლებრივი მეთოდი;
- ✓ ფორმალურ-იურიდიული მეთოდი;
- ✓ სისტემურ-სტრუქტურული მეთოდი.

თემის შესწავლის თანმიმდევრობა:

1. თეორიული მასალის შესწავლა;
2. პრაქტიკული დავალების შესრულება;
3. პასუხი ტესტურ შეკითხვებზე.

დამატებითი ლიტერატურა:

1. Philips, E and Pugh, D (2005, 4th edn) *How to get a PhD: A Handbook for Students and their Supervisors*, Maidenhead: Open University Press.
<http://www.ntu.edu.vn/Portals/73/How%20to%20get%20PhD.pdf>
2. Roisin Donnelly and Marian Fitzmaurice *Resource Pack on Supervising Postgraduate Students* -
<https://www.dit.ie/litc/media/ditlitc/documents/Microsoft%20Word%20-%20Supervising%20Postgraduate%20Students.pdf>
3. Writing a Thesis or Dissertation Proposal -
<http://pwr.la.psu.edu/resources/graduate-writing-center/handouts-1/WritingProposals.pdf/>

8.1 კვლევის მეთოდების შერჩევა

კვლევის შედეგიანობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს რელევანტური მეთოდების შერჩევა, რისთვისაც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული:

- კვლევითი სამუშაოს მიზნები;
- კვლევის საბოლოო შედეგებისადმი წაყენებული მოთხოვნები, მათი სანდოობა;
- შეზღუდვები კვლევის ვადებზე, რესურსებზე, შესაძლებლობებზე, ტექნიკურ საშუალებებზე;
- ინფორმაცია ანალოგიური კვლევების შესახებ და ფაქტობრივი მონაცემები კვლევის ობიექტზე, საწარმოო სისტემასა და გარემოზე;
- განსახილველი მეთოდების დადებითი და ნაკლოვანი მხარეები.

ამა თუ იმ მეთოდის შერჩევა (მიზნის, კვლევის სიღრმისა და სიზუსტისადმი მოთხოვნის, ვადების შეზღუდვის და ა.შ. გათვალისწინებით) ხორციელდება:

- ინტუიციურად, მკვლევარის გამოცდილებაზე დაყრდნობით;
- ლოგიკის ხერხების და ფორმალური მეთოდური წესების გამოყენებით;
- ექსპერტული ხერხით - ექსპერტის გამოცდილების, ლოგიკის, ცოდნისა და ინტუიციიდან გამომდინარე;
- კონსულტაციური ხერხით - ანუ სპეციალისტ-კონსულტანტების რეკომენდაციების საფუძველზე;
- დასაბუთების ფორმალური მეთოდებითა და ოპტიმიზაციით.

ნებისმიერ შემთხვევაში, კვლევის ეფექტურობა და ობიექტურობა მიიღწევა რელევანტური მეთოდების კომპლექსური გამოყენებით. ამავდროულად ზოგი მათგანი შეიძლება ეფექტური იყოს კვლევის ერთ რომელიმე ეტაპზე, ზოგი კი სხვაზე.

8.2. სადისერტაციო თემის შერჩევა

სადისერტაციო თემის შერჩევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თემის სწორად შერჩევა დისერტაციის წარმატებით შესრულების საწინდარია.

თემის დისერტაბელურობა ნიშნავს, რომ ის უნდა იყოს აქტუალური სამეცნიერო და გამოყენებითი თვალსაზრისით, ჰქონდეს პრაქტიკული მნიშვნელობა და შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს. ამიტომ ხარისხის მაპიებელი ჯერ კიდევ დოქტორანტურაში მისაღებ გამოცდებზე წარსადგენი რეფერატის მომზადებისას დაწვრილებით უნდა გაეცნოს კვლევის ობიექტთან დაკავშირებულ პრობლემებს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს, რა ტიპის კვლევა უნდა განხორციელდეს სადისერტაციო თემის ფარგლებში. არსებობს კვლევის შემდეგი ტიპები:

- ფუნდამენტური, რომელიც მიმართულია იურიდიული ან სხვა მეცნიერების თეორიული კონცეფციის შემუშავებაზე, მისი მეთოდოლოგიის, სამეცნიერო სტატუსის განვითარებაზე. ფუნდამენტური კვლევები ტარდება ცალკეული სამართლებრივი დისციპლინის ფარგლებშიც, როგორცაა დანაშაულობის თეორია,

სამართალდარღვევათა პრევენციის საგნობრივი მეთოდისა და ა. შ. ფუნდამენტური კვლევის შედეგები ყოველთვის ვერ აისახება განათლების პრაქტიკაში;

- გამოყენებითი კვლევების საფუძველზე უმეტესწილად ხდება პრაქტიკული ამოცანების ან პრაქტიკული მიმართულების თეორიული საკითხების გადაწყვეტა. გამოყენებითი კვლევა, ჩვეულებრივ, ფუნდამენტურის ლოგიკური გაგრძელებაა და დამხმარე ხასიათს ატარებს.
- სხვადასხვა სახის მიგნებები რომელთა ამოცანა განათლების პრაქტიკის უშუალო მომსახურებაა. მათი შედეგია საგანმანათლებლო პროგრამები, მეთოდური დამხმარე სახელმძღვანელოები, რეკომენდაციები, ინსტრუქციები და ა.შ.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ სპეციალობა, რომელშიც დოქტორის ხარისხის მინიჭება ხდება, შეიძლება რამდენიმე იყოს და მათგან ყველა არაა ხოლმე წარმოდგენილი უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებში. ამიტომ მკაფიოდ უნდა განისაზღვროს კონკრეტული სპეციალიზაცია, რომლის ფარგლებშიც ჩატარდება კვლევა და დაცული იქნება დისერტაცია. ასე მაგალითად, სამართლებრივ მეცნიერებებში ეს შეიძლება იყოს სისხლის სამართალი და კრიმინოლოგია, საჯარო სამართალი, კერძო სამართალი, საერთაშორისო სამართალი.

იურიდიულ მეცნიერებათა სფეროში სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებისთვის ძირითად ამოცანას შეიძლება წარმოადგენდეს საკანონმდებლო კვლევები, სახელმწიფო ან კერძო სტრუქტურების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პროცესები, საკონსტიტუციო უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკითხები და ა.შ. ეკონომიკური სფეროს მაძიებლებისთვის განმსაზღვრელია ეკონომიკური პროცესების კვლევა, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტის ახალი მეთოდების შემუშავება, ორგანიზაციულ-ტექნიკური და საინჟინრო გადაწყვეტილებების ეფექტურობის შესწავლა და ეკონომიკური დასაბუთება და სხვ. თუმცადა, სოციალური კვლევების ნებისმიერი მიმართულებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მიღებული შედეგები შეესაბამებოდეს მეცნიერული აზრის უმაღლეს მიღწევებს, რეალიებს და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციებს, გთავაზობდეს სამართლებრივი ან ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის ახალ მეთოდებს და მექანიზმებს და სხვ.

სფეროს განურჩევლად, ყველა ნაშრომი საჭიროებს კვლევის აპარატს ამა თუ იმ ინფორმაციულ-ლოგიკური მოდელით, მათი აგების ხერხებით, მათ შორის, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით.

კვლევის მეთოდებისა და ხერხების მიხედვით, განარჩევენ დისერტაციის რამდენიმე ტიპს:

- კონვერგენციულ (კრებით) დისერტაციას, რომლის ფარგლებშიც ჩატარებული კვლევა დაკავშირებულია შეგროვებული სამეცნიერო მასალის განზოგადებასთან ახალი მოვლენების, პროცესების ან ემპირიული მონაცემების სახით;
- დივერგენციულ (განვრცობთ) დისერტაციას, როდესაც ნაშრომში ნაჩვენებია ერთი სამეცნიერო დარგის კვლევის მეთოდების წარმატებული გამოყენების შესაძლებლობა მეორე დარგის კვლევით სფეროში, რაც ახალი საინტერესო შედეგების მიღების საშუალებას იძლევა;
- ინოვაციურ (ყველაზე რთული ტიპის) დისერტაციას, რომელშიც მუშავდება სამეცნიერო ცოდნის ფარგლებში კონფლიქტური სიტუაციის სახით აღმოცენებული ახალი სამეცნიერო პრობლემა. ასეთ ვითარებაში მკვლევარს უწევს ისეთი საკითხების გადაწყვეტა, რომელზე პასუხიც წინამორბედ ლიტერატურაში არ მოიპოვება, პრაქტიკულ არენაზე კი, უკეთეს შემთხვევაში, გამოცდილება გროვდება, რაც ჯერ კიდევ არ იძლევა აღმოცენებული პრობლემის განმარტების საშუალებას.⁷⁹

დისერტაცია შეიძლება ეძღვნებოდეს ცნობილი მოვლენის ან პროცესის უფრო დეტალურ დამუშავებას სამეცნიერო კვლევის მეთოდების მთელი არსენალის გამოყენებით და საინტერესო მეცნიერული შედეგების თანხლებით. გადასაწყვეტი სამეცნიერო ამოცანის ხასიათიდან და სირთულის ხარისხიდან გამომდინარე, შეიძლება ჭარბობდეს კვლევის თეორიული ან ემპირიული მეთოდები. ამ ტიპის დისერტაციები უფრო ფართოდაა გავრცელებული, რაც ცნობილი ფაქტების ახალ ასპექტში დანახვის და დოქტორანტის მომზადების დონის მნიშვნელოვანი ზრდის საშუალებას იძლევა.

სადისერტაციო თემის ფორმულირებისას აუცილებელია დასახული ამოცანებისა და კვლევის პროგრამის მხედველობაში მიღება. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, დოქტორანტის სწრაფვამ სადისერტაციო თემაში

⁷⁹ Селетков С.Г. Теоретические положения диссертационного исследования. Монография. 2011

უფრო ფართოდ წარმოაჩინოს დასახული ამოცანები, ვიდრე ამას კვლევის პროგრამა ითვალისწინებს, შეიძლება კრიტიკა გამოიწვიოს ექსპერტების (რეცენზენტების) მხრიდან, რომლებიც ნაშრომს შეაფასებენ, როგორც ზედაპირულს. ფართოდ ფორმულირებულ თემებში მაძიებელს, როგორც წესი, უჭირს მთავარი მიმართულებების გამოყოფა და დასკვნების კლასიფიცირება. ამავდროულად, ზედმეტად ვიწრო ამოცანების გადაწყვეტისას, რთულია კვლევის ობიექტის ყველა თავისებურების წარმოჩენა და ადეკვატური შედეგებისა და დასკვნების მიღება. ამიტომ სადისერტაციო თემის არჩევისას, მიზანშეწონილია შედარებით ვიწრო ამოცანის დასახვა, რათა შესაძლებელი იყოს მისი ღრმად დამუშავება მთლიანად პრობლემის შეფასების კვალდაკვალ.

სადისერტაციო თემა სასურველია უკავშირდებოდეს პერსპექტიული მიმართულების ახალ სამეცნიერო კვლევებს. არსებობს რამდენიმე ხერხი, რომლებიც სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებს დაეხმარება თემის დამოუკიდებლად შერჩევაში. ესენია:

- დაცული დისერტაციების კატალოგის ნახვა, უკვე შესრულებული სადისერტაციო ნაშრომების გაცნობა.
- კვლევის უახლესი შედეგების გაცნობა მეცნიერების მომიჯნავე დარგების სფეროებში. სხვადასხვა სამეცნიერო დარგის გადაკვეთის ზოლში ხშირად ჩნდება ე.წ. „თეთრი ლაქები“ ახალი აღმოჩენების მოლოდინში.
- კვლევის ახალი მეთოდების, პრინციპების, მიდგომების გენერაცია ცოდნის კონკრეტულ სფეროსთან მიმართებით. მეთოდური კვლევები შეიძლება იქცეს სადისერტაციო ნაშრომის საფუძვლად, თუ ისინი საკმარისად მაღალ თეორიულ და ემპირიულ დონეზე ტარდება;
- უკვე არსებული აღმოჩენების გადახედვა ახალი თეორიული პოზიციებიდან, კვლევის ახალი მეთოდების ჩართვით. მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიაში მოიძებნება არაერთი ღირსშესანიშნავი მაგალითი, როდესაც ძველი სამეცნიერო მიღწევების დანახვა ახალი რაკურსით, მნიშვნელოვან შედეგებს იძლეოდა.

თემის არჩევაში მნიშვნელოვნად ეხმარება მაძიებელს სტატიების და ანალიზური მასალების გაცნობა პერიოდულ გამოცემებში, პედაგოგებთან და პრაქტიკოსებთან საუბარი, მათგან მიღებული კონსულტაცია, რომლის პროცესშიც შეიძლება გამოიკვეთოს მეცნიერებაში ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი საკითხები.

განარჩევნ სადისერტაციო თემის სამ ნაირსახეობას:

- კოლექტიურს;
- საინიციატივოს;
- შეკვეთილს.

კოლექტიური თემა, ჩვეულებრივ, განიხილება, როგორც კვლევის ნაწილი, რომელზედაც მუშაობს მეცნიერთა ჯგუფი. ასეთ შემთხვევაში, მაძიებელი თემას ირჩევს კოლექტივის კვლევის პროგრამის შესაბამისად და ეს, ჩვეულებრივ, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ხდება.

საინიციატივო თემა აღმოცენდება ხოლმე ორ ურთიერთგამომრიცხავ შემთხვევაში - მაძიებლის კარგი სამეცნიერო მომზადების, ან, პირიქით, მისი არასაკმარისი კვალიფიკაციის და ვიწრო სამეცნიერო თვალსაწიერის შედეგი. ასეთ დროს მნიშვნელოვანია სამეცნიერო ხელმძღვანელის მხარდაჭერა, რომელიც სიტუაციის რეალურად შეფასებას უნდა ეფუძნებოდეს, რათა საფრთხე არ შეექმნას ნაშრომის წარმატებულად შესრულებას.

შეკვეთილი თემები, როგორც წესი, კავშირშია დარგის, დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გეგმებთან. აქტუალობისა და ეკონომიკური მნიშვნელოვნების მიხედვით, ასეთ თემებს რიგი უპირატესობა აქვს სხვებთან შედარებით.

თემის არჩევისას აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული დოკუმენტური ბაზის არსებობა. ეს განსაკუთრებით შეეხება მეცნიერების იმ დარგებს, რომელთათვისაც წყაროებს ფუძემდებლური დატვირთვა გააჩნია - მაგალითად, ისტორიულ ნაშრომებს. ხშირია შემთხვევა, როდესაც თემა, თითქოსდა, გამოკვეთილია, მკვლევარს უკვე გააზრებული აქვს მისი სტრუქტურა, შინაარსი, წყაროები კი აშკარად არასაკმარისია სამეცნიერო პრობლემის ფუნდამენტური შესწავლისთვის.

სამეცნიერო თემის დამუშავების დაწყებამდე აუცილებელია ოთხი ამოცანის გადაჭრა, რასაც კარდინალური მნიშვნელობა ენიჭება დისერტაციაზე მუშაობისას.

პირველი: განისაზღვროს თემის დამუშავების ხარისხი, შესწავლილ იქნას მისი ისტორიოგრაფია, შეფასდეს წინამორბედი მკვლევარების დასკვნები, განისაზღვროს რომელია მათგან უდავო, რომელი ითხოვს ხელახალ

გააზრებას, გამოიკვეთოს ადრე გაუანალიზებელი საკითხები და ყოველივე ამის საფუძველზე დასაბუთდეს მოსალოდნელი კვლევის სიახლე.

მეორე: დასაბუთდეს თემის აქტუალობა და სამეცნიერო მნიშვნელობა, ჩამოყალიბდეს კვლევის მთავარი მიზანი და მისი განხორციელების ხელშემწყობი ამოცანები, განისაზღვროს კვლევის საგანი, დადგინდეს შესასწავლი მოვლენის ქრონოლოგიური ჩარჩოები.

მესამე: განისაზღვროს კვლევის მეთოდოლოგია, შეფასდეს არსებული წყაროების წრე, მოინიშნოს თეორიული საკითხები, რომელთა ირგვლივაც დისერტაციაში შემოთავაზებული იქნება ახალი დასკვნები და განმარტებები.

მეოთხე: დასაბუთდეს ჩასატარებელი კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა, გაირკვეს რაზე და რა ხარისხითაა ის ორიენტირებული, რომელ სფეროებში იქნება შესაძლებელი კვლევის შედეგების გამოყენება.

მთელი ეს მოსამზადებელი სამუშაო მაძიებელს სადისერტაციო თემის შერჩევამი დაეხმარება. გარდა ამისა, თემის არჩევისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საკვლევი პრობლემემატიკის მოცულობისა და გამოსაკვლევი პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოების თანაფარდობა. იგულისხმება, რომ საკვლევი პრობლემების დიდი რაოდენობის შემთხვევაში მიზანშეწონილია უფრო ვიწრო ქრონოლოგიური პერიოდის დაწესება და პირიქით. ვიწრო თემა უფრო ღრმად და დეტალურად მუშავდება. ფართე თემის დამუშავება, ასევე, ზედმიწევნით ხდება, მაგრამ დეტალიზაციას აქ ადგილი შეიძლება არ ჰქონდეს. დოქტორანტი, ასევე განსაზღვრავს, კვლევის რა მეთოდებისა და ხერხების გამოყენებაა უფრო მისაღები არჩეული თემის დამუშავებისთვის.

8.3 დისერტაციის სათაური

დისერტაციის სათაურის შერჩევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დისერტაციის სათაური თემის მოკლე და ზუსტი ფორმულირებაა. ის უნდა ასახავდეს თემის არსს, მის მიზანს და იყოს, რაც შეიძლება, მოკლე.

დისერტაციაზე მუშაობისას თემა, ჩვეულებრივ, არ იცვლება ხოლმე. სათაური კი შეიძლება ზუსტდებოდეს სადისერტაციო საბჭოში მისი წარდგენის მომენტამდე და სხდომაზე განხილვის პროცესშიც.

დისერტაციის დასახელება დილექტანტური რომ არ აღმოჩნდეს, მიზანშეწონილია დაცული დისერტაციების კატალოგების დათვალიერება და მათი სათაურების გაცნობა.

სათაური დისერტაციის ბირთვია. ის შეიძლება დაექვემდებაროს ტრანსფორმაციას მასალის შეგროვების, მისი დამუშავების, წინამორბედი შრომების შესწავლის, პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილების კვალდაკვალ. შესაძლებელია თემის სათაურის შეცვლა ან კორექტირება სადისერტაციო საბჭოს რეკომენდაციით. დასაბუთების შემთხვევაში, ამგვარი ცვლილება, როგორც წესი, სასიკეთოა, თუმცა, გადამწყვეტი სიტყვა დისერტაციის ავტორს ეკუთვნის. კათედრამ, სკოლამ, ფაკულტეტმა და სადისერტაციო საბჭომ ანგარიში უნდა გაუწიონ მამიებლის პოზიციას. მას შეუძლია უარი თქვას სათაურის კორექტირებაზე და დისერტაცია დაცვაზე წარადგინოს იმ დასახელებით, რომელიც თავად მიაჩნია მიზანშეწონილად, საბჭოს წევრებსა და სკოლის თანამშრომლებს კი უფლება აქვთ საკუთარი მოსაზრება დისერტაციის დაცვისას გამოხატონ.

დისერტაციის დასახელება სავალდებულო წესით უნდა შეესაბამებოდეს არჩეულ სპეციალობას, განსაზღვრავდეს კვლევის მიზანსა და საგანს და მიუთითებდეს დასმულ სამეცნიერო პრობლემაზე (შედეგზე). თუ ეს პირობები დაცული არაა, თემის დასახელება შეცვლას/ცვლილებას უნდა დაექვემდებაროს.

არ არის რეკომენდებული სადისერტაციო თემისთვის გრძელი დასახელების შერჩევა. თუ ამის აუცილებლობა არსებობს, დისერტაციის სათაურში მოკლედ უნდა აისახოს კვლევის შინაარსი, ხოლო ფრჩხილებში ან ორწერტილის შემდეგ მიეთითოს კვლევის ობიექტი. სადისერტაციო თემის სათაური უნდა იყოს მოკლე და ზუსტად აირეკლავდეს დისერტაციის შინაარსს, კვლევის საგანსა და ობიექტს. ამავდროულად, ყურადსაღებია, რომ ორი-სამი სიტყვისგან შემდგარი სათაური სადისერტაციო ნაშრომს სტუდენტის რეფერატს ამსგავსებს. რეკომენდებული რაოდენობა დისერტაციის სათაურისთვის ექვსი-რვა სიტყვაა.

მნიშვნელოვანია სადისერტაციო სათაურის ფორმულირების სტილი. არადამაჯერებლად ჟღერს დასახელებაში ისეთი სიტყვების არსებობა, როგორიცაა

„... ანალიზი“, „... შესწავლა“.

დისერტაციის სათაურში მიზანშეუწონელია სიტყვა „საკითხის“ გამოყენებაც. არაიშვიათად მიიჩნევენ, რომ სიტყვები „პრობლემა“ და

საკითხი“ იდენტურია. რიგ შემთხვევაში ეს ასეცაა, მაგრამ ისეთ სამეცნიერო კვლევაში, როგორც დისერტაციაა, იკვლევენ არა საკითხს, არამედ პრობლემას, რომლის შესწავლაც მოითხოვს არსებული ცოდნის ფარგლებს გარეთ გასვლას. პრობლემა ფართო განზოგადებაა მრავალი სამეცნიერო საკითხისა, რომლებიც კვლევის სფეროს შეადგენენ.

სათაურის სიტყვები უნდა მიუთითებდნენ კვლევის საგნობრივ სფეროზე და პრობლემის არსზე. დღეისათვის ფორმულირებულია სადისერტაციო თემის დასახელების გარკვეული სტერეოტიპი. თავი უნდა აგარიდოთ შაბლონებს. ასე მაგალითად, სათაურში ხშირად ფიგურირებს სიტყვა „საფუძვლები“ („პედაგოგიური საფუძვლები“, „მეთოდური საფუძვლები“, „თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“, „კრიმინოლოგიური საფუძვლები“ და ა.შ.) ასევე, ხშირად ვაწყდებით სიტყვებს „თეორია და პრაქტიკა“, რაც მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. რეკომენდებულია დისერტაციის დასახელება შეირჩეს კვლევის შედეგების ხასიათის განმსაზღვრელი მაკლასიფიცირებელი ნიშნის ასპექტში.

თემის დასახელებაში, ჩვეულებრივ, ფიგურირებს:

- კვლევის მიზანი (ეფექტურობის ზრდა, სტრუქტურის დახვეწა, ოპტიმიზაცია, ხარჯების შემცირება და ა.შ.);
- კვლევის ობიექტი (მოვლენა, პროცესი, ცოდნის სფერო, ხერხი, მოწყობილობა);
- კვლევის საგანი (მოქმედების ხერხი, ინსტრუმენტი, მოდელი, კვლევის მეთოდი, მეთოდოლოგია).

მაგალითად, განვიხილოთ თემის დასახელება სამართლის სფეროში: „საქართველოში არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები XX – XXI საუკუნეების მიჯნაზე: სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.“

დისერტაცია მიმართულია არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების ეფექტურობის კვლევაზე საქართველოში XX – XXI საუკუნეების მიჯნაზე *„კვლევის მიზანი“*; *კვლევის ობიექტად* გვევლინება არასრულწლოვანთა დანაშაულის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები საქართველოში, *კვლევის საგანს* კი წარმოადგენს - არასრულწლოვანთა დანაშაულთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები სასამართლოებში.

8.4 დისერტაციის სტრუქტურა

არ არსებობს სადისერტაციო ნაშრომის კომპოზიციური დიზაინის საყოველთაო სავალდებულო სტანდარტი. საკუთარი შემოქმედებითი

ჩანაფიქრის განხორციელებისთვის, თითოეული ავტორი უფლებამოსილია აირჩიოს სამეცნიერო მასალის ორგანიზების თანმიმდევრობა. თუმცა, ტრადიციულად ჩამოყალიბდა სადოქტორო დისერტაციის გარკვეული სტრუქტურა. მაგალითად, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მოთხოვნათა შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომი უნდა შედგებოდეს სამი ნაწილისგან, რომელიც, თავის მხრივ, თავებად და ქვეთავებად იყოფა:

A. ფორმალური ნაწილი (თავფურცელი (იხ. დანართი 1);

1. განაცხადი ეთიკის თაობაზე;
2. რეზიუმე;
3. მადლიერება (ნებაყოფლობითია);
4. მიძღვნა (ნებაყოფლობითია);
5. სარჩევი;
6. საილუსტრაციო მასალა;
7. პირობითი აღნიშვნები, შემოკლებები და განმარტებები.

B. ძირითადი/არსებითი ნაწილი

1. შესავალი;
2. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიულ-პრაქტიკული კონტექსტი
3. მეთოდოლოგია და კვლევის ანგარიში/აღწერა;
4. კვლევის შედეგები;
5. განსჯა და მეცნიერული მიგნებები;
6. დასკვნა;
7. რეკომენდაციები;
8. ბიბლიოგრაფია.

C. დამატება, დანართები

ა) ფორმალური ნაწილი. (არსებული თანმიმდევრობით)

1. *სატიტულო ფურცელი* სადისერტაციო ნაშრომის პირველი გვერდია. მასზე სავალდებულო წესით იწერება დისერტანტის გვარ-სახელი. ცენტრალურ ველში განთავსდება დისერტაციის სათაური. როგორც წესი, სათაურს წინ არ უძღვის სიტყვა „თემა“, ის არ ექცევა ბრჭყალებში და ბოლოში არ იწერება წერტილი. სათაური უნდა იყოს მოკლე და

მკაფიოდ გამოხატავდეს ნაშრომის შინაარსს. გვერდის ქვემო ველში იწერება ქალაქის სახელი, სადაც შესრულდა დისერტაცია და მის დაცვის წელი (სიტყვა „წელის“ თანდართვის გარეშე).

განაცხადი ეთიკის თაობაზე სტანდარტულია და შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: “სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წინამდებარე ნაშრომი „დისერტაციის სათაური“ ორიგინალურია. ის არ შეიცავს ისეთ მეცნიერულ თვალსაზრისს, დებულებას, თეორიას, კვლევის მონაცემებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მითითებული დადგენილი წესით, ხოლო კვლევის მეთოდების გამოყენების დროს სრულიად არის დაცული ეთიკის ნორმები”.

2. რეზიუმე სადოქტორო დისერტაციის მოკლე დახასიათებაა. მასში უნდა წარმოჩნდეს დისერტაციის პრობლემატიკა, ნაშრომის მიზნები და შედეგები. რეზიუმეში, ასევე, მიეთითება ის სიახლე, რაც კონკრეტულ სადისერტაციო ნაშრომს მონათესავე ნაშრომებისგან თემატურად და მიზნობრივად განასხვავებს. რეზიუმეს საშუალო რეკომენდებული მოცულობა 500 ბეჭდური ნიშანია. რეზიუმეს დასაწერად რეკომენდებულია შემდეგი ფრაზების გამოყენება:

- დისერტაციაში განხილულია... პრობლემა;
- სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება დღეისათვის მეტად აქტუალურ პრობლემას;
- ნაშრომში დასაბუთებულია იდეა იმის შესახებ, რომ...
- ადგილი ჰქონდა მცდელობას...
- დისერტაცია ეხება ... თემას;
- სადისერტაციო ნაშრომში შედარებულია...
- დისერტაცია ეძღვნება... კომპლექსურ კვლევას;
- დისერტაციის მიზანია...
- დისერტაცია ეძღვნება... ფენომენს;
- დისერტაციაში წარმოჩენილია... პრობლემები
- განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა...
- ნაშრომში გაანალიზებულია...
- ავტორი ასკვნის, რომ...
- ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია...
- განსაზღვრული და აღწერილია... თავისებურებები;
- ...შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ...
- ...ანალიზის შედეგად...
- აღნიშნული პრობლემა ნაკლებადაა შესწავლილი და შემდგომ კვლევას საჭიროებს...
- დისერტაციაში განზოგადებულია...

- სადისერტაციო ნაშრომში შემოთავაზებულია...
- დისერტაცია ატარებს დისციპლინათაშორის ხასიათს;
- კვლევის ძირითად შინაარსს შეადგენს ...
- მსგავსი შეხედულება საინტერესო იქნება... სფეროს სპეციალისტებისთვის...
- მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა...
- დასკვნაში ასახულია...
- მოცემულია ... ცნების დეფინიცია;
- განზოგადებულია პრაქტიკული გამოცდილება;
- ნაშრომში განხილულია ... საკვანძო ეტაპები;
- იყო... შეფასების მცდელობა;
- მოცემულია განზოგადებული დახასიათება ...
- დასაბუთებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ...
- დისერტაციაში გაანალიზებულია... კონცეფცია;
- მთავარ მტკიცებულებად გამოყენებულია...
- სადისკუსიოდ რჩება საკითხი... შესახებ;

3. მადლიერება ავტორის მიერ წერილობით გამოიხატება იმ პირთა მიმართ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დისერტაციის მომზადებაში (მეცნიერ-ხელმძღვანელი, კონსულტანტები, ექსპერტები, სოციოლოგები და ა.შ.). აღნიშნული ელემენტი არასავალდებულო, თუმცა, სასურველია. დასავლელი ავტორებისგან განსხვავებით, თანამედროვე ქართველი დოქტორანტები იშვიათად გამოხატავენ მადლიერებას წერილობით, არადა ეს დოქტორანტის ეთიკური და აკადემიური კულტურის დონის სასარგებლოდ იმეტყველებდა.
4. მიძღვნა - უფრო ხშირად მიმართულია იმ ადამიანებისადმი, რომლებმაც დისერტაციის დაცვის პირობები შეუქმნეს მამიებელს (ოჯახის წევრები, მეგობრები, კოლეგები)
5. სარჩევი, სადაც აისახება სადისერტაციო თემის ნაწილების, თავებისა თუ პარაგრაფების სათაურები იმ გვერდის ნომრის ჩვენებით, რომლიდანაც იწყება თითოეული მათგანი. სარჩევში მოცემული სათაური ზუსტად უნდა ემთხვეოდეს ტექსტში ასახულს. შემოკლება ან სხვაგვარი ფორმულირება დაუშვებელია. ყველა სათაური იწერება ბოლოში წერტილის გარეშე. სარჩევში გვერდების ნომრები მარჯვნივ განლაგდება. რუბრიკის ნუმერაცია ხდება ინდექსაციური სისტემით, ციფრული ნომრებით.

6. საილუსტრაციო მასალა დისერტაციის ძირითადი ტექსტიდან გატანილი ცხრილები, გრაფიკები, სქემები, სოციალური კვლევის შედეგები ანკეტების/კითხვარების ნიმუშებია და ა.შ.
7. პირობითი აღნიშვნები, შემოკლებები და განმარტებები.

ბ. ძირითადი/არსებითი ნაწილი

დისერტაციის ლოგიკურად აგებისთვის ყოველ თავს საკუთარი მიზნობრივი დანიშნულება უნდა გააჩნდეს და წარმოადგენდეს საფუძველს შემდეგი თავებისათვის. კვლევის ამოცანების ფორმულირება შესავალშივე ხორციელდება. ეს მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც, თავების დასათაურება ხდება კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, ხოლო ცალკეულ თავში გაკეთებული დასკვნები შემდგომში მოკლედ გამოხატულ ძირითად შედეგებად ყალიბდება.

მითითებული მოსაზრებებითაა ნაკარნახევი დისერტაციის ნაწილების, თავებისა და პარაგრაფების საინფორმაციო სტრუქტურა. რა თქმა უნდა, შესაძლებელია დისერტაციის საინფორმაციო დიზაინის სხვადასხვა ვარიანტის დაშვება. მეცნიერ-ხელმძღვანელის დახმარებით წინასწარ შეიძლება შედგეს გეგმა-რუბრიკატორი, გეგმა-ესკიზი, გეგმა-პროსპექტი, მოფიქრებულ იქნას დისერტაციის ლოგიკური სტრუქტურული სქემა. რეკომენდებულია ყოველი თავის დასრულება მოკლედ ჩამოყალიბებული შედეგებით. ეს კვლევის ყოველი ეტაპის შედეგების მკაფიოდ ფორმულირების და კვლევის საერთო შედეგების მეორეხარისხოვანი წვრილმანებისგან გათავისუფლების საშუალებას მოგვცემს.

8.4.1 შესავალი: დისერტაციის პროგრამა

შესავალში დისერტანტი წარმოაჩენს კვლევის პროგრამას და სტრატეგიას, თემის აქტუალობას, მიზანს, ამოცანებს, პროგრამის კონცეპტებს, თემის დამუშავების ხარისხს, სიახლეს, დაცვაზე გასათან ძირითად დებულებებს. თემის დამუშავების ხარისხის წარმოჩენისთვის, მიმოხილულ უნდა იქნას მასთან დაკავშირებული ლიტერატურა, რის საფუძველზეც ავტორი ასკვნის, რომ მოცემული თემა ჯერ შეუსწავლელი ან ნაწილობრივ შესწავლილია, ან შესწავლილია არასათანადო ასპექტში, რის გამოც საჭიროებს შემდგომ დამუშავებას. თუ ასეთი დასკვნის საფუძველი არ არსებობს, თემის დამუშავება აზრს კარგავს.

დისერტაციის შესავალში არაა აუცილებელი ცალკეული თავის მოკლე შინაარსის გადმოცემა. ამის გაკეთება შესაძლებელია სადისერტაციო ნაშრომის გაფართოებულ რეზიუმეში (ავტორეფერატში).

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დისერტაციის სათაური უნდა აირეკლავდეს მის შინაარსს, კვლევის საგანსა და ობიექტს, მიუთითებდეს რეალობის იმ ნაწილზე, რომელიც მამიებლის ყურადღების ცენტრში მოექცა.

აქტუალურად მიიჩნევა თემა, რომლის ფარგლებშიც გამოვლენილია შეუსწავლელი პრობლემები მეცნიერების ამა თუ იმ დარგში და კვლევა მათ ლიკვიდაციას ისახავს მიზნად. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამტკიცებამდე, მეცნიერ-ხელმძღვანელი და დოქტორანტი წინასწარ თანხმდებიან თემის ფორმულირებაზე, განიხილავენ ძიების, ახალი მეცნიერული ცოდნის, რეკომენდაციების შემუშავების და მათი პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობებს.

სადისერტაციო კვლევის მეთოდოლოგიური სტრატეგია უნდა განვიხილოთ, როგორც მთლიანი პროგრამა ან კონცეფციების, პრინციპების, დეფინიციების, ჰიპოთეზებისა და სიახლის მეთოდოლოგიური სისტემა.

კვლევის პროგრამა წარმოადგენს მამიებლის მუშაობის თანმიმდევრული ეტაპების ლოგიკურ სისტემას, მეთოდოლოგიური კონცეპტების არქიტექტონიკას და საყრდენ ცნებებს. ის ძირითადად კონსტრუირდება სამეცნიერო ხელმძღვანელის ან სამეცნიერო კონსულტანტის დახმარებით და განვითარებას იწყებს დისერტაციის თემის შერჩევის მომენტიდან.

შესავალი უნდა ჩამოყალიბდეს დისერტაციის პირველ ნაწილზე მუშაობის დაწყებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარი იქნება, რა მიზანს ისახავს ავტორი, რა ამოცანები უნდა გადაწყვიტოს, რა არის მისი კვლევის ობიექტი და რა საგანი. მნიშვნელოვანია, დადგინდეს თემის დამუშავების ხარისხი, რა ფუნდამენტია შექმნილი კვლევისთვის წინამორბედების მიერ. არსებობს შესავლის არაერთჯერადად გადაკეთების პრაქტიკა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი რედაქტირება დისერტაციაზე მუშაობის დასრულების შემდეგ, რეზიუმეს შედგენამდე. სწორედ შესავლის საფუძველზე იქმნება წარმოდგენა მთლიანად ნაშრომზე და დისერტატზე.

შესავალი მოიცავს დისერტაციის მოდელის რამდენიმე სტრუქტურულ ელემენტს. ესენია:

- თემის აქტუალობა, პროექტის განხორციელების აუცილებლობა, სამეცნიერო კატეგორიებში არსებული პრობლემა;
- კვლევის მიზნები და ამოცანები;
- ჰიპოთეზა;

- პრობლემის დამუშავების ხარისხი;
- თეორიების, მეთოდოლოგიისა და ემპირიული კვლევის მეთოდების შერჩევა;
- კვლევის საგანი თეორიასა და მეთოდოლოგიაში;
- კვლევის ობიექტი ემპირიულ ველში;
- კვლევის შედეგები;
- სამეცნიერო სიახლე;
- პრაქტიკული ღირებულება;

შესავალში, ისევე როგორც, ავტორფერატში, არაა მიღებული სქოლიოს უხვად გამოყენება; აქ მიუღებელია პოლემიკა სხვა ავტორებთან მათი კონცეფციებისა და მეცნიერული თვალსაზრისის გამო, უბრალოდ, ხდება წინამორბედი ნაშრომების დაჯგუფება პრობლემის ცალკეული ასპექტის მიხედვით. ზოგჯერ შესავალში შემოიფარგლებიან კლასიკოსების მეთოდოლოგიის მოკლე აღწერით, ან მისი მითითებით, ხოლო მეთოდოლოგიის დასაბუთებას უძღვნიან სპეციალურ თავს ან პარაგრაფს დისერტაციაში.

სადისერტაციო კვლევის აქტუალობაზე საუბარია დისერტაციის დასაწყისში. მასში განმარტებულია თემის არჩევის მოტივაცია. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, დიდი ოდენობით მეთოდური ლიტერატურისა და ინტერნეტ წყაროების არსებობის მიუხედავად, კვლევის აქტუალობის წარმოჩენა ერთერთი რთული პრობლემაა დოქტორანტისთვის, მრავალსიტყვაობა, მკაფიო ლოგიკის არარსებობა, აზრის გამეორება, ბუნდოვანი წარმოდგენა სადისერტაციო კვლევის როლსა და მნიშვნელობაზე არადამაჯერებელს ხდის მსჯელობას.

ლიტერატურაში გამოყოფენ თემის აქტუალობის სამ სახეობას: სოციალურს, პრაქტიკულსა და სამეცნიეროს.⁸⁰

ჩვეულებრივ, დოქტორანტი ასაბუთებს ხოლმე სადისერტაციო თემის აქტუალობას მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის. თემის აქტუალობას, როგორც წესი, განსაზღვრავს მისი სამეცნიერო და გამოყენებითი შესწავლის აუცილებლობა. აქტუალობის არგუმენტირება ხდება სოციალური მოთხოვნის არსებობით კონკრეტული სამეცნიერო პრობლემის შესწავლაზე. ასევე, რეკომენდებულია რამდენიმე ფრაზით იმის აღნიშვნაც, რომ კვლევა ორიენტირებულია უახლესი სამეცნიერო მიგნებების დანერგვაზე, რაც ხელს შეუწყობს თეორიული პრობლემის ან პრაქტიკული ამოცანის

⁸⁰ Коршунова Н. – Методология педагогики - <http://cyberleninka.ru/article/n/aktualnost-temy-issledovaniya-i-protsedura-eyo-obosnovaniya>

გადაწყვეტას. აღნიშნული პოსტულატები შეიძლება შეივსოს შემდეგი შაბლონური ფრაზებით:

- კვლევა მიზნად ისახავს... ძირითადი ფაქტორების გამოვლენასა და ანალიზს...
- ... წარმოადგენს განსაკუთრებულ ინტერესს.. ხელს შეუწყობს...
- დიდი მნიშვნელობა ენიჭება...
- ... თავისებურებების სწორად გაგებისთვის...

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ სადისერტაციო თემა, ერთი შეხედვით, არააქტუალურად შეიძლება იქნას აღქმული სათანადო დასაბუთების არ არსებობის გამო, განსაკუთრებით გარე რეცენზენტისთვის, რაც, საბოლოო ჯამში, შეიძლება დაცვის შედეგზე ნეგატიურად აისახოს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ დისერტაციის აქტუალობა თვალსაჩინოდ იყოს არგუმენტირებული.

თემის აქტუალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მის კავშირს მნიშვნელოვან სამეცნიერო და გამოყენებით საკითხებთან. ხარისხის მამიებელმა შემოკლებულად უნდა წარმოაჩინოს სამეცნიერო დისციპლინის თეორიისა და პრაქტიკის წინაშე მდგარი ამოცანები. ზოგადად (კონსპექტურად) უნდა აღწეროს, რა არის გაკეთებული ამ კუთხით წინამორბედების მიერ და რა უნდა გაკეთდეს მოცემული სადისერტაციო კვლევის ფარგლებში.

აქტუალობის დასაბუთება მიზანშეწონილია განხორციელდეს თემასთან დაკავშირებული ყველა ფაქტის (დისერტაციის შემთხვევაში, 4-5 პოზიციის) ჩვენებით. მაგალითად, „კვლევის აქტუალობას განაპირობებს:

- პირველი, ... უკმარისობა;
- მეორე, დღემდე შეუსწავლელი ფაქტები...
- მესამე, მოთხოვნის ზრდა ...“ და ა.შ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ

- თემის აქტუალობა აირეკლავს კვლევის მნიშვნელოვნების ხარისხს დროის მოცემული მომენტის ან სიტუაციისთვის;
- აქტუალობის აღწერისას მიზანშეუწონელია პოლიტიკურ სიტუაციაზე აპელირება მსოფლიოსა და ქვეყანაში;
- მსჯელობა უნდა შეეხოს კონკრეტული პრობლემის აქტუალობას და არა სამეცნიერო მიმართულებას მთლიანად;

- აქტუალობის გამოვლენას ხელს უწყობს არსებული წინააღმდეგობრიობა არსებულ (ტრადიციულ) თეორიებსა და მიდგომებს და თანამედროვე პრაქტიკის მოთხოვნებს შორის;

პრობლემის დამუშავების ხარისხი

თემის მეცნიერული დამუშავების ხარისხი დისერტაციის აუცილებელი ელემენტია. მოცემული ნაწილის ძირითადი მიზანია მაძიებლის სამეცნიერო თვალსაწიერის წარმოჩენა, წინამორბედ მკვლევართა შრომების მოკლე დახასიათება და იმ საკითხების გამოკვეთა, რომელთა განხილვა კონკრეტული მიმართულებით ჯერ არ მომხდარა.

სამეცნიერო პრობლემის დამუშავების ხარისხის ნაწილში მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს, თუ რამდენადაა შესწავლილი აღნიშნული პრობლემა და წარმოჩნდეს პერსპექტიული მიმართულებები შემდგომი მეცნიერული ანალიზისთვის, რომელსაც დისერტანტი განახორციელებს.

დისერტაციის შესავლის ფარგლებში, თემის სამეცნიერო დამუშავების ხარისხი გულისხმობს იმ ავტორთა წარმოჩენას, რომელთა ნაშრომები კავშირშია მაძიებლის მიერ გამოსაკვლევ პრობლემასთან, დოქტორანტი მოკლედ ახასიათებს ასეთ ნაშრომებს და გამოკვეთს იმ საკითხებს, რომელთა გამოკვლევა, მისი აზრით, აუცილებელია. წინამორბედ მკვლევართა გვარები უნდა დასახელდეს ანბანური თანმიმდევრობით. ჩამონათვალში მითითებული უნდა იქნან უფრო მეტად ცნობილი მეცნიერები. თუ ჩამონათვალი გრძელია, აუცილებელი არაა ყველა ავტორის დასახელება. პრობლემის პირველადი კვლევის და, შესაბამისად, ლიტერატურული წყაროების არ არსებობის შემთხვევაში, ამის აღნიშვნა აუცილებელია.

თუ სადისერტაციო ნაშრომში განიხილება საკვლევ პრობლემის რამდენიმე მიმართულება, აუცილებელია წინამორბედ ავტორთა დაჯგუფება მათ მიერ განხილული შესაბამისი საკითხების და კვლევის მიღმა დარჩენილი ასპექტების მითითებით.

გარდა ამისა, ჩვეულებრივ, თემის დამუშავების ხარისხის აღწერას ყოფენ ორ-სამ ქვენა წილად, რომლებშიც ჯერ განიხილავენ უფრო ადრეული პერიოდის ნაშრომებს, ხოლო შემდეგ თანამედროვე მკვლევართა მიგნებებს. მიზანშეწონილია ჩამონათვალში მიეთითოს იმ უნივერსიტეტის მეცნიერები და სადისერტაციო საბჭოს წევრები, რომელთა წინაშეც ხდება დისერტაციის დაცვა.

თემის მეცნიერული დამუშავების ხარისხის აღწერის ნაწილში მკვლევართა ჩამოთვლისას, ჩვეულებრივ, გამოიყენება ფრაზები:

- ეფექტურობის ზრდის პრობლემებს ეძღვნება ... ნაშრომები;
- საკითხის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის...
- უკანასკნელ წლებში პრობლემის შესწავლას ყურადღება დაუთმეს...
- პრობლემის გადაწყვეტაზე გარკვეული გავლენა იქონიეს...

ადრე ჩატარებული კვლევების მოკლე დახასიათებისას გამოიყენება შემდეგი ფრაზები:

- მათი ნაშრომები შეიცავენ... ფუნდამენტურ საფუძვლებს;
- მათმა შრომებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი...
- ნაშრომში აღწერილია...

თეორიული და პრაქტიკული საკითხების ბოლომდე ან სრულად დაუმუშავებლობის ხაზგასმისთვის მიზანშეწონილია შემდეგი ფრაზების გამოყენება:

- თუმცა, ჩამოთვლილი მეცნიერების ნაშრომებში არაა განხილული...
- დასახელებული შრომები არ იძლევა პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას, ვინაიდან...
- დასახელებული კვლევები შეეხება მხოლოდ... მათში არაა გათვალისწინებული...

კვლევის სიახლე

საკითხის დასმისა და მისი გადაწყვეტის სიახლე გადამწყვეტია თემის დისერტაბელურობის განსაზღვრისას. სამეცნიერო სიახლის ფორმულირების დროს, დისერტანტმა უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი მიმართულების ყველა წინამორბედი კვლევის დასკვნები და ხაზი გაუსვას საკუთარ ნოვატორულ მიდგომას, რომელიც მეცნიერული ცოდნის შემდგომ განვითარებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, ავტორის მიერ შემოთავაზებული საკითხის ახლებური გადაწყვეტა მკაცრად უნდა იყოს არგუმენტირებული და შედარებულ იქნას სხვა ცნობილ თვალსაზრისებთან.

კვლევის სიახლის ფორმულირებისას მოსახერხებელია შემდეგი ფრაზების გამოყენება:

- ახალ შედეგად შეიძლება განვიხილოთ...
- განსხვავებით მანამდე არსებული მოსაზრებებისგან...

- გარდა ამისა, ... ანალიზი უფრო მეტად პერსპექტიული მიმართულებების გამოვლენის საშუალებას იძლევა
- სადისერტაციო ნაშრომში მოყვანილი მანამდე ნაკლებად ცნობილი და უცნობი ფაქტები...
- კვლევის სამეცნიერო სიახლე განპირობებულია... არასაკმარისი შესწავლით;
- წინამდებარე დისერტაცია, ფაქტობრივად, წარმოადგენს პირველ კომპლექსურ მეცნიერულ ანალიზს ...
- განისაზღვრა სოციალურ-ეკონომიკური პირობების კომპლექსი;
- შემუშავდა ტიპოლოგია...
- შემუშავდა ... პროცედურის ფორმირება;
- გამოვლინდა აქტუალური...
- შემუშავდა ინტერაქტიური პროცედურები;
- გამოკვლეულ იქნა... გავლენა...
- კვლევის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ შემუშავდა... კონცეფცია.

დისერტაციის პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი ფრაზების გამოყენებით:

- არსებობს საზოგადოების, პრაქტიკის მოთხოვნა სამეცნიერო თეორიის განვითარების, პრობლემური ველის გაფართოების თაობაზე;
- სადისერტაციო ნაშრომი მნიშვნელოვნად ამაღლებს შემოქმედებითი სამეცნიერო კოლექტივების მიერ ხარისხს მოცემული მიმართულებით;
- სადისერტაციო კვლევის შედეგად მიღებული სიახლე რეკომენდაციების სახით შეიძლება დაინერგოს შესაბამის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;
- ახალი ცოდნა ავსებს სამეცნიერო პრობლემის შესწავლის კუთხით არსებულ ე.წ. „თეთრი ლაქებს“ და შეიძლება გამოყენებულ იქნას სალექციო კურსის გასამდიდრებლად უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის;
- სადისერტაციო კვლევის დასკვნები ხელს შეუწყობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას და შეიძლება შევიდეს შესაბამისი სპეციალობისა და მიმართულების სასწავლო პროგრამაში.

შესავლის კარგად დაწერა ნიშნავს არამარტო თემის აქტუალობის აღწერას, არამედ კვლევის მეთოდოლოგიის კომპეტენტური ხედვის წარმოჩენას პერსპექტივის განსაზღვრად. აუცილებელია პრობლემური სიტუაციის

ფორმულირება, რაც არსებულ პარადიგმასა და ახლად გამოვლენილ ფაქტებს შორის წინააღმდეგობის გამოვლენას და იმის ჩვენებას ნიშნავს, რომ შეუძლებელია სიტუაციის ახსნა მველ თეორიაზე დაყრდნობით. პრობლემური სიტუაცია ყოველთვის აღმოცენდება იქ, სადაც მველი ალგორითმები და მეთოდოლოგია მუშაობს. პრობლემის გამოკვეთის შემდეგ, უნდა მოხდეს მისი ბმა სამეცნიერო ჰიპოთეზასთან, რომლის საფუძველზეც შემოთავაზებულ უნდა იქნას პრობლემის გადაწყვეტის გზები. სხვა სიტყვებით, პრობლემა წარმოადგენს მოქმედი სამეცნიერო პარადიგმის უკმარობის ავტორისეულ კონსტატაციას ახალი ფაქტების, კავშირების, პრაქტიკის მოთხოვნების გაჩენის გამო. დისერტაციის ამ პროექციულ კომპონენტში იკვეთება კვლევის პროგრამა, მთელი მისი არქიტექტურა. მამიებელი განსაზღვრავს კვლევის ობიექტს, აქტუალობას, პრობლემის მდგომარეობას, სირთულეებს, მიზანს, ამოცანებს და კვლევის მეთოდებს. ამავდროულად, მთელი კვლევა მოიცავს რამდენიმე მეთოდოლოგიურ დონეს: მეთოდოლოგიის, თეორიის არჩევას და სინთეზს, სემანტიკო-ლინგვისტურ ანალიზს, ემპირიული მონაცემების ანალიზს.

მაგალითად, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში პრაქტიკული გამოყენების შედეგებს მიეკუთვნება მეთოდები, ხერხები, მეთოდიკები, რომლებიც გამოყენებადია შესაბამის დარგსა და სფეროში.

კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენება შეიძლება გაფორმდეს დანერგვის აქტით, რომელშიც მითითებულია სადისერტაციო კვლევის შედეგები და რომელსაც კონკრეტული ორგანიზაცია გამოიყენებს.

კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენება მტკიცდება მათი ჩართვით სხვადასხვა პროგრამაში, წესებში, ნორმატიულ დოკუმენტებში, დებულებებში, ინსტრუქციებში მეთოდიკებში და ა. შ. პრაქტიკული გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტი დანერგვის აქტის გარდა, შეიძლება იყოს სახელისუფლებო ორგანოების, სამეურნეო სუბიექტების დასკვნა და ცნობა, ასევე, დამტკიცებული ნორმატიული დოკუმენტები, რეკომენდაციები, მეთოდოლოგიური მითითებები, რომლებშიც ჩართულია სადისერტაციო კვლევის შედეგები. შედეგების პრაქტიკული გამოყენება ხორციელდება, აგრეთვე, სასწავლო-მეთოდურ ლიტერატურაში (სახელმძღვანელოებში, მეთოდურ და დამხმარე სახელმძღვანელოებში და ა. შ.) მათი ჩართვით, რაც დასტურდება სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი ცნობით.

ასევე, ფასდება სადისერტაციო კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების სამეცნიერო, ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობა.

სამეცნიერო ეფექტიანობის ქვეშ იგულისხმება ახალი ცოდნა საზოგადოების შესახებ და თეორიები, რომლებმაც ახალი ფაქტების, კავშირების, კანონზომიერებების, კანონების გამოვლენის საშუალება მოგვცა. ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება ადამიანური, მატერიალური ან ფინანსური რესურსების დაზოგვის შესაძლებლობით. სოციალური ეფექტიანობა კი გულისხმობს მოსახლეობის შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, განათლებისა და ჯანდაცვის, ასევე გარემოს დაცვის პირობების სრულყოფას, დანაშაულობისა და სამართალდარღვევების შემცირებას.

სადისერტაციო კვლევის ობიექტი უპირატესად ემპირიული ცოდნის სფეროს განეკუთვნება; კლასიკური ინტერპრეტაციით, ობიექტი ეწინააღმდეგება მის შემცნობ სუბიექტს შემეცნებით საქმიანობაში. ამავდროულად ის დაკვირვებას და შეცნობას დაქვემდებარებული რეალური ცხოვრების მხარე და ასპექტია. ეს არის თვალსაზრისი, პროექცია, რომელიც ბადებს პრობლემურ სიტუაციას, რომლის მიხედვითაც მკვლევარი შეიცნობს მთლიან ობიექტს და გამოყოფს, მისი აზრით, უფრო არსებით ნიშნებს. ერთი და იგივე რეალური ობიექტი შეიძლება სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების და კვლევის ობიექტს წარმოადგენდეს. ასე მაგალითად, სტუდენტი ახალგაზრდობა სოციოლოგების მიერ შეისწავლება მათი მშობლების სტატუსური და ეკონომიკური მახასიათებლების, დომინანტური კულტურისა და სუბკულტურების ურთიერთქმედების, იმ პოლიტიკური ან სოციალური მოთხოვნების კუთხით, რომელთაც ისინი უპირატესობას ანიჭებენ. საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებითა და სასწავლო პროცესისადმი ადაპტაციის პრობლემებით შეიძლება დაინტერესდნენ სოციოლოგებიც, ფსიქოლოგებიც, მაშინ როდესაც, დელინქენტობა და დანაშაულობა ახალგაზრდულ წრეში წარმოადგენს კრიმინოლოგების და სისხლის სამართლის სპეციალისტების ინტერესის სფეროს.

იმდენად რამდენადაც, სამეცნიერო ობიექტი კონსტრუირდება მეცნიერული შემეცნების კვალდაკვალ, ცალკეული სამეცნიერო კვლევის ობიექტიც ფორმირდება არა ერთბაშად, არამედ ზუსტდება პროექტის განხორციელების პროცესში. ის შეიძლება იყოს პროცესის ან მოვლენის მხარე, მახასიათებლები, პარამეტრები, რომლებიც ბადებენ პრობლემურ სიტუაციას და რომელთაც მკვლევარი მეცნიერული ანალიზისთვის ირჩევს.

კვლევის საგანი. კვლევის ობიექტი შეიცავს კანონზომიერებებს, თავისებურებებს, ტენდენციებს, რომლებიც დისერტაციის ფარგლებში შეისწავლება და განისაზღვრება, როგორც კვლევის საგანი. შესწავლის

პროცესში კვლევის საგანი ფორმულირდება უკვე არა ემპირიულ, არამედ მკვლევარის თეორიულ შემეცნებაში, მეთოდოლოგიურ კონსტრუქციებში და კონცეფციებში; ის დაკავშირებულია კანონზომიერებების, ურთიერთდამოკიდებულების და კორელაციის ძიებასთან, რომელთა ახსნა და წინასწარმეტყველება შეიძლება თეორიულ დონეზე. კვლევის საგანი განსაზღვრული მიზნით, კერძოდ, ობიექტის ცვლილების კანონზომიერებების დასადგენად კონსტრუირდება. თეორიულ და მეთოდოლოგიურ სფეროში სადისერტაციო კვლევის საგანი განისაზღვრება, როგორც კვლევის ობიექტის შესახებ ახალი მეცნიერული ცოდნის მიღების ინსტრუმენტი.

კვლევის საგანს კვლევის ობიექტისგან ძირითადად განასხვავებს ის, რომ საგანი ობიექტის ნაწილია. ანუ, კვლევის საგნის ქვეშ იგულისხმება კვლევის ობიექტის თეორიულად ან პრაქტიკულად მნიშვნელოვანი თვისებები, თავისებურებები ან მხარეები.

კვლევის ყოველი ობიექტი შეიძლება მოიცავდეს კვლევის რამდენიმე საგანს და მკვლევარის ყურადღების კონცენტრაცია რომელიმე მათგანზე ნიშნავს, რომ სხვა საგნები მისი ინტერესების მიღმა რჩება.

ქვემოთ მოყვანილია საერთაშორისო სამართლის სფეროში შესრულებული დისერტაციის კვლევის ობიექტისა და საგნის განსაზღვრის მაგალითი. თემა ეძღვნება სახელმწიფო თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო.

კვლევის ობიექტია: საერთაშორისო მართლწესრიგის შენარჩუნების პროცესში ჩამოყალიბებული სამართალურთიერთობები, ერთი მხრივ, სახელმწიფოებს, მეორე მხრივ, სასამართლო ორგანოებს შორის, ასევე სახელმწიფოებსა და სხვა სახელმწიფოების სასამართლოებს შორის.

კვლევის საგანია: სახელმწიფო თანამდებობის პირების პასუხისმგებაში მიცემის ნაციონალური და საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების განვითარების ტენდენციები.

კვლევის მიზანი. კვლევის ობიექტისა და საგნის გარდა, შესავალში განისაზღვრება კვლევის მიზანი, ის რაც მიღწეულ უნდა იქნას დისერტაციაზე მუშაობის შედეგად. კვლევის მიზნის არჩევის არგუმენტირებისას დისერტანტმა აუცილებლად უნდა წარმოაჩინოს მთლიანი ნაშრომის სამეცნიერო კონცეფცია, მიუთითოს აკადემიური

შედეგი, რომლის მიღებისკენაც მიილტვის. როგორც წესი, სადისერტაციო კვლევის მიზანი ერთია, მაგრამ რამდენიმე მიზნის არსებობის შემთხვევაში, უნდა გამოიყოს მთავარი. დისერტაციაზე მუშაობისას ავტორი არ უნდა ასცდეს დასახულ მიზანს, რაც, საბოლოოდ, ხელს შეუწყობს შეკრული და არა წინააღმდეგობრივი სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას.

კვლევის ამოცანებმა ხელი უნდა შეუწყონ დასახული სამეცნიერო მიზნის რეალიზაციას. სადისერტაციო კვლევის ამოცანები უნდა ჩამოყალიბდეს და მიეთითოს თანმიმდევრულად, დისერტაციის გეგმის და სტრუქტურის, მისი თავებისა და პარაგრაფების შესაბამისად. ამოცანები შეიძლება იყოს ზოგადი და კონკრეტული. ზოგადია:

- ანალიზური ამოცანები; მაგალითად, კრიმინოლოგიის სფეროში კვლევის ამოცანა შეიძლება იყოს დანაშაულობის განსაზღვრული სახეობების (ორგანიზებული, ეკონომიკური, ძალადობრივი), დამნაშავის პიროვნების, დანაშაულის მიზეზებისა და პირობების, დანაშაულის თავიდან აცილების გზების ეფექტურობისა და სხვათა შესწავლა;
- პროგნოზული ამოცანები; ისინი გამომდინარეობენ სამეცნიერო კვლევის საერთო ფუნქციიდან. მაგალითად, დასახულებული ვარაუდი კრიმინოლოგიური მოვლენების შესაძლო განვითარების, მათ შორის, დანაშაულობის განვითარების კანონზომიერებებისა და ტენდენციების, მისი სუბიექტების, წინააღმდეგობების გამწვავებისა და დანაშაულობასთან ბრძოლის შედეგიანობის შესახებ;
- პრაქტიკული ამოცანა - მაგალითად, რეკომენდაციის დანერგვა სამართალგამოყენებით ან კანონშემოქმედებით პრაქტიკაში (კანონპროექტებში, კანონქვემდებარე აქტებში და ა.შ.

მიზნის ჩამოყალიბებისას შესაძლებელია შემდეგი შაბლონების გამოყენება:

- კვლევის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ...
- კვლევის მიზანია ფაქტორთა იმ ძირითადი ჯგუფების გამოვლენა, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ... პროცესზე;
- კვლევის მიზანია... თავისებურებებისა და დამახასიათებელი ნიშნების გამოვლენა;
- კვლევის მიზანია... შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების სრულყოფა.

კვლევის ამოცანებთან მიმართებით შეიძლება შემდეგი ფრაზების გამოყენება:

- შესწავლილ იქნას... ურთიერთქმედება;

- წარმოჩენილ იქნას ... ძირითადი ეტაპები და საქმიანობის თავისებურებები;
- გაანალიზდეს...
- დასაბუთდეს... როლი.

ჰიპოთეზა (ბერძნული სიტყვიდან *ὑπόθεσις*; *ὑπό* — ქვეშ, *θέσις* — თეზისი) ნიშნავს ვარაუდს, მიხედვრას. ის ვარაუდის შემცველი თეორიული ცოდნის ფორმაა, რომელიც ყალიბდება რიგ ფაქტებზე დაყრდნობით; ჰიპოთეზის ჭეშმარიტი მნიშვნელობა არ არის განსაზღვრული და დამტკიცებას საჭიროებს. ჰიპოთეზური ცოდნა არა სარწმუნო, არამედ სავარაუდო ხასიათისაა და საჭიროებს შემოწმებას, დასაბუთებას.

ახალი ჰიპოთეზის წამოყენება, როგორც წესი, ეფუძნება ძველის გადამოწმების შედეგებს, მაშინაც კი, თუ ეს შედეგები უარყოფითია. თანამედროვე მეთოდოლოგიაში ტერმინი „ჰიპოთეზა“ ორი ძირითადი მნიშვნელობით გამოიყენება:

- ა) როგორც არასარწმუნო და პრობლემატური თეორიული ცოდნის ფორმა;
- ბ) მეცნიერული ცოდნის განვითარების მეთოდი.

როგორც თეორიული ცოდნის ფორმა, ჰიპოთეზა უნდა აკმაყოფილებდეს ზოგიერთ პირობას, რომელთა დაცვა აუცილებელია მისი აღმოცენებისა და დასაბუთებისთვის. კერძოდ, ჰიპოთეზა

1. უნდა ჩამოყალიბდეს მეცნიერებაში დადგენილი კანონების შესაბამისად;
2. უნდა გამომდინარეობდეს ფაქტობრივი მასალიდან, რომლის საფუძველზე და რომლის ასახსნელადაც ის იქნა წამოყენებული. ანუ, სხვაგვარად, მან უნდა ახსნას ყველა არსებული სარწმუნო ფაქტი;
3. არ უნდა შეიცავდეს წინააღმდეგობრივ მოსაზრებებს, რაც აკრძალულია ფორმალური ლოგიკით;
4. უნდა იყოს მარტივი - თავისუფალი თვითნებური დაშვებებისგან, რომლებიც არ ემსახურება ობიექტის ისეთად შეცნობას, როგორც ის სინამდვილეშია;
5. გამოყენებადი უნდა იყოს მონათესავე ობიექტების ფართო წრის და არა მხოლოდ სპეციალურად იმ ობიექტის მიმართ, რომლის ასახსნელადაც იქნა ის წამოყენებული.
6. ჰიპოთეზის დადასტურება ან უარყოფა შესაძლებელია პირდაპირ - (უშუალო დაკვირვებით იმ მოვლენებზე, რომელთა არსებობასაც ჰიპოთეზა ადგენს) ან არაპირდაპირ, როდესაც ჰიპოთეზა დასტურდება მიზეზ-შედეგობრივი ფაქტორების პრაქტიკული (ემპირიული) შედარების გზით.

ჰიპოთეზა მეცნიერულად ითვლება, თუ პოტენციურად შესაძლებელია მისი შემოწმება კრიტიკული ექსპერიმენტით. ის შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დასაბუთებული ვარაუდი, რომელიც წამოყენებულია შესასწავლი მოვლენის მიზეზებისა და თვისებების გამოსაკვლევად. ჰიპოთეზის ფორმულირება ხდება იმ საგნობრივი სფეროს ჩარჩოებში, რომელშიც მკვლევარის მიერ დასმული პრობლემა შეისწავლება.

მკვლევარი მზად უნდა იყოს წამოაყენოს არამართო ახალი ჰიპოთეზა, არამედ შეარჩიოს და გააანალიზოს ალტერნატიული ჰიპოთეზებიც, იმდენად რამდენადაც, ერთი და იგივე მოვლენები და პროცესები შეიძლება აიხსნას სხვადასხვა ჰიპოთეზის დახმარებით. ასეთი ჰიპოთეზების კრიტიკული ანალიზი მოითხოვს მნიშვნელოვან დროსა და ძალისხმევას, რაც დაკავშირებულია რთული ემპირიული, თეორიული და ლოგიკური ამოცანების გადაწყვეტასთან. ალტერნატიული ჰიპოთეზების არსებობა მეცნიერების პროგრესის მნიშვნელოვანი წანამძღვარია, ვინაიდან თავიდან გვარიდებს მიკერძოებულობას მიღებული შედეგების ახსნა-გამოყენებისას.

ჰიპოთეზის ფორმულირებისთვის შეიძლება შემდეგი შაბლონების გამოყენება:

- ავტორის აზრით...
- ავტორი ამტკიცებს, რომ...
- კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობს...
- კვლევის სამეცნიერო ჰიპოთეზა აგებულია...
- კვლევის ჰიპოთეზა ეფუძნება...

კვლევის ქრონოლოგიური და ტერიტორიული ჩარჩოები. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული მასალები დროის გარკვეულ მონაკვეთს და გეოგრაფიულ რეგიონს მიეკუთვნება. არჩეულმა ქრონოლოგიურმა პერიოდმა და გეოგრაფიულმა ბმულმა დოქტორანტს შესაძლებლობა უნდა მისცეს, გამოავლინოს შესასწავლი მოვლენის განვითარების პერსპექტივები და არსობრივი ფაქტორები. საკუთარი არჩევანის დასაბუთებისას დისერტანტს შეუძლია გამოიყენოს შემდეგი შაბლონი:

- კვლევის ტერიტორიული და ქრონოლოგიური ჩარჩოების არჩევა აიხსნება...

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. აღნიშნულ ნაწილში აუცილებელია აღინიშნოს თეორიული კონცეფციები და საკითხები, რომელთა შესაბამისად დისერტაციაში წარმოჩნდება ნოვატორული ჰიპოთეზა და კვლევის შედეგები. ასევე, სავალდებულოა

კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა. მეთოდოლოგიის რელევანტურობის დასაბუთებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი ფრაზები:

- ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა კვლევის შემდეგი მეთოდები...
- მოცემული მეთოდის გამოყენება განპირობებული იყო...

კვლევის ემპირიული ბაზა (კვლევის წყაროები). მოცემულ ნაწილში აუცილებელია დისერტაციაზე მუშაობისას გამოყენებული ყველა წყაროს (ტიპისა და კლასიფიკაციის მიხედვით) მითითება, რისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი შაბლონები:

- სადისერტაციო კვლევას საფუძვლად ედება ფაქტობრივი მასალის შესწავლისა და განზოგადების პრინციპი;
- დისერტაციაში გამოყენებული ინფორმაცია მიღებულ იქნა დოკუმენტების, სტატისტიკური მონაცემებისა და პრესის ანალიზის შედეგად... საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისა და ექსპერტთა შეფასების საფუძველზე;
- ... გამოყენებულ იქნა ბიოგრაფიული მეთოდის ელემენტები;
- სადისერტაციო კვლევისთვის გამოყენებულ წყაროთა ბაზას შეადგენს ... დოკუმენტური პუბლიკაციები...
- სადისერტაციო ნაშრომში ყურადღება ეთმობა გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალურ მასალებს... ოფიციალური წარმომადგენლების გამოსვლებს... მოლაპარაკებებისა და შეთანხმების ტექსტებს.

ძირითადი სამეცნიერო დასკვნების ნაწილში დისერტანტმა უნდა წარმოაჩინოს არამარტო დაცვაზე წარსადგენი ძირითადი დებულებები, არამედ დაამტკიცოს მათი სარწმუნოობა. მაგალითად:

- კვლევის სარწმუნოობას ადასტურებს მრავალრიცხოვან წყაროთა ერთობლიობა, რომელთაც ეფუძნება დასკვნები... შესახებ.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა (ჩატარებული კვლევის, მის შედეგად გაკეთებული დასკვნებისა და განზოგადებების, შემოთავაზებული რეკომენდაციების გამოყენებადობა). მოცემულ ნაწილში აუცილებელია სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის დასაბუთება, სამეცნიერო კვლევის შედეგად მიღებული თეორიული ცოდნის განმარტება, ნაშრომის თეორიული ასპექტების აღნიშვნა და იმის გამოკვეთა, თუ მეცნიერებისა თუ პრაქტიკის რომელ სფეროშია შესაძლებელი მისი შედეგების ხორცშესხმა. დისერტანტმა უნდა განსაზღვროს ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობაც, წარმოადგინოს

რეკომენდაციები მიღებული შედეგების გამოსაყენებლად სამეცნიერო, სასწავლო-მეთოდურ ნაშრომებში და, შესაბამისად, სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში. გამოყენებითი მნიშვნელობის სადისერტაციო ნაშრომში მოყვანილ უნდა იქნას ცნობები ავტორის მიერ მიღებული სამეცნიერო შედეგების პრაქტიკაში შესაძლო გამოყენების შესახებ, ხოლო თეორიული მნიშვნელობის დისერტაციაში - რეკომენდაციები სამეცნიერო დასკვნების გამოყენებასთან დაკავშირებით.

დისერტაციის მნიშვნელობის დასაბუთება შესაძლებელია ქვემოთ მოყვანილი ფორმულირებებით:

- დისერტაციის მასალები და მასში წარმოჩენილი განზოგადებები სასარგებლო იქნება...
- დისერტაციის მასალები შეიძლება შეტანილ იქნას სახელმძღვანელოებში, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სპეციალურ კურსებში...
- დისერტაციაში წარმოდგენილი რეკომენდაციების გამოყენება შესაძლებელია...

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დისერტაციის შესავალში უნდა მოხდეს შესასწავლი პრობლემის აქტუალობის, მისი ამჟამინდელი მდგომარეობის, გადაწყვეტის კუთხით არსებული სირთულეების ფორმულირება, განისაზღვროს კვლევის მიზანი, ამოცანები, ობიექტი, გამოიკვეთოს ჰიპოთეზა, განისაზღვროს კვლევის მიმართულებები და მეთოდები.

8.4.2 სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი (დისერტაციის პირველი თავი)

წყაროების მიმოხილვა. დისერტაციის 1-ლი თავი/ნაწილი, ჩვეულებრივ შეიცავს ცნობილი კვლევების მიმოხილვას, პატენტურ ანალიზს და მასალებს, რომლებშიც მოთხრობილია, თუ რა უნდა გაკეთდეს დასახული ამოცანების გადასაწყვეტად. ცნობილი კვლევების მიმოხილვისას უნდა აღიწეროს სამეცნიერო აზრის განვითარების ძირითადი ეტაპები და გარდამტეხი მომენტები პრობლემასთან მიმართებით. დისერტანტის მიერ წინამორბედი კვლევების სისტემატიზაცია დადებით შთაბეჭდილებას ქმნის ნაშრომზე.

დისერტაციის პირველი თავი, როგორც წესი, შეიცავს თეორიულ მასალას და, ჩვეულებრივ, დასათაურებულია, როგორც ლიტერატურის მიმოხილვა. ეს არ უნდა იქნას გაგებული სიტყვასიტყვით დისერტაციის თავი არ არის

დოქტორანტურაში ჩასარიცხად მომზადებული რეფერატი და არც სტუდენტის საკურსო ნაშრომი. მასში უნდა მოხდეს არამარტო წინამორბედი ნაშრომების აღწერა და სისტემატიზაცია, არამედ საკუთარი მეცნიერული პოზიციების, მიდგომებისა და ჩანაფიქრის დასაბუთება.

წყაროების მიმოხილვა დისერტაციის აუცილებელი ნაწილია. მას ზოგჯერ ლიტერატურის მიმოხილვას უწოდებენ, ზოგჯერ პრობლემის დამუშავების ხარისხს ან პრობლემის/საკითხის ისტორიოგრაფიას. არსობრივად, ეს გულისხმობს წყაროების დაჯგუფებას და არა უბრალო მიმოხილვას. დისერტაციის მოცემული ნაწილი მეცნიერული მიზნის საფუძველია და ხელს უწყობს ავტორის აკადემიური კულტურის ფორმირებას. თემასთან დაკავშირებული წყაროების მიმოხილვამ უნდა წარმოაჩინოს დისერტანტის მიერ სპეციალური ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა, მისი უნარი მოახდინოს წყაროების სისტემატიზაცია, კრიტიკულად განიხილოს ისინი, გამოყოს მთავარი, შეაფასოს წინამორბედთა ნამუშევარი, განსაზღვროს თემის შესწავლის ხარისხი.

რეკომენდებულია წყაროების დაჯგუფება ლოგიკური კავშირის და თანმიმდევრულობის მიხედვით. არაა აუცილებელი, შრომების ჩამოთვლა და მათი კრიტიკული ანალიზი განხორციელდეს პუბლიკაციების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის შესაბამისად. წინამორბედი ნაშრომების მიმოხილვა უნდა წარმოებდეს არჩეული თემის საკითხებთან მიმართებით. არაა სავალდებულო ყველაფერი იმის აღწერა, რაც დისერტანტისთვის წაკითხულითაა ცნობილი და არაპირდაპირ კავშირშია მის ნაშრომთან. მაგრამ დასახელებულ უნდა იქნას და კრიტიკულად შეფასდეს ყველა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, რომელიც პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდება თემას. ავტორს მოეთხოვება დაადგინოს, მიზანშეწონილია თუ არა ციტატის გამოყენება კონკრეტულ კონტექსტში, ხომ არ არის მასში გადმოცემული აზრი დამახინჯებული.

აკადემიური პუბლიკაციები სამეცნიერო ინფორმაციის ძირითადი წყაროა. დამწყებ ავტორს უნდა გააჩნდეს სამეცნიერო მიზნის უნარები, იცნობდეს წამყვანი მეცნიერების სახელებს, ძირითად პროფესიულ ჟურნალებს თავის სფეროში, უნდა შეემოს მათი ელექტრონული ვერსიების მოძიება, ბიბლიოთეკის კატალოგების, მონაცემთა ელექტრონული ბაზების გამოყენება.

ამრიგად, სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული ლიტერატურული და სხვა წყაროების მიმოხილვა ნებისმიერი სადისერტაციო კვლევის აუცილებელი ნაწილია. მათი შეგროვება აუცილებელია იმისთვის, რომ:


- მოხდეს კვლევის ძირითადი მიმართულებების ფორმულირება და დეტალიზაცია;
- მიღწეულ იქნას კვლევის მიზანი და გადაწყდეს დასახული ამოცანები;
- გაირკვეს, რა კვლევები იქნა ჩატარებული მკვლევარისათვის საინტერესო სფეროში.

განარჩევნ ლიტერატურის მიმოხილვის ორ სახეობას:

1. თემასთან დაკავშირებული ლიტერატურის (ანუ ტექსტების) მიმოხილვას. ასეთია: აკადემიური გამოცემა, მონოგრაფია, ანალიზური მიმოხილვა, რეფერატი, სტატია და ა.შ.
2. მეორადი მონაცემების წყაროების მიმოხილვას, როგორცაა, მაგალითად, სტატისტიკური მონაცემები და ინფორმაციის სხვა სახეობები - ნორმატიული აქტები, დაწესებულებათა საქმიანობის წლიური ანგარიშები და სხვ.)

გამოყოფენ წყაროების სამ ტიპს

გრაფიკი#6. წყაროების სამი ტიპი



კვლევისათვის გამოყენებული ყველა წყარო შეიძლება სამ კატეგორიად დავყოთ: პირველად (გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ), მეორად და დამატებით წყაროებად. კატეგორიები საკმაოდ მკაფიოდაა განსაზღვრული, თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში, წყარო შეიძლება ერთდროულად ორ

კატეგორიას ეკუთვნოდეს. მაგალითად, კონფერენციის ოქმები შეიძლება გამოქვეყნდეს ჟურნალებში, ხოლო წიგნები შეიცავდნენ მითითებებს პირველად და მეორად წყაროებზე.

წყაროთა სამი ტიპი წარმოადგენს ინფორმაციის გადაადგილების სამ სტადიას. ინფორმაციის გადაადგილებასთან ერთად პირველადიდან მეორადისკენ და შემდეგ დამატებითისკენ, ის უფრო ნაკლებად დეტალიზებული და ნაკლებად საიმედო, თუმცა, უფრო მეტად წვდომადი ხდება. სურათიდან ჩანს, რომ, პირველადთან შედარებით, მეორადი წყაროები ნაკლებად ღირებულება, ვინაიდან შეიცავენ ინფორმაციას, რომელიც ერთხელ უკვე იყო გამოქვეყნებული.

სხვა განსხვავებები პირველად და მეორად წყაროებს შორის ასახულია ცხრილში #15

ცხრილი #15. პირველადი და მეორადი წყაროების დახასიათება⁸¹

წყარო	გამოქვეყნების სიხშირე	პუბლიკაციის ფორმატი	წვდომა
ანოტირებული აკადემიური ჟურნალები, სხვა ჟურნალები	ჩვეულებრივ, თვეში ან კვარტალში ერთხელ	ჩვეულებრივ, ბეჭდური ან ინტერნეტგამოცემა.	საუნივერსიტეტო კატალოგები, ბიბლიოთეკათაშორისო გაცვლა, ინტერნეტი.
პროფესიული ჟურნალი	ჩვეულებრივ, კვირაში ან თვეში ერთხელ	ჩვეულებრივ, ბეჭდური ან ინტერნეტგამოცემა.. შესაძლებელია წვდომა CD-ROM დისკზე, ჩიპზე	საუნივერსიტეტო კატალოგები, ბიბლიოთეკათა-შორისო გაცვლა, ინტერნეტი. შესაბამისი ორგანიზაციების ვებ-გვერდი
დარგობრივი ჟურნალი	ჩვეულებრივ, კვირაში ან თვეში ერთხელ	ჩვეულებრივ, ბეჭდური, ან ინტერნეტგამოცემა.	ბიბლიოთეკებში ნაკლებადაა წარმოდგენილი. შესაძლებელია მიღება ბიბლიოთეკათაშორისო ააილით
წიგნი	წიგნის ან აკადემ. ჟურნ. ფორმით	წიგნი ან ანოტირებული აკადემიური ჟურნალი	წვდომა მარტივია. თუ წყარო არ არსებობს, მისი მიღება შეიძლება ბიბლიოთეკებს შორის გაცვლით

⁸¹ Там же, с. 92.

გაზეთი	ჩვეულებრივ ყოველდღიური ან ყოველკვირეული	ყველა თანამედროვე ბრიტანული გაზეთის წაკითხვა შესაძლებელია ინტერნეტში და მონაცემთა ინტერაქტიურ ბაზებზე ხელმოწერით.	წარმოდგენილია ბიბლიოთეკებში, ინტერნეტში შესაბამისი გამოცემის ვებ-გვერდებზე.
კონფერენციის ოქმები	კონფერენციის ტიპის მიხედვით, ზოგჯერ ქვეყნდება ჟურნალებში	გამოიცემს წიგნად ან ანოტირებული აკადემიური ჟურნალის სახით. ზოგიერთი ოქმი ან მათი რეზიუმე ხელმისაწვდომია	ბიბლიოთეკებში წარმოდგენილია არასაკმარისად. მიღება შეიძლება ბიბლიოთეკებს შორის გაცვლით.
ანგარიშები	ერთგვარადი	ანოტირებული აკადემიური ჟურნალის სახით.	ბიბლიოთეკებში წარმოდგენილია არასაკმარისად. მიღება შეიძლება ბიბლიოთეკებს
დამერტაციები	სამეცნიერო ხარისხის მიხედვით	ძირითადად იბეჭდება, მაგრამ სულ უფრო ხშირად გამოიცემს მიკროჩიპზე	ჩვეულებრივ, ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკათაშორისო თხოვნის საფუძველზე, როგორც წესი, ინახება ერთი

ლიტერატურული მიმოხილვისას დოქტორანტმა უნდა:

- განიხილოს კვლევასთან დაკავშირებული ძირითადი აკადემიური თეორიები;
- აჩვენოს, რომ იცნობს მოცემულ სფეროში გამოქვეყნებულ უკანასკნელ ნაშრომებს (მათ შორის საზღვარგარეთულს);
- წარმოაჩინოს კავშირი თავის და წინამორბედ კვლევებს შორის; შეაფასოს მათი ძლიერი და სუსტი მხარეები ავტორისეული მიკერძოებულობის ჩათვლით;
- მოახდინოს საკუთარი მოსაზრებების არგუმენტაცია საკმარისი ოდენობით ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით.

რეკომენდებულია, აგრეთვე, მაღლიერების გამოხატვა მათ მიმართ, ვისი შრომის ნაყოფსაც იყენებს დოქტორანტი თავის კვლევაში. მაგალითად: „მეცნიერ ... კვლევების წყალობით...“, „პროფესორ ... რჩევით...“, „სპეციალისტთა უმრავლესობის მიერ აღიარებული მონოგრაფიის საფუძველზე...“ და ა. შ. ეს თავიდან ააცილებს დოქტორანტს პლაგიატის ბრალდებას და სხვა უსიამოვნებას.

ლიტერატურული მიმოხილვის მომზადება რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს :

ცხრილი#16

ეტაპი 1.	ძიების პარამეტრების განსაზღვრა
ეტაპი 2.	ლიტერატურის მოძიება
ეტაპი 3.	ლიტერატურის ჩამონათვალის გაკეთება
ეტაპი 4.	წყაროთა ფასეულობის განსაზღვრა, ყველაზე ფასეული წყაროების გამოყოფა
ეტაპი 5.	ლიტერატურის მიმოხილვა, ყველაზე ფასეული წყაროების რეფერირება
ეტაპი 6.	ლიტერატურის მიმოხილვის პირველადი ვერსიის ფორმირება.
ეტაპი 7.	სამიუნივერსიტეტო სიტყვების დაზუსტება, თემატიკის დაფიქროვება, პირველ ეტაპზე დაბრუნება.
ეტაპი 8.	ლიტერატურის საბოლოო მიმოხილვა.

განვიხილოთ ჩამოთვლილი ეტაპები დაწვრილებით:

ეტაპი 1. ძიების პარამეტრების განსაზღვრა

აღნიშნულ ეტაპზე შესაძლებელია პრობლემის გაცნობიერების სტანდარტული მეთოდების (მაგალითად, *brainstorm*) გამოყენება. მოცემული მეთოდი სასარგებლოა სამიუნივერსიტეტო სიტყვების შესარჩევად. მუშაობის პროცესში (დამოუკიდებლად იმისა, მუშაობთ მარტო თუ ჯგუფთან ერთად), აუცილებელია ჩაიწეროთ ყველა ცნობიერებაში ამოტივტივებული სიტყვა და საკვლევ თემასთან დაკავშირებული მოკლე ფრაზები. ამის შემდეგ უნდა შეფასდეს, რამდენად გამოსადეგია აღნუსხული სიტყვები/ფრაზები ძიებისათვის. მიზანშეწონილია საკითხის განხილვა ადამიანთა, განსაკუთრებით ექსპერტთა რაც შეიძლება დიდ ჯგუფთან ერთად.

ეტაპი 2. ლიტერატურის ძიება

ლიტერატურის ძიება ხორციელდება ინტერნეტის სამიუნივერსიტეტო პროგრამების დახმარებით, ასევე, საბიბლიოთეკო კატალოგებით (რომლებიც ხშირად, ასევე, ელექტრონული სახითაა წარმოდგენილი), სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებში წარმოდგენილი წყაროების ჩამონათვალით. აუცილებელია კონსულტაციის გავლა მეცნიერ-ხელმძღვანელთან, პედაგოგებთან, რომელთაც შეუძლიათ ფასეული ლიტერატურული წყაროების დასახელება. ასევე, სასარგებლოა კომუნიკაცია თემატიკური ინტერნეტ-ფორუმის მონაწილეებთან. აუცილებელია ყოველი მოძიებული წყაროს შეტანა ლიტერატურული წყაროების ნუსხაში.

ეტაპი 3. ლიტერატურის ჩამონათვალის გაკეთება.

ამა თუ იმ წყაროს მოძიების შემდეგ რეკომენდებულია ლიტერატურული და სხვა წყაროების წერილობითი ნუსხის შედგენა ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის გაკეთების წესების დაცვით (იხ. „წყაროების გაფორმება“). წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული წყაროს პოვნა შემდგომში შეუძლებელი გადგება და შეუძლებელი გახდება მისი სწორად გაფორმება. ინტერნეტ მასალის გამოყენებისას, აუცილებელია მისი მოძიების თარიღის მითითებაც.

ეტაპი 4. წყაროთა ფასეულობის განსაზღვრა, ყველაზე ფასეული წყაროების გამოყოფა.

მოძიებული წყაროებიდან ყველა მათგანი არ იქნება ფასეული კვლევის წარმოებისთვის.

წყაროს ფასეულობის განსაზღვრისთვის პასუხი უნდა გაცეს შემდეგ შეკითხვებს:

- რამდენი ხნის წინ დაიწერა ნაშრომი?
- არის თუ არა ის სხვა ნაშრომის დუბლირება?
- რამდენად ემთხვევა კვლევის მიმართულება წინამორბედი ნაშრომისას?
- არსებობს თუ არა მითითებები კონკრეტულ ნაშრომზე ან იმავე ავტორის სხვა შრომებზე ფასეულად მიჩნეულ წყაროებში?
- ადასტურებს ან უარყოფს თუ არა ნაშრომი დისერტაციის ძირითად იდეებს? ორივე შემთხვევაში აუცილებელია მისი შესწავლა.
- მიკერძოებულად აღიქმება თუ არა ავტორის დასკვნები იმის მიუხედავად, თუ რამდენად აქტუალურია საკვლევი თემა.
- რა მეთოდოლოგიურ ნაკლს შეიცავს ნაშრომი. ასეთის არსებობის მიუხედავად, ის შეიძლება ფასეული აღმოჩნდეს დოქტორანტისთვის.
- რამდენად ზუსტია კვლევის შედეგები? სიზუსტის დაბალი ხარისხი, ასევე, არ გამორიცხავს მის სარგებლიანობას.

ეტაპი 5. ლიტერატურის მიმოხილვა, ინფორმაციის ყველაზე ფასეული წყაროების რეფერირება.

ამ ეტაპზე დოქტორანტმა უნდა ამოიწეროს და სწორად გააფორმოს საჭიროდ მიჩნეული ციტატები: მიუთითოს წყარო, გვერდი, ვებ-გვერდის მისამართი და ა.შ. მიზანშეწონილია აქტიურად იქნას გამოყენებული საჭირო წყაროების (მაგალითად მონოგრაფიის ცალკეული გვერდის) ქსეროკოპირების, სკანირების შესაძლებლობები. მნიშვნელოვანია

ყოველთვის მიეთითოს ციტატის ან მისი პერიფრაზის წყარო. დაუშვებელია სხვისი ტექსტის საკუთრად წარმოჩენა (ეს პლაგიატია).

ეტაპი 6. ლიტერატურის მიმოხილვის პირველადი ვერსიის ფორმირება.

ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპების გავლის შემდეგ დოქტორანტი წერს ლიტერატურის მიმოხილვის პირველად ვერსიას. მიმოხილვაში მოკლედ უნდა იქნას გადმოცემული დამუშავებულ წყაროებში აღწერილი ძირითადი იდეები, განაზოგადდეს, შედარდეს და შეუპირისპირდეს ერთმანეთს სხვადასხვა ავტორის პოზიცია. მნიშვნელოვანია შევიწროვდეს ნაშრომთა წრე, რათა შესაძლებელი გახდეს ყურადღების კონცენტრირება უფრო აქტუალურ კვლევებზე. რეკომენდებულია ასეთი კვლევის შედეგების გულმოდგინედ გაანალიზება. უნდა გამოიყოს საკითხები, რომელთა მიმართაც დისერტაციაში შემოთავაზებულია ახალი მიდგომები.

ლიტერატურის მიმოხილვის ხარისხის შეფასებისთვის დოქტორანტმა პასუხი უნდა გასცეს შემდეგ შეკითხვებს:

- იწყება თუ არა ლიტერატურის მიმოხილვა უფრო განზოგადებულ დონეზე, ვიდრე ეს კვლევის სფეროს დონეა;
- პირდაპირი შეხება აქვს თუ არა შერჩეულ ლიტერატურას კვლევის მიზნებთან და საკონტროლო კითხვებთან?
- ასახულია თუ არა მიმოხილვაში მოცემული სფეროს წამყვანი სპეციალისტების ძირითადი თეორიები?
- აღწერილია თუ არა ძირითადი წყაროები, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათი რეპრეზენტატიული ერთობლიობა?
- არის თუ არა შერჩეულ ლიტერატურულ წყაროებს შორის უკანასკნელი პერიოდის შრომები მოცემულ სფეროში?
- ობიექტური იყო თუ არა დოქტორანტი შერჩეული წყაროების განხილვისას?
- მითითებულია თუ არა წყაროები, რომლებში წარმოჩენილი თვალსაზრისიც არ ემთხვევა დოქტორანტისას?
- მკაფიოდაა თუ არა დასაბუთებული დისერტანტის იდეები?
- ამზადებს თუ არა მიმოხილვა მკითხველს მომდევნო თავის გასაცნობად?

ეტაპი 7. სამიზნო სიტყვების დაზუსტება, თემატიკის შევიწროება, დაბრუნება პირველ ეტაპზე.

ლიტერატურის პირველადი მიმოხილვის შემდეგ მიზანშეწონილია თემის ფორმულირების და დისერტაციის გეგმის გადახედვა. ლიტერატურული წყაროებიდან მიღებულმა ახალმა ცოდნამ შეიძლება თემის ფორმულირების, კვლევის მიზნის, ამოცანების, ცალკეული ნაწილის

სათაურის კორექტირების საჭიროება გააჩინოს. ყველა საჭირო ცვლილება განხილულ უნდა იქნას მეცნიერ-ხელმძღვანელთან ერთად.

ეტაპი 8. ლიტერატურის მიმოხილვის საბოლოო ვერსიის მომზადება

ლიტერატურის მიმოხილვის შემაჯამებელმა ვერსიამ მკითხველი ლოგიკურად უნდა მიიყვანოს საკვლევი პრობლემის გაცნობამდე. დოქტორანტმა უნდა შეამოწმოს ციტატების გაფორმების სიზუსტე, ამოიღოს ტექსტიდან ბანალური, ზოგადი სიტყვები, ნებისმიერი ნაწილი, რომელიც არ უკავშირდება კონკრეტული კვლევისათან დაკავშირებულ საკითხებს.

მიზანშეწონილია ლიტერატურული მიმოხილვის შედეგად გაკეთებული დასკვნების ფორმულირება მოკლე თეზისების სახით და პირველი სლაიდების მომზადება საანგარიშო პრეზენტაციისთვის.

წყაროების მიმოხილვა უნდა დასრულდეს დასკვნით იმის შესახებ, თუ შესასწავლი მოვლენის რომელი ასპექტები არ ყოფილა ჯერ კიდევ განხილული წინამორბედ ნაშრომებში და რის გაკეთებას აპირებს ამ მიმართულებით ავტორი, მითუმეტეს, რომ დისერტაციის ნაწილები, თავები და პარაგრაფები ფართოდ უნდა ეყრდნობოდეს წყაროებს. ნაშრომთა ყველა სამ სახეობას დაწვრილებით განვიხილავთ თავში, რომელიც ეთმობა დისერტაციის ინფორმაციულ დიზაინს. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობა დოქტორანტს სამეცნიერო საზოგადოების წევრად აქცევს.

პირველი თავის შინაარსი შეიძლება წარდგენილ იქნას შემდეგი გეგმის შესაბამისად:

თავი 1. საკვლევი პრობლემის დამუშავების ხარისხის ანალიზი

- 1.1. ცოდნის სფეროს და პრობლემის მდგომარეობის ანალიზი;
- 1.2. განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებული წინამორბედი კვლევების და აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის გზების ანალიზი;
- 1.3. კვლევის საგნის დასაბუთება;
- 1.4. საკუთარი კვლევის ჩატარების აუცილებლობის დასაბუთება.

8.4.3 მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა / ანგარიში (დისერტაციის მეორე თავი)

აღნიშნული თავი იწერება სადისერტაციო პროექტით, კვლევის პროგრამით დადგენილი ფორმით. მასში რეალიზდება სადისერტაციო ნაშრომის

სტრატეგია და კონკრეტული ამოცანები, დაწვრილებით მიმოიხილება და უკვე გამოიყენება კვლევის მეთოდოლოგია და ტექნიკა, ხდება მიღებული შედეგების განზოგადება. ყველა მასალა, რომელიც არაარსობრივია ფორმულირებული ამოცანების გადასაწყვეტად, გადატანილ უნდა იქნას დანართში. თავის შინაარსი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს სადისერტაციო თემას და სრულად ხსნიდეს მას. დისერტაციის ამ ნაწილში სრულად უნდა წარმოჩნდეს დისერტანტის უნარი დააღაგოს მასალა შემჭიდროვებულად, ლოგიკურად, არგუმენტირებულად. გადმოცემა და გაფორმება უნდა აკმაყოფილებდეს ნაშრომისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. მასში სრულად უნდა იქნას აღწერილი დისერტანტის საკუთარი კვლევა იმ სიახლის გამოკვეთით, რომელიც მან პრობლემის დამუშავებაში შეიტანა.

დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს პრობლემის გადაწყვეტის კონცეფცია, კვლევის არჩეული მიმართულების თეორიული და მეთოდური დასაბუთება. პრობლემა უნდა დანაწევრდეს ამოცანებად. განხილულ უნდა იქნას ამოცანის გადაწყვეტის ცნობილი და შესაძლო მეთოდები და ალგორითმები, უნდა მოხდეს მათი შედარებითი შეფასება, ჩამოყალიბდეს სამეცნიერო დებულებები, შემუშავდეს პრობლემის გადაწყვეტის ზოგადი მეთოდიკა.

კვლევითი პროგრამის მეთოდოლოგიური კონცეპტებით ხდება სადისერტაციო კვლევის წარმოების პროგრამირება, განისაზღვრება ნაშრომის სტილური თავისებურებები.

მეთოდოლოგიის ცნებას მეცნიერებაში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

- ძირითადი პრინციპების სისტემა თეორიულ კვლევაში (პარადიგმა);
- სწავლება შემეცნების მეთოდების შესახებ;
- ემპირიული კვლევის მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ინტერპრეტაციის მეთოდების ერთობლიობა.

სოციოლოგიურ მეცნიერებებში მეთოდოლოგიას განიხილავენ გნოსეოლოგიურ და პრაგმატულ ასპექტებში. გნოსეოლოგიურ ასპექტში - როგორც შეცნობის (შესწავლის) პრინციპების ერთობლიობას სოციალურ რეალობაში, პრაგმატულ ასპექტში კი - პრაქტიკულ საქმიანობაში გამოსაყენებელი მეთოდების-ტექნოლოგიების ერთობლიობას.

ყველა თეორიული მეთოდი შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად. ესენია ზოგადმეცნიერული, სოციოლოგიური და კონკრეტული მეცნიერების სპეციფიკური კვლევის მეთოდები.

ზოგადმეცნიერული მეთოდებით გამოიკვლევა მიზეზ-შედეგობრივი კავშირები მოვლენებს შორის მათი უწყვეტი განვითარების პროცესში, ერთდროულად დგინდება სხვაობა მოვლენის ობიექტური მახასიათებლებსა და მის სუბიექტურ აღქმას შორის. ზოგადსამეცნიერო მეთოდებს გააჩნია შემდეგი მახასიათებლები : ობიექტურობა, კონკრეტულობა, სისტემურობა, კომპლექსურობა, ისტორიზმი და თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა.

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ სავალდებულოა ფილოსოფიური პრინციპების მხედველობაში მიღება და რომ სამეცნიერო კვლევა ეფუძნება მატერიალური დიალექტიკის კანონებსა და კატეგორიებს. ამგვარი პოზიცია დომინირებდა ყოფილ საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში. თანამედროვე პირობებში კი დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდოლოგია ისტორიულად განიხილება, როგორც კერძო შემთხვევა, ხოლო მისი ალგორითმები არააბსოლუტური და არაუნივერსალურია. ამავდროულად თავად ფილოსოფია არ დაიყვანება დიალექტიკურ მატერიალიზმამდე, ხოლო სოციალური მეცნიერებების მეთოდოლოგია - ფილოსოფიურ მეთოდოლოგიამდე.

სოციოლოგიური მეთოდების თავისებურება განისაზღვრება სოციუმის მახასიათებლებით, რომლებიც მოითხოვენ საზოგადოების შესწავლას მთელი მისი მრავალფეროვნებით. ამგვარი პოზიციიდან სოციალური მეცნიერებებისთვის მნიშვნელოვანია კვლევის სოციალურ-ფილოსოფიური მეთოდი, ასევე სტრუქტურულ-ფუნქციური და სისტემური ანალიზის მეთოდი. თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში გამოიყენება კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც აერთიანებს თეორიულ, ემპირიულ და ჰიპოთეზურ (სოციალური მოდელირებისა და პროგნოზირების) მიდგომებს.

სოციალური მეცნიერებების მეთოდოლოგიის მნიშვნელოვანი შემადგენელია მეთოდების ჯგუფი, რომლებიც უზრუნველყოფენ ემპირიულ სანდოობას. ამ ჯგუფს მიეკუთვნება მონაცემთა შეგროვების, დამუშავების და მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაციის მეთოდები. გამოყენებითი კვლევების ძირითადი მახასიათებელია - პრაქტიკული მიმართულება. ნებისმიერი კეთილსინდისიერი სოციალური გამოყენებითი კვლევა იწყება კვლევის პროგრამის შემუშავებით, რაც რიგი სამეცნიერო პროცედურების შესრულებას გულისხმობს. პირველ რიგში, ირკვევა ამოსავალი ცნებების შინაარსი და განისაზღვრება ემპირიული მაჩვენებლები და ინდიკატორები, რომელთა დახმარებით რეგისტრირდება

შესასწავლი მოვლენები და პროცესები. შემდეგ ზუსტდება ურთიერთკავშირი შესასწავლ მოვლენებს შორის და ბოლოს, ხდება ემპირიული მონაცემების განზოგადების ალგორითმების შერჩევა ამოსავალი ცნებების საფუძველზე.

ემპირიული კვლევის შედეგად მიღებული ცოდნა უშუალოდ გამოიყენება პროექტირების, პროგნოზირების და სოციალური მართვის სხვა ტექნოლოგიების შემუშავებისთვის. გამოყენებითი კვლევები ასრულებენ როგორც სამეცნიერო ფუნქციას (ახალი ცოდნის მიღება), ისე სოციალურ-ინჟინერულს, რაც გამოიხატება მართვის იმ სუბიექტის კონკურენტული უპირატესობის უზრუნველყოფაში, რომლის ინტერესებშიცაა კვლევის ჩატარება.

სოციალური მეცნიერებების სპეციფიკური მეთოდების განსაზღვრა საკმაოდ რთულია. ამის მიუხედავად, მკვლევარები არჩევენ შეცნობის საკუთარ ინსტრუმენტარიუმს, რომელიც დამოკიდებულია სოციალური პროცესების ანალიზისადმი მიდგომაზე. სპეციფიკურ მეთოდებს მიეკუთვნება:

- ორგანიზაციულ-სტრუქტურული ანალიზი - მოვლენის შეცნობა მისი სტრუქტურის საფუძველზე;
- კომუნიკაციური - კვლევის ობიექტებს შორის არსებული კავშირების სისტემის ანალიზი;
- ინოვაციური - მოვლენის ან პროცესის შესწავლა მისი განვითარების პოზიციიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ფილოსოფიური მსოფლმხედველური საფუძვლის როლი უდავოდ დიდია, მას არ შეუძლია შეცვალოს სამართლებრივი კვლევის თეორიაში გამომუშავებული ზოგადი მეთოდოლოგიური კატეგორიები და პრინციპები.

უდავოა, რომ მთლიანად სამართლებრივი სისტემის, სამართალშემოქმედების ზოგადი სამეცნიერო ცნებების, სამართლის რეალიზაციის, მისი განმარტების, სამართალურთიერთობების, კანონიერებისა და მართლწესრიგის, კანონიერი ქცევისა და იურიდიული პასუხისმგებლობის გარეშე, იურიდიული მეცნიერების არც ერთ დარგს არ ძალუძს ნაყოფიერად დაამუშავოს საკუთარი სპეციალური სფეროს საკითხები.

ერთი მხრივ, ეს განპირობებულია იმით, რომ რეალურ სამართლებრივ სფეროში ობიექტურად არსებობს სამართლებრივი მოვლენების

განვითარების ისეთი კანონზომიერებები, მათ შორის ისეთი კავშირები და ურთიერთქმედებები, რომლებიც დამახასიათებელია ყველა აღნიშნული სახეობის მოვლენისათვის და რომელთა შეცნობის გარეშე შეუძლებელია დარგობრივი იურიდიული მეცნიერებების მეტად თუ ნაკლებად ღრმა შესწავლა. მეორე მხრივ, მეცნიერების ზოგად ცნებებს, დებულებებს და განსაზღვრებებს მხოლოდ მაშინ ექნებათ პრაქტიკული მნიშვნელობა, თუ ისინი კონკრეტული ჭეშმარიტებით არიან შეკავშირებული. მეცნიერების ზოგადი კატეგორიები არ უარყოფს კერძო მეთოდებს, პირიქით, გულისხმობს მათ არსებობას. ერთერთი ყველაზე მოთხოვნადი მეთოდია ისტორიული მეთოდი - ხერხების, საშუალებების, პროცედურების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება რეტროსპექტული კვლევისთვის სოციალურ მეცნიერებებში, კრიმინოლოგიაში, დანაშაულობის, დამნაშავის პიროვნების და კრიმინოლოგიის საგნის სხვა ელემენტების შესწავლისთვის. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს შესასწავლი ობიექტის განვითარების განხილვას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ისტორიული მეთოდი შესასწავლი მოვლენის აღმოცენების, ფორმირებისა და განვითარების ლოგიკის, მის მხარეებს შორის აუცილებელი ისტორიული კავშირების მიგნების საშუალებას იძლევა.

სისტემურ-სტრუქტურული, ანუ, როგორც მას კიდეც უწოდებენ, სისტემური მეთოდი, სოციალურ და სამართლებრივ კვლევებში წარმოადგენს მეთოდოლოგიური მიდგომების, ხერხების, პრინციპების ერთობლიობას სოციალური ურთიერთობებისა და სამართლის, როგორც სისტემების შესწავლისა და კონსტრუირებისთვის.

მეთოდი ეფუძნება შემდეგ პოსტულატებს:

- ✓ სისტემა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ერთიან კომპლექსს;
- ✓ ის ერთიანობაშია გარემოსთან;
- ✓ როგორც წესი, ნებისმიერი შესასწავლი სისტემა წარმოადგენს უფრო მაღალორგანიზებული სისტემის ელემენტს;
- ✓ ნებისმიერი გამოსაკვლევი სისტემის ელემენტები, თავის მხრივ, წარმოადგენენ უფრო დაბალორგანიზებულ სისტემებს.

სისტემურ-სტრუქტურულ მიდგომასთან მჭიდრო კავშირშია ფუნქციური მეთოდი, რომელიც გამოიყენება სახელმწიფო-სამართლებრივ სისტემაში სტრუქტურული ნაწილების გამოსაყოფად მათი სოციალური დანიშნულების, როლის, ფუნქციების, მათ შორის კავშირის მიხედვით. აღნიშნულ მეთოდს გამოიყენებენ სოციალურ და სამართლებრივ თეორიებში სახელმწიფოს ფუნქციის, სახელმწიფო ორგანოების,

სამართლის, იურიდიული პასუხისმგებლობის და სხვა სახელმწიფო-სამართლებრივი მოვლენების შესწავლისათვის.

სამართლებრივ მეცნიერებებში სპეციალურ მეთოდებს მიმართავენ სახელმწიფო-სამართლებრივი რეალობის ცალკეული მხარეების, მისი სპეციფიკური სფეროების შესასწავლად. არსებობს მთელი რიგი ასეთი მეთოდებისა, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ:

- კონკრეტულ-სოციოლოგიური მეთოდი;
- შედარებით-სამართლებრივი მეთოდი;
- ფორმალურ-იურიდიული მეთოდი;
- სამართლებრივი მოდელირების ან სასამართლო და ადმინისტრაციული სტატისტიკის გამოყენების მეთოდი.

ყოველი დასახელებული მეთოდი ატარებს სპეციფიკურ ხასიათს, იმდენად რამდენადაც, უშუალოდ უკავშირდება შესასწავლი ობიექტის სპეციფიკურ მხარეებს.

კონკრეტულ-სოციოლოგიური მეთოდი ეფექტურად გამოიყენება სამართლებრივი და სახელმწიფო-პოლიტიკური ინსტიტუტების საქმიანობის სხვადასხვა სფეროს, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგიანობის, ასევე, სამართლებრივი რეგულირების ან სამართლებრივი დაცვის საიმედოობის შესწავლისათვის. აღნიშნული მეთოდი არამარტო ტრადიციული სახელმწიფო-სამართლებრივი საკითხების გადაჭრის, არამედ რიგი ახალი პრობლემების დაყენების საშუალებას იძლევა. საქმე იმაშია, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, არასაკმარისია მხოლოდ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი დებულებების, პრინციპების, თავისებურებების და განვითარების ტენდენციების განსაზღვრა. აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორ მოქმედებენ ეს ფაქტორები რეალურ ურთიერთობებზე, როგორაა უზრუნველყოფილი სახელმწიფო-სამართლებრივი სისტემის შედეგიანი ფუნქციონირება მთლიანად და მისი შემადგენელი ელემენტების ცალკეული სისტემების ფარგლებში.

მთელი რიგი ხერხები, როგორცაა დაკვირვება, ანკეტირება, ინტერვიუ, ექსპერიმენტი და ა.შ. კონკრეტულ-სოციოლოგიური მეთოდის ფარგლებში გამოიყენება სამართლებრივი გადაწყვეტილებების ოპტიმალური ვარიანტების მოსაძებნად, დასაბუთებული პროგნოზების გასაკეთებლად სოციალურ-სამართლებრივი რეფორმების გატარების, დანაშაულობის (მისი ორგანიზებული და განსაკუთრებით საშიში ფორმების ჩათვლით) სფეროში. მეთოდი მოითხოვს, რომ შემოთავაზებული სამეცნიერო რეკომენდაციები ეფუძნებოდეს ყველა სოციალური ფაქტორის (დადებითისა თუ

უარყოფითის) ღრმად შესწავლასა და აღრიცხვას, სამართლისა და სახელმწიფოს სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების სოციალური მნიშვნელობის მრავალმხრივ შეფასებას.

შედარებით-სამართლებრივ მეთოდს ფართოდ იყენებენ სამართალმცოდნეობის მეთოდოლოგიაში. სახელმწიფო-პოლიტიკური და სამართლებრივი პრაქტიკის რეფორმა და სრულყოფა შეუძლებელია ერთდროულად ან დროის სხვადასხვა პერიოდში არსებული მსგავსი ობიექტების შედარების გარეშე. შედარებას შეიძლება დაექვემდებაროს სახელმწიფოები ან სხვადასხვა ქვეყნისა თუ კონტინენტის სამართლებრივი სისტემები. ასევე, შეიძლება აღნიშნული სისტემების შედარება ერთი და იგივე ქვეყნის შიგნით განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ამავდროულად, ჭეშმარიტების მისაგნებად აუცილებელია ობიექტის რაოდენობრივი და თვისებრივი მხარეების, მისი თეორიული და ემპირიული მახასიათებლების გაანალიზება. სახელმწიფო-სამართლებრივ თეორიაში კვლევის შედარებით-სამართლებრივი მეთოდის ფართოდ დანერგვამ შეიძლება ახალი სამეცნიერო დისციპლინების აღმოცენებამდე მიგვიყვანოს, თუ ასეთი კვლევების მსვლელობისას შეისწავლება სახელმწიფო-სამართლებრივი სფეროს შედარებით დამოუკიდებელი კანონზომიერებების ისეთი ერთობლიობა, რომელსაც უშუალოდ არ მოიცავს ტრადიციული იურიდიული მეცნიერებების საგანი


ფორმალურ-იურიდიული მეთოდი ტრადიციული, იურიდიული მეცნიერებისათვის ნიშანდობლივი კვლევის მეთოდია, რომელიც უშუალოდ მისი ბუნებიდან გამომდინარეობს. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში აღმოცენდა არაერთი სკოლა და მიმართულება (გლოსატორები, პოსტგლოსატორები), რომლებიც ავითარებდნენ სამართლებრივი ნორმების განმარტების და მოქმედი კანონმდებლობის ფორმალური ანალიზის ხერხებს. ფორმალური მეთოდი წარმოადგენს სახელმწიფოსა და სამართლის მეცნიერული შეცნობის აუცილებელ საფეხურს, იმდენად რამდენადაც, ხელს უწყობს მიღებული ცოდნის მკაფიოდ და გასაგებად აღწერას, განზოგადებას, კლასიფიკაციას, სისტემატიზაციას. ფორმალურ-იურიდიული მეთოდის ელემენტები შეიძლება აღმოვაჩინოთ სახელმწიფოსა და სამართლის შესწავლის სხვა ხერხებში, განსაკუთრებით ისეთ ფორმალიზებულში, როგორიცაა სამართლებრივი მოდელირება, მათემატიკური ან სტატისტიკური მეთოდები და მსგ.

კვლევის საგნის გაფართოება და გართულება, პრაქტიკის ახალი მოთხოვნები იძულებულს გვხდის მივმართოთ კვლევის ზუსტ, სანდო მეთოდებს, როგორიცაა მათემატიკური, მათემატიკურ-სტატისტიკური, კიბერნეტიკული და სხვა მეთოდები. სახელმწიფო-სამართლებრივი

ობიექტების, როგორც რთული სისტემების ანალიზი მათში მიმდინარე მრავალფეროვანი პროცესებითა და წინააღმდეგობებით, მოითხოვს მეთოდების მთელი კომპლექსის („პაკეტის“) გამოყენებას, მათ შორის, ისეთისაც, რომელსაც წარმატებით გამოიყენებენ თანამედროვე ცოდნის სხვა სფეროებში. ერთერთი ასეთი მეთოდია სამართლებრივი მოდელირება, რომელიც მსგავსების იდეას ეყრდნობა. ამ უკანასკნელის თანახმად, სხვადასხვა ობიექტს შორის შეიძლება არსებობდეს ცალსახა შესაბამისობა, რომლის დროსაც ერთერთის (მოდელის) მახასიათებლების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მეორეს (ორიგინალის) შესახებ.

მოვლენის სხვადასხვა მხარის განხილვისას აუცილებელია მისი მთლიანობაში აღქმა. ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილი სპეციფიკური მეთოდები ეფექტურია მხოლოდ კომპლექსური კვლევისას. მხოლოდ ერთი მეთოდის ან მეთოდთა ერთგვაროვანი ჯგუფის გამოყენებამ შეიძლება მოვლენის არასწორ გაგებამდე და რეგულირების არასწორი პრინციპების შემუშავებამდე მიგვიყვანოს.⁸²

გრაფიკი #7



⁸² Вохмянин Д.В. 2012- Методики исследования в правовой науке в контексте правовых универсалий - Издательство "Академия Естествознания", ISBN 978-5-91327-166-2

ობიექტების ანალიზი, როგორც წესი, მოითხოვს მათ კლასიფიკაციას. კლასიფიკაცია კვლევის ან დაკვირვების ობიექტთა მთელი სიმრავლის არაგადამკვეთ კლასებად დაყოფის პროცესია საერთო ნიშნების მიხედვით. კლასიფიკაცია ხორციელდება შემდეგი ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ყოველი კლასიფიკაცია წარმოებს მხოლოდ ერთი საფუძვლით;
2. კლასიფიკაციის საფუძველი ნიშანია, რომელიც გვარობრივი ცნების (საკლასიფიკაციო ობიექტების სრული ერთობლიობის) სახეობებად (ამავე ერთობლიობის ნაწილებად, წევრებად) დაყოფის საშუალებას იძლევა. მაგალითად, საშუალო სკოლის განათლების საფეხურების დაყოფის საფუძველი დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო განათლებად, ზოგადი განათლების დონეა, რომელიც მოსწავლეს მოცემულ საფეხურზე ეძლევა. ამავდროულად, არ შეიძლება ერთ კლასიფიკაციაში რომელიმე სკოლის მოსწავლეების დაყოფა ასაკისა და აკადემიური მოსწრების მიხედვით.
3. კლასიფიკაციის წევრთა მოცულობა ტოლი უნდა იყოს მთელი საკლასიფიკაციო კლასის მოცულობისა.
4. ყოველი ობიექტი უნდა მოხვდეს მხოლოდ ერთ ქვეკლასში. არ შეიძლება, მაგალითად მთელი რიცხვების კლასიფიკაცია კენტ, ლუწ და მარტივ რიცხვებად. ასეთ შემთხვევაში რიცხვები 5, 7, 11 და ა.შ. ერთდროულად ორ ქვეკლასში მოხვდება, ვინაიდან ისინი ერთდროულად კენტი და მარტივი რიცხვებია.
5. კლასიფიკაციის წევრები უნდა გამოირიყვანდნენ ერთმანეთს, რაც იმას ნიშნავს, რომ არცერთი მათგანი არ უნდა შედიოდეს მეორის შემადგენლობაში. მაგალითად, სამეცნიერო წიგნების დაყოფა არ შეიძლება მონოგრაფიებად, სახელმძღვანელოებად, ცნობარებად და იურიდიულ წიგნებად. იურიდიული წიგნი შეიძლება იყოს მონოგრაფიაც, სახელმძღვანელოც, ცნობარიც და კოდექსიც.
6. ქვეკლასებად დაყოფა უნდა იყოს უწყვეტი, ანუ, აუცილებელია უახლოესი ქვეკლასების ჩამოყალიბება და არა უფრო დაშორებულ ქვეკლასზე „გადახტომა“. მაგალითად სამეცნიერო კვლევების კლასიფიკაცია შეიძლება სოციოლოგიის, ფილოსოფიის, სამართლისა და ა.შ. სფეროებში და არა მაგალითად სოციოლოგიის, ფილოსოფიის და სისხლის სამართლის (სამართლის ნაწილის) სფეროებში. უკანასკნელ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა უახლოესი ქვეკლასიდან (სამართალი) უფრო დაშორებულ ქვეკლასზე (სამართლის ნაწილზე) გადახტომას.

დამატებით შეიძლება ითქვას, რომ ერთი და იმავე კლასის ობიექტების, მოვლენების, პროცესების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის საფუძველზე. მაგალითად, ავეჯის კლასიფიკაცია შეიძლება

- იმ მასალის მიხედვით, რომლისგანაც ის დამზადებულია: ხის, მეტალის, პლასტმასის და ა.შ.
- დიზაინის სტილის მიხედვით: კლასიკური, ვიქტორიანული, მოდერნი და სხვ.
- ფუნქციური დანიშნულების მიხედვით: მაგიდა, სკამი, კარადა და ა.შ.

ანუ, ერთი და იგივე ობიექტის კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს არაერთ საფუძველზე. სხვადასხვა საფუძველზე ნაწარმოები კლასიფიკაციების ერთობლიობას კლასიფიკაციის სისტემას უწოდებენ. მათი აგება და ანალიზი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამეცნიერო კვლევებში, ვინაიდან საშუალებას იძლევა მკაფიოდ გამოვყოთ შესაბამისი საგნობრივი სფერო, ამ უკანასკნელის შიგნით ურთიერთდაკავშირებული ქვესფეროები, გამოვავლინოთ ე.წ. „თეთრი ლაქები“ - კვლევის პერსპექტიული საგნები ან მეთოდები. გარდა ამისა, რომელიმე საფუძველზე დაყოფილი ყველა კლასის კვლევა განზოგადების წარმოების საშუალებას იძლევა.

არსებული ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე კლასიფიკაციის ამოცანების გადასაწყვეტად შეიძლება გამოყენებულ იქნას სტატისტიკური მეთოდები, რომელთა დასახელებისთვის, საგნობრივი სფეროდან გამომდინარე, სინონიმებად გამოიყენება ტერმინები: „დაჯგუფება“, „სისტემატიზაცია“, „კლასტერიზაცია“, „ტაკსონომია“, „დიაგნოსტიკა“ და სხვ.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავის შინაარსის კლასიფიკაცია შეიძლება შემდეგი სახით მოხდეს:

თავი 2. პრობლემის გადაწყვეტის საშუალებათა დასაბუთება

2.1. პრობლემის დაყოფა შემადგენელ ამოცანებად

2.2. ამოცანების გადაწყვეტის მეთოდებისა და ალგორითმების ანალიზი

2.3. საერთო მეთოდის შემუშავება პრობლემის გადასაწყვეტად

8.44 კვლევის შედეგები (დისერტაციის მესამე თავი)

მოცემულ თავში დოქტორანტი წარადგენს ანგარიშების, ექსპერიმენტების შედეგებს იმ სიახლის წარმოჩენით, რომელიც მამიებელს მეცნიერების კონკრეტული სფეროს განვითარებაში შეაქვს. მიღებული შედეგების კრიტიკული ანალიზის შედეგად დოქტორანტმა უნდა შეაფასოს

დისერტაციის მახასიათებლები - სიახლე, შედეგების სანდოობა, მათი შედარება წინამორბედი კვლევების შედეგებთან. დოქტორანტმა უნდა დაადასტუროს კვლევის მიზნის მიღწევა, ამოცანების გადაწყვეტის სისრულე და განიხილოს მიღებული შედეგების გამოყენების შესაძლებლობა.

კვლევის შედეგების შეფასება უნდა იყოს თვისებრივი და რაოდენობრივი. პრობლემის გადაწყვეტის სხვა ცნობილ ვერსიებთან შედარება უნდა მოხდეს ყველა ასპექტის, მათ შორის, ეფექტურობის მიხედვით. შესაძლო განზოგადებამ შეიძლება ხელი შეუწყოს მეთოდების შემდგომ განვითარება-დახვეწას, დისერტაციის შედეგების გამოყენებას სხვა დისციპლინებსა და თეორიებში (კორექტულობის სავალდებულო დაცვით).

მნიშვნელოვანია განისაზღვროს კვლევის შედეგების სანდოობის შეფასების კრიტერიუმები:

- თეორიული კვლევის შედეგები (თეორია, კონცეფცია, ან რაიმე თეორიული კონსტრუქცია) მეცნიერული ცოდნის ნებისმიერ სფეროში უნდა იყოს საგნობრივი, სრული, არაწინააღმდეგობრივი, ინტერპრეტირებად, შემოწმებადი.
- ემპირიული კვლევის შედეგები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: იყოს ობიექტური (რამდენადაც ეს შესაძლებელია მოცემულ სამეცნიერო სფეროში), ადეკვატური, ვალიდური და ნეიტრალური შესასწავლი მოვლენის მიმართ.

კრიტერიუმების ერთობლიობამ საკმარისი სისრულით უნდა მოიცვას გამოსაკვლევი მოვლენის, პროცესის ყველა ძირითადი მახასიათებელი.

კვლევის შედეგად მიღებული მთელი მასალის გაანალიზების შემდეგ, მიზანშეწონილია მისი განაწილება გეგმის შესაბამისად და მასალის სტრუქტურირება თავებად და პარაგრაფებად. მოცემული თავის შინაარსი შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი გეგმის შესაბამისად:

თავი 3. კვლევის სამეცნიერო შედეგების შემოწმება და დადასტურება

3.1. ჩატარებული ექსპერიმენტების, ანგარიშების, მიღებული მონაცემების აღწერა

3.2. მიღებული შედეგების შედარება წინამორბედი კვლევების შედეგებთან; კვლევის მიზნის მიღწევისა და ამოცანების გადაწყვეტის სისრულის ანალიზი

3.3. კვლევის შედეგების სამეცნიერო და პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები.

8.4.5 განსჯა და მეცნიერული მიგნებები (დისერტაციის მეოთხე თავი)

მოცემულ თავში მკვლევარები განიხილავენ თეორიული და ემპირიული კვლევის შედეგად მიღებულ მიგნებებს. თავისი არსით, ეს თავი ახლოს დგას „კვლევის სამეცნიერო სიახლის“ ნაწილთან, ამიტომ მკვლევარები მას ყოველთვის არ გამოყოფენ ცალკე. ამავდროულად, შესაძლებელია აღნიშნული ნაწილების გაყოფა, უპირველეს ყოვლისა, ფორმულირებათა მიხედვით. თუ სიახლისადმი მიძღვნილ თავში ავტორი აყალიბებს დასკვნებს მთელი კვლევიდან გამომდინარე, „სამეცნიერო მიგნებების“ ნაწილში ის სადისერტაციო საბჭოს წევრების ყურადღებას ამახვილებს დისერტაციის გარკვეულ დებულებებზე, ძირითადი ყურადღება გადააქვს სამეცნიერო დისკუსიაზე აღნიშნული საკითხების ირგვლივ. ავტორი, თითქოსდა, შემოფარგლავს სადისერტაციო კვლევის შედეგებს მხოლოდ ამ ნაწილში ჩართული დასკვნებით.

სამეცნიერო მიგნებები კვლევის უფრო მნიშვნელოვანი შედეგებია სამეცნიერო სიახლით, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობით, რომლის საფუძველზეც კეთდება დასკვნა მაძიებლისთვის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება-არმინიჭების შესახებ. მოცემული თავის ყოველი დებულება აღწერილი და წარდგენილი უნდა იქნას, როგორც კონკრეტული სამეცნიერო შედეგი, რომლის შეფასება ხდება მეცნიერებაში უკვე აღიარებულ ანალოგთან შედარებით. ამავდროულად, მნიშვნელოვანია წარმოჩენილ იქნას:

- შემოთავაზებული დებულების არსი;
- მისი განსხვავება სხვა მიდგომებისგან;
- სამეცნიერო შედეგის მნიშვნელობა.

აღნიშნულ თავში მაძიებელი შემჭიდროვებულად წარმოაჩენს შედეგებს, რომელთა გამოც მას შეიძლება სამეცნიერო ხარისხი მიენიჭოს. სამეცნიერო მიგნებები უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიოდ, იყოს კონკრეტული და აირეკლოს მიღებული სამეცნიერო შედეგების არსი. დაუშვებელია ზოგადი ფორმულირებების გამოყენება. მაგალითად, „შემოთავაზებულია ახალი მიდგომები, რომლებიც ემსახურებიან ... ამალლებას, გაუმჯობესებას“ და მსგ.

თავი „განსჯა და მიგნებები“ უნდა შეიცავდეს ახალი სამეცნიერო შედეგების განმასხვავებელ ნიშნებს, რომლებიც მიუთითებენ დოქტორანტის წვლილზე კონკრეტული სამეცნიერო სფეროს განვითარებაში. აქ წარმოდგენილი უნდა იყოს არამართო მიღებული შედეგების მოკლე არსი, არამედ მათი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობის შედარებითი შეფასება. ამავე თავში უნდა იქნას გაანალიზებული მექანიზმების,

მოვლენების, მიმდინარე პროცესების კანონზომიერებები კვლევის შედეგებიდან გამომდინარე.

ახალი მეთოდის შემუშავების შემთხვევაში, განმარტებული უნდა იყოს არამარტო მისი არსი, არამედ ისიც, თუ რა მახასიათებლების მიხედვითაა ახალი მეთოდი ძველზე უკეთესი. (მაგალითად, უზრუნველყოფს უფრო ეფექტურ სწავლებას, აღზრდას, პრევენციას, საშუალებას იძლევა მივიღოთ მანამდე არაწვდომადი მონაცემები და ა.შ.)

თუ მიგნება მდგომარეობს ახალი მასალის მიღებაში ან ახალი ტექნოლოგიის შემუშავებაში, განხილულ უნდა იქნას არამხოლოდ ახალი მასალის თვისებები და შეთავაზებული ტექნოლოგიის არსი, არამედ მათი უპირატესობა მანამდე არსებულთან შედარებით, მათი პრაქტიკული ღირებულება (უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას, ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, აუმჯობესებს პროდუქციის მახასიათებლებს და სხვ.)

მსგავსი დებულებების ჩამოსაყალიბებლად მისაღება გამოყენებულ იქნას წინადადებები, რომლებიც ამა თუ იმ სახით შეიცავენ პირობას (თუ...) და დასკვნას (მაშინ...).

ხშირად აღნიშნული დებულებები ყალიბდება მეთოდების, ალგორითმების, მოდელების, ტექნოლოგიებისა და სხვათა სახით. მათი ფორმულირება უნდა იყოს ზუსტი და სრული.

დებულება სწორადაა ჩამოყალიბებული, თუ მოცემული სფეროს სპეციალისტს მხოლოდ მის საფუძველზე შეეძენება წინასწარი წარმოდგენა მიგნების სიახლეზე, სამეცნიერო და პრაქტიკულ ღირებულებაზე. თუ ეს არ ხერხდება, დისერტაცია საჭიროებს შემდგომ დამუშავებას.

სამეცნიერო მიგნებები დაწვრილებით უნდა იქნას აღწერილი დისერტაციაში და აისახოს ავტორეფერატშიც. მათი ფორმულირება მკაფიოდ უნდა ასახავდეს მამიებლის შეთავაზებას. რეკომენდებულია მიგნებების აღწერა დაიწყოს სიტყვებით: „დადგენილია“, „აღმოჩნდა“, „დამტკიცდა“ და ა. შ.

სამეცნიერო მიგნებები უნდა იყოს ოფიციალური შემფასებლის ანალიზის ძირითადი საგანი, ასევე სამეცნიერო დისკუსიის მთავარი ობიექტი დისერტაციის საჯარო დაცვისას. თუ ყველა ან ზოგიერთი მიგნება არახალია

ან ნაწილობრივ ახალი, ეს პირდაპირ უნდა აღინიშნოს ოფიციალური შემთავსებლის დასკვნაში.

მოცემული თავის შინაარსი შეიძლება შემდეგ სახით ჩამოყალიბდეს:

თავი 4. სამეცნიერო შედეგების განხილვა და მეცნიერული მიგნებები

4.1. სამეცნიერო შედეგების მნიშვნელობა და როლი პრობლემის გადაწყვეტასა და „თეთრი ლაქების“ ელიმინაციაში

4.2. სამეცნიერო მიგნებები და მათი მნიშვნელობა

4.3. პრობლემის გადაწყვეტის მოსალოდნელი შედეგები

დისერტაციის ძირითადი ტექსტის მომზადებისას მაძიებელი ვალდებულია მიუთითოს ლიტერატურული წყაროები, რომლებიდანაც ისესხა მასალები და ცალკეული შედეგები.

8.4.6 დასკვნა-რეკომენდაციები (დისერტაციის მეხუთე თავი)

დისერტაციის ერთერთი რთული ელემენტი დასკვნაა, რომელშიც კვლევის შედეგები წარმოჩნდება მისი წარმოების ლოგიკის შესაბამისად, როგორც ავტორის მიერ შეგროვილი სამეცნიერო ინფორმაციის საბოლოო სინთეზი.

სადისერტაციო კვლევა მეცნიერებაში შეტანილი ახალი წვლილია და ის მკაფიოდ უნდა იქნას ფორმულირებული დასკვნაში, რომელიც ერთგვარი ხარისხის ნიშანია დისერტაციისა. თუ შესავალში აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რა და როგორ უნდა იქნას გამოკვლეული, დასკვნაში ყურადღება მახვილდება კვლევის შედეგებზე. დასკვნა არამარტო სადისერტაციო ნაშრომის „ხარისხის ნიშანია“, არამედ ის ერთგვარი ლაკმუსია ავტორის უნარისა, გადაწყვიტოს შესავალში დაყენებული ამოცანები და ჩამოაყალიბოს სწორი დასკვნები.

დასკვნაში სინთეზდება დისერტაციის ძირითად ნაწილში დაგროვილი სამეცნიერო ინფორმაცია. მასში თანმიმდევრულად, ლოგიკურად გადმოიცემა ჩატარებული კვლევის შედეგები დისერტანტის მიერ დასახული მიზნისა და ამოცანების შესაბამისად.

დასკვნა შეიძლება ჩამოყალიბდეს პუნქტებად. მათში ფორმულირდება ახალი სამეცნიერო ცოდნა, რომელიც განასხვავებს სადისერტაციო კვლევას წინამორბედი ნაშრომებისგან.

ყოველი დისერტაცია სერიოზული სამეცნიერო ნაშრომია მნიშვნელოვანი დებულებებით, რაც უნდა აისახოს კიდევ დასკვნაში.

მნიშვნელოვანია იმის მკაფიოდ გაცნობიერება, რომ:

- შესავალი ძირითადად პასუხობს შეკითხვას, თუ რის შესახებ და რატომ ჩაატარა ავტორმა სადისერტაციო კვლევა, რას წარმოადგენს ის ძირითადი პარამეტრების მიხედვით;
- თავებში (ნაწილებში) ასახულია თავად კვლევა გამოკვეთილი პრობლემისა;
- დასკვნაში შეჯამებულია კვლევის შედეგები, გაკეთებულია დასკვნები, განზოგადებები, შემოთავაზებულია რეკომენდაციები. დასკვნა, ასევე, უნდა შეიცავდეს დისერტაციის სამეცნიერო სიახლეს, თეორიულ მნიშვნელობას, პრაქტიკულ ღირებულებას. დასკვნების წარმოჩენის თანმიმდევრობას განსაზღვრავს სადისერტაციო კვლევის აგების ლოგიკა.

დასკვნაში წარმოჩენილი კვლევის სიახლე არ არის შესავალში აღწერილის პირდაპირი დუბლირება. მასში მითითებული კონკრეტული დასკვნები კვლევის სიახლის ნაწილს შეადგენს, შესავალში კი სიახლე განზოგადებული სახითაა წარმოდგენილი.

მთლიანობაში, დასკვნა დისერტაციის თეორიული დონის მაჩვენებელია და დისერტანტის პროფესიულ სიმწიფესა და სამეცნიერო კვალიფიკაციაზე მეტყველებს. დასკვნები ეფუძნება კვლევას მთლიანად, ნაშრომის ყველა თავს; შესაბამისად, ისინი უფრო ფართე, მასშტაბური და განზოგადებულია, ვიდრე თითოეულ თავში/ნაწილში წარმოდგენილი.

დასკვნაში ყალიბდება პრაქტიკული რეკომენდაციები. ეს სადისერტაციო ნაშრომის რთული და საპასუხისმგებლო ნაწილია, თუმცა, არაიშვიათად ტრივიალური შინაარსით გამოირჩევა. რეკომენდაციები არ უნდა ატარებდნენ დირექტიულ ხასიათს, თუმცა, მათი ფორმულირებისას ხშირად გამოიყენება ისეთი სიტყვები, როგორცაა: „აუცილებელია გაკეთდეს“, „უნდა იყოს“ და მისთ., უფრო მეტიც, სახელდება ის ორგანიზაციები, რომელთაც უნდა დაეკისროთ რეკომენდაციების შესრულება.

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ რეკომენდაციები არ იყოს მეცნიერის განყენებული მსჯელობა და გამომდინარეობდნენ ჩატარებული კვლევიდან, დისერტაციის ტექსტიდან.

დადებითად იქნება აღქმული, თუ დისერტაციაზე მუშაობის დასრულებისას, დაცვამდე მკვლევარი რეკომენდაციებს სახელმწიფო და

საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გააგზავნის. ამის შესახებ ჩანაწერი უნდა გაკეთდეს დისერტაციასა და ავტორეფერატში.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ძირითადი წარმოდგენა დაცვაზე გამოტანილ სადისერტაციო ნაშრომზე სადისერტაციო საბჭოს წევრებს ექმნებათ შესავალში წარმოჩენილი მიზნებისა და ამოცანების და ნაშრომის დასკვნითი ნაწილის საფუძველზე. შესაბამისად, აუცილებელია მოკლე და მკაფიო ფორმულირებებით (და არა მსჯელობით) იქნას წარმოჩენილი დასკვნაში დასახული ამოცანების ყველა ძირითადი გადაწყვეტა, კვლევის მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

8.4.7 გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა

დასკვნას სადისერტაციო ნაშრომში თან სდევს გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ჩამონათვალი, რომელშიც უნდა აისახოს ყველა გამოყენებული წყარო: პუბლიკაციები, პატენტური მასალა. ნებისმიერი ბიბლიოგრაფიული აღწერა წარმოადგენს ბიბლიოგრაფიული ცნობების ერთობლიობას დოკუმენტის (წიგნის, სტატიის, თეზისის, მონოგრაფიის, დისერტაციის) შესახებ, რომელიც გარკვეული წესითაა შედგენილი. ლიტერატურის ჩამონათვალი განკუთვნილია დოკუმენტის ცალსახა იდენტიფიკაციისა და ზოგადი დახასიათებისთვის. სადისერტაციო ნაშრომის ლიტერატურული წყაროების ნუსხა საშუალოდ წყაროს 100-150 დასახელებას შეიცავს. ბიბლიოგრაფია დისერტაციის ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და აირეკლავს, არამარტო დისერტანტის დამოუკიდებელ შემოქმედებით მუშაობას, არამედ წარმოაჩენს მამიებლის ერუდიციას, კომპეტენტურობასა და აკადემიზმს.

ჩვეულებრივ, სადისერტაციო საბჭოს წევრები დისერტაციის გაცნობას იწყებენ არა პირველი, არამედ ბოლო გვერდებიდან, კერძოდ კი ბიბლიოგრაფიიდან. მისგან მიღებული შთაბეჭდილება ხშირად გადამწყვეტია ხოლმე. ყურადღება უნდა მიქცეს იმ ფაქტს, რომ დისერტაცია და მისი რეზიუმე წარმოადგენს შრომებს ხელნაწერის უფლებით და არა პუბლიკაციებს, ამიტომ გამოუქვეყნებელ ნაშრომზე მითითება და მისი ჩართვა ლიტერატურული წყაროების ჩამონათვალში არ არის რეკომენდებული.

ბიბლიოგრაფიულ ნუსხაში მასალის განთავსების ყველაზე უფრო გავრცელებული ხერხებია ანბანური, სისტემური, ან საკუთრივ ტექსტში მითითების წესი. ანბანური ხერხის გამოყენებისას, ბიბლიოგრაფია, როგორც წესი, არ ინომრება. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის კავშირი

ძირითად ტექსტთან დგინდება ავტორთა გვარების და წყაროს გამოცემის წლის მიხედვით.

შესაძლებელია წყაროების განლაგება პუბლიკაციის ქრონოლოგიის შესაბამისად, რასაც უფრო ხშირად მიმართავენ მაშინ, როდესაც სიამ უნდა ასახოს სამეცნიერო იდეის ან აზრის განვითარება. ბიბლიოგრაფიული აღწერის განლაგების თანმიმდევრობა აქ დამოკიდებულია წყაროს გამოცემის თარიღზე. წყაროთა განლაგება შესაძლებელია თემატიკის მიხედვითაც. აღნიშნულს, ჩვეულებრივ, მიმართავენ, როდესაც ასახვას ექვემდებარება დიდი რაოდენობით ბიბლიოგრაფიული მასალა. ამგვარი აგება საშუალებას იძლევა სწრაფად მოვიპოვოთ ცნობა გამოყენებული წყაროს ან ერთერთი თემის შესახებ, მაშინ როდესაც, ანბანური ან ქრონოლოგიური წყობის შემთხვევაში აუცილებელი გახდებოდა მთელი სიის წაკითხვა საჭირო თემაზე პუბლიკაციის მოსაძებნად.

ზოგჯერ ლიტერატურული წყაროების სისტემატიზაცია ხდება გამოცემის სახეობის მიხედვით. ასეთი ჩამონათვალი დისერტაციაში თემატურად ერთგვაროვანი ლიტერატურის სისტემატიზაციისთვის გამოიყენება. ჩვეულებრივ გამოიყოფა გამოცემათა შემდეგი ჯგუფები: სახელმწიფო ოფიციალური, ნორმატიულ-ინსტრუქციული და საცნობარო. მათი განლაგების წესი და შემადგენლობა განისაზღვრება სიის დანიშნულებით და ჩანაწერების შინაარსით. არსებობს ლიტერატურის სისტემატიზაციის კიდევ ერთი ხერხი - შინაარსის ხასიათის მიხედვით. მას გამოიყენებენ კვლევებში, რომლებშიც მცირე მოცულობითაა გამოყენებული ლიტერატურა. ჩანაწერები ამ შემთხვევაში შემდეგი წესით კეთდება: თავდაპირველად განლაგდება ზოგადი ნაშრომები პრინციპით მარტივიდან რთულამდე, კლასიკურიდან თანამედროვემდე, სამამულოდან უცხოურამდე; შემდეგ განლაგდება კერძო, კონკრეტული ხასიათის წყაროები. წყაროს აღწერის კავშირი ძირითად ტექსტთან ხორციელდება სიაში მინიჭებული ნომრის მიხედვით.

არსებობს შერეული სიებიც, რომლებიც იქმნება სიის მიზნობრივი დანიშნულებისა და სამკითხველო აუდიტორიის შემადგენლობის მიხედვით. ამავდროულად, სიის აგება სისტემატური წესის ან ტექსტში წყაროს მოხსენიების რიგის მიხედვით არ იძლევა წყაროს შესაძლო გამეორების გამორიცხვის გარანტიას, რაც დისერტაციაზე მუშაობისას გამოყენებული ლიტერატურის სიის ანბანური წესით აგების უპირატესობის სასარგებლოდ მეტყველებს.

ბიბლიოგრაფიული ჩამონათვალის გაფორმების საერთო სქემა, როგორც წესი, მოიცავს წყაროს სათაურს, ცნობებს გამოცემის, ინფორმაციას წყაროს გვერდების მოცულობის შესახებ. ბიბლიოგრაფიულ ჩამონათვალში არ უნდა იქნას ჩართული შრომები, რომელთა შესახებაც არ არის მითითება ძირითად ტექსტში, ანუ, რომლებიც ფაქტობრივად არ იქნა გამოყენებული ავტორის მიერ. არაა საჭირო ენციკლოპედიების ჩართვაც, თუ ამოღებული ტექსტი და განმარტებები არ ექვემდებარება სპეციალურ სამეცნიერო ანალიზს. იგივე ვრცელდება ცნობარებზე, სამეცნიერო-პოპულარულ წიგნებზე, არააკადემიურ ჟურნალ-გაზეთებზე. ამგვარი გამოცემების გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში, მიზანშეწონილია მათი მითითება იმავე გვერდზე. მე-2 დანართზე ასახულია ბიბლიოგრაფიული ჩამონათვალის გაკეთების შესაძლო ნიმუში.

დამატებითი მასალები განთავსდება დანართებში. ხშირად დისერტაციის ტექსტი უხვად შეიცავს თანმხლებ მასალებს, რაც ართულებს ნაშრომის კითხვას. ავტორი ცდილობს ხოლმე თვალსაჩინოების მასალების (ცხრილების, გრაფიკების, დიაგრამების, ნახაზების უშუალოდ ტექსტში განთავსებას, რითაც რთულდება ნაშრომის კითხვის პროცესი, ირღვევა მასალის გადმოცემის სამეცნიერო ლოგიკა, იფანტება მკითხველის ყურადღება. ამიტომ არსებობს სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი, რომელიც თან ერთვის ძირითად ტექსტს და სადაც განთავსდება ცხრილები, გრაფიკები, დამატებითი საცნობარო ხასიათის მასალები.

დანართი, ასევე მოიცავს საავტორო, დოქტორანტის მიერ მომზადებულ ანკეტებს, ცხრილებსა და დიაგრამებს, რომლებიც შეიცავენ კვლევის შედეგებს. ეს შეიძლება იყოს კვლევის შედეგების ამსახველი საავტორო გრაფიკები, ელექტრონული პროგრამები მონაცემთა დამუშავებისთვის და ა. შ.

თუ დოქტორანტი გამოიყენებს სხვა ავტორების სქემებსა და დიაგრამებს, ის ვალდებულია მიუთითოს შესაბამისი წყარო. ამის გარეშე სხვისი ილუსტრაციების და დამხმარე მასალების გამოყენება დაუშვებელია. ასეთი დამატებითი მასალის შინაარსი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს დისერტაციის თემატიკას.

დანართში არ შეიძლება ბიბლიოგრაფიის, საცნობარო კომენტარების და შენიშვნების ჩართვა, რომლებიც დისერტაციის საცნობარო-თანმხლები აპარატის ელემენტებს წარმოადგენენ და ძირითადი ტექსტის გამოყენებაში ეხმარებიან მკითხველს. დანართი ფორმდება, როგორც დისერტაციის გაგრძელება. შეიძლება ნაშრომის უზრუნველყოფა დამხმარე

მაჩვენებლებით, რომლებიც განთავსდება დანართის შემდეგ ან მის ნაცვლად, მაგრამ დაუშვებელია დანართში ნაშრომის საზღვრებს გარეთ ავტორის ტექსტის მოქცევა დისერტაციის საერთო მოცულობის შემცირების მიზნით.

ქვემოთ მოყვანილია რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა დისერტაციაზე მუშაობისას:

- აუცილებელია სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული სხვისი ტექსტის წყაროს მითითება, დაუშვებელია პლაგიატი, ანუ სხვა ავტორის ტექსტის პირდაპირ გადაწერა შესაბამისი მითითების გარეშე;
- სავალდებულოა დისერტაციის მოთხოვნილი ფორმატის დაცვა, რომელიც ნაშრომს ლოგიკურად დაკავშირებულ ნაწილებად ერთ მთლიანობაში წარმოადგენს;
- გამოყენებულ უნდა იქნას გადატანის, მითითების და სქოლიოს ოპცია, სადაც აუცილებელია მითითებითი აპარატით სარგებლობა;
- ხაზი უნდა გაესვას საავტორო იდეას, აზრსა და შეფასებას;
- დაცულ უნდა იქნას ნიშნების თანმიმდევრობა წინადადების ბოლოს და მითითების გაკეთებისას. წერტილი გამოიყენეთ წინადადების ბოლოს ყველა სხვა ნიშნის - ბრჭყალის, ფრჩხილის, მითითების ნომრის შემდეგ;
- გამოყენებულ უნდა იქნას სამეცნიერო ენა, ტერმინოლოგია, კატეგორიები, ფართოდაა წარმოსაჩენი სოციოლოგიური კვლევები, თუ დაცვა ხდება სოციალურ მეცნიერებებში;
- სწორად უნდა გაფორმდეს თემის დასახელება, სათაურები. მათ შემდეგ არ შეიძლება წერტილის გამოყენება (ისინი არ წარმოადგენენ წინადადებას);
- გულმოდგინედ უნდა გადამოწმდეს ორთოგრაფია და სინტაქსი. არ შეიძლება წინადადების დაწყება სიტყვით „ასევე“;
- ტექსტის გაფორმება უნიფიცირებული უნდა იყოს. დაუშვებელია ერთ ტექსტში სიტყვების/წინადადებების გამოკვეთა სხვადასხვა ხერხით; ხაზგასმა, მსხვილი და დახრილი შრიფტის ერთდროულად გამოყენება გაზვიადებული და არაესთეტიკურია;
- ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია ერთმანეთს შეესაბამებოდეს;
- საჭიროა ნაშრომის ელექტრონული პრეზენტაციის მომზადება.

8.5 ავტორეფერატის/გაფართოებული რეზიუმეს მომზადება

რეზიუმე და ავტორეფერატი სტანდარტული ფორმით მომზადებული სამეცნიერო ნაშრომია. თავისი რანგით ის წარმოადგენს ხელნაწერს, დაბეჭდილია ტიპოგრაფიაში და შემჭიდროვებულად და ლოგიკურად ასახავს სადისერტაციო კვლევის არსს. მასში მოკლედ და სამეცნიერო სტილის დაცვითაა გადმოცემული დისერტაციაში ასახული ძირითად იდეები და განკუთვნილია ფართო სამეცნიერო საზოგადოებისთვის. სტილი წარმოდგება ლათინური სიტყვიდან stylus და ნიშნავს სამეცნიერო ტექსტის არამართო პარადიგმულ შეპირობებას, არამედ, სახვითი ხერხების იდეურად და მხატვრულად დეტერმინებულ ერთობას მეცნიერებაში.

რეზიუმეში სავალდებულო წესით უნდა აისახოს თემის აქტუალობა, დისერტაციის ძირითადი იდეები და დასკვნები, ემპირიული კვლევის შედეგები, ავტორის წვლილი პრობლემის კვლევაში, სიახლის ხარისხი და ნაშრომის თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა.

რეზიუმე მზადდება ორ ენაზე - ქართულსა და ინგლისურზე, გადაეცემა სადისერტაციო საბჭოს ელექტრონულ და ქაღალდის მატარებლებზე ხელნაწერის უფლებით, ისევე, როგორც დისერტაციის ტექსტი. დაგზავნის მიზნით ხდება რეზიუმეს ტირაჟირება ტიპოგრაფიული ხერხით ან რეზოგრაფით. ტრადიციული ტირაჟია 50-100 ეგზემპლარი. დისერტაციის დაცვამდე რეზიუმე ეგზავნება სადისერტაციო საბჭოს წევრებს, ცენტრალურ ბიბლიოთეკებს, უმაღლეს სასწავლებლებს, დაინტერესებულ ორგანიზაციებს წინასწარ შედგენილი სიის მიხედვით და დებულებით გათვალისწინებული ვადების დაცვით. სია ექვემდებარება განახლება-რედაქტირებას სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივნის მიერ.

გასათვალისწინებელია, რომ რეზიუმე არ არის მხოლოდ შემოკლებული დისერტაცია, ის გარკვეულწილად თვითმყოფადი ნაწარმოებია. ამიტომ გამართული ენობრივ-სტილური მახასიათებლების გარდა, სავალდებულოა მისი სწორად გაფორმება საუნივერსიტეტო სტანდარტების შესაბამისად. გათავაზობთ გაფორმების შესაძლო ვერსიას.

რეზიუმეს ყდაზე ზემოდან ქვემოთ ქართულ და ინგლისურ ენაზე განთავსდება შემდეგი ინფორმაცია (იხ. დანართი #3) :

- უნივერსიტეტის დასახელება (შუაში);

- ტექსტი: „ხელნაწერის უფლებით“ (მარჯვენა კუთხეში);
- ავტორის სახელი, გვარი (შუაში);
- დისერტაციის სათაური (შუაში);
- სპეციალიზაცია (შუაში);
- ტექსტი: „დისერტაცია წარდგენილია ... დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“
- ტექსტი: „რეზიუმე“
- დაცვის ადგილი

რეზიუმეს 1-ლ გვერდზე განთავსდება ანალოგიური ინფორმაცია მხოლოდ ქართულ ენაზე. მე-2 გვერდზე ზემოდან ქვემოთ იბეჭდება:

- უნივერსიტეტის დასახელება;
- სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი;
- ოფიციალური შემფასებლების სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი;
- ტექსტი: „ დისერტაციის დაცვის თარიღი გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე“
- ტექსტი: „დისერტაციის დაცვა შედგება... სკოლის საატესტაციო-საექსპერტო კომისიის სხდომაზე“
- დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მესამე გვერდზე განლაგდება რეზიუმეს სარჩევი.

მეოთხე გვერდიდან განლაგდება რეზიუმეს ტექსტი, რომელიც შედგება შემდეგი ძირითადი ნაწილებისგან :

1. შესავალი, რომელშიც აისახება ნაშრომის ზოგადი დახასიათება და იშლება დისერტაციის კვლევითი პროგრამა. ნაშრომის ზოგად დახასიათებაში განიხილება კვლევის პრობლემატიკა და მისი აქტუალობა, კვლევის მიზანი, ამოცანები, ობიექტი, საგანი, ჰიპოთეზა;
2. სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი და დისერტაციის, თეორიულ-პრაქტიკული კონტექსტი. მოცემულ ნაწილში განიხილება წინამორბედი მკვლევარების შრომებში ასახული თეორიული პოსტულატები და ძირითადი დეფინიციები, ასევე, კორპორატიული კვლევის შედეგები და ანგარიშები;
3. მეთოდოლოგია. აღნიშნულ ნაწილში მოკლედ განიხილება სადისერტაციო კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგიური და მეთოდური მიდგომები. ფილოსოფიურ (მსოფლმხედველურ) საფუძვლად სოციალურ მეცნიერებებში გვევლინება დიალექტიკა, ანუ,

სწავლება ყოფიერებისა და შემეცნების ჩამოყალიბებისა და განვითარების, საერთო კანონზომიერებებისა და კავშირების შესახებ.

დიალექტიკის ზოგადი კანონებისა და კატეგორიების ცოდნის გარდა, დისერტაციაში წარმოჩენილი უნდა იყოს კვლევის სხვა ზოგადი და კერძო მეთოდების ადეკვატური გამოყენების უნარი. სოციალურ მეცნიერებებში გამოყენებულ სპეციალურ მეთოდებს მიეკუთვნება ისტორიული, კონკრეტულ-სოციოლოგიური, შედარებით-სამართლებრივი, ფორმალურ-იურიდიული, სამართლებრივი მოდელირების, სამართლებრივი და ადმინისტრაციული სტატისტიკის. ყოველი მათგანი იძენს სპეციალურ ხასიათს, ვინაიდან უშუალო კავშირშია შესასწავლი ობიექტის სპეციფიკურ მხარეებთან.

4. კვლევის შედეგები. რეზიუმეს ამ ნაწილში ჩამოთვლილია სადისერტაციო კვლევის პროცესში მიღებული ძირითადი შედეგები. მათი ჩამოთვლა ხდება დისერტაციის ამოცანების გადაწყვეტის შესაბამისად. შედეგი სამეცნიერო პროდუქტია - ინტელექტუალური საკუთრების ახლად შექმნილი ობიექტი. რაოდენობრივი თანაფარდობა შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ მიზანშეწონილია, თითო ამოცანას თითო შედეგი შეესაბამებოდეს.
5. განსჯა და მეცნიერული მიგნებები. აღნიშნულ ნაწილში შემჭიდროვებულად უნდა აისახოს დისერტაციის ნაწილების (თავების) შინაარსი. დისერტაციის ფრაგმენტების კომპილაციის მეთოდით ხორციელდება მასალის ანოტირებული წარდგენა. არ შეიძლება იმ მასალის ჩართვა, რომელზეც დისერტაციაში საუბარი არ ყოფილა. ასევე, არაა რეკომენდებული ცალკეული თავის გაფართოებული ანოტაციის მომზადება. მოცემულ ნაწილში უნდა აღიწეროს არა ის, თუ დისერტაციის რომელ ნაწილში რაზეა საუბარი, არამედ გადმოცემულ იქნას ნაშრომის სამეცნიერო შინაარსი.
6. ნაშრომის მეცნიერული სიახლე. მოცემული ნაწილი აგებულია შემდეგ ფორმულირებებზე: შემუშავებულია, აღმოჩენილია, დასაბუთებულია, განსაზღვრულია, გამოვლენილია, დადგენილია. ხშირად დისერტანტები ცდილობენ ან საერთოდ არ ახსენონ, ან არაერთხელ გაიმეორონ სიტყვა „პირველად“. აქ მნიშვნელოვანია მეცნიერ-ხელმძღვანელის პოზიცია, რომელიც დაეხმარება მამიებელს მისცეს საკუთარ ნაშრომს მოკრძალებული, მაგრამ ღირსეული ობიექტური შეფასება. დისერტანტებს, ზოგადად, არც მოეთხოვებათ სამეცნიერო აღმოჩენის გაკეთება. უპირატესობა ენიჭება მიდგომას, რომლის დროსაც სიახლე რეზიუმეში წარმოდგენილია, როგორც განსაზღვრული კონსტრუქციების ჩამონათვალი: ფორმულირებულია ავტორისეული

პრინციპი, შემუშავებულია ახალი მოთხოვნები, ახლებურადაა დასაბუთებული, პირველადაა აპრობირებული ინსტრუმენტაროში. ფორმულირების მსგავსი ვარიანტი წარმოაჩენს ნაშრომის სიახლეს, დისერტანტის ინოვაციურ მეთოდებს.

სადისერტაციო კვლევის სამეცნიერო სიახლე შეიძლება გამოიხატებოდეს კონკრეტული კონცეპტუალური დებულებების ჩამოთვლაში, მეთოდურ მიდგომებსა და გადაწყვეტაში, რომელთაც არ აქვთ ანალოგი ან ღრმად მოდერნიზებულ სამეცნიერო მიდგომას წარმოადგენენ. სამეცნიერო სიახლე სადისერტაციო თემისადმი წაყენებული ერთერთი მთავარი მოთხოვნაა. ეს ნიშნავს, რომ ის უნდა შეიცავდეს ახალი სამეცნიერო ამოცანის გადაწყვეტას, ახალ მიგნებას, რომელიც აფართოებს ცოდნის არსებულ საზღვრებს მეცნიერების ამა თუ იმ დარგში. სიახლე შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც ძველ იდეებს, რაც გამოიხატება მათ გაღრმავებაში, კონკრეტიზაციაში, დამატებით არგუმენტაციაში, ახალ პირობებში მათი შესაძლო გამოყენების ჩვენებაში, ისე მამიებლის მიერ წამოყენებულ ახალ იდეებს.

7. დასკვნა-რეკომენდაციები

დასკვნაში სინთეზდება დისერტაციის ძირითად ნაწილში დაგროვებული სამეცნიერო ინფორმაცია. ჩვეულებრივ, დასკვნა შეუცვლელად გადაიტანება ხოლმე დისერტაციიდან და შეიძლება აიგოს პუნქტებად, რომლებიც პასუხობენ კვლევის მიზნებსა და ამოცანებს. შესაძლებელია დასკვნის შემცირებულ ფორმატში წარმოდგენაც რეზიუმეს მოცულობის შეზღუდული სტანდარტების გათვალისწინებით.

ზოგადი რეკომენდაციები:

1. არ შეიძლება რეზიუმეს მომზადება არასათანადო ტიპოგრაფიულ ფორმატში და ამით ტექსტის ნამდვილი მოცულობის შენიღბვა;
2. დაუშვებელია აზრაცებს შორის თავისუფალი ადგილის დატოვება;
3. არ არის რეკომენდებული მრავალრიცხოვანი მითითებების გაკეთება, ვინაიდან აქ მთავარი ამოცანაა არა ზოგიერთ ავტორთან დიალოგის გაანალიზება, არამედ მათი დაჯგუფების ჩვენება პრობლემის სხვადასხვა ასპექტის ირგვლივ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიქმნება დისერტაციიდან ცალკეული ნაწილების კოპირების შთაბეჭდილება, მაშინ როდესაც, რეზიუმეს ტექსტი ავტორის მიერ სპეციალურად მოფიქრებული ავტონომიური ნაწარმოები უნდა იყოს.

4. დოქტორანტმა ყურადღებით უნდა შეამოწმოს რეზიუმეს ტექსტი ორთოგრაფიისა და სინტაქსის კუთხით. ზემოთ უკვე ნახსენებმა არააკადემიურმა კონსტრუქციებმა (და ა. შ.; და სხვ., და მსგ.) შეიძლება შექმნას მოცემულ სფეროში არასაკმარისი ცოდნის, ინფორმაციის სისტემატიზაციის, მოწესრიგებული ტიპოლოგიის შემუშავების უუნარობის შთაბეჭდილება.
5. რეზიუმეში რეკომენდებულია მეთოდოლოგიური კონცეპტების კომპეტენტურად გაწესება, კვლევის სისტემურობის წარმოჩენა, რათა მკითხველმა შეძლოს დისერტაციის პერსპექტივის, მისი ავტორის პროფესიონალიზმის დანახვა. რეზიუმეს პირველ პროექციულ კომპონენტში უნდა წარმოჩნდეს კვლევის პროგრამა, მოხდეს დისერტაციის არქიტექტურის დემონსტრირება, განისაზღვროს პრობლემის მდგომარეობა და მისი აქტუალობა, გადაწყვეტის სირთულეები, კვლევის მიზანი, მიმართულებები, მეთოდები.
6. ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულების რეზიუმეში არაა რეკომენდებული მათემატიკური ფორმულების, განტოლებების, გრაფიკების, დიაგრამების ჩართვა;
7. რეზიუმეში ხდება დისერტაციის აღწერის რეფერირება, ანოტირება, ანუ მოკლე გადმოცემა მესამე პირში;
8. რეზიუმეს გაფორმებისას დაცული უნდა იყოს მკაცრი აკადემიური სტილი. შინაარსობრივად მდიდარმა ნაშრომმაც შეიძლება ნეგატიური შთაბეჭდილება დატოვოს, თუ ტექსტი გაუმართავია.

შეკითხვები:

1. სადისერტაციო კვლევის რა მეთოდები არსებობს?
2. რას წარმოადგენს კვლევის შედარებით-სამართლებრივი მეთოდი?
3. რას წარმოადგენს კვლევის ფორმალურ-იურიდიული მეთოდი?
4. რას წარმოადგენს კვლევის სისტემურ-იურიდიული მეთოდი?
5. როგორია შიბლიოგრაფიული ჩამონათვალის გაფორმების ზოგადი სქემა?
6. სადისერტაციო კვლევის თემის რა ნაირსახეობები არსებობს?
7. სოციოლოგიური კვლევების რა სპეციფიკურ მეთოდებს იცნობთ?
8. როგორი უნდა იყოს დისერტაციის თავების სტრუქტურა?
9. როგორია დისერტაციის შესავლის სტრუქტურა?

ტესტი

1. მიუთითეთ, როგორი უნდა იყოს დისერტაციის მე-2 თავის სტრუქტურა:

- პრობლემები უნდა დანაწილდეს შემადგენელი ამოცანების შესაბამისად;
- უნდა შეიცავდეს ამოცანების გადაწყვეტის ალგორითმებისა და მეთოდების ანალიზს;
- წარმოდგენილი უნდა იყოს კვლევის საერთო მეთოდოლოგია;
- უნდა შეიცავდეს კაზუსების ანალიზს.

2. როგორი უნდა იყოს სადოქტორო დისერტაციის რეზიუმეს მოცულობა?

- ერთი - ერთ-ნახევარი ნაბეჭდი გვერდი;
- ერთ-ნახევარი - ორი ნაბეჭდი გვერდი;
- ორი - ორ-ნახევარი ნაბეჭდი გვერდი;
- სამი ნაბეჭდი გვერდი.

3. სადისერტაციო კვლევის რა მეთოდები არსებობს?

- შედარებით-სამართლებრივი;
- ფორმალურ-იურიდიული;
- სისტემურ-სტრუქტურული;
- ინოვაციურ-შემეცნებითი.

4. მიუთითეთ, რა უნდა იყოს წარმოჩენილი „სამეცნიერო მიგნებების“ ნაწილში/თავში:

- კვლევის არსი;
- მეცნიერული სიახლე;
- განსხვავებული მიდგომები;
- სამეცნიერო შედეგის მნიშვნელოვნება.

5. ბიბლიოგრაფიული ნუსხის გაფორმების ზოგადი სქემა, როგორც წესი, მოიცავს:

- სათაურს, მონაცემებს გამოცემის შესახებ;
- ინფორმაციას წყაროს გვერდების მოცულობის შესახებ;
- მოკლე ანოტაციას.

6. სადისერტაციო თემის დასახელებაში, ჩვეულებრივ, აისახება:

- კვლევის შინაარსი, მისი მიმართულება (ეფექტურობის ზრდა, სტრუქტურის სრულყოფა, ოპტიმიზაცია, დანახარჯის შემცირება და ა.შ.);
- კვლევის გეოგრაფია (სად ჩატარდა კვლევა);
- კვლევის ობიექტი (მოვლენა, პროცესი, ცოდნის სფერო, ხერხი, მოწყობილობა);

- კვლევის საგანი (მოქმედების ხერხი, ინსტრუმენტი, მოდელი, კვლევის მეთოდი, მეთოდოლოგია).

7. სადისერტაციო კვლევის ამოცანები შეიძლება იყოს:

- თეორიული;
- ანალიზური;
- პროგნოზული;
- პრაქტიკული.

8. დისერტაციის მომზადებისას ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა საჭიროა:

- კვლევის ძირითადი მიმართულებების ფორმულირებისა და დეტალიზაციისთვის;
- კვლევითი პროცესის მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციისთვის;
- ცალკეული ავტორის გასაკრიტიკებლად;
- უკვე ჩატარებული კვლევების გასაცნობად იმავე სფეროში.

9. სადისერტაციო კვლევის თემის რა ნაირსახეობები არსებობს?

- კოლექტიური თემა;
- საინიციატივო თემა;
- შეკვეთილი თემა;
- ინდივიდუალური თემა.

10. სოციოლოგიური კვლევის სპეციფიკური მეთოდებია:

- ორგანიზაციულ-სტრუქტურული ანალიზი - მოვლენის შეცნობა მისი სტრუქტურის მეშვეობით;
- კომუნიკაციური - კვლევის ობიექტებს შორის არსებული კავშირების სისტემის ანალიზი;
- ევოლუციური - ისტორიული განვითარების კუთხით შესწავლა;
- ინოვაციური - მოვლენის ან პრობლემის შესწავლა მისი განვითარების კუთხით.

1. ლია წულაძე - რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, თბილისი 2008 - http://css.ge/files/Books/Books/raodenobrivi_kvlevis_meTodebis_saxelomzgv.pdf
2. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სადოქტორო -სკოლა - http://freeuni.edu.ge/sites/default/files/u117/SHMD_Programa.pdf
3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი:
4. ზურაბიშვილი თინათინ - თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.10&d=HASH0129b5727ecf269b3f2c1338.9>=2>
5. Adèr, H.J.; Mellenbergh, G.J.; Hand, D.J. (2008). *Advising on Research Methods: A consultant's companion*. Johannes van Kessel Publishing.
6. Bem, D.J. (2003) 'Writing the Empirical Journal Article', in Darley, J. M., Zanna,
7. Ben-Ari, M., Walker, H. M., Redvers-Mutton, G., and Mansfield, K. 2002. Writing a textbook. In Proceedings of the 7th Annual Conference on innovation
8. "BLS Information". *Glossary*. U.S. Bureau of Labor Statistics Division of Information Services. February 28, 2008. Retrieved 2009-05-05
9. Bertalanffy L.on, *General systems theory. Foundations, development, applications*, 2 ed., N. Y., 1969;
10. Bunge Mario - *Evaluating Philosophies*. Dordrecht-Heidelberg-London-New York, Springer 2007
11. Dawson John W., Jr. *Logical Dilemmas: The Life and Work of Kurt Gödel*. AK Peters, Ltd., 1996. ISBN 978-1-56881-025-6
12. Dalkey, Norman; Helmer, Olaf (1963). "An Experimental Application of the Delphi Method to the use of experts". *Management Science* 9 (3): 458–467
13. Furnham, A., & Yazdanpanahi, T. (1995). Personality differences and group versus individual brainstorming. *Personality and Individual Differences*, 19, 73-
14. Hyland, K. (2004) 'Corpus analysis and academic persuasion. In U. Connor & T. A. Upton
15. Reynolds, T. J.; Gutman, J. *Laddering Theory, Methods, Analysis and Roediger III, H. L. (Eds) (2003). The Compleat Academic: A Practical Guide for the Beginning Social Scientist*, 2nd Edition. Washington, DC: American Psychological Association.
16. Interpretation // *Journal of Advertising Research*. — 1988. — T. 28, № 1.
17. Lehrer Jonah - The brainstorming myth // *The New Yorker*, 01.30.2012.

18. Tracey Tokuhama-Espinosa (2010). *Mind, Brain, and Education Science: A Comprehensive Guide to the New Brain-Based Teaching*. W. W. Norton & Company. p. 39.
19. Абрамов Е. Г. ПОДБОР КЛЮЧЕВЫХ СЛОВ ДЛЯ НАУЧНОЙ СТАТЬИ Научная периодика: проблемы и решения. Выпуск № 2 / 2011
20. Авдошина З А. - Исследования систем управления http://www.cfin.ru/management/strategy/classic/management_research.shtml
21. Андреева А.А. Принципы научного исследования: Учебно-методический комплекс. Рабочая учебная программа для студентов Тюмень: Тюменский государственный университет, 2009, 15 стр.
22. Блауберг И. В., Садовский В. Н., Юдин Э. Г. Системный подход // Новая философская энциклопедия / Ин-т философии РАН;
23. Блауберг И. В., Садовский В. Н., Юдин Э. Г. Системный подход в современной науке // Проблемы методологии системных исследований. — М.: Мысль, 1970. — С. 7-48
24. Бондарев В. Концепции современного естествознания. 2009
25. Бурков В.Н., Коргин Н.А., Новиков Д.А. Введение в теорию управления организационными системами / Под ред. чл.-к. РАН Д.А. Новикова. — М.: Ленанд, 2009.
26. Боярский А.Я. Таблицы для определения достоверности статистических показателей и числа наблюдений в статистическом исследовании. М., 1997.
27. Васнев С.А. Статистика: Учебное пособие Москва: МГУП, 2001. 170 с.
28. <http://www.hi-edu.ru/e-books/xbook096/01/about.htm>
29. Вохмянин Д.В. 2012- Методики исследования в правовой науке в контексте правовых универсалий, Издательство "Академия Естествознания", ISBN 978-5-91327-166-2
30. Горский Д.П. Вопросы абстракции и образование понятий - <http://www.twirpx.com/file/370024/>
31. Громова Н.М., Громова Н.И. - Основы экономического прогнозирования - Методы прогнозной экстраполяции Издательство "Академия Естествознания", 200
32. Дедкова И. А. Правовая статистика, Томск «Эль Контент» 2012 <http://ir.nmu.org.ua/bitstream/handle/123456789/17528/4c879a446b1b7ff0268e663f03e51ecb.pdf>
33. Дюркгейм Э. О разделении общественного труда: Метод социологии. М, 1991
34. Добреньков В.И., Кравченко А.И.. Методы социологического исследования, 2004

35. Игнатова В. Концепции современного естествознания: Учебное пособие
36. <http://www.msmsu.ru/page/science/scientific-effort>.
37. Кохановский В.П., Золотухина Е.В., Лешкевич Т.Г., Фатхи Т.Б. Философия для аспирантов: Учебное пособие. Изд. 2-е - Ростов н/Д: "Феникс", 2003. <http://www.booksite.ru/localtxt/koh/ano/vsky/index.htm>
38. Коршунова Н. – Методология педагогики - <http://cyberleninka.ru/article/n/aktualnost-temy-issledovaniya-i-protsedura-eyo-obosnovaniya>
39. Орлов А.И. Организационно-экономическое моделирование: теория принятия решений. – М.: КноРус, 2010.
40. Остроумов С. С. Советская судебная статистика : Часть общая и специальная : Учебник для юрид. вузов. — М.: Госюриздат, 1952.
41. Родионов И. Б. - Теория систем и системный анализ- <http://victor-safronov.ru/systems-analysis/lectures/rodiонов/01.html>
42. Родный Н. И. История науки. науковедение. наука // Вопросы философии. 1972. № 5. С. 51-62.
43. Левичев О.Ф.. Категория синтеза в науке, философии и образовании 2012, <http://grani.agni-age.net/articles12/4914.htm>
44. Мертон Роберт. Социальная теория и социальная структура. Часть IV Исследования по социологии науки — М.: АСТ Москва Хранитель, 2006. — 873 с. ISBN 5-97134-0703-7 / С.770-782.
45. Мамзин. М., История и философия науки: учеб, пособие для аспирантов Авторы: Поо ред. А. 2008 с. 77
46. Ниворожкина Л. И. Статистическое наблюдение // Ниворожкина Л. И. Теория статистики — Ростов на Дону: «Мини Тайп», «Феникс», 2005
47. Неганова Л. М.- Статистика: Конспект лекций http://www.e-reading.club/bookreader.php/98881/Neganova__Statistika__konspekt_lekciii.ht
48. Свасьян К.А.. Становление европейской науки, М., «Evidentis», 2002 г., с. 351. <http://vikent.ru/enc/2986/>
49. Селетков С.Г. Теоретические положения диссертационного исследования Монография. 2011
50. Социологические проблемы науки / под ред. В. Ж. Келле, С. Р. Микулинского. М., 1974. 345 с.
51. Сычева В.С. - Исторический очерк бюджетных исследований в Западной Европе и США 1998
52. Философия для аспирантов : учебное пособие / В. П. Кохановский [и др.]. — 2-е изд. — Ростов н/Д. : Феникс, 2003. — 448 с. — (Высшее образование). — ISBN 5-222-
53. Фролова Т.А. - Экономическая теория: конспект лекций, Таганрог: ТТИ ЮФУ, 2009.

54. Уайтхед А. Н. Избранные работы по философии. М.: Прогресс, 1990. 716
55. <http://www.msmsu.ru/page/science/scientific-effort>.
56. Этика науки и профессиональная ответственность ученого
<http://conflictmanagement.ru/etika-nauki-i-professionalnaya-otvetstvennost-uchenogo>
57. Юрченко А.В. Исследование систем управления: Учебно-методическое пособие Ярославль 2008. - 104 с.
58. http://dspac.nplg.gov.ge/bitstream/1234/163640/1/Ganatileba_Kvleva_Praqtika_2016.pdf
59. <http://www.methodolog.ru/books/mni.pdf>
60. <http://www.bankreferatov.ru/referats/C325729F00717F7B43257B0B00081D46>.
61. http://studme.org/1584072016564/investirovanie/upravlenie_innovatsiyami
62. <http://mybiblioteka.su/tom2/5-47985.html> -Структура и задачи аналитического вывода
63. <http://iph.ras.ru/elib/1170.html>
64. http://studme.org/1640011629071/filosofiya/gipotetiko-deduktivnyy_put_poznaniya - Гипотетико-дедуктивный путь познания
65. <http://mybiblioteka.su/8-13100.html> Основы философии науки
66. http://www.aup.ru/books/m202/1_5.htm
67. <http://thisisme.ru/content/ekspertnyi-metod> Экспертный метод
<http://studopedia.info/1-78535.html> Предыстория эмпирической социологии
68. http://explanatory_sociological.academic.ru/727/%D0%9A%D0%95%D0%A
69. <http://studopedia.org/7-24575.html>
70. http://www.heuni.fi/material/attachments/heuni/reports/qrMWoCVTF/HEUNI_report_80_European_Sourcebook.pdf
71. <http://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/sainformatsio-analitikuri-departamenti>
72. <http://www.grandars.ru/student/statistika/vidy-statisticheskogo>
73. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=757&lang=geo
74. <http://www.ukrreferat.com/index.php?referat=955&pg=93&lang=book>; Moore D.W. The Superpollsters. New York: Four Walls Eight Windows, 1992.;
75. http://fom.ru/uploads/books/Dzhordzh_Gjellap_Biografija_i_sudba.pdf
76. Elsevier Recommendation http://kubstu.ru/data/struct/0507/World-class_publication.pdf
77. http://www.anovikov.ru/artikle/monograf.htm#_ftn1
78. <http://mysl.kazgazeta.kz/?p=447>
79. Technology The Textbook and after... Pierre Moeglinin Computer Science Education (Aarhus, Denmark, June 24 - 28, 2002). ITiCSE '02. ACM Press, New York, NY, 94-95

დისერტაციის სათაური

დოქტორანტი სახელი, გვარი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მეცნიერ-ხელმძღვანელი სახელი, გვარი

..... მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

უნივერსიტეტის დასახელება

თბილისი

2016

ბიბლიოგრაფია წარმოდგენილ უნდა იქნას ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით - ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე (ქვემოთ მოცემული თანმიმდევრობით), ხოლო შემდეგ - უცხოურ ენებზე (იმავე თანმიმდევრობით). ნუსხაში უნდა მიეთითოს:

წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში:

- ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები
- სახელწოდება (დახრილი შრიფტი)
- გამოცემის წელი
- გამოცემის ადგილი
- გამომცემლობა

მაგ.: ლლონტი გ. *კანონიერი ქურდები*. 2003. თბილისი, განათლება.

პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში

- ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები
- ნაშრომის სახელწოდება
- წელი
- სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება (დახრილი შრიფტი)
- ტომის/გამოცემის ნომერი
- გვერდები, რომელზეც განთავსებულია ნაშრომი

მაგ.: ლლონტი გ. *ორგანიზებული დანაშაულობა*. 2012. *მაცნე*, იანვარი, 12-15.

ინტერნეტის გამოყენების შემთხვევაში:

- მასალის ავტორი
- მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით
- ვებ-გვერდის მისამართი
- მასალის მოძიების თარიღი

მაგ.: ბრაუნე ტ. *ბრიტანეთის სამართლის საფუძვლები*.. [www . . .](http://www...)
(15.02.2005).

ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში:

- სტატიის ავტორი (გვარი, ინიციალები)
- წელი
- სტატიის დასახელება
- ელექტრონული გამოცემის დასახელება (დახრილი შრიფტი)

- გამოცემის ნომერი
- თავი, პარაგრაფი (იწერება ფრჩხილებში)
- ვებ-გვერდის მისამართი
- მასალის მოძიების თარიღი

მაგ.: კოილი მ. 2003. თავისუფლების აქტის *ევროპის ფორუმი* 3 (5). www . . . (15.06.2003).

სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში:

- ქვეყნის დასახელება
- უწყების დასახელება, რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი
- წელი იმ გამოცემისა, სადაც მოძიებულ იქნა მითითებული დოკუმენტი
- დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი...)
- დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლის მინიშნებით
- ადგილი იმ გამოცემისა, რომელშიც მოძიებულია მითითებული დოკუმენტი
- გამოცემის დასახელება, რომელშიც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი

მაგ.: საქართველო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2005. მინისტრის ბრძანება: ... ცვლილებების შესახებ . . . (639, 5.09.2005). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე №115.

..... უნივერსიტეტი

..... University

ხელნაწერის უფლებით
With the right of manuscript

დისერტანტის გვარი, სახელი
First name, Last name

დისერტაციის სათაური

Disseration Title

სპეციალობა:

Specialty:.....

დისერტაცია წარდგენილიადოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

Thesis is presented for obtaining of the Dr. of Academic Degree

რეზიუმე
Abstract

თბილისი
Tbilisi

2016

ინფორმაცია ავტორის შესახებ

პროფესორი გიორგი დლონტი

სამართლის დოქტორი - 1984 წელს დაიწვა დისერტაცია სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის მიმართულებით ქ. მოსკოვში. 2005 წლამდე მუშაობდა პოლიციის აკადემიაში, არის პოლიციის პოლკოვნიკი თადარიგში. 1998, 2010-2016 წლებში მუშაობდა მაკს პლანკის საერთაშორისო და უცხოეთის სისხლის სამართლის ინსტიტუტში მიწვეული მკვლევარის რანგში. კითხულობდა ლექციებს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტში, როგორც მიწვეული პროფესორი. კერძოდ: 2009 წელს ჰალის უნივერსიტეტში, ინგლისი (Kingston-Upon-Hall University UK) ერაზმუს მუნდუსის პროგრამის (Erasmus Mundus Program) ფარგლებში; 2008 წელს მონაშის უნივერსიტეტში, ავსტრალია (Monash University); 1999-2000წწ. ამერიკის უნივერსიტეტში, ვაშინგტონი, აშშ (American University Washington DC USA) ფულბრაიტის პროგრამის ფარგლებში; 1994-1995წწ. რატგერსის უნივერსიტეტის კრიმინალური იუსტიციის სკოლაში, აშშ (School of Criminal Justice Rutgers University, Newark New Jersey USA) IREX პროგრამის ფარგლებში. 2003-2016 წლებში კითხულობდა ლექციებს კრიმინოლოგიასა და სამეცნიერო კვლევის მეთოდებში გრიგოლ რომაქიძის, კავკასიის, ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტებში. არის საქართველოს კრიმინოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი, აგრეთვე, ამერიკის და ევროპის კრიმინოლოგთა საზოგადოების წევრი. გამოქვეყნებული აქვს სამოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, რვა მონოგრაფია და სახელმძღვანელო. ამჟამად მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოს და სამართლის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად.


ალექსანდრე დლონტი

ფრაიბურგის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორობის კანდიდატი - მაქს პლანკის უცხოური და საერთაშორისო სისხლის სამართლის რეტალიაციის, მედიაციის და სასჯელის სკოლა, გერმანია (J.D. Candidate at Freiburg University - Member of Max Planck Institute for Foreign and International Criminal Law REMEP program, Germany)

2017



კვლევის მეთოდები



ალექსანდრე ლოსანგი

საქსენი

გიორგი ლოსანგი

ISBN 978-9941-0-9461-3

